

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი

ნუზარ მბელაძე მანუჩარ ლორია

მცირე აზიის ხალხთა
ეთნოლოგია და კულტურა
სალექციო ჩანაწერები

თბილისი 2018

მცირე აზიის ხალხთა ეთნოლოგია და კულტურა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქეთისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო კურსია. წიგნი განხილულია დეპარტამენტის სხდომაზე, № 5. 4 ივნისი, 2018.

სალექციო ჩანაწერებში პირველადაა თავმოყრილი და მთლიანობაში წარმოდგენილი მცირე აზიის ხალხთა ისტორიულ-გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და ეთნოკულტურული თავისებურებანი.

წიგნი ინტერდისციპლინარული ხასიათისაა და იგი განკუთვნილია, თურქოლოგების, ეთნოლოგების, აღმოსავლეთმცოდნეების, ისტორიკოსებისა და შესაბამისი საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი **ემზარ მაპარაკი**
ბსუ-ს პროფესორი

რეცენზენტები: **ზაზა შაშიაკი**
ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი

თაილა ლომთათიკი
ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

© ნ. მგელაძე, მ. ლორია 2018

გამომცემლობა „ღანი“ 2018
ძ. თბილისი ა.წიკეთელის 112
ტელ: 599 789 003

ISBN 978-9941-9560-8-9

სარჩევნო

წინათქმა.....4

თემა პირველი

რა არის ეთნოლოგია (/სოციოკულტურული ანთროპოლოგია)
და კულტურის მეცნიერებები?.....6

თემა მეორე

ძირითადი ცნებები, ტერმინები და განმარტებები..... 16

თემა მესამე

აზია – წინა აზია: ისტორიულ-გეოგრაფიული და
ეთნოკულტურული პორტრეტი.....34

თემა მეოთხე

შუა აზიიდან მცირე აზიაში – თურქეთი: თანამედროვე
თურქი ხალხის ჩამოყალიბების ისტორიული და
ეთნოკულტურული წინაპირობები..... 63

თემა მესამე

თურქების ეთნოეტიკეტი და ეთნოგრაფიული ეტიუდები..... 95

თემა მესამე

თურქეთის თანამედროვე ეთნიკური შედგენილობა
და ეთნოკონფესიური პორტრეტი ტრადიციულ
კულტურასთან კონტექსტში..... 125

თემა მეშვიდე

თურქეთის საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრება..... 182

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია224

მცირე აზიის ხალხთა ეთნოლოგია და კულტურა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქეთის-მცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო კურსია. სალექციო ჩანაწერები შექმნილია მოქმედი სილაბუსის მიხედვით და მისი მიზანია სტუდენტებს გააცნოს მცირე აზიის, კერძოდ, ისტორიული განვითარების ფონზე თურქეთის ეთნოლოგიისა და კულტურის თემატური პრობლემები, ანატოლიის უძველესი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, რეგიონის ეთნოკონფესიური მოზაიკა, თურქეთის ტერიტორიაზე მოსახლეობის ძირძველი და მოსული ხალხების ეთნოისტორიული განვითარებისა და მათი კულტურული ინტეგრაციის ძირითადი თავისებურებები, თურქეთის თანამედროვე მოსახლეობის ტრადიციული კულტურა – ეთნოგრაფიული ყოფის მახასიათებლები, საზოგადოებრივი ცხოვრების, სოციალური, სამეურნეო, მატერიალური და სულიერი კულტურული ღირებულებები და ფასეულობები.

სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასების ჯამს: შუალედური შეფასება – 60 ქულა; შუალედური გამოცდა – 20 ქულა; მიმდინარე შეფასებები – 40 ქულა (წერიტი გამოკითხვები – 10 ქულა, ზეპირი გამოკითხვები – 20 ქულა; პრეზენტაცია – 10 ქულა); დასკვნითი გამოცდა – 40 ქულა.

წიგნი – „მცირე აზიის ხალხთა ეთნოლოგია და კულტურა“ შემოთავაზებულია სალექციო ჩანაწერების სახით და, ბუნებრივია, იგი სრულყოფილი არ არის, თუმცა უდავოდ წარმოადგენს საფუძველს სამომავლოდ თურქეთის ეთნოლოგიის სფეროში განმაზოგადებელი და ფუნდამენტური სახელმძღვა-

ნელოს მომზადებისათვის. მასში ფართოდაა გამოყენებული მცირე აზიის ხალხთა კულტურის ისტორიისადმი და ეთნოგრაფიული თავისებურებებისადმი როგორც თურქულ, ისე ქართულ, რუსულ და ევროპულ ენებზე მიძღვნილი სტატიები და მონოგრაფიები, შესაბამისად, წიგნს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურა და მდიდარი ბიბლიოგრაფია. სალექციო ჩანაწერების მომზადებისას მართალია ჩვენ ფართოდ გამოვიყენეთ სხვადასხვა ავტორის პუბლიკაციები – სტატიები და მონოგრაფიები, თურქულენოვანი დარგობრივი ეთნოგრაფიული ჟურნალები, ტურისტული გზამკვლევები და ბუკლეტები, პერიოდული გამოცემები, მაგრამ ეს მდიდარი მასალა დავალაგეთ სათანადო თემატური პრინციპის საფუძველზე, რათა ისინი გადმოსაცემი პრობლემის არსის გააზრებაში მაქსიმალურად დაგვხმარებოდა.

თემა პირველი

რა არის ეთნოლოგია (/სოციოკულტურული ანთროპოლოგია) და კულტურის მეცნიერებები?

ეთნოლოგიის სახელწოდება ორი ძველი ბერძნული სიტყვის კომბინაციის შედეგადაა მიღებული. პირველი მათგანი – „ეთნოსი“ ხალხს აღნიშნავს, ხოლო მეორე, ლოგო – „მოძღვრებას“. ეთნოლოგიის კვლევის ობიექტს ეთნოსები, ხალხები წარმოადგენენ. ეთნოლოგია ეთნოსების წარმოქმნას – ეთნოგენეზს, ეთნოსების ისტორიულ ევოლუციას, ეთნიკურ ისტორიას, ეთნოსების თანამედროვე ცხოვრებას, თვალმისაწვდომ მონაცვალში ეთნოსთა განვითარების შესაძლო გზებს შეისწავლის.

კონკრეტული კვლევითი გამოცდილებისა და სამეცნიერო მიმართულებებიდან გამომდინარე თანამედროვე ეთნოლოგიის საგანი შემდეგ პრობლემებს სწავლობს: ხალხთა მატერიალურ კულტურას, ხალხების ტრადიციულ სამეურნეო ყოფას, მეურნეობისა და ეკონომიკის ეთნოსების განვითარებაზე ზემოქმედებას, სხვადასხვა ხალხის სულიერ კულტურას, რიტუალებსა და რწმენა-წარმოდგენებს, საზოგადოებრივ სისტემებს, ხალხების სოციალურ წყობასა და პოლიტიკურ სტრუქტურებს, სოციუმში აღზრდისა და ქცევის ნორმებს, კულტურათმორის კონტაქტების თავისებურებებს, ხალხთა განსახლებებს – მიგრაციებს, ეთნოსებში მიმდინარე დემოგრაფიულ პროცესებს, ეთნიკურ – ეროვნულ ცნობიერებასა და თვითშეგნებას, ხალხთა სახელწოდებებს, მათ შორის, თვითსახელწოდებებს, ეთნონიმიკას, ხალხთა ტერიტორიული დანაყოფების აღმნიშვნელ ტერმინებს, ლინგვისტურ ქცევასა და ენის ეთნოსებზე გავლენას, ეთნიკურ ინტერესებთან, ეთნოსთაშორის კავშირებთან,

განსაკუთრებით, კონფლიქტურ გარემოსთან დაკავშირებულ პოლიტიკურ საკითხებს, ეთნიკური სისტემების დინამიკას.

ეთნოლოგიას, როგორც მეცნიერებას, კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს. იგი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახელწოდებით არის ცნობილი. სულ ცოტა ხნის წინ, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, დარგის სახელწოდებას „ეთნოლოგიას“ – „ეთნოგრაფია“ ჩაენაცვლა, რასაც კონკრეტული მოტივაციები გააჩნდა. რეალურად, როგორც ეთნოგრაფია, ისე ეთნოლოგია დასავლური ჰუმანიტარული მეცნიერებების წიაღში ჩამოყალიბდა. ამდენად, ეთნოლოგია დასავლური ტრადიციების მატარებელი იყო, თუმცა ბევრი ფიქრობს, რომ ამერიკაში „კულტურული ანთროპოლოგია“, ხოლო დიდ ბრიტანეთში — „სოციალური ანთროპოლოგია“ ეთნოლოგიის შინაარსობრივ ეკვივალენტებს წარმოადგენენ. ამდგვარი მიდგომა პრობლემის დროსა და სივრცეში დაწვრილებით განხილვას მოითხოვს. ვნახოთ თუ როგორ განვითარდა „ხალხთმცოდნეობის“ აღმნიშვნელი სახელწოდების ისტორია დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში. ზოგან აქცენტი მის საისტორიო მიმართულებაზე გამახვილდა, ზოგან — სოციოლოგიურ, ფილოსოფიურ და კულტუროლოგიურ მიმართულებებზე. ერთ შემთხვევაში თუ წინ ეთნოსების – ხალხების კვლევამ წამოიწია, მეორე შემთხვევაში — მისთვის ამოსავალი ადამიანი და ადამიანთა ერთობა – სოციუმი გახდა. ამდენად, ეთნოლოგიის კვლევის საგანი რთული და არაერთგვაროვანია. ცალ-ცალკე დავახასიათოთ მეცნიერების ამ დარგის აღმნიშვნელი სხვადასხვა სახელწოდება. ამ ტერმინთაგან მკვლევართა ერთ ნაწილს ზოგიერთი მათგანი სინონიმად მიაჩნია და ხაზს გეოგრაფიულ ფაქტორს უსვამს, მეორე ნაწილი მათ განასხვავებს, ხოლო მესამე ნაწილი – სახელწოდებებს ერთმანეთის შემადგენლობაში განიხილავს.

ანთროპოლოგია. ანთროპოლოგიური კვლევების ისტორია, მეცნიერული თვალსაზრისით, სათავეს XIX საუკუნიდან იღებს, როდესაც ჩამოყალიბება დაიწყო ეთნოლოგიურმა მეთოდებმა და თეორიულმა სკოლებმა. დისციპლინის განვითარება სხვადასხვა ეტაპს მოიცავდა. როგორც მეთოდოლოგიურ-თეორიული მიდგომები ისე, ტერმინოლოგია და კვლევის თემატიკაც იცვლებოდა. დარგის განვითარების ადრეულ ეტაპზე დისციპლინის დასახელებასთან დაკავშირებით განსხვავებები გამოიკვეთა. აღმოსავლეთ ევროპის მთელ რიგ სოციალურ-ტურ ქვეყანაში, განსაკუთრებით, რუსეთში ტერმინი „ეთნოგრაფია“, დასავლეთ ევროპაში, უმთავრესად „ეთნოლოგია“ დამკვიდრდა, ხოლო ამერიკასა და დიდ ბრიტანეთში უპირატესობა ტერმინ „ანთროპოლოგიას“ მიენიჭა. საბჭოთა რუსეთსა და მისი გავლენის ქვეშ მყოფ ამა თუ იმ ქვეყანაში, როგორც აღინიშნა, „ეთნოლოგია“ ტერმინ „ეთნოგრაფიამ“ შეცვალა. ასე მოხდა საქართველოშიც. უკვე 1990-იანი წლებიდან მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო წრეში უფრო და უფრო მეტად ფეხი მოიკიდა კვლავ ტერმინ „ეთნოლოგიამ“ და „კულტურულმა ანთროპოლოგიამ“, უფრო ზუსტად, „სოციოკულტურულმა ანთროპოლოგიამ“. შეუძლებელია აქვე არ აღვნიშნოთ, საბჭოთა ეპოქაში ანთროპოლოგია როგორც ადამიანის წარმოშობის, მისი ევოლუციისა და ადამიანთა რასების შესახებ მეცნიერება, ბიოლოგიურ მეცნიერებად რომ განიხილებოდა. ანთროპოლოგიის ფარგლებში ბიოლოგიური — ფიზიკური ანთროპოლოგია დროსა და სივრცეში ადამიანის ფიზიკური ტიპის ვარიაციებს დღესაც იკვლევს. ბუნებრივია, პოსტსაბჭოთა პერიოდში მისი მნიშვნელობა საგრძნობლად გაფართოვდა.

დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ანთროპოლოგია ისეთ მეცნიერებად მიიჩნევა, რომელიც ადამიანს სოციალური, კულტურული და ფიზიკური განზომილებების

მიხედვით იკვლევს. ანთროპოლოგიაში კვლევის უმნიშვნელოვანეს ელემენტად ეთნოლოგიური მეთოდებისა და მიდგომების, ისე როგორც ზოგადად ხალხური კულტურული იერსახის შესწავლა წარმოგვიდგება. ოდნავ განსხვავებულია ფრანგული სკოლის მიდგომა, რომელიც ანთროპოლოგიას სოციოლოგიის ქვედარგად — „სოციოლოგიურ ანთროპოლოგიად“ აღიარებს, ანგლო-საქსონური ტრადიციით კი იგი რამდენიმე დარგისაგან შემდგარი პოლიდისციპლინური მეცნიერებაა, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი ბიოლოგიური, სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიაა. ამიტომ, ბრიტანეთში მას „სოციალურ ანთროპოლოგიას“ უწოდებენ.

თავდაპირველად, ამერიკული ტრადიციების შესაბამისად, ანთროპოლოგია ოთხ ქვედარგს აერთიანებდა: კულტურულ ანთროპოლოგიას, არქეოლოგიას, ლიგვისტიკასა და ბიოლოგიურ (ფიზიკურ) ანთროპოლოგიას. დროთა განმავლობაში, დარგის განვითარებასთან შესატყვისობაში, იგი კიდევ უფრო დაიტოტა და მის ფარგლებში ისეთი მიმართულებები ჩამოყალიბდა, როგორიცაა „სოციო-კულტურული ანთროპოლოგია“, „ფილოსოფიური ანთროპოლოგია“, „იურიდიული ანთროპოლოგია“, „ვიზუალური ანთროპოლოგია“, ეთნობოტანიკა და სხვა მრავალი. საილუსტრაციოდ განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

ფილოსოფიური ანთროპოლოგია (Philosophical Anthropology) დღეს ემპირიული მეცნიერება აღარაა. იგი უფრო მეტად სამყაროსა და სამყაროში ადამიანის შესახებ რელიგიურ-ფილოსოფიურ გაანალიზებას ეფუძნება და უნივერსალობის პრეტენზიით ჰუმანიტარიისაგან თითქოსდა განცალკევებით დგას. ერთ დროს ყოვლისმომცველი დარგი ახალ რეალობაში საგნის კვლევის ობიექტებს ეძებს.

იურიდიული ანთროპოლოგია (Anthropology of Law), როგორც ანთროპოლოგიის მეცნიერული მიმართულება სამართლის ადრეული ფორმების წარმოშობასა და განვითარებას სწავლობს, მაგრამ იგი ასევე თანამედროვე ისეთი იურიდიული პრობლემებითაა დაინტერესებული, რომლებიც ადამიანის ანდა ამა თუ იმ ხალხის სამართლებრივ კულტურას ასახავს. იგი ევროპის ქვეყნებში, როგორც ნაწილი სამართლის ზოგადი ისტორიისა, XIX საუკუნის 60-იან წლებში თითქმის ერთდროულად ჩამოყალიბდა. ასეთ დასაბუთებულ განმარტებას პირველად 1861 წელს გამოცემულ გ. მეინის ნაშრომში ვხვდებით, რომელიც ძველი სამართლის საკითხებს ეხებოდა. იგი ინგლისში XX საუკუნის თითქმის 20-იან წლებამდე მისაღებ შეხედულებად აღიქმებოდა, ხოლო ბრანისლავ მალინოვსკის ნაშრომების გამოსვლის შემდგომ იურიდიული ანთროპოლოგია თანდათანობით დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბდა. მას შემდეგ დარგმა ინტენსიური განვითარება დაიწყო და კვლევის სფეროში მიზნად მრავალფეროვანი თემატიკა დაისახა.

ამრიგად, ანთროპოლოგია არის მოძღვრება – მეცნიერება ადამიანის შესახებ. გარდა იმისა, რომ ანთროპოლოგია ადამიანის განვითარებას როგორც გეოგრაფიული, ისე ისტორიული თვალსაზრისით მოიცავს, მას, აგრეთვე, ადამიანის შესწავლისადმი ერთიანი, მრავალმხრივი მიდგომა ახასიათებს. ანთროპოლოგები არა მხოლოდ განსხვავებული ტიპის ადამიანებს, არამედ მათი გამოცდილების სხვადასხვა ასპექტსაც შეისწავლიან. მაგალითად, ადამიანთა ჯგუფების აღწერისას ანთროპოლოგი იმ ადგილის ისტორიას ითვალისწინებს, სადაც ისინი ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ, ასევე, მას მხედველობის არეში აქვს გარემოს ბუნებრივი პირობები, მოსახლეობის ოჯახური ცხოვრების ორგანიზაცია, ენის ძირითადი თვისებები,

დასახლების ტიპები, პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები, რელიგია, ხელოვნების სტილი და ტანსაცმელი. წარსულში ცალკეული ანთროპოლოგი სხვადასხვა საკითხის ერთდროულად განხილვას ცდილობდა. დღეს კი ანთროპოლოგიაში, ისე როგორც მრავალ სხვა დისციპლინაში, იმდენად დიდი ინფორმაცია დაგროვდა, რომ ანთროპოლოგებში გაჩნდა ტენდენცია ერთ ვიწრო თემაზე თუ კონკრეტულ სფეროში იმუშაონ. ასე რომ, ერთმა ანთროპოლოგმა შეიძლება ზოგიერთი პრეისტორიული წინაპრის ფიზიკური ნიშნები, მეორემ – მოსახლეობის განვითარებაზე ხანგრძლივი დროის მანძილზე გარემოს გავლენა, მესამემ კი – ადამიანთა გარკვეული ჯგუფის წეს-ჩვეულებები გამოიკვლიოს. ამგვარი სპეციალიზაციის მიუხედავად, ანთროპოლოგია მაინც ერთიან ორიენტაციას ინარჩუნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მრავალი განსხვავებული დარგის საშუალებით იგი წარსულსა და აწმყოში ადამიანის არსებობის სხვადასხვა ასპექტს ერთობლივად შეისწავლის.

ანთროპოლოგიურ კვლევებად ბიოლოგიური ანთროპოლოგიის, ეთნოარქეოლოგიის, სოციოლინგვისტიკის, ეთნოლოგიისა თუ სოციოკულტურული ანთროპოლოგიის და ფოლკლორისტიკის მიმართულებით წარმოებული კვლევები განიხილება. დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ზემოთ ჩამოთვლილ დარგთა განსაზღვრული მეთოდების გამოყენებით შეკრებილ მონაცემთა საფუძველზე, თანამედროვე სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას ენიჭება. ასეთ მიდგომას „გამოყენებითი ანთროპოლოგია“ ეყრდნობა. თუ ადრე ანთროპოლოგები, ძირითადად, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრებში იყვნენ დაკავებულნი, თანამედროვე ეტაპზე მათი დასაქმების არეალი გაიზარდა. პირობითად შეიძლება რამდენიმე სფერო გამოვყოთ, სადაც ისინი არიან დასაქმებულნი: სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ადმინისტრაც-

ციული სექტორები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ტელეკომპანიები. დასახელებულ სტრუქტურებში ისინი მუშაობენ და არიან წარმატებული ხელმძღვანელები, მეცნიერები, პედაგოგები, ექსპერტები, კონსულტანტები, ჟურნალისტები, რეჟისორები. ამ დარგის მიმართულებათა ჩამონათვალიც კი ხაზს უსვამს ამ დისციპლინის აქტუალობას, რაც კულტურულ, სოციალურ, ეთნიკურ, პოლიტიკურ, იურიდიულ, ეკონომიკურ, რელიგიურ, ფსიქოლოგიურ, ფილოსოფიურ, ვიზუალურ, პედაგოგიურ სფეროებში აისახება.

კულტურის მეცნიერებები (კულტურის კვლევები). XX საუკუნის 50-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა დარგი, რომლის სახელწოდებად კულტურის მეცნიერებები (/კულტურის კვლევები) დამკვიდრდა. ჩვეულებრივ, ამ ტერმინს კულტურული ანთროპოლოგიის სინონიმურ, ხან კი – უფრო ფართო მნიშვნელობით იყენებენ. კულტურის მეცნიერებათა ცალკე დარგად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი ამერიკული კულტურული ანთროპოლოგიის წარმომადგენელს — ლესლი ელვინ უაიტს მიუძღვის, რომელმაც, კოლეგებთან სერიოზულ კამათში, კულტურის მრავალმხრივი ფენომენის საგანგებო შესწავლის აუცილებლობა დაასაბუთა და დარგის სახელწოდებად „კულტუროლოგია“ შემოგვთავაზა. თავად ტერმინის „კულტურის კვლევები (/„კულტურის მეცნიერებები“) შემოტანა კი – რიჩარდ ჰოგარტის სახელს უკავშირდება. კულტურის მეცნიერებები სხვადასხვა საზოგადოების კულტურული ფენომენის შესასწავლად თავს უყრის კულტურის ანთროპოლოგიის, მუზეუმთმცოდნეობის, ხელოვნების ისტორიის, სოციოლოგიის, ისტორიის, ფილოსოფიის, მედიის თეორიის, ლიტერატურათმცოდნეობის, პოლიტიკური ეკონომიკის და ზოგიერთი სხვა დარგის მონაცემებს. იგი ცდილობს გაარკვიოს კულტურის ფენომენის კავშირი იდეოლოგიის, ეთნიკურობის, ნაციონალიზმის, სოცი-

ალური კლასის, გენდერის და სხვა სფეროებში მიმდინარე პროცესებთან.

კულტურის მეცნიერებათა ინტერესის საგანია მნიშვნელობები და პრაქტიკა, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში რეალიზდება. მაგალითად, დღეს კულტურის კვლევები (/მეცნიერებები) გლობალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, დასავლეთის ჰეგემონიისადმი წინააღმდეგობის ფორმებს და თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სხვა პროცესებს ეხება. კულტურის კვლევათა მიზანია იყოს სირთულითა და მრავალფეროვნებით კულტურის გაგება, აგრეთვე, სოციალური და პოლიტიკური კონტექსტის ანალიზი, რომელშიც კულტურა წარმოჩნდება, სხვადასხვა რაკურსით აჩვენოს. დღეს კულტურის კვლევების (/მეცნიერებების) ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ წარმომადგენლად მიჩნეული ბრიტანელი მეცნიერის სტიუარტ ჰოლის. მისი აზრით, ეს დარგი სათავეს 1950-იანი წლებიდან იღებს, როცა მარქსიზმისა და მისთვის დამახასიათებელი ევროპოცენტრიზმის რღვევა დაიწყო და საფუძველი შეერყა თეზისს იმის თაობაზე, რომ ეკონომიკური ბაზისი კულტურული სუპერ სტრუქტურისათვის განმსაზღვრელია. კულტურის კვლევები (/მეცნიერებები) ახალი მემარცხენეების – მარქსიზმთან დაპირისპირების ვითარებაში წარმოიშვა. კულტურის კვლევების ჩამოყალიბებაზე გავლენა იქონია რამდენიმე თეორიულმა მიმდინარეობამ, რომელთა ნაწილი კულტურის თეორიის ფარგლებს მიღმა გაჩნდა. ესენი იყო ფემინიზმი, რასიზმი, გენდერი და ხელისუფლების საკითხი. გაგრძელდა რა კულტურული ანთროპოლოგიის ტრადიცია, კულტურის კვლევები (/მეცნიერებები) ორი ძირითადი სკოლის—ბრიტანულისა და ამერიკულის ფარგლებში განვითარდა. მათგან პირველი უფრო მეტად იყო აღბეჭდილი მემარცხენე პოლიტიკური შეხედულებების ნიშნით და ორიენტირებული იყო

„კაპიტალისტური მასობრივი კულტურის“ კრიტიკაზე. მათ ფარნეკ ფურტის სკოლის ზოგიერთი იდეა შეითვისეს, რომელიც „კულტურის ინდუსტრიის“ – მასობრივი კულტურის ცნებასთან იყო დაკავშირებული. კულტურის კვლევების (/მეცნიერებების) ამერიკული ვერსია კი უფრო მეტად დაინტერესებული იყო მასობრივი კულტურის აღქმის სუბიექტური მხარით, აუდიტორიის მასობრივ კულტურაზე რეაქციით. გ ანსხვავება ამ ორი სკოლის მიდგომებს შორის XX საუკუნის ბოლოსათვის, თანდათანობით, გაფერმკრთალდა. ასობრივი კულტურის პასიურ მომხმარებელზე წარმოდგენას ჩაენაცვლა თვალსაზრისი, რომელიც ხაზს უსვამდა ადამიანთა მიერ კულტურული ტექსტების სხვადასხვაგვარ წაკითხვას, მიღებასა და ინტერპრეტაციას, რაც დამოკიდებული იყო მნიშვნელობაზე, რომელსაც მომხმარებელი კულტურის პროდუქტს ანიჭებდა. ულტურის კვლევების (/მეცნიერებების) წარმომადგენლებმა კულტურის მოხმარება კულტურულ იდენტობას მჭიდროდ დაუკავშირეს.

ზოგადად რაც შეეხება ანთროპოლოგიის – კულტურული ანთროპოლოგიისა თუ სოციოულტურული ანთროპოლოგიის და კულტურის კვლევების (/მეცნიერებების) მდგომარეობას ჩვენში, ეს ცალკე მსჯელობის საგანია. მოკლედ შეიძლება მხოლოდ ის ითქვას, რომ ჯერჯერობით ვერ მოხერხდა თავად დარგის აღიარებამდე მისვლაც კი. თითქმის ოც წელზე მეტია კამათი იმის თაობაზე გრძელდება, რა სახელწოდება შეესაბამება კულტურის ფენომენის კვლევით დაკავებულ დარგს. საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სივრცეში უპირატესობა „კულტუროლოგიას“ ენიჭებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, შინაარსობრივად მას ლესლი უაიტიისეულ გაგებასთან ძალიან მცირე საერთო ჰქონდა. კულტუროლოგია ხან კულტურის ფილოსოფიასთან იგივდებოდა, ხან კულტურის ისტორიასთან, და ეს კამათი „ყრუთა დიალოგს“ ჰგავდა. ინტერდისციპლინური კვლევისა და

სწავლების საჭიროებას, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ სიტყვით აღიარებდნენ. მეტად ძლიერია სწრაფვა დისციპლინათაშორისი ბარიერების შენარჩუნებისაკენ. სასწავლო ლიტერატურის თვალსაზრისითაც სერიოზული ჩამორჩენაა. იშვიათად თუ ვუზიარებთ ერთმანეთს ინფორმაციას დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებში მიმდინარე პროცესების, აგრეთვე, სამეცნიერო ლიტერატურის შესახებ, რომელიც, როგორც ბეჭდური, ისე, ელექტრონული გამოცემების სახით უზღვავი რაოდენობით გამოდის. ცუდად ვიცნობთ გამოცდილებას, რომელიც კულტურის კვლევების (/მეცნიერებების) კუთხით ჩვენი მხარის მსგავს მრავალ კულტურულ, მრავალკონფესიურ და მულტილინგვისტურ რეგიონებში, მაგალითად, ბალკანეთში დაგროვდა. არ არსებობს სერიოზული დარგობრივი სამეცნიერო პერიოდული გამოცემა. ამ ფონზე, ჩვენი ჩამორჩენა სულ უფრო მეტად იზრდება.

საერთო აზრის თანახმად, უპირველესი ამოცანა მაინც დისციპლინათაშორისი ბარიერების დაძლევა და კულტურის ფენომენის შემსწავლელ მეცნიერთა და, შესაბამის, ინსტიტუტთა ძალისხმევის გაერთიანებაა. ეს პრობლემა სხვა დარგების წინაშეც დგას, კულტურის კვლევები (/მეცნიერებები) კი ამის გარეშე, უბრალოდ, ვერ იარსებებს.

თემა მორე

ძირითადი ცნებები, ტერმინები და განმარტებები

როგორც ყველა მეცნიერებას, ისე სოციოკულტურულ ანთროპოლოგიას, ეთნოლოგიასა და კულტურის მეცნიერებებს თავისი ტერმინოლოგია გააჩნია, რომელიც საგნის არსს, მიზნებსა და ფუნქციებს განსაზღვრავს, რაც მის შინაარსს ადვილად გასაგებასა და დასამახსოვრებელს ხდის, რამეთუ, აზრი ცნობიერებაში სიტყვის საშუალებით შედის და სიტყვა, თავის მხრივ, აზრის პროვოცირებას ახდენს. მოდი გავაანალიზოთ ზოგიერთი ისეთი ცნება, რომელიც ანთროპოლოგიის, ეთნოლოგიისა და კულტურის მეცნიერებებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

ადათი: ადათი, იგივე, ჩვეულება, ისლამის აღმსარებლობაში ჩვეულებითი სამართალი. იგი წარსული ეპოქებიდან, კერძოდ, პირველყოფილი სამყაროდან მომდინარეობს, რომელიც თავის დროზე საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ მხარეს: სათემო მართვა-გამგებლობას, საოჯახო ურთიერთობებს, სისხლიანი კონფლიქტებს ანესრიგებდა. ადათი დაუნერგლ ნორმათა კანონი იყო, რომელმაც თანმიმდევრულად სავალდებულო დანიშნულება მოიპოვა. იგი საზოგადოების განვითარების შესაბამისად, ძირითადად, თემისა და ადათური სასამართლოების გადაწყვეტილებათა საფუძველზე იცვლებოდა.

აკულტურაცია: აკულტურაცია ესაა სხვადასხვა ეთნოსის კულტურების ურთიერთგავლენებისა თუ ურთიერთშელეწივის პროცესი, რომელიმე კულტურის მიერ სხვა კულტურის აღქმა, რის შედეგადაც ცვლილებათა პროცესი მიმდინარეობს.

ასიმილაცია: ასიმილაცია არის ორი კულტურის ურთიერთქმედების პროცესი, რომლის შედეგად ერთ-ერთი მათგანი

საკუთარ იდენტობას კარგავს და მეორის მიერ შთაინთქმება. ასიმილაციის პროცესი შეიძლება, როგორც ბუნებრივი, ისე ძალადობრივი გზითაც მიმდინარეობდეს. ჩნება „ასიმილაცია“ XIX საუკუნის ბოლოდან ამერიკულ კულტურულ ანთროპოლოგიაში, თავდაპირველად, ტერმინ „ამერიკანიზაციის“ სინონიმური მნიშვნელობით დამკვიდრდა. მისი პირველი განსაზღვრება რ. პარკსა და ე. ბერჯესს ეკუთვნით: „ასიმილაცია ურთიერთშეღწევისა და შერევის პროცესია, რომლის განმავლობაში ინდივიდები თუ ჯგუფები სხვა ინდივიდების ისტორიულ მეხსიერებას იძენენ და, იზიარებენ რა მათ გამოცდილებას, ჩართული აღმოჩნდებიან საერთო კულტურულ ცხოვრებაში“. XX საუკუნის შუა წლებამდე ეს ტერმინი ამერიკის შეერთებული შტატების დომინირებად კულტურაში ინდიელთა ტომების ინკორპორაციის მნიშვნელობით გამოიყენებოდა. ამერიკული საზოგადოება უზარმაზარ „შემოქმედებით ლაბორატორიად“ განიხილებოდა, სადაც სხვადასხვა კულტურული ტრადიცია ერთმანეთს ერეოდა და სინთეზურ მთლიანობად გადაიღობოდა. XX საუკუნის მეორე ნახევარში ჯ. ვან დერ ზანდენმა ცალმხრივი ასიმილაცია განასხვავა, როცა უმცირესობის კულტურა მთლიანად დომინირებადი კულტურის მიერ გამოიდევენებოდა და კულტურათა შერევა, რომლის დროსაც დაქვემდებარებული და გაბატონებული ჯგუფების ელემენტები ერთმანეთს ერეოდა, მდგრად კომბინაციებს ქმნიდა, რითაც ახალ კულტურას უყრიდა საფუძველს. მ. გორდონმა ასიმილაციის ხარისხობრივი განხილვის ტრადიცია დაამკვიდრა. დღეს მიჩნეულია, რომ სრული ასიმილაციის შემთხვევები ძალიან იშვიათია. ჩვეულებრივ, ადგილი აქვს უმცირესობის კულტურის ამა თუ იმ ხარისხით ტრანსფორმაციას დომინირებადი ეთნიკური ჯგუფის კულტურის ზეგავლენით. ამასთან, ხშირად, ფრიად ძლიერია უმცირესობის კულტურის უკუზეგავლენაც. ტერმინი „ასიმი-

ლაცია” ხშირად სხვა მნიშვნელობითაც გამოიყენება და ეთნიკური უმცირესობების მიმართ დომინირებადი ნაციონალური ჯგუფის განსაკუთრებულ პოლიტიკას აღნიშნავს. ეს პოლიტიკა მიმართულია ამ უმცირესობათა ტრადიციული კულტურის დათრგუნვისაკენ და ისეთი სოციალური გარემოს შექმნისაკენ, რომლის პირობებში დომინირებადი ჯგუფის ინსტიტუციურ სტრუქტურებში მონაწილეობისათვის უმცირესობის წარმომადგენელი იძულებული ხდებოდა დომინირებული საზოგადოების კულტურული ნიმუშები მიეღო.

დღეს მკვლევართა უმრავლესობა ტერმინ ასიმილაციის მიმართ, მისი პოლიტიკური შეფერილობის გამო, გარკვეულ სიფრთხილეს იჩენს.

ბიკულტურალიზმი და კულტურული დუალიზმი. ამ ცნებებში ერთდროულად და სრულყოფილად ორი და მეტი კულტურის ფლობა იგულისხმება. ბიკულტურალიზმი შეიძლება როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური იყოს.

გეოკულტურა, გეოკულტურული და გეოცივილიზაციური სივრცე: გეოკულტურა არის ამა თუ იმ კულტურაში არსებული საკუთარი გეოგრაფიული სახის გააზრება. გეოკულტურული სახის ჩამოყალიბებაში დიდ როლს მომიჯნავე გეოკულტურებში ჩამოყალიბებული სახეები ასრულებენ. მაგალითად, რუსეთის გეოკულტურული სახის ჩამოყალიბებაში ევრაზიის, აღმოსავლეთ ევროპის, შავიზღვისპირეთის, კავკასიის გეოკულტურული სახეები მონაწილეობს. გეოკულტურა გეოპოლიტიკასთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ერთ-ერთი განსაზღვრებით, გეოკულტურა მსოფლიო სივრცის ორგანიზაციის კულტურულ – კულტურაზე, როგორც გარკვეულ კრიტერიუმზე დაფუძნებულ ხერხთა დემონსტრირებას ნიშნავს. სივრცის კულტურული კონსტრუირება არის გეოკულტურა, რომელიც კულტურულ კრიტერიუმებს – „ჩვენთანსა“ და „უცხოს“ (ბინარული

ოპოზიცია: „ჩვენ“ – „ისინი“) ერთმანეთისაგან განსხვავებს. აქ საქმე არა პოლიტიკურ „მეგობრებსა“ და „მტრებს“ ეხება, არამედ სწორედ კულტურულად „ახლობელსა“ და „უცხოს“. კვლევართა ნაწილი მრავალ გეოკულტურაზე საუბრობს. ეს იმაზეა დამოკიდებული, ავტორი თუ როგორ გაიაზრებს მსოფლიოს: როგორც ერთ, საკაცობრიო ცივილიზაციას, თუ ცივილიზაციათა ერთობას.

გეოკულტურული სივრცე არის ამა თუ იმ ტერიტორიაზე არსებული კულტურული რეალებებისა და წარმოდგენათა მეტ-ნაკლებად მდგრადი სისტემა. გეოცივილიზაციური სივრცე – ესაა ცივილიზაციური „ბირთვისა“ და „პერიფერიის“, აგრეთვე, სხვადასხვა ცივილიზაციური ზონის ერთობლიობა.

დიასპორა: დიასპორა ერთიანი ეთნიკური წარმოშობის ადამიანთა მტკიცე ჯგუფია, რომელიც სტორიული სამშობლოს გარეთ, უცხო ეთნიკურ გარემოშიცხოვრობს. ადრე დიასპორები ძალადობრივი გასახლების ანდა გენოციდის სამიშროების გამო ყალიბდებოდა. ისტორიაში პირველად ასეთი დიასპორები ძვ. წ. VI საუკუნეში, პალესტინიდან ებრაელთა განდევნის შემდეგ გაჩნდა. დიასპორების სიმრავლით სომხები გამოირჩევიან. თანამედროვე პირობებში ბევრი დიასპორა სოციალური და ეკონომიკური პირობების გამო წარმოიქმნა.

ევროპოცენტრიზმი: ევროპოცენტრიზმი იდეოლოგიური კონცეფციაა, რომლის თანახმად, ევროპა თავისი უნიკალური სულიერი წყობით მსოფლიო კულტურისა და ცივილიზაციის ცენტრს წარმოადგენს. თანამედროვე ცივილიზაციისა და კულტურის განვითარებაშიმან წამყვანი როლი ითამაშა. უკვე ძველ საბერძნეთში დასავლეთისა და აღმოსავლეთის გამიჯვნა „ბარბაროსისა“ და „ელინის“ – ველურისა და ცივილიზებულის დაპირისპირებას ნიშნავდა. ასეთ დაყოფას მკაფიოდ გამოხატული ფასეულობრივი დატვირთვა ჰქონდა. ბარბაროსული

საწყისი უარყოფილი იყო, ელინური კი – განდიდებული, რაც ტრადიციად ჩამოყალიბდა და შემდგომი პერიოდის ევროპას მემკვიდრეობით გადაეცა. ევროპოცენტრისტულ შეხედულებებს ევროპულ ცნობიერებაში საუკუნეების მანძილზე შეიძლება გავადევნოთ თვალი. ჯვაროსნული ლაშქრობები, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, ახალი მიწების ათვისება და კოლონიური სისტემების ჩამოყალიბება – ეს, ფაქტობრივად, ისტორიულ წრეში განხორციელებული ევროპოცენტრისტული შეხედულებები იყო, რომლის მიხედვით ევროპა თავისი ისტორიით, პოლიტიკით, რელიგიით კულტურითა და ხელოვნებით, ერთადერთსა და უდაო ფასეულობას წარმოადგენდა, რომელიც აღმოსავლური სამყაროს „უმართებულობასა“ და „განუვითარებლობას“ უპირისპირდებოდა. ადრე შუასაუკუნეებში, როდესაც ევროპის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირები დანარჩენ გარესამყაროსთან სუსტი და ზედაპირული იყო, აღმოსავლეთი, როგორც შორეული და ეგზოტიკური სამყარო, ისე აღიქმებოდა. განმანათლებლობის ეპოქაში კი, როდესაც გამყარდა შეხედულება ისტორიაზე, როგორც სწორხაზოვან პროცესზე, პროგრესი მსოფლიოს ყველა რეგიონში ევროპული ცივილიზაციის თანდათანობით შეღწევად განიხილებოდა. თუ ჰერდერი აღმოსავლურ სამყაროს პატრიარქული, იდილიური საწყისის განხორციელებად მიიჩნევდა, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი უკვე ცდილობდა დაესვა კითხვა, თუ რატომ დასცილდნენ აღმოსავლური ერები ადამიანურ საწყისებს და, გარკვეულწილად, ისტორიის მაგისტრალურ გზასაცდნენ. საზოგადოებრივი განვითარების ასეთი შეფასება შემდეგ „პროგრესისტულ“ კონცეფციაში გადაიზარდა, ბუნებრივია, მისთვის დამახასიათებელი წარმოდგენით მეცნიერებაზე, თანდათანობით კი – ტექნიკასა და ინფორმატი-

კაზე, როგორც ნებისმიერი პრობლემის გადაჭრის ოპტიმალურ საშუალებაზე.

ეთნიკური კულტურა: ეთნიკური კულტურა არის კულტურული ელემენტებისა და ეთნიკური უჯრედების ერთობლიობა, რომლებსაც ნათლად გამოხატული განმასხვავებელი ეთნიკური ნიშნები ახასიათებთ და რომლებიც ეთნომადიფერენცირებულ ფუნქციებსაც ასრულებს.

ეთნიკური ჯგუფი: ეთნიკური ჯგუფი ეთნოსის ნაწილია, რომელიც საკუთარი ეთნოსის ძირითადი განსახლების არეალის გარეთ ცხოვრობს. მრავალეთნიკურ სახელმწიფოში ეთნიკური ჯგუფები ეთნიკური უმცირესობანი არიან.

ეთნოგრაფიული ჯგუფი: ეთნოგრაფიული ჯგუფი ეთნოსის ტერიტორიული ნაწილია, რომელიც ენის, კულტურისა და ყოფის ლოკალური თავისებურებებით გამოირჩევა, რაც ზოგჯერ განსაკუთრებულ მეტყველებაში და კილო-კავებში, მატერიალურ და სულიერ კულტურაში, ასევე, რელიგიურ და კონფესიურ განსხვავებაში პოულობს ასახვას. ეთნოგრაფიულ ჯგუფებს გარკვეული სახელწოდებაცაქვთ, თუმცა ეს სახელწოდებანი არავითარ შემთხვევაში ეთნონიმები არ არის. ეთნოგრაფიულ ჯგუფებს ყოფის, კულტურის, მეტყველების სპეციფიკურობა ძირითადად განსხვავებულ ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებში ცხოვრებამ ჩამოუყალიბა.

ინკულტურაცია: ინკულტურაცია ესაა გარკვეულ ეთნიკურ კულტურასთან ადამიანის ბავშვობიდან ზიარებისა და მის მიერ ცხოვრებისათვის აუცილებელი კულტურული ჩვევების შექმნის პროცესი.

კულტურა: კულტურის საყოველთაოდ აღიარებული განმარტება არ არსებობს. კულტურა ბუნების საპირისპირო მოვლენაა. კულტურის ქვეშ იგულისხმება ყველაფერი, რაც მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფი-

ლებლად კაცობრიობის ფიზიკური და გონებრივი მოღვაწეობის შედეგადაა შექმნილი. ზოგადად და ფიგურალურად შეიძლება ითქვას: „კულტურა არის ის რაც ადამიანის ხელითაა შექმნილი“.

კულტურა და ისტორია: თავდაპირველად, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, ამერიკელი მკვლევრები კულტურულ ანთროპოლოგიას, როგორც „კულტურის ბუნებრივ ისტორიას“, ისე წარმოადგენდნენ, რომელიც არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ელემენტებს მოიცავდა. პირველყოფილი კულტურების სხვადასხვა ფენომენის-მითების, მაგიის, რიტუალების კვლევისას ანთროპოლოგები საისტორიო მეცნიერების მეთოდებსა და მდიდარ ემპირიულ გამოცდილებას ფართოდ იყენებდნენ. XX საუკუნის პირველ ნახევარში კულტურულ ანთროპოლოგიასა და ისტორიულ დისციპლინებს შორის მიმართება შეიცვალა. არქეოლოგიამ, ეთნოლოგიამ და კულტურის ისტორიამ განვითარება საისტორიო მეცნიერების ფარგლებში განახორციელა, კულტურული ანთროპოლოგია კულტუროლოგიის სახით კი – თანდათან, დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბდა, რომელმაც კვლევის საკუთარი პრინციპები და მეთოდები გამოიმუშავა, მაგალითად ისეთი, როგორიც იყო ობიექტის შემეცნების მრავალსაფეხურიანობა, დისტანციურობისა და უშუალო დაკვირვების კრიტერიუმები, ლატენტური სტრუქტურების ანალიზზე ორიენტაცია და მრავალი სხვა.

მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ისტორია შეიძლება განვიხილოთ როგორც მეცნიერება, რომელიც უნიკალურ და განუმეორებელ ფაქტებსა და მოვლენებს სწავლობს, კულტუროლოგია – კულტურული ანთროპოლოგია კი სოციო-კულტურული მოვლენების ზოგადი, განმეორებადი ნიშნების წარმოჩენასა და ახსნას ცდილობს. ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი პ. სოროკინი, კვლევის მეთოდების მიხედვით, პირველს

მაინდივიდუალიზებულ, მეორეს კი – მაგენერალიზებულ მეცნიერებას უწოდებდა.

კულტურის ფენომენის კვლევის დროს კულტუროლოგია დღესაც საისტორიო მეცნიერებისა და მისი ცალკეული დარგის, განსაკუთრებით, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, კულტურის ისტორიის მონაცემებით სარგებლობს, იყენებს კულტურის ფენომენის შესახებ სხვა მეცნიერებათა მიერ დაგროვილ ცოდნას, მაგრამ მაინც ამ ფენომენისადმი კულტუროლოგიას სპეციფიკური ინტერესი, მისი კვლევის საკუთარი მეთოდები და ხერხები გააჩნია. საისტორიო მეცნიერებისგან მას დროის პრობლემისადმი მიდგომაც განასხვავებს. საისტორიო მეცნიერებაში დროში მონაცვლე ფაქტებისა და მოვლენების შესწავლის მიზნით დიაქრონული მიდგომა ქარბობს, კულტუროლოგიაში კი დიაქრონულის გვერდით, სინქრონული ანალიზი ფართოდ გამოიყენება, რომელიც ორიენტირებულია ერთდროულად მიმდინარე კულტურულ მოვლენათა კვლევაზე. საისტორიო მეცნიერებებსა და კულტუროლოგიას თვით ერთდროულობის ცნებისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომა ახასიათებს.

კულტურული სესხება: ერთი ეთნოსის მიერ სხვა ეთნოსის ამა თუ იმ კულტურული ელემენტის ათვისება. ანთროპოლოგიაში ამ პროცესს „აკულტურაცია“ უწოდებენ. მისდამი მიდრეკილია ყველა ინდივიდი, ეთნიკური ჯგუფი, ნაცია და ქვეყანა. ის შეიძლება პირდაპირ ანდ ირიბ ხასიათსატარებდეს.

კულტურული კონფლიქტი: კულტურული კონფლიქტი არის ცალკეულ პიროვნებებს, ჯგუფებს, პიროვნებასა და ჯგუფს, პიროვნებასა და საზოგადოებას, ჯგუფსა და საზოგადოებას, სხვადასხვა ერთობებს ანდა მათ კოალიციებს შორის ფასეულობრივ-ნორმატიული, ორიენტაციული, პოზიციური დაპირისპირების კრიტიკული სტადია. კონფლიქტების სხვა

სახეთაგან განსხვავებით, კულტურული კონფლიქტების მიზეზი მსოფლმხედველობრივ, რელიგიურ შეხედულებათა, შეფასების პოზიციათა შეუთავსებლობით, მხარეთა სოციალური გამოცდილების განსხვავებულობით არის განპირობებული. ველა კონფლიქტი დინამიურია და წინააღმდეგობათა დაძლევის, მოლაპარაკებათა გზით მათი გადაჭრის, მტრული მოქმედებების, მხარეთა შორის ახალი კონტაქტების დამყარებისა და კომპრომისის მონახვის სტადიებსმოიცავს. არსებობს კონფლიქტის სხვაგვარი გამოსავალიც: ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე თუმომავლისათვის კონფლიქტის მოგვარების გადადება.

კულტურული კონფლიქტი ტოლერანტობისა და სხვა კულტურის მიმართ ინტერესის პრობლემებთანაა დაკავშირებული. კულტურული კონფლიქტის განსაკუთრებული ტიპია მიმართულებებს, სკოლებს, ჯგუფებს ანდა ამა თუ იმ დარგის ცალკეულ წარმომადგენლებს შორის შემოქმედებითი კონფლიქტი.

კულტურული ტრანსმისია: კულტურული ტრანსმისია ესაა კულტურული პროცესი, რომლის მეშვეობით კულტურა მომდევნო თაობებზე ინფორმაციის გადაცემის, არაგენეტიკური სწავლების გზით გადადის. კულტურული ტრანსმისიის შედეგი კულტურული მემკვიდრეობაა, მისი დროში უწყვეტობაა. კულტურის განვითარების ციკლების თანმიმდევრობით ცვლა ერთი ერის, ხალხის ანდა ქვეყნის ფარგლებში კულტურის საბაზისო ელემენტების შენარჩუნებითუნდა მიმდინარეობდეს. კულტურული მემკვიდრეობა კულტურის მატარებელი ორი ცოცხალი სუბიექტის–მასწავლებლისა და მოსწავლის, გამცემისა და მიმღების უშუალო კონტაქტის შედეგად ხორციელდება, იმდენად, რამდენადაც ნებისმიერი კულტურის განვითარებაში, დროში, კულტურის ძირითად ფასეულობათა სისტემის

შენარჩუნებას ვგულისხმობთ. სწორედ ამ გზით – ხალხის, ერის, სოციალური ფენებისა თუ სოციალური ჯგუფების არსებობით და თაობათაშორისი ელემენტარული ურთიერთობებით ისტორიული კატაკლიზმების – რევოლუციებით, ომებით, კონფლიქტებით, კულტურის სიცოცხლის უნარიანობის შენარჩუნებაა შესაძლებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში „კულტურული ჯაჭვის“ განწყვეტა ხდება, რომლის დროსაც ხალხის ცხოვრების ნესი – ღერძული დრომოულოდნელად იცვლება.

კულტურული ტრანსმისიის მეშვეობით ყოველი ახალი თაობა ძველ, დაგროვილ გამოცდილებასა და მიღწევებს მემკვიდრეობით იღებს და კულტურის განვითარებას იმ ნერტილიდან აგრძელებს, რომელზეც მისი წინამორბედი თაობა შეჩერდა.

კულტურული შოკი: ტერმინი „კულტურული შოკი“ სამეცნიერო ლიტერატურაში დაძაბულობის, ურწმუნებლობისა და შფოთვის XX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულიდან იმ შეგრძნების აღსანიშნავად გვხვდება, რომელსაც ადამიანი ანდა ადამიანთა ჯგუფი, მაგალითად, მასობრივი ემიგრაციის შემთხვევაში, ახალ და უჩვეულო კულტურულ გარემოში აღმოჩენისას განიცდის. ეს არის სიტუაცია, როდესაც ადამიანისათვის ჩვეული და უცხო კულტურების ფასეულობები, ნორმები, ენა და ყოველდღიური ცხოვრება ერთმანეთს უპირისპირდება. შოკური რეაქციის სიძლიერე კულტურათა შორის არსებული განსხვავების ხარისხით განისაზღვრება. კულტურულ შოკს მეტ-ნაკლებად ყველა ის – ტურისტი და ემიგრანტი განიცდის, ვინც უცხო კულტურულ გარემოში პირველად ხვდება. ისიც შესაძლებელია ინტენსიური კულტურული დიფუზიის შედეგად ძველ და ახალ ფასეულობებს, ნორმებს, ყოფა-ქცევის მოდელებს შორის კონფრონტაციული სიტუაცია შეიქმნას. არსებობს, ხუთი „ტიპური“ დონე, რომელთა გავლაც ადამიანს უცხო

გარემოში ხშირად უხდება. ეს დონეებია: თაფლობის, დარდის, მწუხარების, რენტეგრაციის, ავტონომიისა და დამოუკიდებლობის დონეები.

კულტურული შოკის დაძლევის ოთხი შესაძლებლობა გამოიყოფა:

1. **გეტოიზაცია:** გეტოიზაციისას მოსულები ერთმანეთს უკავშირდებიან და დამხვდური კულტურის შიგნით იზოლირებულ ანკლავებს –გეტოს აყალიბებენ, რომელთა ფარგლებში ტრადიციებს, კულტურული ყოფაქცევის მოდელებს ინახავენ და ინარჩუნებენ. მაგალითისათვის შეიძლება დასავლეთის თითქმის ყველა მსხვილი ქალაქისათვის დამახასიათებელი ჩინური უბნები გამოდგეს.

2. **ასიმილაცია:** ასიმილაციისას მოსულები ცდილობენ ახალს მთლიანად შეეგუონ, მისი ნორმები, ფასეულობები, ქცევის მოდელები შეითვისონ, მთლიანად უარყოფენ იმ კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც დატოვეს.

3. **ურთიერთქმედება:** ურთიერთქმედება ეს არის რალაც საშუალო ხაზის, ახალი და ძველი კულტურის ელემენტების გაერთიანების მცდელობა. ინდივიდები და ჯგუფები მიისწრაფვიან ორივე კულტურის ნორმები შეათავსონ, კულტურათა შორის კომუნიკაცია მოანესრიგონ, გაამდიდრონ, როგორც საკუთარი, ისე ის კულტურა გაამდიდრონ, რომლითაც ამჟამად სარგებლობენ. ამის მაგალითია თანამედროვე სანარმოში მომუშავე ინდოელი და თურქი მუშები, რომლებიც სამუშაოზე ინდუსტრიული შრომის წესებით, ხოლო სახლში, ოჯახურ გარემოში თავიანთი ტრადიციებითა და წეს-ჩვეულებებით ხელმძღვანელობენ.

4. **კოლონიზაცია:** კოლონიზაციისას ახალმოსახლეები საკუთარი ქცევის მოდელების დანერგვას იწყებენ, ცდილობენ ისინი დამხვდური კულტურისათვის დამახასიათებელ ტრა-

დიციებს დაუპირისპირონ. ეს როგორც საომარი, ისე მშვიდობიანი დაპყრობის დროს, ასევე, მოდერნიზაციის პროცესში ხდება. ტერმინ „კოლონიზაციას“ ამ შემთხვევაში შეფასებითი მნიშვნელობა არა აქვს, ფასეულობითი თვალსაზრისით იგი ნეიტრალური ცნებაა. საქმე კულტურულ კოლონიზაციას ეხება. პოლიტიკური კოლონიზაცია კულტურული კოლონიზაციის მხოლოდ კერძო, შედეგებით არც ისე რადიკალური შემთხვევაა.

მენტალობა: მენტალობა ინდივიდისა და სოციალური ჯგუფის ფსიქოლოგიური, ქცევითი განწყობილებების ერთობლიობაა, რაც მათ განსაკუთრებულ მსოფლშეგრძნებაში, მსოფლაღქმაში, გონების აღნაგობაში, აზროვნების წესში, ცხოვრების ხასიათში გამოიხატება.

ნუკლეარული ოჯახი: ნუკლეარული – ბირთვული ოჯახი ცოლ-ქმრული წყვილისაგან შედგენილი ოჯახია, დაუქორწინებელი შვილებითა და უშვილებოდ. სხვანაირად მას პატარა და მარტივ ოჯახსაც უწოდებენ. ორი ანდა რამდენიმე ცოლქმრული ოჯახის გაერთიანებას კი დიდი თუ რთული ოჯახი ანდა დიდი სახლელი ეწოდება.

ოჯახი: ოჯახია დამიანთა ერთობლიობაა, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ნათესაური ანდა საქორწინო ურთიერთობით და რომლებსაც ყოფაში ერთობლივი მეურნეობა აქვთ. ოჯახი ნებისმიერი საზოგადოების სოციალური უჯრედია. ოჯახში ბავშვების პირველადი სოციალიზაცია და აღზრდა ხდება.

პატრიარქატი: პატრიარქატი ოჯახში, საოჯახო მეურნეობასა და საზოგადოებაში მამაკაცის დომინირებად მდგომარეობას გულისხმობდა, რომელიც როგორც მიიჩნევა პირველყოფილ-თემური საზოგადოების დასკვნით ეტაპუნარმოიქმნა.

საზოგადოება: საზოგადოება ადამიანთა ერთობლივი მოქმედების ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმის სოციო-კულტურული სისტემაა; იგი წარმოადგენს ადამიანთა დიდ ჯგუფს მტკიცე სოციალური საზღვრებით, რომლებიც რაიმე ერთიანი მიზნით არიან გაერთიანებულნი. ტერმინი „საზოგადოება“ მრავალმნიშვნელოვანია. იგი „საზოგადოება ეთნიკური ერთობებისა და ეთნო-რასობრივი ჯგუფების მიმართ ჩვეულებრივ არ გამოიყენება.

სოციუმი: სოციუმი ადამიანთა მდგრადი და დიდი სოციალური ერთობაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია მათი ცხოველ-ქმედების პირობების ერთიანობა და კულტურის ერთობა. სოციუმის უმაღლეს ფორმას საზოგადოება, როგორც მთლიანი სოციალური სისტემა წარმოადგენს. სოციუმის სხვა სახესხვაობაა გვაროვნული და საოჯახო-ნათესაური, სოციალურ-კლასობრივი, ნაციონალურ-ეთნიკური, ტერიტორიული ერთობები. ნებისმიერი სოციუმი მთლიანობას და ერთგვარ შედარებით ავტონომიურ წარმონაქმნს წარმოადგენს, რომელიც ურთიერთდაკავშირებულია სხვა სოციალურ ერთობებთან. სოციუმის შინაგანი ცხოველქმედება ჩვეულებრივ სოციალური და მორალური ნორმებით, ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით და კანონებით რეგულირდება. სოციუმის ეთნონაციონალურ ფორმებს მიეკუთვნება: გვარი, ტომი, ხალხი, ნაცია. უმაღლეს სოციალ-ეთნიკურ ერთობას ნაცია წარმოადგენს.

ტრადიცია: „ტრადიცია“ ლათინური სიტყვაა და გადაცემას ნიშნავს. ტრადიცია არის ისტორიულად ჩამოყალიბებული ქცევის მტკიცე წესები, შეხედულებები, გემოვნებანი, ჩვეულებები, რომელიმე ეთნოსის ზნე, რომელიც თაობიდან თაობაზე გადადის, რაც კულტურის მემკვიდრეობითობას და მისი ერთობის დაცვას უზრუნველყოფს. ინდუსტრიამდელ საზო-

გადოებაში კულტურის ბევრი ელემენტი ტრადიციის მომფევნო თაობაში გზით იგზავნებოდა. ამიტომაც იგი ასეთი საზოგადოებრივი ტრადიციულ საზოგადოებად ასეთი საზოგადოებები იწოდება. ტრადიცია რიგ კულტურულ ფუნქციას ასრულებდა: კულტურის მემკვიდრეობითობას ამყარებდა, თაობიდან თაობაზე ინფორმაციისა და კულტურული ფასეულობების შენახვისა და გადაცემის, და, ასევე, ადამიანთა სოციალიზაციისა და ინკულტურაციის ფორმას წარმოადგენდა.

ცივილიზაცია: „ცივილიზაცია” ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული კულტურულ-ისტორიულ კატეგორიაა, განსაკუთრებით დღეს, როცა ყურადღება ხალხებიდან და ქვეყნებიდან უფრო დიდ იმ სტრუქტურებსა და პროცესებზე იქნა გადატანილი, რომლებიც ცივილიზაციის მასშტაბებში გაიაზრება. ო. ანდერლეს სიტყვით, კვლევის მიზნად იქცევა არა იმის გარკვევა, თუ რა ხდებოდა, არამედ როგორ ხდებოდა, ე. ი. პროცესების წარმმართველი კანონზომიერებების შესწავლა ამ შემთხვევაში მთავარი ქვაკუთხედის როლს ასრულებს. უკმაყოფილებლობის გრძნობა გვეუფლება იმის გამო, როცა ვიცით „სულ უფრო მეტი სულ უფრო ნაკლების შესახებ”, საკმაოდ ვიცით რა „ხეების“ შესახებ, ცოტა რამ თუ ვიცით „ტყეზე”. იზრდება ინტერესი ლოკალური ცივილიზაციებისადმი, რომელთა ურთიერთობა მსოფლიო ისტორიულ პროცესზე არსებით გავლენას ახდენს. ინტერესის ზრდა, ერთი მხრივ, „ცივილიზაციათა შეჯახების” მოლოდინთან, მისი საფრთხის გაცნობიერებასთან, მეორე მხრივ კი –სწორხაზობრივი ცივილიზაციური მოდელის, მათ შორის, მარქსისტული ფორმაციული თეორიის კრიტიკასთანაა დაკავშირებული.ამდენად, ცივილიზაციის ფენომენისადმი ინტერესი განპირობებულია როგორც წმინდა აკადემიური, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

ტერმინ „ცივილიზაციის“ დამამკვიდრებლის პატივს დღემდე ერთმანეთს ეცილებიან ფრანგები და ინგლისელები. ორივე ენაში ზმნა – „ცივილისერ“ თუ „ცივილიზე“ და ზმნიზედა „ცივილისერ“ თუ ცივილიზე“ შესაბამის არსებით სახელზე ბევრად ადრე გაჩნდა. იმ დროს, როცა ტერმინი „ცივილიზაცია“ წარმოიშვა, ადამიანთა საზოგადოების ისტორიის შემეცნება ერთიან და ერთგვაროვან საკაცობრიო ცივილიზაციას და არა ეთნიკურ ანდა ისტორიულად არსებულ ცივილიზაციებზე რელატივისტურ წარმოდგენას ემყარებოდა. მის საფუძვლად და სათავედ დაგროვილი გამოცდილება, მიწის საკუთრება, ადამიანის მიწაზე მიჯაჭვა, ვაჭრობა, სიმდიდრის დაგროვება ანდა სხვა რომელიმე ფაქტორი, პირველ რიგში, ადამიანის გონების სრულყოფა ცხადდებოდა. ცივილიზაციის მახასიათებლებსა და სათავეებზე კამათობდნენ, ხანდახან ცხარედაც, მაგრამ შეხედულება ცივილიზაციაზე, როგორც საერთო-საკაცობრიო ფენომენსა და კაცობრიობის საერთო მომავალზე, ეჭვს არ იწვევდა.

შოტლანდიელმა ისტორიკოსმა და ფილოსოფოსმა ა. ფერგიუსონმა (1723 – 1816 წლები) მსოფლიო-ისტორიული პროცესის განსაზღვრული საფეხურის აღსანიშნავად ცივილიზაციის ცნება პირველმა გამოიყენა. XIX საუკუნის დასაწყისში ისტორიის მონისტური ინტერპრეტაცია პლურალისტურმა შეცვალა. ლ. ფევრის თანახმად, სიტყვა „ცივილიზაცია“ პირველად მრავლობით რიცხვში 1819 წელს იქნა გამოყენებული, რაც ცივილიზაციური წყობის მრავალფეროვნების აღიარების დასაწყისი იყო. „მოგზაურობათა ეპოქაში“ დაგროვილმა მასალამ მსოფლიოში კულტურათა და ცივილიზაციათა მრავალსახეობა, აგრეთვე, მათი განვითარების სასრულობა ცხადყო. ლ. ფევრის მოხდენილი ნათქვამით, „ადამიანებმა, რომლებმაც რევოლუცია და იმპერიაგამოიარეს, გაიგეს ის, რაზეც მათ წინაპრებს

წარმოდგენა არ ჰქონდათ. მათ გაიგეს, თანაც არა წიგნებიდან, რომ ცივილიზაცია შეიძლება მოკვდეს”. მოგვიანებით ჟ. ა. დე გობინო წერდა: „ცივილიზაციათა დაცემა ისტორიულ ფენომენთაგან ყველაზე უცნაური და, ამავე დროს, იდუმალებით მოცული რამაა”.

მოგზაურთა, ლინგვისტთა, მეცნიერთა ერთობლივი ძალისხმევით, ცნება „ცივილიზაციის” შინაარსი გამდიდრდა და გამრავალფეროვნდა. რესტავრაციის ეპოქაში საფუძველი ჩაეყარა ცივილიზაციის მეტ-ნაკლებად მწყობრ თეორიებს. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან თანდათანობით ცივილიზაციის რაობის რადიკალურად განსხვავებული გაგებაჩამოყალიბდა, რომლის თანახმად, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალის მრავალფეროვნებაცივილიზაციის ფორმათა მრავალგვარობას ადასტურებს. არ არსებობს საერთო საკაცობრიო ცივილიზაცია, როგორც განვითარების უმაღლესი საფეხური, რომელსაც კაცობრიობის ერთმა ნაწილმა მიაღწია, მეორე კი მისკენ მიემართება. კაცობრიობის სხვადასხვა ნაწილი განვითარების სხვადასხვა გზას გადის და არავითარი საერთო, საყოველთაო ხაზი აქ არ არსებობს. საფუძველი ჩაეყარა ლოკალურ ცივილიზაციათა თეორიებს, რომელთა წარმომადგენლები კაცობრიობის საერთო პროგრესის იდეას არ იზიარებდნენ. ეს თეორიები ევოლუციონიზმსა და ევროპოცენტრიზმზე სავსებით ლოგიკურ რეაქციას წარმოადგენდა, თუმცა, ცხადია, ამ უკანასკნელთ არსებობა არ შეუწყვეტიათ. შემდგომში ევოლუციონიზმისა და, განსაკუთრებით, ნეოევოლუციონიზმის წარმომადგენლებმა არაერთი საინტერესო არგუმენტით სცადეს თავიანთი თვალსაზრისის განმტკიცება, ლოკალურ ცივილიზაციათა თეორიების თანამედროვე ვერსიები კი მსოფლიოს ცივილიზაციური ხედვის სახით ჩამოყალიბდა.

დღეს საუბარი შეიძლება ცივილიზაციის ცნების სამ ძირითად ინტერპრეტაციაზე. ესენია: 1. „ლოკალურ-ისტორიული“ (ნ. დანილევსკი, ო. შპენგლერი, ა. ტოინბი, ს. ჰანთინგტონი...), დასახელებული მკვლევრები სხვადასხვა რაოდენობისა და სახელწოდების ცივილიზაციებს ითვლიან და მათი ურთიერთობაც სხვადასხვანაირად წარმოუდგენიათ, თუმცა მათ ცივილიზაციის ერთგვაროვანი გაგება აერთიანებთ; 2. „ისტორიულ-სტადიური“, რომელიც ამა თუ იმ კრიტერიუმზე დაყრდნობით, სხვადასხვა ტიპის ცივილიზაციებს, კერძოდ, ზეპირ, წერილობით, წიგნისა და ეკრანის ცივილიზაციებს კოსმოგენურად, ტექნოგენურად და ანთროპოგენურად განარჩევს. ამასთან, გამოყოფს ტრადიციულსა და თანამედროვეს, ევოლუციურსა და ინოვაციურ ცივილიზაციებს. ისეთი ტერმინებიც გვხვდება, როგორებიცაა „შუბის ცივილიზაცია“, „მშვილდისრის ცივილიზაცია“ და სხვა მრავალი; 3. მსოფლიო-ისტორიული, რომლის თანახმად, ლოკალურ ცივილიზაციათა ურთიერთობის გარკვეულ საფეხურზე მსოფლიო ისტორიის ფენომენი გაჩნდა. ამ ინტერპრეტაციის ფარგლებში ცივილიზაციის გაგება კაცობრიობის ისტორიული განვითარების საფეხურის სახით თავსდება, რომელიც ველურობისა და ბარბაროსობის საფეხურებს მოსდევდა (ლ. ჰ. მორგანი, ფრ. ენგელსი...). საკაცობრიო ცივილიზაციის სამი ტალღის - აგრარულის, ინდუსტრიულისა და ინფორმაციულის კონცეფცია (უ. როსტოუ, დ. ბელი, ო. ტოფლერი), აგრეთვე, კაცობრიობის ისტორიული განვითარების სქემები - კ. იასპერსისა და შ. იტოს მიერ იყო შემუშავებული.

ცივილიზაციის განსაზღვრის სირთულე რამდენიმე მომენტითაა განპირობებული. ჯერ ერთი, რთულია თავად ცივილიზაციის შემადგენლობა. თითოეულ მათგანში ბუნებრივი და ადამიანური რესურსებისათვის, იდეოლოგიისა და რელიგიის

სფეროში ჰეგემონიისათვის დაძაბული შინაგანი ბრძოლა მიმდინარეობს. ამასთან, ამ ბრძოლაში ცალკეული ჯგუფი თუ კოალიცია ცივილიზაციულ თანამოძმეთა წინააღმდეგარეშე მხარდაჭერას ეძებს. ამის მაგალითს XX საუკუნის არაბულ-მუსლიმური ცივილიზაციის ისტორია იძლევა. გარდა ამისა, ცივილიზაციას შინაგანი დინამიკურობა ახასიათებს. ძველი თავისებურებანი ქრება, ჩნდება ახალი მიმართებები. თავს იჩენს გარედან მოსული და შინაგანი იმპულსების, რაციონალიზმისა და ტრადიციონალიზმის ურთიერთქმედების რთული პროცესი, იცვლება ცივილიზაციათა საზღვრები. ისიც უნდა ითქვას, რომ ოიკუმენა ნაშთის გარეშე ცივილიზაციებად არ იყოფა. იგი ცივილიზაციის მიღმა, ცივილიზაციათაშორის და ცივილიზაციათა თანხვედრის არეალებსაც მოიცავს. როგორც ჩანს, ცივილიზაციის კონცეფციებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება ამ სირთულეებითაა განპირობებული. ამერიკელი ისტორიკოსი ჰ. მორგენტაუ აღნიშნავდა, რომ ეს კონცეფციები ემპირიულ მკაფიობას მოკლებულია. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ ისტორიის კვლევას უპირატესობა უფრო პოლიტიკური და გეოგრაფიული მიმართულებით, ვიდრე ცივილიზაციური თვალსაზრისით ენიჭება, რადგან ცივილიზაციისაგან განსხვავებით ისინი ემპირიულ შემონიშნებას უფრო ექვემდებარება. ფრანგი სოციოლოგი რ. არონი უფრო შორსაც მიდიოდა და წერდა: პრობლემის არსი ისაა, რომ შეუძლებელია ვუპასუხოთ კითხვას—არსებობს თუ არა ცივილიზაცია როგორც ისტორიული რეალობა, თუ იგი ისტორიულ ქიმერად უნდა მივიჩნიოთ? და მაინც, ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ინტერესი ცივილიზაციური პრობლემატიკისადმი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამიტომ ცივილიზაციური თეორიის საჭიროება ეჭვქვეშ ნაკლებად დგება.

თემა მსაგმი

აზია – წინა აზია: ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოკულტურული პორტრეტი

აზია. აზია (ბერძნული Asia) ასურული სიტყვისაგან *Acy-*სგან წარმოსდგება და აღმოსავლეთს ნიშნავს. იგი ევრაზიის ერთიანი კონტინენტის ყველაზე ვრცელი ნაწილია და ხმელეთის 30% შეადგენს. მას ჩრდილოეთით ჩრდილო ყინულოვანი, აღმოსავლეთით – წყნარი, სამხრეთით – ინდოეთის, სამხრეთ-დასავლეთით კი – ანლანტის ოკეანეები ერტყმის. აზიის ზღვებია: ხმელთაშუა, ეგეოსიის, მარმარილოს, შავი, აზოვისა და დედამიწის უდიდესი ტბა – კასპიის ზღვა. აზიის მნიშვნელოვან შიდაკონტინენტურ ტერიტორიებს: წინა, შუა და ცენტრალური აზია წარმოადგენს. ევრაზიის ევროპად და აზიად დაყოფის დროს მათ შორის საზღვარი ურალის ქედზე გაჰყავთ.

წინა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ადამიანები ჯერ კიდევ ქვედა პალეოლითის ხანაში დასახლდნენ. ვარაუდობენ, რომ ადამიანის თანამედროვე ტიპი – *homo sapiens*-ი სამხრეთ-დასავლეთ აზიაში ზედა პალეოლითისა და მეზოლითის ხანაში ჩამოყალიბდა. ადამიანები მაშინ აზიის დიდ ნაწილში იყვნენ განსახლებულნი. აქედან შემდეგ ამერიკაში, ავსტრალიაში, ოკეანეაში გადავიდნენ. აზიაში კაცობრიობის სამი დიდი რასიდან, კერძოდ, ევროპეიდულიდან, მონღოლოიდურიდან და ავსტრალიოიდურიდან, აზიის თანამედროვე მოსახლეობა რამდენიმე რასას განეკუთვნება. მათგან უმეტესობას მონღოლოიდური რასის სამი მთავარი ჯგუფი – ჩრდილოეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთის ჯგუფი შეადგენს.

აზიის ფართობი დაახლოებით 43,4 მლნ კვადრატული კილომეტრია, ხოლო აზიის მოსახლეობა ორ მილიარდ ადამიანზე მეტს აერთიანებს.

აზიის წიაღისეულის სიმდიდრე მეტად მრავალფეროვანია. იგი მდიდარია ნახშირით, ნავთობით და სხვა რესურსით. ნავთობით მდიდარია: სამხრეთ კავკასია, დასავლეთ ციმბირის ვაკე, თურქმენეთი, სპარსეთის ყურის მიმდებარე რაიონები, რომლებიც უცხოეთის ქვეყნების ნავთობის მარაგის 1/2%-ს შეიცავს. აზია აგრეთვე მდიდარია ოქროსა და ალმასის საბადოებით.

აზიის კონტინენტისათვის რთული კლიმატია დამახასიათებელი. აქ გვხდება დედამიწის ყველა კლიმატური ზონა – ეკვატორულიდან დაწყებული სუბარქტიკულით დამთავრებული.

აზია უზარმაზარი ტბებისა და მდინარეების ქვეყანაა. დიდესი მდინარეებია: ობი, ენისეი, ლენა, იანცი, განგი, ინდი, ტიგროსი, ევფრატი... უდიდესი ტბებია: ბაიკალი, კასპიის, მკვდარი ზღვა, ვანის ტბა, სევანი, რინა, ფარავანი... თანმიმდევრულად, დიდი მდინარეების აუზებში ინტენსიური სარწყავი მიწათმოქმედების საფუძველზე უძველესი ცივილიზაციები შეიქმნა.

აზიის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა უაღრესად მრავალფეროვანია. აზიაში ეთნიკური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი რამდენიმე ასეული ხალხი ცხოვრობს, რომლებიც სხვადასხვა ენათა ოჯახსა და ჯგუფებს მიეკუთვნა.

ინდოევროპული ოჯახის ენებზე მოლაპარაკე ხალხები აზიაში ინდო-არიული, ირანული, სლავური და სხვა ჯგუფებითაა წარმოდგენილი. ინდოირანული ჯგუფის ხალხები (486 მლნ ადამიანზე მეტი) ჩრდილოეთ და ცენტრალურ ინდოსტანში ცხოვრობენ. ირანული ჯგუფის ხალხებს, 50 მილიონამდე ადამიანს, ირანისა და ავღანეთის დიდი ნაწილი, აგრეთვე, თურქეთის, პაკისტანის ზოგი რაიონი უკავიათ, ე. ი. ყველაზე მრავალრიცხოვანი სპარსელები, ავღანელები, ქურთები არიან.

ამავე ჯგუფს კავკასიის ზოგიერთი ხალხი: ოსები, თათები, თალიშები და სხვები განეკუთვნებიან. სლავური ჯგუფის ხალხებია: რუსები, უკრაინელები, ბელორუსები. ინდოევროპულ ოჯახში, ასევე, სომხები და ბერძნები ერთიანდებიან.

საქართველოსა და ჩრდილო კავკასიაში იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში შემავალი ხალხები – ქართველები, აფხაზები, ადიღელები, ყაბარდოელები, ჩერქეზები, ჩაჩნები, ინგუშები და მთიანი დაღესტნის ხალხები – ხუნძები, ლეკები, ლაკები და სხვები ცხოვრობენ.

სემიტურ-ქამიტურ ოჯახს ეკუთვნიან: არაბები, ებრაელები და წინა აზიაში მცხოვრები ასურელები.

ალთაურ ენათა ოჯახში შემავალი ხალხები სამი ჯგუფისაგან – თურქული, მონღოლური და ტუნგუსურ-მანჯურიულისაგან შედგება, რომლებიც აზიის უდიდეს სივრცეზე — თურქეთიდან წყნარ ოკეანემდე არიან განსახლებულნი. თურქული ჯგუფის ხალხებს – თურქებს, აზერბაიჯანელებს, უზბეკებს, ყაზახებს, თურქმენებს ტერიტორიის უდიდესი ნაწილი უკავიათ, კერძოდ, ირანის და ავღანეთის ოლქები, აზერბაიჯანი, შუა აზია და ყაზახეთი. ურალური ოჯახის მცირერიცხოვან ხალხებს მდინარე ობის ქვემო დინების მიმდებარე ტერიტორიები უჭირავთ. ისინი სამ ჯგუფად – ფინურად, უგორულად და სამოდურად არიან წარმოდგენილნი.

აზიაში ბუდიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის სახით მსოფლიოში ყველაზე დიდი რელიგიები წარმოიშვა. ბუდიზმი დღეს ინდოჩინეთის ქვეყნებსა და ცვილონზეა გაბატონებული. ჩინეთში იგი კონფუციანობასა და დაოსიზმთან, იაპონიაში კი – სინთოიზმთან ერთად არსებობს. ლამაიზმის ფორმით ბუდისტურ სარწმუნოებას მონღოლეთის და ტიბეტის მოსახლეობის ნაწილიც აღიარებს. ქრისტიანობას ფილიპინებისა და კვიპროსის მოსახლეობის უმრავლესობა, აგრეთვე, ლიბანის მოსახ-

ლეობის ნახევარზე მეტი მისდევს. ისლამს წინა აზიის, პაკისტანის, ინდონეზიის მოსახლეობის დიდი ნაწილი და მალაიზიის მოსახლეობის ნახევარი აღიარებს. იუდაიზმს ისრაელისა და სხვა ქვეყნების ებრაელები მისდევენ.

წინა აზია. წინა აზია ვრცელ ტერიტორიაზე – ანატოლიის ნახევარკუნძულიდან ავღანეთამდე და თურქეთის შავი ზღვის სანაპიროდან არაბეთის სამხრეთამდეა გადაჭიმული. წინა აზია აზიის სამხრეთ-დასავლეთ აზიის ვრცელ ტერიტორიას მოიცავს. მისი საერთო ფართობი დაახლოებით ექვსი მილიონი კვადრატული კილომეტრია. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე –14 ადამიანი 1 კვადრატულ კილომეტრზე. ყველაზე მჭიდროდ დასახლებულია წინა აზიის ნახევარკუნძული და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ქვეყნები. მოსახლეობის 80% სოფლად ცხოვრობს, ხოლო მოსახლეობის 10%-15% მომთაბარეობას ეწევა. წინა აზიაში მილიონზე მეტი მოსახლეობით მხოლოდ ორი ქალაქია – სტამბოლი და თეირანი.

წინა აზია ევროპისა და აფრიკის მატერიკების შესაყარზეა განლაგებული. წინა აზიის ქვეყნებში ავღანეთი, ირანი თურქეთი, ისრაელი, აზიის არაბული ქვეყნები – ერაყი, სირია, ლივანი, იორდანია, საუდის არაბეთი, იემენი, ომანი ერთიანდება. წინა აზიის ქვეყნებიდან ორს – ირანსა და ავღანეთს, ჩვეულებრივ, შუა აღმოსავლეთს, დანარჩენს კი - ეგვიპტესა და სუდანთან ერთად ახლო აღმოსავლეთს მიაკუთვნებენ.

დასავლეთის სამეცნიერო ლიტერატურაში ადრე გავრცელებული იყო შეხედულება, თითქოს აღმოსავლური კულტურა „გაყინული“ იყო, ვინაიდან აღმოსავლეთის ხალხებს კულტურული შემოქმედების უნარი არ გააჩნდათ. ასევე გავრცელებული იყო მოარული თეორია აღმოსავლეთის ძველი კულტურის შემქმნელი „რჩეული ხალხების“ – ბაბილონელების,

არაბებისა და სხვების შესახებ. ბუნებრივია ეს მხოლოდ შეხედულებები იყო და ისინი ობიექტურ რეალობას ყოველთვის სიზუსტით არ ასახავდნენ.

წინა აზიაში ადამიანის პირველი ნაკვალევი უძველეს არქეოლოგიურ ეპოქაში — სირიისა და პალესტინის ტერიტორიაზე ადრეულ პალეოლითში იკვეთება. ადამიანი აქ უკვე პალეოლითში ცხოვრობდა. სირიაში და პალესტინაში (ეტ-ტაგუნი, ქარმელო, უმმ-კატაფა) შელისა და აშელის ტიპის იარაღებია ნაპოვნი. მუსტიეს ეპოქისაა ერაყში და პალესტინაში აღმოჩენილი ნეანდერტალელის ნაშთები. უფრო მრავალრიცხოვანია გვიანი პალეოლითისა და ნეოლითის ძეგლები, რაც წინა აზიის თითქმის ყველა ახლანდელი ქვეყნის ძველთაგანვე დასახლების ფაქტზე მიუთითებს. ელ-ვად-ის გამოქვაბულში კაჟის იარაღისა და ცხოველთა ძვლების ნაშთები აღმოჩნდა. ისინი ნეოლითის ხანას მიეკუთვნება. ამ კულტურას ნატუფის კულტურა ეწოდება. ნეოლითის ძეგლებია აღმოჩენილი მესოპოტამიაში, სირიაში, პალესტინაში, მცირე აზიაში, ირანში — პერსოპოლი, ტელ-ხასუნა და სხვა მრავალი. აქ მშვენიერი მოხატული ჭურჭლები და ქვის იარაღებია მოძიებული. ენეოლითისა და ბრინჯაოს ეპოქაში წინა აზიის სამონუმენტო კულტურები კიდევ უფრო განვითარდნენ. გამოჩნდა ლითონის – სპილენძისა და ბრინჯაოს ცალკეული იარაღი. სამხრეთ მესოპოტამიაში უძველესი ნამოსახლარი ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV ათასწლეულში დაფიქსირდა. მოსახლეობა ნადირობასა და მეთევზეობას ეწეოდა და თანდათანობით მიწათმოქმედებაზე გადადიოდა. ამ დროს მოაშინაურეს ცხოველები – ცხვარი, თხა და ღორი. საფუძველი ჩაეყარა ირიგაციული ნაგებობების მშენებლობას. ამ ტერიტორიაზე ქრონოლოგიურად სამი პერიოდის კულტურებს – 1. ელ-ობეიდის; 2. ურიკისა და 3. ჯემტედნასრის კულტურებს გამოყოფენ.

საწარმოო ძალათა განვითარებამ „პირველყოფილი საზოგადოების“ რღვევა და „მონათფლობელური საზოგადოების“ აღმოცენება გამოიწვია. საერთოდ, ისტორიოგრაფიაში პირველყოფილი საზოგადოების რღვევის შემდეგდროინდელი ადამიანთა უძველესი ერთობები ნაკლებად და არასრულყოფილადაა შესწავლილი. მათი უმრავლესობა ჩვენს ერამდე დიდი ხნით ადრე არენიდან გაქრა. ცდამ მათი რალაცნაირად გაერთიანებისა, მაგალითად, „იაფეტიდების“ და „სუბარელებისა“, შედეგი არ გამოიღო. ერთი კი ცხადია რომ წინა აზიის ამ უძველესი მოსახლეობიდან ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულსა და III ათასწლეულის დასაწყისში ცნობილი იყო შუმერები – ორმდინარეთში უძველესი სახელმწიფოს დამაარსებლები, აგრეთვე, მათი აღმოსავლეთელი მეზობლები – ელამელები, კასიტები, ლულუბები, რომლებსაც ზოგჯერ კასპიისპირეთის უძველეს მოსახლეობასთან – ერთერთ „კასპიურ ენობრივ ჯგუფში“ აერთიანებენ. „კასპიელების“ ჩრდილო-დასავლეთით, სომხეთ-ქურთების ზეგანზე, მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილსა და მესოპოტამიაში, სხვადასხვა ხალხი ცხოვრობდა, მაგალითად, „ალაროიდებად“ წოდებულნი, რომელთა ენაც, ალბათ, არაა გამორიცხული კავკასიური ყოფილიყო. კავკასიურ ენებს ხურიტულს მიაკუთვნებენ. ხურიტულ ენაზე მოლაპარაკე ხალხები ჩვენს წელთაღრიცხვამდე III ათასწლეულში იყო ცნობილი, მათვე ეკუთვნოდა ურარტუელებიც, რომელთა არსებობა ძველი წელთაღრიცხვის II და I ათასწლეულებში ივარაუდება. ამ ხალხების ფიზიკური ტიპიც რამდენადმე ერთნაირი იყო. მათში ევროპოიდები – ხმელთაშუაზღვის ანთროპოლოგიური ტიპის წარმომადგენლები და არმენოიდები ერთიანდებოდნენ. ალაგ-ალაგ ელამელების სახით, მაგალითად, ნეგროიდების ნიშნებიც ჩნდებოდა, რომლებსაც სამხრეთ ინდოეთის ხალხებთან მივყავართ. შუმერებში ზოგიერთი მკვ-

ლევარი პროტო-მონგოლოიდურის კვალსაც ხედავს. არსებობს აზრი შუმერებთან იბერიულ-კავკასიური წარმომავლობის ხალხების კულტურულ და სხვა ერთიანობაზეც.

III ათასწლეულის დამლევს მესოპოტამიაში პირველი „მონათფლობელური სახელმწიფოები“ შეიქმნა. ასეთივე სახელმწიფოები შემდეგ მცირე აზიაში, სირიასა და სამხრეთ არაბეთშიც წარმოიქმნა.

დღეს არავინ დავობს იმის შესახებ წინა აზია, ისე როგორც ეგვიპტე, ინდოეთი და ჩინეთი, ცივილიზაციის უძველეს კერას რომ წარმოადგენდა. ჩვენს ერამდე IV ათასწლეულში ძველი ეგვიპტის ცივილიზაციის წარმოშობასთან ერთად, ტიგროსისა და ევფრატის დაბლობებში, ხოლო გვიან არაბეთის სამხრეთით და წინა აზიის რიგ სხვა ოლქში მაღალგანვითარებული საირიგაციო სისტემა და, შესაბამისად, ირიგაციული – მორწყვითი მინათმოქმედება, ხოლო მაღალმთიან მხარეებში, ზეგნებსა და სტეპებში მომთაბარე მეცხოველეობა – მესაქონლეობის განვითარებული ფორმები ჩამოყალიბდა, რომლის დამოუკიდებელ სამეურნეო დარგად გამოყოფა, თავის დროზე, ისტორიული წინსვლის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. წინა აზიაში, კერძოდ, მცირე აზიაში აღმოცენებულმა რკინის მეტალურგიის უძველესმა კერებმა და სამხრეთ-დასავლეთ არაბეთსა და ფინიკიაში წარმოქმნილმა საზღვაო ვაჭრობის ცენტრებმა ძველი მსოფლიოს განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. ძველი ნელთალრიცხვით III ათასწლეულში მესოპოტამიაში და მის მომიჯნავე რაიონებში, ხოლო ჩვენს ნელთალრიცხვამდე II ათასწლეულში არაბეთსა და მცირე აზიაში სოციალურად დიფერენცირებული – „მონათფლობელური საზოგადოება“ უკვე არსებობდა. ჩვენს ერამდე III ათასწლეულში განსაკუთრებით განვითარებული იყო ძველი მესოპოტამიური კულტურა, რომელიც შუმერისა და აქადის ეპოქიდან მომ-

დინარეობდა. ამავე პერიოდს ემთხვევა ლურსმული დამწერლობის, ლიტერატურის, მონუმენტური ხუროთმოძღვრების, მეცნიერების აღმოცენება, შეიქმნა ათვლის სისტემები, მნიშვნელოვანი განვითარება ჰპოვა მათემატიკამ და ასტრონომიამ, დიდი იყო მიღწევები სხვადასხვა ინტელექტუალურ სფეროშიც. ექვსრიცხოვანი და ათრიცხოვანი ათვლის სისტემები, ხარისხში აყვანა და ფესვის ამოღება სწორედ შუმერულ ეპოქაში ჩაისახა. ბაბილონელებმა ეგვიპტელებთან ერთად საფუძველი ასტრონომიას ჩაუყარეს. ბაბილონში დაედო საფუძველი ჩვენს კალენდარულ სისტემას, ბაბილონელმა ექიმებმა სამედიცინო მეცნიერება შექმნეს და ერთ-ერთი უძველესი სამედიცინო სახელმძღვანელოც მათთან დაინერა. აქ სკოლებში წერასთან და არითმეტიკასთან ერთად გეომეტრიას, ასტრონომიას, მედიცინასა და მუსიკას ასწავლიდნენ. თავიანთ კულტურულ განვითარებაში ძალზე მნიშვნელოვან წარმატებებს წინა აზიის სხვა ხალხებმაც მიაღწიეს. ასირიაში – ნინევიასში მეფე აშურბანიპალის (ასურბანიფალის) მდიდარი ბიბლიოთეკა აღმოაჩინეს. ეს კი ასირიის კულტურულ ცხოვრებაზე მეტყველებდა. ჩვენს ნელთ-ალრიცხვამდე VII საუკუნეში მეფე აშურბანიპალის ბიბლიოთეკა მათემატიკური, ასტრონომიული და სამედიცინო თემატიკის უამრავ ტექსტებს, ლიტერატურულ ნაწარმოებებსა და მათიანებს, ლექსიკონებსა და გრამატიკულ ცნობარებს შეიცავდა.

ბრწყინვალე ისტორიული ძეგლებია ფიქსირებული ძველი ირანის დედაქალაქში – პერსოპოლისში. ძველი ელამის ძეგლები, უზარმაზარი სატაძრო ნაგებობების ნარჩენები პერსეპოლისში, ძველირანელი არქიტექტურის, სკულპტურისა და მხატვრობის ნიმუშები მათ დიდ წარმატებებზე მიგვანიშნებდა. პეროდოტე მიდიის კულტურულ მიღწევებს დიდად აფასებდა და მის მნიშვნელობას ხაზს განსაკუთრებულად უსვამდა. ასევე

სამხრეთ-დასავლეთ არაბების ძველ სახელმწიფოთა კულტურის აყვავებაზე კაშხლების, ციხე სიმაგრეების, სასახლეებისა და ტაძრების ნაშთებიც მეტყველებს. ძველი მესოპოტამიის ხალხთა კულტურა არა მარტო ძველი აღმოსავლეთის, არამედ ანტიკური ევროპის ხალხებზეც დიდ გავლენას ახდენდა. ამდენად, წინა აზიის ძველმა კულტურამ, ისე როგორც ეგვიპტისამ, ანტიკური ევროპის ხალხების კულტურულ განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. ჩვენს წელთ-აღრიცხვამდე III-II ათასწლეულში შუამდინარეთში ჩასახულმა ასტრონომიამ საფუძვლად დაუდო ძველბერძნულ, ხოლო შემდეგ გვიანი ევროპის ასტრონომიულ მეცნიერებას. ფინიკურმა ალფაბიტმა, რომელიც ეგვიპტური ჰიერატიული დამწერლობიდან წარმოიქმნა, ბერძენთა და რომაელთა შუამდგომლობით, დასაბამი თანამედროვე ევროპულ ანბანურ დამწერლობას მისცა. ასირიულ-ბაბილონურმა და ძველირანულმა ხელოვნებამ ევროპის მრავალი ხალხის ხელოვნებაზეც დიდი გავლენა მოახდინა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV ათასწლეულის დასასრულსა და III ათასწლეულის დასაწყისში წინა აზიის ტერიტორიაზე სემიტური ენობრივი ჯგუფის ხალხები გამოჩნდნენ, რომელთა სამშობლო არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი მხარე უნდა ყოფილიყო. მათთან რამდენიმე ჯგუფს ანსხვავებენ. შუმერთა მეზობლად, მათგან ჩრდილოეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთის სემიტ-აქადიელები განმტკიცდნენ, რომლებმაც მალე ტიგრისა და ევფრატის შუანელის ის რაიონები აითვისეს, სადაც მომავალი ასირიის სახელმწიფოს ბირთვი ჩაისახა. ახლოს ჩრდილო მესოპოტამიის, სირიისა და პალესტინის ვრცელ ტერიტორიაზე ქანანელები – ამორები განსახლდნენ, რომელთა რიცხვს ფინიკელები და აქვე II ათასწლეულის შუა პერიოდში დასახლებული პალესტინელი ებრაელები მიეკუთვნებოდნენ. ცოტა გვიან – II ათასწლეულის მეორე ნახევარში სირიასა და

მესოპოტამიაში სემიტთა მეორე შტო – არამეელები გამოჩნდა, რომელთა ენამ არა მარტო ხანანელებისა და აქადელების, არამედ ხურიტული ენაც განდევნა. და ბოლოს, II ათასწლეულში სამხრეთით, არაბეთის ნახევარკუნძულზე არაბები გამოიკვეთნენ, რომლებმაც არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში ძველი აკვატორიული რასის ნარჩენების ასიმილაცია მოახდინეს. მკვლევართა ვარაუდით ისინი ოდესღაც ნეგრო-ავსტრალიოიდური ხალხების შემაერთებელი რგოლი იყო. შემიტმა მომთაბარეებმა ანთროპოლოგიურად პირველადი ხმელთაშუაზღვიური ჯგუფის ფიზიკური სახე შეინარჩუნენ, იმ სემიტებმა კი, რომლებიც სირიისა და მესოპოტამიის მკვიდრნი იყვნენ, მოგვიანებით სემიტური ენა გაითავისეს და არმენოიდული ტიპის ნიშნები შემოინახეს.

წინა აზიის მოსახლეობის მესამე ჯგუფი – ინდოევროპელები შესაძლოა ჩვენს წელთ-აღრიცხვამდე ლუვიელების სახით იყვნენ წარმოდგენილნი და მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ. ინდოევროპელები იყვნენ მცირე აზიის მრავალი სხვა ხალხიც – ხათების შემდეგ მცირე აზიაში დამკვიდრებული „იეროგლიფური ხეთები“, ფალაელები და საკუთრივ ხეთები, რომლებმაც II ათასწლეულში ნახევარკუნძულზე ძლიერი სახელმწიფო ჩამოაყალიბეს. II ათასწლეულში, მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში ბერძნები და ბალკანურ-ეგეოსური სხვა ხალხიც – მისიელები, ვიფინები, ფრიგიელები, ლიდიელები, კარიელები, ლიკიელები, კილიკიელები გამოჩნდნენ, რომელთა ენა ელინისტურ ხანაში უმთავრესად ბერძულმა ენამ გამოდევნა. ჩვენს წელთ-აღრიცხვამდე I ათასწლეულის დასაწყისში ირანელებს – მიდიელებსა და სპარსებს ირანის ზეგანის დასავლეთი ნაწილი ეკავათ.

„მონათმფლობელობის“ აღმოცენებასა და ჩამოყალიბებასთან ერთად წინა აზიის ეთნიკურმა შემადგენლობამ არსე-

ბითი ცვლილებები განიცადა. ხანგრძლივი და დიდი ომების დროს „მონად“ უამრავი ტყვე მიჰყავდათ, რამაც მოსახლეობის დიდი გადანაცვლება გამოიწვია. ამასთან ერთად „მონათმფლობელური სახელმწიფოების“ პერიფერიებში ჩამორჩენილი ნახევრად მომთაბარე ტომების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესის გაძლიერება ხდებოდა, რასაც აგრეთვე მოსახლეობა მასიურ მიგრაციებამდე და დაპყრობით ომებამდე მიყავდა. სწორედ ამ ხასიათისა იყო, ერთი მხრივ, სპარსელთა და ბერძენ მაკედონელთა გრანდიოზული დაპყრობითი წამოწყებანი, რომლებმაც წინა აზიის ხალხების ეთნოგენეზსა და კულტურის ისტორიაზე შესამჩნევად დიდი გავლენა იქონია. მეორე მხრივ ქანანელთა, არამეელთა, არაბთა და სხვა ტომების სამხედრო მოძრაობა არანაკლებად უწყობდა ხელს კულტურულ ურთიერთმოქმედებასა და ხალხების ფორმირებას. ახალი ხალხების ფორმირების პროცესი კიდევ უფრო შუასაუკუნეების დასაწყისში გაფართოვდა, მაშინ როცა „მონათმფლობელურმა წარმოების წესმა“ თავისი თავი ბოლომდე ამოწურა და „მონათა აჯანყებებითა“ და „მონათა მოძრაობით“ გამოშიგნულმა მსხვილმა სახელმწიფოებრივმა წარმონაქმნებმა, „ბარბაროსთა“ ურდოებთან პირველსავე შეტაკებისთანავე რღვევა დაიწყო. ამ მხრივ უდიდესი როლი VII-VIII საუკუნეების არაბთა დაპყრობებმა შეასრულეს, რომლებმაც წინა აზია თითქმის მთლიანად დაიმორჩილა და სირიაში, პალესტინასა და მესოპოტამიაში ახალი არაბული ხალხების წარმოშობას შეუწყო ხელი.

ადრეულ შუასაუკუნეებში წინა აზიის წამყვანი სახელმწიფოები კულტურის განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე იდგნენ. ირანის, სირიისა და წინა აზიის სხვა ქვეყნების ღირსშესანიშნავი მიღწევები, ჩინეთის, ინდოეთისა და შუა აზიის ხალხთა მიღწევების მსგავსად, ევროპას გადაეცემოდა. ამ პე-

რიოდში დიდი ისტორიული მისია – გამორჩეული შუამავლის როლი არაბებმა შეასრულეს, რომლებმაც ევროპელებს ჩინელთა გამოგონება – ქალაქი და დენთი უანდერძეს, ასეთივე იყო ინდური ციფრები, არაბთა მიერ სრულქმნილი და „არაბულად“ მონათლული, წინა და შუა აზიის ხალხების მრავალრიცხოვანი სამეცნიერო და კულტურული მიღწევები. შუასაუკუნეების ახლო აღმოსავლური კულტურა წინა და შუა აზიის, ინდოეთისა და ჩრდილო აფრიკის მრავალ ხალხთან მჭიდრო კულტურული ურთიერთობის შედეგი იყო. წინა და შუა აზიის, ინდოეთისა და ჩრდილო აფრიკის ხალხთა შორის ურთიერთობის – კულტურის ენად არაბული ითვლებოდა. არაერთი ხალხი სახელმწიფოში დიდხანს არაბული დამწერლობით სარგებლობდა. შხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა არაბულ ენაზე შესრულებულმა ნაშრომებმა მნიშვნელოვნად განავითარეს და გააღრმავეს ძველი ბერძნებისა და რომაელების მემკვიდრეობა ასტრონომიის, გეოგრაფიის, ფიზიოლოგიის, ანატომიისა თუ მედიცინის სფეროებში, შექმნეს ალგებრა, ტრიგონომეტრია, ანალიტიკური გეომეტრია და სხვა ზუსტი სამეცნიერო მიმართულებები. წინააზიური კულტურა ევროპას არაბული სიცილიიდან, კორდოვის, სევილიის, მალაგის, გრენადის უნივერსიტეტებიდან, აგრეთვე, ბიზანტიის მეშვეობით გადაეცემოდა.

შუასაუკუნეების წინა აზიის ეთნიკური ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა XI საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ აზიაში დაწყებულ თურქი ტომების შეჭრას, რომლებმაც შემდგომში იქ ახალი ეთნიკური ელემენტი – მომავალი თურქები და აზერბაიჯანელები, აგრეთვე, უფრო მცირერიცხოვანი ხალხები და ეთნოგრაფიული ჯგუფები წარმოქმნეს. ისინი წინა აზიის მთიანეთის ჩრდილო ნაწილში ფართოდ განსახლდნენ. თურქული ეთნიკური ელემენტის გავრცელებას XIII საუკუნის მონღოლთა შემოსევებიც უწყობდა ხელს. თვით მონღოლურმა

ელემენტებმა კი წინა აზიაში ფეხი ვერ მოიკიდა და მათგან მხოლოდ ხაზარელები შემორჩნენ.

XV-XVI საუკუნეების დასაწყისში წინა აზიაში ორი მსხვილი სახელმწიფო – ოსმალეთი და სეფევიდების ირანი აღმოცენდა. ამ დროიდან ტერიტორიამ ძირითადად ახალი ეთნიკური სახე მიიღო, რაც დღევანდელ დღემდე შემორჩა. ბოლო პერიოდის ძალზე დიდი მოვლენა XVIII საუკუნის შუა ხანებში ავღანეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბება გახლდათ, რამაც ავღანთა ტომების ჩრდილოეთით ლტოლვა საბოლოოდ დაასრულა. წინა აზიის განვითარებულ და გვიან შუასაუკუნეებში დანარჩენი ეთნიკური ძვრები გლობალურ ხასიათს ატარებდა. ეს იყო იძულებითი გადასახლება ირანში სომხებისა, ქართველებისა და ქურთებისა, აგრეთვე, თურქეთსა და სირიაში ზოგიერთი ჩრდილოკავკასიური მცირე ჯგუფებისა, პირველი მსოფლიო ომის დროს თურქეთში სომხების, აისორებისა და ბერძნების უდიდესი ნაწილის დევნა და ფიზიკური ხელყოფაც, და ბოლოს, ებრაელთა პალესტინაში ჩასახლება და ისრაელიდან არაბთა განდევნა.

ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა ხელი შეუწყო ევროპისა და აზიის ხალხთა კულტურული ურთიერთობის გაგრძელებას. XI-XIII საუკუნეების ბოლოს სირიასა და პალესტინაში ევროპის „ფეოდალთა“ ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა დასავლეთ ევროპას აღმოსავლეთის კულტურა ახლოს გააცნო. ამ დროს ევროპელებმა ბევრი რამ გადაიღეს აღმოსავლეთის ხალხისგან. წინააზიურმა ტექნიკამ ევროპის საფეიქრო მრეწველობაზე, სამღებრო საქმეზე, მეტალურგიაზე დიდი გავლენა მოახდინა. ჭინბურასა და ბრინჯის კულტივირებას, შაქრისა და წმინდა ქსოვილების დამზადებას, ქარის ნისქვილების აშენებას, თეთრეული საცვლების ტარებას, ჭამის წინ ხელების დაბანასა და ცხელი აბანოებით სარგებლობას ევროპელები სწორედ აქ, წინა

აზიის ქვეყნებში გაეცვინენ, მაგრამ შემდგომ ეპოქებში წინა აზიის სახელმწიფოთა საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების ტემპები შენედა, რის შედეგადაც გვიან შუა საუკუნეებში ისინი ევროპელებს მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ. ახალ პერიოდში წინა აზიის ქვეყნებმა ექსპანსიები განიცადეს ახლა უკვე დანინაურებული ევროპული ქვეყნებისაგან. აქედან მოკიდებული წინა აზიის ჩამორჩენილობის მთავარ მიზეზად კოლონიური პირობები იქცა, რომელიც მათი საწარმო ძალის ზრდას, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებას აფერხებდა. დღეს წინააზიის ხალხები განვითარების სხვადასხვა საფეხურზე დგანან. ერთაგან, მაგალითად, იემენსა და საუდის არაბეთში ჯერ კიდევ მკვეთრად იგრძნობა პატრიარქალური ცხოვრების წესი და „ფეოდალური ურთიერთობების“ გამოძახილი, მეორეგან, მაგალითად, თურქეთსა და ლივანში – კაპიტალისტური კავშირები.

წინა აზიის ტერიტორიის ბუნებრივი პირობები მრავალფეროვნებით ხასიათდება. აქ არის მძლავრი მთების სისტემები და დაბლობები, უდაბნოები და ნახევარ-უდაბნოები, მათ გვერდით კი – ოაზისები. რეგიონის უდიდესი მდინარეებია ტიგროსი და ევფრატი. საერთოდ, მდინარეების რაოდენობა მცირეა, რის გამოც ვრცელი უდაბნო ადგილები გვხვდება.

წინა აზია მდიდარია ნავთობით, განსაკუთრებით, სპარსეთის ყურესა და ზაგროსში.

მოსახლეობის სიმჭიდროვით თანამედროვე წინა აზია აზიის სხვა ოლქებს მკვეთრად ჩამოუვარდება. მოსახლეობა მთლიანად აზიის ერთ მეთექვსმეტედს შეადგენს, მაშინ როცა მას ტერიტორიის ერთი მეშვიდედი უჭირავს. მოსახლეობის სიმჭიდროვით აქ ერთ კვადრატულ კილომეტრზე ცამეტი ადამიანი მოდის. ამასთან ყველგან სოფლის მოსახლეობა ჭარბობს. წინა აზიაში მსხვილი ქალაქები ცოტაა.

წინა აზიის ხალხები ენობრივი თვალსაზრისით სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: სემიტურად, რომლებიც ძირითადად არაბულენოვანია, თურქულად და ირანულად. ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხებს შედარებით კომპაქტური ტერიტორია უკავიათ. სემიტურ ჯგუფს არაბების გარდა აისორები და ებრაელები ეკუთვნიან. ისრაელის გარდა ებრაელები წინა აზიის მრავალ ქალაქში არიან გაფანტულნი.

ენობრივი შემადგენლობის მიხედვით სპარსელები და ავღანელები ირანულ ჯგუფს, თურქები - თურქულს, არაბები კი - ენათა სემიტურ ჯგუფს მიეკუთვნებიან. პირველ ორ ჯგუფს მრავალი სხვა ხალხიც განეკუთვნება, რომლებიც წინა აზიის ქვეყნების ეროვნული უმცირესობებად ითვლებიან. ეროვნულ უმცირესობათა მრავალრიცხოვანი ჯგუფებით პირველ რიგში ოცდაექვს მილიონიანი ირანულენოვანი - თურქები, ტაჯიკები, ბელუჯები, ლურები, ბახტიარები, ხაზარები, აგრეთვე, რიგი უფრო წვრილი ხალხი - ხემშილები, ფირუზკუხები, ტაიმენები, თალიშები გამოირჩევიან. სულ ამ ჯგუფში დაახლოებით ოცდაშვიდი მილიონი ადამიანია გაერთიანებული.

ეროვნული შემადგენლობით წინა აზიის ხალხები ორ ჯგუფად იყოფა. პირველს ეკუთვნის თურქები, რომელიც თურქეთში მოსახლეობის 88% შეადგენენ და არაბული სახელმწიფოები, ე. ი. ესაა ქვეყნები მეტნაკლებად ერთნაირი ეროვნული შემადგენლობითა და მრავალეროვანი ქვეყნები. არაბული ქვეყნებშიც დიდი უმრავლესობა არაბია - ოცდახუთ მილიონზე მეტი. დიდ ჯგუფს ქმნიან ირანი და ავღანეთი, სადაც სპარსელები და ავღანელები მოსახლეობის მხოლოდ ნახევარს შეადგენდნენ. ამდენად, დადგენილია, რომ წინა აზიის მოსახლეობას შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ერებია - არაბები, თურქები, სპარსელები და ავღანელები: არაბები - უცდახუთი მილიონი, თურქები - ოცდაერთი მილიონი, სპარსელები - ცხრა-

მილიონი, ავღანელები ექვსი მილიონი, სპარსათესა და ავღანეთში სპარსელები და ავღანელები მოსახლეობის მხოლოდ ნახევარს შეადგენდნენ. დღეს წინა აზიაში ინდოელები, აფრიკელები, აგრეთვე, ევროპელები და ამერიკელებიც კი ცხოვრობენ.

გამომდინარე ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წინა აზიის ვრცელ რეგიონში პირველ ჯგუფს არაბული ქვეყნები, თურქეთი და ისრაელი მიეკუთვნება, სადაც არაბეთში დიდი უმრავლესობა არაბია – ოცდახუთ მილიონზე მეტი, თურქეთში თურქი და ისრაელში – ებრაელი, დაახლოებით 5,8 მილიონზე მეტი, რომლებიც საერთო მოსახლეობის 90% შეადგენენ. მეორე ჯგუფს ირანი და ავღანეთი მიეკუთვნება, სადაც მოსახლეობის ძირითადი ფენა, სპარსელები ირანში, დაახლოებით ცხრა მილიონი და ავღანელები, ავღანისტანში – დაახლოებით 5,5 მილიონი, საერთო მოსახლეობის ნახევარს შეადგენენ.

ქურთების ძირითადი მასა – ხუთ მილიონ ადამიანზე მეტია, ცხოვრობს თურქეთის, ერაყის, ირანისა და გაერთიანებული არაბეთის რესპუბლიკის – სირიის მომიჯნავე რაიონებში, უმეტესწილად, არაქსის, ტიგროსისა და ევფრატის სათავეებში, აგრეთვე, ვანისა და რეზიეს ტბების მიდამოებში. ყველაზე მსხვილი ჯგუფი ქურთებისა თურქეთსა და ავღანეთში გვხვდება. ორ მილიონზე მეტი ტაჯიკი ავღანეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და ჰინდიყუმის სამხრეთ კალთებზე, აგრეთვე, ირანის ხორასანის პროვინციებში სახლობს. ბულუჯების დიდი მასა პაკისტანშია თავმოყრილი, ცხოვრობენ ირანშიც – ოთხასი ათასი კაცი და ავღანეთში – დაახლოებით ასორმოცდაათი ათასი ადამიანი. ენით და კულტურით ახლო მონათესავე ლურებისა და ბახტიარების ტომთა წარმომადგენლები – ერთი მილიონი ადამიანი, ზაგროსის მთებში, ირანის სამხრეთ-დასავლეთით-

თაა თავმოყრილი. ხაზარები – ერთ მილიონზე მეტი, ავღანეთის ცენტრალურ ნაწილში ბინადრობს. მათი ჯგუფები ავღანეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილშიც სახლობს, სადაც ისინი ჯემშიდების, ფირუზკუხებისა და ტაიმენების მომთაბარე ტომებთან ერთად ჩორაიმაკების სახელწოდებით არიან ცნობილნი, ისინი ორას-სამას ათას ადამიანს მოითვლიან. დაახლოებით ორასი ათასი ჯემშიდი, ხაზარელი და ტაიმენი ირანის – ხორასანის პროვინციაში არიან განსახლებულნი. კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე ორმოცდაათიათასიანი ადამიანისაგან შემდგარი თალიშებია წარმოდგენილი. რამდენადმე განკერძოებულნი არიან ჰინდიყუმის კაფირები – დაახლოებით ასიათასი ადამიანი, რომელთა ენა ირანულიდან ინდურ ენაზე გარდამავალ ჯგუფს მიეკუთვნება. წინა აზიის მეორე თურქულენოვანი ხალხებიდან – ოცდარვა მილიონიან ჯგუფს თურქების გარდა აზერბაიჯანელები, უზბეკები, თურქმენები, აფშარები, შახსევანები, კაშკაელები ქმნიან. დაახლოებით ოთხ მილიონამდე აზერბაიჯანელი კომპაქტურად სამხრეთ აზერბაიჯანში, ირანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, უზბეკები – დაახლოებით ერთი მილიონი სამხრეთ თურქმენისტანში, ავღანეთის სახელმწიფოს საზღვრებში ცხოვრობს. თურქმენები ირანში – ორას ათას ადამიანამდე, მდინარეების გორგანუს, ატრეკის და კელატის აყოლებით დერეგეზის რაიონში, ასევე, ავღანეთში სახლობს. ოთხასი ათასი სული მაზარი-შერიფისა და მეიგენინის პროვინციებშია განთავსებული, მათი მცირერიცხოვანი ჯგუფი – სამოცდაათი ათასი ადამიანი თურქეთში ბინადრობს, ერაყში სამოცდათხუთმეტი ათასი, ხოლო სირიაში ოცდა ათათასი სული ცხოვრობს, აფშარები ორმოციათასამდე სამხრეთ აზერბაიჯანში და ირანის ზოგ სხვა რაიონებშია დამკვიდრებული. არდებილის რაიონში ასოთხმოცხათასამდე შახსევანი მომთაბარეობს, რომლებიც რიგ თურქულენოვან ტომს აერთი-

ანებს. ირანის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში – ისპაჰანისა და ფარსის პროვინციაში კაშკაელების სამასორმოცდაათი ათასიანი წარმომადგენელი, ასევე, მომთაბარეობითაა დაკავებული. წინა აზიის ქვეყნებში თურქული წარმოშობის სხვა მცირერიცხოვანი ხალხები და ტომები - ტახტაჯანები, თურქეთში – ყიზილბაშები, ირანში – ყაჯარები, ეინალუ, ყარაგიოზლუ ცხოვრობს. სემიტური ენობრივი ჯგუფის ხალხებს, არაბთა გარდა აისორები – ასოცდახუთათასიანი ასირიელები მიეკუთვნება, რომლებიც ირანში – თურქეთის მოსაზღვრე რაიონებში, ერაყის ჩრდილოეთში და – სირიის რაიონებში ბინადრობს. აქვე პირობითად შეიძლება ებრაელებიც გავაერთიანოთ, რომლებიც ისრაელის სახელმწიფოსა და წინა აზიის რიგ ქვეყანაშია დამკვიდრებული. ესენი სემიტური წარმოშობის არიან და ებრაულ ენას მხოლოდ ღვთისმსახურების წიგნებით იყენებენ.

წინა აზიის ტერიტორიაზე 5000 ბერძენი ცხოვრობს, თურქეთში ცხოვრობენ ალბანელები და ბოსნიელები, სომხები, ჩერქეზები, ქართველები – კოლხები, კერძოდ, ლაზები. ლაზები XV საუკუნის შუახნიდან თურქეთის შემადგენლობაში შედიან. ისინი ოსმალეთის ფლოტში საუკეთესო ზღვაოსნებად ითვლებოდნენ. თურქეთში სახლობენ აჭარლების, შავშებისა და კლარჯების ნაწილი. წინა აზიაში ცხოვრობენ ინდოელები, აფრიკელები, აგრეთვე, ევროპელები და ამერიკელებიც.

წინა აზიის ხალხებიდან, რომლებიც სხვა ენობრივ ჯგუფებს მიეკუთვნებიან, ყველაზე მრავალრიცხოვანი სომხები (თურქეთი, ერაყი, ირანი, სირიის რაიონები, ლივანი, ისრაელი...) არიან. მთლიანად აქ სომხები ოთხასი ათასია. ოსმალეთის სომეხთა უმრავლესობამ სომეხთა მასიური დევნის შემდეგ თავშესაფარი სომხეთის რესპუბლიკაში იპოვა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იქ სომეხ რეპატრიანტთა დიდი ნაწილიც შესახლდა. თურქეთში ცხოვრობენ აგრეთვე „ჩერქეზები“ —

ჩრდილო კავკასიიდან გამოსული სამოცდაათი ათასი კაცი, ქართველები – ასიათასი და მეტი ადამიანი, ბერძენები – ხუთიათასი სული, რამდენიმე ათეული ათასი ალბანელი – არნაუტები და ბოსნიელები, ბულგარელთა მცირე რაოდენობა. წინა აზიაში ასორმოცდაათ ათასზე მეტი ინდოელი (ირანი, ავღანეთი, არაბეთის ნახევარკუნძულის ქვეყნები...) და ორასია-თასზე ათასზე მეტი აფრიკელი (არაბეთის ნახევარკუნძულის ქვეყნები) მკვიდრობს.

ენობრივი და ეთნიკური მონაცემების შეპირისპირებით დაახლოებით ასეთია წინა აზიის მოსახლეობის ეთნო-ლინგვისტური შემადგენლობა, რომელთა მიხედვითაც შეიძლება მათი ეთნიკური ისტორიის ძირითადი ეტაპები დავადგინოთ.

წინა აზია იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის სამშობლოა. სადღეისოდ ყველაზე გავრცელებული ისლამია. რელიგიური მრწამსის მიხედვით წინა აზიის მოსახლეობის უმრავლესობა – არაბები, თურქები, ავღანელები მუსულმანი სუნიტი, ხოლო სპარსელები, აზერბაიჯანელები, ერაყისა და იემენის არაბთა ნაწილი მუსლიმანი შიიტია. „ისლამი“, არაბულად მორჩილებას ნიშნავს, რომელიც VII საუკუნეში ხიჯაზში წარმოიშვა. მისი წარმოშობა მუჰამედის სახელთან ასოცირდება, რომელმაც ქადაგება 622 წელს დაიწყო. აქედან იწყება მუსლიმანთა კალენდარიც.

ისლამი მონოთეისტური რელიგიაა, მან ძველი არაბეთის პოლითეიზმი შეცვალა. ძირითადი დოგმა ისლამისა არის ეს ესაა – „არა არს ღმერთის გარდა ალაჰისა და მუჰამედი მოციქულია მისი“. მუჰამედის მოძღვრება ყურანშია ჩამოყალიბებული, რაც არაბულად კითხვას ნიშნავს. ყურანი VII საუკუნის ლიტერატურული ძეგლია, რომელმაც მომდევნო ეპოქაში ოდნავი ცვლილება განიცადა. აქ ისლამის ხუთი ძირითადი მცნებაა წარმოდგენილი: 1. ერთღმერთიანობა; 2. ლოცვა დღეში ხუთ-

ჯერ; 3. რამადანი, 4. ზაქათი – გადასახლება და 5. ხაჯი – წმინდა ქალაქ მექაში გამგზავრება. ამის გარდა ისლამის ცნებას მუჰამედის გამონათქვამები – სუნნა, დიდი თეოლოგიის აზრები – იდუმა და ანალოგიები – ყიასი ავსებს. ყველა ეს მუსლიმანთა რელიგიურ სამართალს – შარიათს შეადგენს. სუნიტები ყურანსა და საღვთო გადმოცემებს – სუნნას ცნობენ. საკუთრივ შიიტობა VII საუკუნეში წარმოიშვა, როგორც ხალიფა ალის მომხრეთა პარტია. შიიტები სუნნას მხოლოდ ნაწილობრივ აღიარებდნენ. მათ საკუთარი საღვთო გადმოცემები – ახბარ ჰქონდათ. ისინი სუნიტების მიერ არჩეულ ხალიფას – მუჰამედის მემკვიდრეებს არ თვლიდნენ. ისინი ადამიანში თავისუფალი მოქმედების, სულის არსებობას ეძებდნენ, მაშინ, როდესაც სუნიტების აზრით ადამიანის ბედი ერთხელ და სამუდამოდ გადანყვებილი იყო და ადამიანი მას ვერ შეცვლიდა.

წინა აზიაში არაბების უმეტესი ნაწილი სუნიტები არიან. თურქები, ავღანელები, ქურთების უმეტესობა, ბელუჯები, ტაჯიკები, უზბეკები, თურქმენები, ასევე, სუნას მიძღვრებას მისდევენ. ირანის მოსახლეობის უმეტესობა კი – შიიტებია, კერძოდ, შიიტებია სპარსელები, ლურები, ბახტიარები, აზერბაიჯანელები, შახსევანები, ქაშკაელები, ქურთების ნაწილი. შიიზმი ერაყის, იემენის და სხვა ქვეყნებში მცხოვრებ არაბებს შორისაცაა გავრცელებული.

ქრისტიანებია აისორები, სომხები, ბერძნები, ბულგარელები, ქართველები, სირიის, ლიბანისა და პალესტინის არაბთა ნაწილი. ებრაელები იუდაიზმის მიმდევრები არიან.

წინა აზიაში უამრავი სექტაა. მაგალითად, ქურთების ნაწილი ალი-ალახებისა და იეზიდების სექტას მიეკუთვნება, თურქეთის სამხრეთ ნაწილში ტახტაჯები ცხოვრობენ. ისინი ალაბის სექტას მიეკუთვნებიან. საერთოდ, ტახტაჯთა დიდი ნაწილი თურქულენოვანი მთიელი მომთაბარეები იყვნენ,

რომლებიც რელიგიით მუსლიმანები – შიიტური მიმდინარეობის აღმსარებლობასაც აღიარებდნენ. ისინი სამხრეთ ანატოლიაში ცხოვრობდნენ, დაკავებულნი იყვნენ მესაქონლეობითა და მეტყვევობით. შიიზმი ალავიტებსა და აბდალებს შორისაც იყო გავრცელებული. თურქთა სატომო დაჯგუფების აბდალთა ეთნოგრაფიული განშტოებაც მომთაბარეები იყვნენ, ამასთან, მათი საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს ხელოსნობა, უმთავრესად, სამჭედლო ხელოსნობა წარმოადგენდა, თუმცა მათი ცალკეული ჯგუფი მოხეტიალე მუსიკოსებად იყო ცნობილი. თავის დროზე, რუმის სასულთნოში ხელოსნები ძირითადად ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობიდან – ბერძნებიდან, ქართველებიდან, სომხებიდან იყო გამოსული, რომლებიც ამ საქმით იქ თურქ-სელჩუკთა მოსვლამდე იყვნენ დაკავებულნი. ქალაქ ლადიკაში, დასავლეთ ანატოლიაში ხელოსან-ფეიქართა დიდი ნაწილი ბერძენი ქალები იყვნენ, რომელთა დამზადებული ქსოვილი ანატოლიაში საყოველთაოდ იყო ცნობილი.

წინა აზიაში არსებობს დრუზების სექტა, საუდის არაბეთში კი ცნობილია ვახაბიტების სექტა, სპარსელების ნაწილში გავრცელებულია ზოროასტრიზმი.

წინა აზიის ხალხთა ეთნოგენეზის განსაზღვრა რთულია. აქ ძირითად კრიტერიუმად ენა და ენათა კლასიფიკაცია შეიძლება მივიჩნიოთ. წინა აზიაში ანთროპოლოგიურად ორი დიდი ჯგუფი გამოიყოფა: ინდოევროპული და სემიტური, მაგრამ ამ ორი ჯგუფის გარდა იქ იყო ისეთი ენებიც, რომლებიც არც ერთ ჯგუფს არ მიეკუთვნებოდა. ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხები ნ. გარმა, თავის დროზე, იაფეტურ ჯგუფში მოაქცია. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

მესოპოტამიის უძველესი ხალხი შუმერები იყო. მათ ელობეიდის, ურუკისა და ჯემთედ-ნარსის კულტურა შექმნეს. ეს

კულტურა აქადურ – ენით სემიტური ჯგუფის ხალხთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა. თვით ტერმინი შუმერი აქადური წარმომავლობისა იყო. შუმერთა პირველი წერილობითი ძეგლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI ათასწლეულის ბოლოს მიეკუთვნება. ძველი ტექსტების მიხედვით ჩანს, რომ შუმერული სიტყვები მთელს სამხრეთ მესოპოტამიაში იყო გავრცელებული. ჩრდილო რეგიონებში III ათასწლეულის ბოლოს, ხოლო სამხრეთში – II ათასწლეულის შუა ხანებში შუმერული ენა სემიტურმა შეცვალა. შუმერულმა, როგორც სალაპარაკო ენამ თანმიმდევრულად კვდომა დაიწყო და, საბოლოოდ, მეცნიერებისა და რელიგიის ენად ჩამოყალიბდა. არ არის დამტკიცებული შუმერული ენის კუთვნილება, კერძოდ, თუ რომელ ენობრივ ჯგუფში ერთიანდებოდა. წინა აზიაში უძველესი სახელმწიფოების წარმოშობაც შუმერებთან და აქადელებთან იყო დაკავშირებული. ამ ორ ხალხს შორის ჰეგემონობის მოსაპოვებლად ბრძოლა მიმდინარეობდა. ჯერ შუმერის ქალაქები – ლაგაში და უმმა გაძლიერდნენ, მაგრამ შემდგომ აქადის მეფეებმა ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბება შეძლეს, რომელიც მესოპოტამიასა და მის ახლომახლო ტერიტორიებს მოიცავდა. ამავე ეპოქაში, ძვ. წ. XXIV-XXII საუკუნეებში, ზაგროსის მთებიდან გუტიებმა მესოპოტამია დაიპყრეს, მაგრამ დამპყრობლები შუმერებში და აქადელებში გაითქვიფნენ. ამის შემდეგ ურის მესამე დინასტია გაძლიერდა, რომელმაც ჩვენს ერამდე XXI საუკუნეში მძლავრი შუმერულ-აქადური სახელმწიფო შექმნა.

ჩვენს ერამდე III და II ათასწლეულის მიჯნაზე მესოპოტამიასა და და წინა აზიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. იქმნებოდა ახალი სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი, მიმდინარეობდა ცალკეულ ტომთა და ხალხთა გადასახლება. III ათასწლეულის დამლევს დასავლეთიდან მესოპოტამიაში ამორეელები შემოიჭრნენ და ძლიერ სახელმწიფოს დაუდეს საწყისი,

რომლის ცენტრს ბაბილონი წარმოადგენდა. დაახლოებით ამავე პერიოდში შუმერში აღმოსავლეთიდან ელამიტები გამოჩნდა. ამ ბრძოლაში ბაბილონმა გაიმარჯვა. აბილონი ჩვენს ერამდე 1792-1756 წლებში მეფე ხამმურაბის დროს განსაკუთრებით გაძლიერდა. ამ ეპოქის დასახასიათებლად ჰამმურაბის კანონების სახით ბრწყინვალე ძეგლი მოგვეპოვება. ძვ. წ. XVIII საუკუნეში მესოპოტამიაში კასიტები, შემდეგ კი – ხეთები გამოიკვეთნენ. კასიტები ბაბილონში ხუთ საუკუნეს მეფობდნენ, ხოლო შემდეგ ბაბილონელებში მთლიანად გაიტყვიფნენ.

სამხრეთ მესოპოტამიის პორტრეტული სკულპტურით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ორი ანთროპოლოგიური ტიპის გამოყოფა: 1. მრგვალსახიანი ბრახიკეფალი, ხვეული თმებით, სახის მსხვილი ნაკვთებით, სწორი ცხვირით და პატარა ნიკაპით; 2. რახიკეფალი – ასირიული, არმენოიდული ტიპისა არწივისებრი ცხვირით, ხშირი თმებით თავზე და სახეზე. პირველი ჯგუფში შუმერებს ათავსებენ, მეორეს კი – სემიტური ხალხს წინაპრებად მიიჩნევენ.

თანამედროვე ხუზისტანის ტერიტორიაზე ელამიტები ცხოვრობდნენ. ეს კულტურა არქეოლოგიური მონაპოვრებით VI ათასწლეულს მიეკუთვნება. უძველესი ელამური პიქტოგრაფული ნიმუშები VI და III ათასწლეულის მიჯნაზე ფიქსირდება. III ათასწლეულის შუალედში ელამელებმა აქადური დამწერლობა აითვისეს, მაგარამ ელამური ენა, როგორც ცოცხალი სალაპარაკო ენა, ყოფაში კიდევ დიდხანს დარჩა.

ზაგროსის მთებში, ახლანდელი ლურისტანის ტერიტორიაზე, კასიტები ცხოვრობდნენ. მათ ბაბილონში მეცხენეობის შეტანა მიენერებათ, მათვე ჩვენს ერამდე II ათასწლეულში ლურისტანის ბრინჯაოს ნაკეთობების შემომქმედებად მიიჩნევენ. კასიტური ელამურს ჰგავდა, ამასთანავე, მასში ინდო-ევროპული ელემენტებიც იყო შესული.

III ათასწლეულში დიალას ხეობაში ლულუბეების სახელმწიფო წარმოიქმნა. ზოგიერთი მეცნიერი ელამიტების, კასიტების და ლულუბეების ერთ ჯგუფში – კასპური ენების ჯგუფში აერთიანებს. ასევე ჯგუფში კასპიები, გელები და ტაპურებიც შედიოდნენ. კასპური ჯგუფის ჩრდილო-დასავლეთში ცხოვრობდნენ ხალხები, რომლებიც მეცნიერებს ალაროიდულ ჯგუფში შეჰყავთ. ზოგიერთი მკვლევარი ამ ჯგუფის კავკასიურთან ნათესაობაზეც მიუთითებს.

ჩვენს ერამდე III-II ათასწლეულში ქვემო მესოპოტამიის ჩრდილოეთით ხურიული – სუბარეული ენები იყო გავრცელებული, II ათასწლეულის შუახანებიდან კი არენაზე ხეთური, ასურული და ურარტული სახელმწიფოები გამოვიდნენ, ურარტუმ ჩვენს ერამდე VI საუკუნემდე იარსება. მისი მოსახლეობა ენით ხურიტებს ენათესავებოდა, მაგარამ სავარაუდოდ ურარტუმი ცხოვრობდნენ ტომები, რომლებსაც დღევანდელ ქართველთა და სომეხთა წინაპრებად მიიჩნევენ.

წინა აზიაში, მცირე აზიის ჩრდილო აღმოსავლეთით, III ათასწლეულში ხათები ბინადრობდნენ. უახლოესი გამოკვლევებით მათი ენა ხურიტულ-ურარტულ ენათა ჯგუფს მიეკუთვნებოდა. ხათური ენის დიდი გავლენა შემდგომ ხეთურმა ენამ განიცადა. დღეს უკვე ბევრი ცდილობს დაასაბუთოს ხათების იბერიულ-კავკასიურ ენებთან და ხალხებთან კულტურულ-ისტორიული ნათესაობა.

წინა აზიის ტერიტორიაზე მცხოვრებ სემიტებს რამდენიმე ჯგუფად ყოფენ: ესენი იყო ჩრდილო-აღმოსავლეთის აქადური ქვეჯგუფი. ისინი მესოპოტამიის ჩრდილოეთით, შუმერების მეზობლად ცხოვრობდნენ. შუმერულ დოკუმენტებში ისინი III ათასწლეულის დასაწყისში არიან მოხსენიებულნი. დროთა განმავლობაში სემიტურმა ენამ ხმარებიდან შუმერული სრულიად გამოდევნა. ეს ენა ძვ. წ. 2000-5000 წლებამდე იყო გა-

ბატონებული, რომელიც შემდეგ არამეულმა დიალექტებმა შეცვალა. ასირიაში ლიტერატურულ ენად ბაბილონური დიალექტი ითვლებოდა, VIII საუკუნიდან კი მისი ადგილი არამეულმა დაიკავა.

სემიტური ხალხის ჩრდილო-დასავლეთი ქვეჯგუფი ამორეულის — ქანანელი ხალხით იყო ცნობილი. ისინი ჩრდილო მესოპოტამიაში, სირიაში, ლიბანსა და პალესტინაში ჯერ კიდევ ნეოლითიდან ცხოვრობდა. ზოგან ამორიტები ხურიტული ჯგუფის ხალხთან ერთად ბინადრობდა. II ათასწლეულიდან მათ შუმერული და აქადური დოკუმენტები მოიხსენიებენ. პირველი ათასწლეულიდან ამ ჯგუფის დიალექტეი გავრცელდა პალესტინაში – ძველებრაული, იორდანიაში – მოაბიტური, ფინიკიასა და მის კოლონიებში – ფინიკიური და პუნიკური. აბილონელები მათ „ამ ურრუ“ს უწოდებდნენ. ამის გარდა მათ ქანანეველნი და ებრაელნიც იცნობდნენ.

უფრო მოგვიანებით ისტორიის ასპარეზზე ამ ქვეჯგუფების კიდევ ერთი შტო გამოვიდა. ასურული ძეგლები მათ „ახლამე არამე“დ მოიხსენიებდა, რაც ალბათ მომთაბარეს ნიშნავდა. დაახლოებით ამ დროს ამ ქვეჯგუფის კიდევ ერთი წარმომადგენელი – ქალდეველები გამოჩნდნენ. თითქმის ყველა ეს ტომი არამეულის სხვადასხვა დიალექტზე საუბრობდა. არამეელთა გამოჩენის შემდეგ VIII-IV საუკუნეებში, არამეული ენა ასურეთში, ახალი ბაბილონის და სპარსეთის სახელმწიფოებში გაბატონდა. არამეული ენა შუა საუკუნეებამდე შემორჩა. შემდეგ იგი არაბულმა შეცვალა. არაბები სამხრეთ სემიტურ ჯგუფს მიეკუთვნებიან. ისინი თავდაპირველად არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთში ცხოვრობდნენ, მაგარმ II ათასწლეულიდან მთელს ნახევარკუნძულზე განსახლდნენ. ანთროპოლოგიური თვალსაზრისით სემიტმა მომთაბარეებმა ხმელთაშუაზღვის ხალხების ფიზიკური ტიპი უკეთ შეინარჩუნ-

ნეს, ხოლო ვინც მომთაბარეობას არ ენეოდა, მათ უფრო არმენოიდული ნიშნები გაითავისეს.

ვარაუდობენ რომ მცირე აზიის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთში მცხოვრები ლუვიელები ძვ. წ. III ათასწლეულის წინა აზიაში პირველი ინდოევროპელები იყვნენ. ასევე ინდოევროპელები იყვნენ ხათების ადგილზე მოსული ხეთები, რომლებმაც ჩვენს ერამდე II ათასწლეულში ძლიერი სახელმწიფო შექმნეს. ჩვენამდე ბოლახქოის უმდიდრესმა წერილობითმა ძეგლებმა მოაღწია. ინდოევროპელები იყო აგრეთვე ე. წ. „იეროგლიფური ხეთები“ და პალაიურები. ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგს მცირე აზიის დასავლეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთში სხვადასხვა ინდოევროპული წარმოშობის ხალხი, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით დღევანდელ ქართველთა წინაპრები ცხოვრობდნენ. მცირე აზიის დასავლეთით ბერძნები ბინადრობდნენ. იქვე იყვნენ თრაკიელები, ბითინიელები, მისიელები. მცირე აზიის ხალხები ბერძნებთან მჭიდრო ურთიერთობებში იმყოფებოდნენ, რის შედეგადაც რომის იმპერიის დაცემის შემდეგ მოსახლეობის უმეტესობა ბერძნულად ლაპარაკობდა.

ძვ. წ. I ათასწლეულში ასპარეზზე ახალი ხალხები – მიდიელები და სპარსელები გამოჩნდნენ.

ანთროპოლოგიური თვალსაზრისით დღეს წინა აზიის მოსახლეობა შავთმიან ევროპეიდთა ჯგუფს მიეკუთვნება. ძირითადი ანთროპოლოგიური ნიშნებია: შავი თმა – ხვეული ანდა სწორი, მუქი თუ ღია კანის ფერი, მუქი და შერეული ფერის ფართოდ გაღებული თვალები, მესამეული თმის ხშირი საფარი, მკვეთრად გამოსატული ცხვირი და შედარებით ვიწრო ტუჩები. ანთროპოლოგი ვ. ჩებოქსაროვი წინა აზიის მოსახლეობას სამ ტიპად ყოფდა: 1. ხმელთაშუაზღვისპირული–ბალკანური ჯგუფი წვრილი ხვეული თმით, მესამეული თმის ხშირი საფარით, სახის ნაკვეთების გრაციალობით, ე. ი. სივინროვით, ფართოდ გა-

ხელილი თვალებით, გამონეული ვინრო სნორი ცხვირით, ოდნავ მსუქანი ტუჩებით. ეს კომპლექსი ძირითადად არაბებისთვისაა დამახასიათებელი; 2. ინდო-პამირული ჯგუფი, რომელიც პირველ ჯგუფს გავს, მაგრამ ძირითადად მისგან თავის მაღალი მაჩვენებლით განსხვავდება. ამავე ჯგუფს ეკუთვნიან: სპარსელები, აზიურბაიჯანელები, ავღანელების უმეტესობა, აგრეთვე, ჩრდილოეთ ინდოეთისა და პამირის ხალხები; 3. ქინაზიური—არმენოიდული და ასირიული, რომლებიც ამ ორ ჯგუფს შორის დგას და მათგან ხშირთმინანობითა და ცხვირის მოყვანილობით განსხვავდება. მათი თავის ქალა მასიურია, შუბლი დაქანებული. ესენია სომხები და აისორები, მათ ებრაელები, აგრეთვე, სირიელი არაბების უმეტესობა ჰგვანან. აღსანიშნავია, რომ თურქეთში მხოლოდ მონღოლური ელემენტი არ არსებობს.

XI-XV საუკუნეებში წინა აზიის ტერიტორიაზე ბევრი სახელმწიფო შეიქმნა და მოისპო. ხალიფატების სივრცე სამჯერ დაიპყრეს სელჩუკებმა, მონღოლებმა, თემურლენგმა. ამ პერიოდის ბოლოს წინა აზიის ტერიტორიაზე ორი მსხვილი პოლიტიკური ერთეული შეიქმნა: ოსმანეთის იმპერია და ირანი, ხოლო მოგვიანებით – ავღანთა სახელმწიფო. წინა აზიაში ახალმა ეთნიკურმა ელემენტმა – თურქულმა შემოაღწია. ჯერ კიდევ VI საუკუნეში უზარმაზარი თურქული კაგანატი წარმოიქმნა, რომელიც შემდგომ აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად დაიყო. დასავლეთ კაგანატში შუა აზია შედიოდა. თანდათანობით თურქული ელემენტი ხორასანში შეიჭრა. სხვა ტომთა შორის ყველაზე დასავლეთით – კიზილ-არფატაში, მერვში და ხორესანში ოლუზებმა შეაღწიეს. აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის ადგილობრივი მოსახლეობის გათურქების ფაქტებს ჰქონდა ადგილი. ამის მაგალითია დღევანდელი თურქმენეთი და ხორესანი. თურქებს, როგორც კარგ მეომრებს, ხალიფები

ინვევდნენ. თითქმის მთელი გვარდია თურქებისაგან შედგებოდა, რის საფუძველზეც ცენტრალური ხელისუფლების პირობებში ძალიან ხშირად თურქთა მხედართმთავრები ფაქტიურად ადგილზე ბატონ-პატრონები ხდებოდნენ. გარდა ამისა, ხალიფები თურქებს თავის ტერიტორიაზე, მაგალითად ბიზანტიის საზღვრებთან, აგრეთვე სირიაში ასახლებდნენ.

თურქების დასავლეთით ექსპანსიას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ყარახანიდების მიერ სასანიდების ტაჯიკური სახელმწიფოს დაპყრობამ. ეს ტომი თავში ედგა მსხვილ თურქულ ტომობრივ გარეთიანებებს. ამუ-დარიის სამხრეთით მაჰმუდ ლაზვენის ძლიერი სახელმწიფო ჩამოყალიბდა, ხოლო თურქთა – ოღუზთა ტერიტორიაზე შიქმნა გარეთიანება, რომელსაც სელჩუკთა გვარის წარმომადგენლები ედგნენ სათავეში. თურქ-სელჩუკები ხორასანში შეიჭრნენ, ლაზნევიდები შეავინროვეს და მთელი სახელმწიფო დაიპყრეს. მათი ექსპანსიის შემდეგი მსხვერპლი ირანი და მესოპოტამია გახდა. 1055 წელს, სელჩუკთა მხედართმთავარმა თორღულ-ბეგმა ბაღდადი აიღო და თავი სულთანად გამოაცხადა.

XI საუკუნეში სელჩუკებმა ამგვარი დაპყრობითი ომების საფუძველზე ძლიერი სახელმწიფო შექმნეს, რომელიც გადაჭიმული იყო ავღანეთიდან ბიზანტიის იმპერიამდე. XII საუკუნეში ეს სახელმწიფო დაიშალა. სახელმწიფოების ცალკეულ ნაწილებს, მაგალითად, მესოპოტამიაში, ირანის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ცალკეულ რეგიონში ათაბეგები მართავდნენ. სელჩუკები მხოლოდ მცირე აზიაში იყვნენ ძლიერები. ისინი დროებით მონღოლთა ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდნენ, მაგრამ ეს ვითარება ხანძლივი არ აღმოჩნდა. მცირე აზიის სელჩუკები მცირე აზიაში ახალ-ახალ ტერიტორიებს იპყრობდნენ და ბიზანტიას თანდათან ავიწროვებდნენ. მათ დედაქალაქად კონია გამოაცხადეს. ეს სამეფო XIV საუკუნემდე არსებობდა.

მონღოლთა დაპყრობებს წინა აზიის ტერიტორიაზე ახალი ცვლილებანი მოყვა. მოხდა მოსახლეობის ახალი გადაადგილება. მონღოლები ქალაქებსა და მოსახლეობას სპობდნენ და, ბუნებრივია, რომ ხალხი მათი მოახლოებისთანავე დასავლეთით გარბოდა. მათ შორის თურქიც ბევრი იყო. თვით მონღოლთა შორისაც ბევრი იყო თურქი მეომარი, რომელიც ხშირად დაპყრობილ ტერიტორიებზე რჩებოდა. ამგვარად მონღოლთა დაპყრობებმა წინა აზიის რიგი რეგიონის თურქიზაციას შეუწყო ხელი.

მონღოლთა სახელმწიფო არ იყო მყარი, იგი მალე სხვადასხვა სახელმწიფოდ დაიშალა, რომლებსაც ძირითადად თურქული დინასტიები მართავდნენ. XIV საუკუნის დასაწყისში მცირე აზიაში სელჩუკთა სახელმწიფოც ცხრა ნაწილად დაიშალა. მათ შორის ოსმანთა სამთავრო აღზევდა. XIV საუკუნის ბოლოსათვის ოსმანებმა მცირე აზიის ყველა თურქული სამთავრო შემოიერთეს. XIV საუკუნეში – 1453 წელს თურქებმა ბიზანტიის დედაქალაქი – კონსტანტინეპოლი, ბიზანტიის უკანასკნელი ბურჯი აიღეს. წინა აზიაში მათ სირია, მესოპოტამია, არაბეთის ნახევაკუნძულის ნაწილი დაიპყრეს.

იმავე პერიოდებში თურქების აღმოსავლეთით – ირანში სეფევიდების მეთაურობით ძლიერმა სახელმწიფოებმა დაიწყო ჩამოყალიბება. წინა აზიაში ასე წარმოიშვა ორი მსხვილი პოლიტიკური ერთეული – ოსმალეთი და სეფევიდების – სეფიანთა ირანი.

თემა მმოთხე

შუა აზიიდან მცირე აზიაში - თურქეთი: თანამედროვე თურქი ხალხის ჩამოყალიბების ისტორიული და ეთნოკულტურული წინაპირობები.

როცა მცირე აზიაზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია იქვე თურქეთს განსაკუთრებული ადგილი არ მიეკუთვნოს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მცირე აზიის თითქმის ძირითადი ნაწილი თანამედროვე თურქეთს უკავია.

თანამედროვე თურქეთის აზიური ნაწილი – ანატოლია (ბერძნული – Ασατολι; თურქული – Anadolu) სიტყვასიტყვით, „მზის ამოსვლას“, „აღმოსავლეთს“ ნიშნავს. იგი კაცობრიობის ცივილიზაციის ერთ-ერთ უძველეს კერადაა აღიარებული. ანტიკურ ხანაში მას „მცირე აზიას“ უწოდებდნენ, რადგან მოხაზულობა და რელიეფი „დიდ აზიას“ ძალიან ნააგავდა. სინამდვილეში ასეთი შედარება ნაწილობრივია სწორი. იმხანად „დიდი აზიის“ ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი საზღვრები უცნობი იყო.

მცირე აზია ადამიანის განსახლების ერთ-ერთ უძველეს ადგილად ითვლება. სწორედ მცირე აზიაში, ძველი სამყაროს ამ მიწა-წყალზე, ბევრი ადრეული ცივილიზაცია დაიბადა და განვითარდა. აქ აღმოჩენილია ადამიანის დასახლების ყველაზე ადრეული ნიმუშები. მცირე აზიაში ერთმანეთს ევროპული, აზიური და აფრიკული კულტურები ხვდებოდა და ურთიერთზეგავლენების საფუძველზე მდიდრდებოდა.

ადამიანის კვალი აქ ქვედა პალეოლითის ხანიდან ჩანს. ანატოლიაში ადამიანი ვითარდებოდა შუა და ზედა პალეოლითშიც. თავდაპირველად მას მდინარის ხეობებსა და ზღვის

სანაპიროების ახლოს უცხოვრია, მოგვიანებით კი — მთიან ადგილებშიც დასახლებულა. ცხოვრებისეული ციკლი შემდეგ პერიოდებშიც გრძელდებოდა, რასაც მცირე აზიის ბუნებრივი პირობებიც განსაზღვრავდა.

მცირე აზიაში ანატოლიის ცენტრალური ნაწილი უძველესი ხანიდანვე დაწინაურდა. აქ წარმოიქმნა ძლიერი სახელმწიფო, რომელიც არა მარტო მცირე აზიაში, არამედ მთელს ახლო აღმოსავლეთში უდიდეს პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა. ეს ხეთების წინარე სამეფო – **ხათი** იყო, რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულში არსებობდა და სხვა მეზობელ სახელმწიფოებთან ერთად მთელი ეპოქა შექმნა. მანამ, სანამ შეიქმნებოდა ჯერ ხათების, ხოლო შემდეგ ხეთების სახელმწიფოები, მანამ ანატოლიამ ისტორიული განვითარების დიდი გზა განვლო.

დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე ეთნოსები და სახელმწიფოები რამდენჯერმე შეიცვალა. XVII-XIII საუკუნეებში - ხატუსას (ხეთების) ცივილიზაცია თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილში ჩამოყალიბდა. თანმიმდევრულად იქ, დრდანელის სრუტის სამხრეთ-დასავლეთში, მთა იდასთან ტროას (ბერძნულად – Τροία ანდა Τροάς ასევე Ἴλιον; ლათინურად – Troia, Ilium) უძველესი ცივილიზაცია გაიფურჩქნა. ძვ. წ. IX-VI საუკუნეებიდან კი მძლვრობდა ურარტუს სახელმწიფო. სხვათა შორის, მათ მეზობლად ჭოროხის ხეობაში, საფუძველი ჩაეყარა ქართულ სახელმწიფოებრიობასა და ცივილიზაციას.

ანატოლია: ჩათალ-ჰუიქი და ჰაჩილარის ადრესამინათ-მოქმედო დასახლებები. ცირე აზია საკმაოდ ვრცელი ტერიტორიაა, სადაც ათასწლეულთა მანძილზე სხვადასხვა წარმოშობის ტომთა თუ ხალხთა შერევა და შეჯვარედინება მიმდინარეობდა. ნეოლითის ხანაში ანატოლიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში საყურადღებო ძვრები მოხდა. სწორედ აქ მოხდა „ნეოლითური რევოლუცია“, როდესაც ძვ. წ. VII-VI ათასწლეულებში, თანამედ-

როვე ჩათალ-ჰუიქისა და ჰაჩილარის მიდამოებში – კონიის ზეგანზე მაღალგანვითარებული ადრესამინათმოქმედო კულტურა ჩამოყალიბდა. რომელმაც საფუძველი მომავალ დიდ მცირეაზიულ ცივილიზაციას ჩაუყარა. ძველადმოსავლურ ხანაში, ძვ. წ. III-I ათასწლეულებში მცირე აზიაში არაერთი დიდი თუ პატარა სახელმწიფო წარმოიქმნა, თუმცა განსაზღვრული გარემოებების გამო, დროთა განმავლობაში, ისინი ისტორიის ასპარეზიდან გაქრა. მსოფლიოს უძველესი ხანის ანატოლიაში, კონიის ზეგანზე, სადაც ამჟამად ჩათალ-ჰუიქი და ჰაჩილარი მდებარეობს, ჯ. მელარტის ხელმძღვანელობით არქეოლოგებმა მოხატული სალოცავებითა და განვითარებული ადრესამინათმოქმედო კულტურით ქალაქური ტიპის ნეოლითური დასახლებანი აღმოაჩინა. მსოფლიოს ამ ერთ-ერთ უძველეს დასახლებებს სპეციალისტები ძველი ნელთადრიცხვის 7000-5600 (ჩათალ-ჰუიქი) და 5700-5600 (ჰაჩილარი) წლებით ათარიღებენ.

ჩათალ-ჰუიქისა და ჰაჩილარის დასახლებებში განხორციელებული „ნეოლითური რევოლუცია“ თანდათან მთელ მცირე აზიას უნდა მოსდებოდა. ეს რევოლუცია რომელიდაც ადგილობრივმა ეთნოსმა მოახდინა, რომლის ვინაობა ახლა, ალბათ, არც შეიძლება რომ დადგინდეს. შესაძლოა, იგი მოგვიანო ხანების ანატოლიის მკვიდრთა ერთ-ერთი წინაპარიც კი იყო. მაგრამ რომლისა? ცენტრალურ ანატოლიაში მცხოვრები არაინდოევროპელი ხათებისა (პროტოხეთებისა?), მოგვიანებით მობინადრე ინდოევროპელი ტომებისა თუ ჩვენთვის სრულიად უცნობი ეთნოსისა? ამჟამად დაბეჭდვით შეგვიძლია მხოლოდ შემდეგი ვამტკიცოთ: ჩათალ-ჰუიქისა და ჰაჩილარის მიდამოებში ჩამოყალიბებულმა მაღალგანვითარებულმა ადრესამინათმოქმედო კულტურამ საფუძველი ჩაუყარა მოგვიანო ხანების დიდ მცირეაზიულ ცივილიზაციას, რომელიც ხეთურ საზოგადოებას განეკუთვნებოდა.

მეურნეობა. ანატოლიაში საქონლის მოშინაურებისათვისა და ცალკეული სამინათმოქმედო კულტურის ჩამოყალიბებისათვის ხელსაყრელი პირობები არსებობდა, რაც თავისთავად უძველესი ხანის მინათმოქმედებისა და მესაქონლეობის სამეურნეო დიფერენციაციის ფორმით შრომის პირველ დიდ საზოგადოებრივ დანაწილებას გულისხმობდა. სწორედ აქ უძველეს პერიოდში მიმთვისებლური – შემგროვებლური მეურნეობიდან მწარმოებლურ ეკონომიკაზე გადასვლა განხორციელდა, რაც „ნეოლითური რევოლუციის“ დაწყების მიმანიშნებელი იყო.

ჩათალ-ჰუიქისა და ჰაჩილარის მცხოვრებთა მეურნეობა მინათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე იყო დაფუძნებული. მოჰყავდათ ქერი, ბარდა, ცერცველა. ადგილობრივები ცხვრებისა და ზოგიერთი რქოსანი ცხოველის მოშენებას მისდევდნენ. ამ დასახლების მცხოვრებლებმა უკვე ობსიდიანის მოპოვება იცოდნენ, რომლის საბადოები ჩათალ-ჰუიქის მახლობლად მდებარეობდა. ასევე ისინი სხვა ადგილობრივ მინერალებს, მაგალითად, სპილენძსა და ტყვიას იცნობდნენ. მათგან მძივებს, საყურეებსა და მცირე ზომის სხვა სამკაულებს ამზადებდნენ. ჩათალ-ჰუიქში იმ ეპოქაში ადგილობრივი კერამიკაც წარმოიქმნა და განვითარდა.

ნეოლითური რევოლუციის მომდევნო პერიოდი, განსაკუთრებით, ძვ. წ. IV-III ათასწლეულები, ანატოლიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში საყურადღებო ძვრებით აღინიშნა. ითონთა მნიშვნელობის ზრდამ და, საერთოდ, ანატოლიის ცენტრალურ და ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში მეტალურგიის განვითარებამ, სადაც ლითონთა – სპილენძის, ვერცხლის, რკინის უმდიდრესი საბადოები არსებობდა, რეგიონების წინსვლა დიდად დააჩქარა. გაჩნდა ბრინჯაო-სპილენძის შენადნობი, რაც ახალი ტექნიკური წინსვლის მაუწყებელი იყო.

III ათასწლეულის შუა ხანებიდან ცენტრალური ანატოლია, როგორც ეკონომიკურად, ისე კულტურულად საგრძობლად იყო დაწინაურებული. აქ მცხოვრებთა ეკონომიკა, ძირითადად, სოფლის მეურნეობას ეყრდნობოდა, მაგრამ მათი ძლიერების უმთავრესი წყარო, მაინც, ლითონების მოპოვება და დამუშავება იყო. ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულის შუა ხანების მონოქრომული კერამიკა ხელით მზადდებოდა. კერამიკა გარედან წითლად, ხოლო შიგნიდან შავად იყო გაპრიალებული. მასთან ერთად, აგრეთვე, მრავალნაირად მოხატული ხელით ნაძერწი შავი და ნაცრისფერი კერამიკაც არსებობდა. დიდი გემოვნებით და ოსტატობით იყო გაკეთებული ლითონის – ბრინჯაოს, სპილენძის, ვერცხლის, ოქროს ცალკეული ნივთი. ქვისგან დამუშავებული საგნებიც დახვეწილი იყო. ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულის შუა ხანებიდან ცენტრალურ ანატოლიას მცირე აზიაში წამყვანი ადგილი ეკავა. მას არამარტო ბრინჯაოს ხანის ეკონომიკისათვის საჭირო ბუნებრივი რესურსები გააჩნდა, არამედ იქ მცხოვრები ადამიანები გადასამუშავებელ ტექნოლოგიურ ცოდნასაც ფლობდნენ.

ვაჭრობა. ჩათალ-ჰუიქისა და ჰაჩილარის დასახლებათა მცხოვრებლებს ჯერ კიდევ ნეოლითის ეპოქიდან გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონდათ ახლომდებარე რეგიონებთან – ხმელთაშუა ზღვის სანაპიროსთან, სირიასთან, დასავლეთ ანატოლიასთან, კვიპროსთან, სადაც ობსიდიანს აგზავნიდნენ, სანაცვლოდ კაჟს, ნიჟარებს, სხვადასხვა ძვირფას ქვას იღებდნენ. შემდეგშიც, შუამდინარეთის მმართველთათვის ანატოლიასთან ურთიერთობების დამყარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა: შუამდინარეთი ღარიბი ლითონებით იყო, ანატოლია კი – ლითონებით უმდიდრეს მხარეს წარმოადგენდა, თუმცა ბრინჯაოს მეტალურგიისათვის აუცილებელი ლითონი – კალა აკლდა. აქედან გამომდინარე, თავიდანვე, ამ

ორი მხარის ურთიერთობათა ძირითადი პირობები გამოიკვეთა: ანატოლიაში კალის შეტანა მცირე აზიიდან ლითონების, განსაკუთრებით, სპილენძის გატანას გულისხმობდა. შუამდინარელ ვაჭართა მცირე აზიისადმი დაუოკებელი ინტერესი სწორედ ამას უნდა გამოენვია, რაც იმით დასრულდა, რომ დაახლოებით ძვ. წ. 2300 წელს, როდესაც შუამდინარეთში აქადის სახელმწიფო უკვე ძლიერ პოლიტიკურ გაერთიანებად ითვლებოდა, ანატოლიაში აქადელ ვაჭართა პირველი ფაქტორიები - კოლონიები გაჩნდა.

ხელოვნება და რელიგია. ჩათალ-ჰუიქისა და ჰაჩილარში ანატოლიური ნეოლითური ხელოვნება ჩაისახა და ადგილობრივი ნეოლითური რელიგიაც გაჩნდა. ჩათალ-ჰუიქში ორმოცამდე სალოცავი ტაძარი იპოვეს. იქ მცხოვრებნი ანთროპომორფული იერით მთავარ ღვთაებათა ქანდაკებებს ძერწავდნენ. კულტმსახურებისათვის შექმნილი სალოცავები სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა კომპლექსში შედიოდნენ. ძველი ნეოთაღრიცხვის III ათასწლეულის შუახანების ცენტრალური ანატოლიაში ხელოვნების ნიმუშები სტილიზებული ცხოველების - ირმებისა და ხარის ფიგურებით იყო წარმოდგენილი.

დასახლება და მატერიალური კულტურა. ჩათალ-ჰუიქისა და ჰაჩილარის ბინადარნი საცხოვრებელ სახლებსა და ტაძრებს ფორმირებული ალიზისაგან აგებდნენ. სამშენებლო ზონათა ნაშთები გამაგრებულ დასახლებებს მოგვაგონებდა. გვიან ნეოლითურ ჰაჩილარში დასახლებას გარს ერტყა თავდაცვითი თიხტკეპნილი კედლები. სიმაგრეთა შიგნით მარცვალსაცავები, სამეთუნეო სახელოსნოები და სხვა დანიშნულების ნაგებობანი იყო მოთავსებული. ასეთი „სიმაგრეები“ იმ ციხე-სიმაგრეთა პროტოტიპს წარმოადგენდნენ, რომლებიც მოგვიანებით ცენტრალურ და დასავლეთ ანატოლიაში არსებობდნენ. ნეოლითური რევოლუციის შემდეგ პერიოდში ცენტრალურ ანატო-

ლიაში ქალაქური ტიპის დასახლებები გაჩნდა, რომელთა ნაწილი მასიური კედლებით იყო გამაგრებული. ამ ტიპის დასახლებათა ადგილას მოგვიანებით პატარა ქალაქ-სახელმწიფოები წარმოიშვნენ, რომელთა მმართველებს ურთიერთშორის გამუდმებული ქიშპი ჰქონდათ.

ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულის შუა ხანებში ცენტრალურ ანატოლიაში საცხოვრებელი ბინები სწორკუთხოვანი იყო და ქვის საძირკველზე თიხის აგურებით იგებოდა. თითქმის ყველა მონაცემით დასტურდება, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში ცენტრალურ ანატოლიაში – ბოლაზ ქოიში, ალიშარში და ალჯა-ჰუიუქში, ჰას-ჰუიუქში და სხვა ადგილებში მდებარე გამაგრებული პუნქტები იქ განსახლებულ ტომთა ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრებს წარმოადგენდნენ. ამ პერიოდისათვის ანატოლია უკვე ახლო აღმოსავლეთში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. მისი გავლენა სამხრეთ მესოპოტამიამდე, შესაძლოა, ეგვიპტემდე, ისე როგორც კავკასიამდეც, ვრცელდებოდა.

განვითარებულ შუა საუკუნეებში თურქეთის სახელმწიფო ბიზანტიის იმპერიის ნანგრევებზე ჩამოყალიბდა. მათი წინაპრები ცენტრალური აზიიდან მოვიდნენ, სადაც ეთნოსის ჩამოყალიბების არეალი დიდი ჩინური კედლის დასავლეთით მდებარეობდა. თურქულენოვანი ტომების მიგრაცია შუა აზიიდან ახალი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში დაიწყო. იმდროინდელი თურქები ანიმიზმის მიმდევრები იყვნენ – მიწას, ცას, წყალს ეთაყვანებოდნენ, თუმცა ცენტრალურ აზიასა და აღმოსავლეთ ევროპაში გადანაცვლების შემდეგ, სხვადასხვა დროს, ბუდიზმის, იუდაიზმის და ქრისტიანობის გავლენა განიცადეს. იმ პერიოდისათვის, როცა თურქები მახლობელი აღმოსავლეთისაკენ დაიძრნენ, მათი საქმიანობის ძირითად სფეროს მომთაბარეობა და ნახევრად მომთაბარეობა წარმოადგენდა, თუმ-

ცა ამასთანავე ისინი, გარკვეულად, მიწათმოქმედებასაც კი მისდევდნენ. ოლუზებთან მომთაბარეობა ექსტენსიური მესაქონლეობაში იყო გამოხატული. განვითარებული იყო სამონადირეო მრეწველობაც. შემდეგ ქალაქებში ოლუზები და თურქმენები ხელოსნობითაც იყვნენ დაკავებული. თავდაპირველად, დაახლოებით ასეთი სურათი იხატებოდა თურქულ ტომებში, რომელთა ბირთვის იმთავითვე ოლუზები და თურქმენები შეადგენდნენ. ამიტომაც იყო, რომ შემდეგში ანატოლიაში მათი ძირითადი საქმიანობის სფეროდ მესაქონლეობა რომ დარჩა. აქვე უნდა აღინიშნოს ძველ მემათიანეთა ცნობები, მაგალითად, 1190 წელს ტაგენონის ცნობა, რომელიც მოგვითხრობდა, რომ მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს თურქები კონიაში კარგებში ცხოვრობდნენო. ასევე ახასიათებდა თურქებს მარკო პოლოც. მიწათმოქმედებას თურქებმა ინტენსიურად ხელი მოჰკიდეს მას შემდეგ, როცა მათ ანატოლიაში ბინადარ ცხოვრებაზე დაიწყეს გადასვლა.

1037-1300 წლებში თურქები წარმატებით მართავდნენ სახელმწიფოებს, რომლებიც ავღანეთიდან ხმელთაშუა ზღვამდე იყო გადაჭიმული. უკვე ლიტერატურული წყაროებით დადგენილია XI საუკუნეში აღმოსავლეთიდან მცირე აზიაში თურქული წარმომავლობის ტომთა კიდევ ერთი დიდი ტალღის მოძრაობის შესახებ. ესენი თურქ-სელჩუკები იყვნენ, რომელთა ძირითად ბირთვის ოლუზები შეადგენდნენ. XI საუკუნის ბოლოს თურქმენული – ოლუზური ტომები მცირე აზიას საგრძნობლად მიუახლოვდნენ, სადაც მათ ანგარიშგასანევი პოზიციები დაიკავეს. თურქ-სელჩუკებმა XI საუკუნის პირველ ნახევარში უკვე ანატოლიაში შეჭრა, ხოლო 60-იან წლებში მისი დაპყრობა დაიწყეს. ისინი 1040 წელს ირანში გადავიდნენ და 1055 წელს დაიმორჩილეს კიდევ. შემდეგ თურქ-სელჩუკები ერაყს,

სირიასა და აზერბაიჯანს დაეუფლნენ. ამ ტერიტორიებზე მათ უზარმაზარი სახელმწიფო – „დიდი სელჩუკების სახელმწიფო“ შექმნეს, რაზეც მიუთითებს ზაქირ ად-დინა ნიშაპურის „მალიკ-ნამეს“, „ოლუზნამესა“ და „სელჩუკ-ნამეს“ ვერსიები. ამაზე პირდაპირ საუბრობს მუხმუდ კამგარიც. თურქი მომთაბარეები ოჯახებითა და თავისი ავლა-დიდებით, პირუტყვთა ჯოგებით ხორასანიდან, აზერბაიჯანიდან, ერაყიდან და სირიიდან მცირე აზიასაც მთლიანად მოედგნენ. ალისტარკე ლასტივერცის სიტყვებითაც, სულთანმა თორღულ-ბეგმა 1054 წელს დიდძალი ჯარით, სპილოებით, ცხენებით, ეტლებით, ჯალაბობით – ცოლებითა და ბავშვებით საუკეთესო აღჭურვილობით უპრეცედენტო გადაადგილებები განახორციელა.

სელჩუკთა გვარი „კინიკ“ – ოლუზ თურქთა ერთი განშტოება იყო, რომელიც IX საუკუნეში მაჰმადიანური სამყაროს პერიფერიაში, კასპიისა და არალის ზღვების ჩრდილოეთით ოლუზთა კონფედერაციის იალბუს სახანოში სახლობდა. X საუკუნეში სელჩუკებმა მათი წინაპრების სამშობლოდან ანატოლიის აღმოსავლეთ რეგიონებისაკენ დაიწყეს მიგრაცია, რომელიც 1071 წელს მანასკერტის ბრძოლაში, ბიზანტიელებთან გამარჯვების შემდეგ, საბოლოოდ ოლუზ თურქ თემთა საბოლოო სამშობლო გახდა. ამ გამარჯვების შემდეგ მათ წინ უკვე აღარაფერი ელობებოდათ. 1085 წელს თურქებმა იზმირი (სმირნა) აიღეს, რის შედეგადაც, ფაქტობრივად, მთელი მცირე აზია მათ ხელში აღმოჩნდა. დაახლოებით იმ ხანებში სელჩუკთა დინასტიის ერთ-ერთმა ფრთამ ანატოლიაში რუმის სასულთნო დაარსა, რომელიც გარეგნულად „დიდ სელჩუკთა“ ხელისუფლებას აღიარებდა, მაგრამ რეალურად იგი დამოუკიდებელი იყო. სელჩუკთა გამარჯვებამ კონიის – ანატოლიის სელჩუკთა

სასულთნოს ჩაუყარა საფუძველი, რომელიც ცენტრალური აზიის, ირანისა და სამხრეთ-დასავლეთ აზიის ტერიტორიებს მოდებული უფრო ვრცელი სელჩუკთა იმპერიის განშტოება გახდა. განვითარებულ შუასაუკუნეებში ეს სახელმწიფოებრივი გაერთიანებები მონღოლთა დაპყრობებისა და შინაომების მსხვერპლი შეიქმნა. სახელმწიფოებრიობა მცირე აზიაში მხოლოდ რუმის სელჯუკებმა შეინარჩუნეს. რუმის, არაბების ნაბადვით ასე უწოდებდნენ თურქი-სელჩუკები ანატოლიას, სახელწოდება, როგორც ამას იბნ ბატუტა აღნიშნავდა, ბიზანტიის იმპერიის ოფიციალური სახელიდან წარმოსდგებოდა, რომელიც ტრადიციის საფუძველზე იმპერიად, რომად იწოდებოდა. ლათინურად იგი „რომად“, ხოლო ბერძნულ-ბიზანტიურად – „რომედ“ ჟღერდა. არა ელინები, საბერძნეთის ბერძენები, არამედ სწორედ მცირე აზიის მკვიდრნი, ბერძენ-ბიზანტიელები თავს „რომეს“, რომაელებს უწოდებდა. სახელწოდება „რომი“ ევროპული თურქეთის თურქულ სახელში – „რუმელიაში“ (თურქული – „რუმელი“ ანუ „რუმის ქვეყანა“) გვიანობამდე შემოინახა. ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა სელჩუკთა შემდგომი მოძრაობა შეაჩერა. მათ დედაქალაქი იზნიკიც (ნიკეა) კი დაკარგეს, მაგრამ თანდათანობით, 1016 წელს შეტევაზე კვლავ გადავიდნენ, დაიპყრეს კონია (იკონიონი) და იგი მათ დედაქალაქად აქციეს. ამიტომ იყო, რომ სელჩუკთა სახელმწიფო მცირე აზიაში ზოგჯერ კონიის სასულთნოდაც რომ იწოდებოდა.

1243 წელს სელჩუკთა არმიები მონღოლებმა დაამარცხეს და მათი იმპერიის გავლენა ნელ-ნელა დაკნინდა. იმ დროს, როდესაც თურქული სახელმწიფოები ეცემოდა, ტომთა რამდენიმე მებრძოლი ჯგუფი ანატოლიაში დამკვიდრდა. იმ პერიოდში, ერთ-ერთი თურქული სამთავრო, რომელსაც ოსმან I მმართველობდა, შეავსო რა დაკნინებულ სელჩუკთა და ბიზანტიელებს შორის არსებული პოლიტიკური ვაკუუმი, თანდათან

ოსმალეთის იმპერიად გადაიქცა. თურქეთის სულთნები ნახევრად ლეგენდარული ბეგი ოსმანის (1289-1324 წლები) შთამომავლები იყვნენ, რომლებმაც XIV-XV საუკუნეების განმავლობაში შეძლეს თავისი ხელისუფლების ქვეშ მცირე აზიის ყველა თურქული სამთავრო გაეერთიანებინათ და 1453 წელს, მეჰმედ II-ს წინამლოლობით კონსტანტინეპოლიც დაიპყრეს. ბიზანტიის დედაქალაქის დაპყრობიდან სულ ცოტა ხანში, იგი, ფაქტობრივად, თურქულ ქალაქად გადაიქცა.

1477 წელს სტამბოლში 60-70 ათასი კაცი ცხოვრობდა, რომელთაგან 9753 ოჯახი თურქული იყო. აქ მკვიდრობდა აგრეთვე ბერძენთა 3743 კომლი, ებრაელთა – 1647 ოჯახი, სომხების – 818 კომლი, ყირიმელი ქრიტიანების – 267 ოჯახი და ბოშა-მუსლიმების – 31 კომლი. ასი წლის შემდეგ სტამბოლის მოსახლეობამ 500 ათასს მიაღწია, რომლის 58% მუსლიმი იყო. მაჰმადიანმა თურქებმა ბიზანტიის დაპყრობის შემდეგ თითქმის ყველა სოფელსა და ქალაქში ეკლესიების უმეტესობა მეჩეთებად გადააქციეს.

ექვსასოცდასამწლიანი ისტორიის განმავლობაში ოსმალეთის იმპერიას მჭიდრო კავშირები ჰქონდა როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის კულტურებთან. XVI-XVII საუკუნეებში იგი უკვე მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი პოლიტიკური გაერთიანება გახდა, რომელიც ხმელეთით საღვთო რომის იმპერიას ემიჯნებოდა და ბალკანეთისა და პოლონეთ-ლიტვის თანამეგობრობის სამხრეთ ნაწილის მითვისებით ცენტრალური ევროპისაკენ დამაჯერებლად იკვლევდა გზას, ხოლო წყლით – ხმელთაშუა ზღვაზე ბატონობაში ჰასბურგის ესპანეთის, ვენეციის რესპუბლიკისა და წმინდა იოანეს რაინდების გაერთიანებულ ძალებს – საღვთო ლიგას ეცილებოდა, ამასთან, ინდოეთის ოკეანეში იმპერიის მონოპოლიის დასაცავად აღმოსავლეთ აზიისა და დასავლეთ ევროპას შორის უძველეს საზღვაო სავაჭ-

რო გზებზე პორტუგალიის ხომალდებს ხშირად ეწინააღმდეგებოდა. კეთილი ნების კონცხის აღმოჩენის შემდეგ, 1488 წელს, სახეზე იყო მნიშვნელოვანი მარცხი.

XIV საუკუნის ბოლოს ოსმალეთის იმპერია, ფაქტობრივად, ევროპის ტერიტორიაზე უფრო მეტ ტერიტორიებს ფლობდა, ვიდრე აზიაში. მცირე აზიის ტერიტორიების დაპყრობა მათ მხოლოდ 1390 წლიდან – სულთან ბაიაზეთის დროს დაიწყო.

ძალაუფლების დაკნინების ბოლო ფაზაში, 1914 წელს, ოსმალეთ-გერმანიის ალიანსში გაერთიანებით ოსმალეთის იმპერია პირველ მსოფლიო ომში ჩაერთო და საბოლოოდ დამარცხდა კიდევ. თურქების მიერ შექმნილმა ოსმალეთის იმპერიამ **XX** საუკუნის დასაწყისამდე იარსება და საბოლოოდ იგი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, 1922 წელს დაიშალა.

მცირე აზიის თითქმის ძირითადი ნაწილი თანამედროვე თურქეთს უკავია. თურქეთი მკვლევართა – ისტორიკოსების, ეთნოლოგების, არქეოლოგებისა და ხელოვნებათმცოდნეების ყურადღებას გამუდმებით იქცევდა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან თურქეთი ევროპისა და აზიის გზასაყარზე მდებარეობს. მას უაღრესად საინტერესო ისტორია აქვს. თურქთა ყოფა და ტრადიციები ნამდვილ ეთნოგრაფიულ კალეიდოსკოპს წარმოადგენს. ბევრი თვლის, რომ თურქეთი არა მარტო კონტინენტების, არამედ ცივილიზაციათა გზასაყარზე მდებარეობს. ევროპა და აზია, დასავლეთი და აღმოსავლეთი, ისლამი – ყველაფერმა ამან თავი თურქეთში მოიყარა, ერთმანეთს გადაეხლართა და შეერწყა.

დღევანდელი სახის თურქი ხალხი **XVI** საუკუნის შუა ხანებში ორი ძირითადი ეთნიკური კომპონენტებისაგან ჩამოყალიბდა: მესაქონლეობას მიმდევარი მომთაბარე ტომებისაგან, ძირითადად, ოღუზებისა და თურქმენებისაგან, რომლებიც მცირე აზიაში სელჯუკთა და მონღოლთა დაპყრობების დროს,

XI-XIII საუკუნეებში აღმოსავლეთიდან გადმოსახლდნენ და ადგილობრივი მცირეაზიელი (ბერძნები, სომხები, ქურთები) და კავკასიელი (ქართველები, მათ შორის, ქართველური წარმომავლობის ლაზები) ხალხებისაგან. თურქების ნაწილი მცირე აზიაში სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ოსმალური დაპყრობების შემდეგ, XIV-XVI საუკუნეებში, ბალკანეთიდან შეიჭრა, მაგალითად, უზები და პაჭანიკები. თურქთა ეთნიკურ ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი სამხრეთ-სლავურმა ხალხებმა, ალბანელებმა, რუმინელებმა, მოლდოველებმა და უნგრელებმა ითამაშეს.

თურქეთში დღეს მრავალი ერის წარმომადგენელი ბინადრობს, მათ შორის არიან – ალბანელები და ბოსნიელები, სომხები, ჩერქეზები, ქართველები, ქართველურის დიდი გაერთიანება – ლაზები. ლაზები XV საუკუნის შუახნიდან ოსმალეთის შემადგენლობაში გაერთიანდნენ. ოსმალეთის ფლოტში ისინი საუკეთესო ზღვაოსნებად ითვლებოდნენ. გვიანი შუასაუკუნეების პერიოდში, ოსმალეთის სხვადასხვა პროვინციაში მუჰაჯირობის სხვადასხვა ეტაპზე ქართველთა სხვადასხვა ეთნოგრაფიული ჯგუფიც დამკვიდრდა, განსაკუთრებით, აჭარელი მუჰაჯირები.

მცირე აზიაში თურქეთის გეოგრაფიული არეალი მსოფლიოს ქვეყნების ზოგადი საკლასიფიკაციო სისტემის მიხედვით მრავალმხრივ საყურადღებო და, იმავდროულად, რთული განსასაზღვრავია. თურქები თურქეთის რესპუბლიკის ძირითად მოსახლე ერს წარმოადგენს. ეთნოგრაფიულად ისინი შემდეგ ჯგუფებად – იურიუკებად, ტახტაჯებად, აბდალებად და ზეიბეკებად იყოფიან, შესაძლოა მათ რიცხვში ალავიტებიც მოვაქციოთ. ზეიბეკები დასავლეთ ანატოლიის მომთაბარე-მესაქონლეთა მთიელი ტომები იყო, აღმსარებლობით მუსლიმისუნიტები შამანიზმის ძლიერი გადმონაშთებით. აქვე, საინტე-

რესოა კარამანლების ისტორიაც. კარამანლები ბინადარი თურქი მართლმადიდებლები იყვნენ, რომლებიც თურქიზებული ბერძნების შთამომავლებად მიაჩნიათ. როგორც ჩანს, კარამანლები თურქ ტომთა ის ნაწილი იყო, რომელთა წევრებაც წარსულში ბიზანტიელებთან სამხედრო სამსახურის პერიოდში ქრისტიანობა მიიღო. აქვე ხემშინებიც იქცევეს ყურადღებას – სომეხთა გათურქებული და ისლამიზებული შთამომავლები. ისტორიულად ცნობილი იყო კაისა და ჩალდართა სატომო განშტოებებიც. კაია და ჩალდარები თურქული წარმომავლობის სატომო განშტოებები იყვნენ. სხვათაშორის, ერტუღრული და მისი შვილი – ოსმანი კაიას ტომიდან იყვნენ გამოსულები, ოსმანი, რომელიც ოსმანთა იმპერიის პირველი სულთანი იყო. თურქული სატომო-საგვარეულო დაჯგუფებების შესწავლის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ არაერთი წერილობითი წყაროა გასაანალიზებელი, რათა ნათლად გამოიკვეთოს თურქული წარმომავლობისა და თურქებთან შერწყმული – გათურქებული ეთნიკური დაჯგუფებების ისტორიული იერსახე.

თურქთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 53,3 მილიონს შეადგენს. მათი სალაპარაკო ენა თურქულია. ხოლო სარწმუნოებით ისინი სუნიტური მუსლიმები არიან. თურქთა ენაში შემოინახა იმ ცალკეულ დიალექტს შორის სხვაობა, რომელზედაც თურქული სალაპარაკო ენა დაიყო. ესენია სტამბოლური, იზმირული, ანკარული და კონიური დიალექტები, ასევე, რიგი ბალკანური დიალექტი, აღმოსავლეთ და სამხრეთ ანატოლიის დიალექტები, მაგალითად, დიალექტი, რომელიც ყოფილი ბეილიჯის – კარამანის ტერიტორიაზე იყო გავრცელებული. იგი XIX საუკუნეში სტამბოლურისაგან და იზმირულისაგან იმდე-

ნად განსხვავდებოდა, რომ ეს ყველასათვის, თვით უცხოელთათვისაც კი შესამჩნევი იყო. პრივილეგირებული ადგილი სტამბოლურ დიალექტს ეკავა, რომელზეც სტამბოლის დანი-ნაურებული წრეები, ინტელიგენცია, განათლებული ოფიცრობა საუბრობდა. არსებითი იყო სხვაობა სადამწერლობო და სალა-პარაკო ენებს შორის. ოფიციალურ ლიტერატურულ ენად „ოს-მალური“ რჩებოდა, რომელიც გასაგები მხოლოდ მაღალი განათლებული წრეებისათვის იყო და თურქი ხალხის ფართო მასას იგი საერთოდ არ ესმოდა. აქედან გამომდინარე, ენა და სხვა მსგავსი კომპონენტი, ვთქვათ, ცნობიერება, თურქი ხალხის ეთნიკური გამაერთიანებლის როლს ვერანაირად ვერ ასრულებდა. მხოლოდ ისლამი რჩებოდა იმ იდეოლოგიურ ბერ-კეტად, რომელიც ახალი თურქი ხალხის ფორმირების პროცესს განაპირობებდა. ამანაც, ათა-თურქის მოღვაწეობის პერიოდში სხვა რეფორმებთან ერთად, ენის რეფორმაც დააჩქარა, რამაც ბიძგი მისცა ახალი თურქი ერის ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესის დასრულებას.

ტერმინ თიურქის ეტიმოლოგია და ეთნოგენეზის პრობლემები. სიტყვა „თურქეთი“ მრავალ ადამიანში სხვადასხვა და, ხშირად, ურთიერთგამომრიცხველ ასოციაციებს წარმოშობს. ერთნი, იგებენ რა ამ სიტყვის შესახებ, თვალწინ წარმოუდგებათ შორეული და იდუმალი – რომანტიკული და ეგ-ზოტიკური მუსლიმანური აღმოსავლური სამყარო სულთნებით, ჰარემებითა და მეჩეთებით. სხვები, განსაკუთრებით სამხრეთისა და სამხრეთ კავკასიის მცხოვრებლები, თურქეთს შორეულად სრულებითაც არ თვლიან.

თურქების თვითსახელწოდებაა „თიურქ“. ეთნონიმი „თურქის“ ეტიმოლოგია და ისტორია ენათმეცნიერებსა და ის-

ტორიკოსებში ცხოველ ინტერესს აღძრავს. დადგენილია, რომ **თურქ**'ის მხოლოებითი ფორმაა – **თურქ**, ხოლო მრავლობითი – **თუქლერ**'ა. ეთნონიმ „თურქის“ მნიშვნელობის ირგვლივ სხვადასხვა შეხედულება არსებობს. თურქოლოგ ა. კონონოვის ეტიმოლოგიით, თურქ „ძლიერს“, „მაგარს“ ნიშნავს. ამ სიტყვის ასეთი მნიშვნელობები თურქულში მართლაც არსებობს, მაგრამ ისინი მეორეული წარმოშობის არიან. შესაძლოა საკუთრივ ეთნონიმი „თურქი“ მართლაც ირანული წარმომავლობის იყოს. „ავესტა“ – ძველი ირანელების წმინდა წიგნი, მომთაბარე საკუთების ნაწილს, რომლებიც შორს აღმოსავლეთისაკენ „თურებით – სწრაფი ცხენებით“ სამომთაბარეო ოლქის მოსაპოვებლად გაიჭრნენ, „თურანებს“ უწოდებს. თურქიზაციის პერიოდში თურქებისათვის ეთნონიმის გადაცემა ყველას შეეძლო, როგორც ეს ბულგარელებისათვის ეთნონიმის გადაცემის მსგავს პროცესში მოხდა. აღნიშნულ კონტექსტში ყურადღება ირანულ **თურ**'სა და თურქულ **თიურ**'საც უნდა მიექცეს. **თურ**'ის **თიურ**'ში გადასვლა სავსებით კანონზომიერ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. მაგალითად, **ტიუმენ**'ი **ტუმან**'ისაგან წარმოიშვა. დაბოლოება -**კ** ბუნებრივია ირანული და თურქული ეთნიკური სახელწოდებებისათვის. ასეთებია: ტაჯი-კი, სოგდა-კი (სოგდიელი), სუკა-კი (სპარსი), კიფჩა-კი (ქართულად ყივჩაღი), კაზა-კი (კაზახი), ბეჯენე-კი (პეჩენეგი – ქართული პაჭანიკი), კუმი-კი, იურიკ-ი... სხვათაშორის, ზოგიერთი თურქული წარმომავლობის ხალხი სიტყვა **თიურქ**'ს როგორც **თიურიუქ**'ს ისე წარმოთქვამს. არაბი მემატრიანეები, ხშირად, თურქული მოდგმის ყველა ტომს, მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი იყო მათი ცალკეული სატომო ეთნონიმი, საერთო სიტყვით - **თურკ**'ით აღნიშნავდნენ ანდა სახელწოდებას არაბული ენის კანონზომიერების მიხედვით მრავლობითობის – **ატრაკ** ფორმით გადმოგვცემდნენ. ამაში იმ ავტორთა წერილობითი ტრადიცია აისახა,

რომელთა მეშვეობით თურქებს არაბული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები გაეცნენ. მაგალითად, გავიხსენოთ: **ტურკოი** – ბიზანტიელებთან, **ტორკი** – სომხებთან და ირანელებთან. სახელი **თურქოი** შუა აზიაში მცხოვრები ყველა იმ თურქული ტომის ეთნიკურ თვითშეგნებაში აისახა, რომელთაც მათი საერთო წარმომავლობა ახსოვდათ.

როცა ვეხებით ეთნონიმ „თურქს“ შეუძლებელია ყურადღება ერთ-ერთი შუა აზიური ტომის სახელწოდებამ არ მიიქციოს. ესაა ეთნონიმი **თიურქმენ**’ი. ამ სიტყვაში აშკარად ძველი სიტყვა **თიურკ**-ი მონაწილეობს. ერთგვარად, ენათმეცნიერებსა და ეთნოლოგებს შორის თურქმენი ხალხის სახელწოდების წარმოშობა დავას ინვესტ. ტერმინის ახსნას ფილოლოგები და ისტორიკოსები ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ცდილობდნენ. ესენი იყვნენ ბირუნი, მაჰმუდ ვასგარი და რაშიდ ად-დინი. მათ რამდენიმე გონივრული, მაგრამ ერთობ საეჭვო ვერსია წამოაყენეს. პირველი ვერსიით, სახელწოდება **თიურქმენ**’ი ადრინდელი ეთნონიმის **თიურქ**’ისა და ადგილის სახელწოდება **მენ(ია)**-ს შერწყმითაა წარმოქმნილი. ყველაფერი ეს ერთად აღებული კი თითქოს „მე ვარ – თიურქის“ ნიშნავს. ისმის კითხვა, უეცრად თურქმენებს რაში დასჭირდათ თურქული წარმომავლობის მტკიცება? ამაში, არა თუ მათ, არამედ მათ მეზობლებსაც ეჭვი არასოდეს შეუტანიათ. ბევრი ფიქრობს, რომ ამდაგვარი ეტიმოლოგია რეალობას არ ასახავს. მეორე თვალსაზრისის თანახმად, ეთნონიმ „თურქმენში“ ორი სიტყვაა შეერთებული – **თურქ** და **იმან** (არაბულად – „რწმენა“), რაც ერთიანობაში მორწმუნე თურქს, თურქ მუსლიმანს აღნიშნავს. მესამე ჰიპოტეზის მიხედვით, ეთნონიმი **თურქ**’ისა და **მანენდ**’ის (ირანულად „მსგავსი“) სიტყვაკავშირს წარმოადგენს, რომელიც შეიძლება, როგორც „თურქის მსგავსი“, ისე ითარგმნოს. საბოლოოდ, კიდევ ერთ ვერსიას სახელწოდება არაბული სიტყვიდან

– **ტარჯუმან**’იდან გამოყავს, რაც „მთარგმნელს” ნიშნავს. ამ ვარაუდის მიხედვით, **თურქმენ**’ი ესაა ისლამის მქადაგებელი, უფრო ზუსტად, თურქი, რომელიც თურქებს ისლამზე აქცევდა და დანარჩენ თურქებს შორის ისლამს გავრცელებდა. იგი იმავდროულად, მისიონერი იყო. ყველა ეს განმარტება, ბუნებრივია, სინამდვილესთან ახლოს მაინც არ დგას, მაგრამ მათში ეჭვს მხოლოდ ერთი რამ არ იწვევს – ათვლითი წერტილი. მართლაც, ყველა ვერსიის ამოსავალია ეთნონიმი **თიურკ**’ი და, როგორც ჩანს, ჭეშმარიტებაც უფრო მასშია დაფარული.

საერთოდ, აფიქსი **-მენ** და **-მან** ზოგიერთი თურქული არსებითი სახელისათვისაა დამახასიათებელი. მაგალითად, თურქულში ენაში გვხვდება: **ოირეტმენ**-ი (მასწავლებელი), **დანიშმან**-ი (მრჩეველი)... ზოგჯერ სუფიქსები სიტყვას სრულიად სხვა მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე მისი ძირი. ასეთია, **ათა** (მამა) – **ატამან**-ი (წინამძღოლი), **გიოკ**-ი (მტრედი) – **გიოკმენ**-ი (ლურჯთვალება), **გიოლ**-ი (ტბა) – **კიოლე** (მონა), **კიოლმენ** ეგვიპტეში მამლუქთა დინასტია, რომელიც მონებიდან იყვნენ გამოსულნი. ძირ **-თიურქ**’საც ასევე დაემართა. მან **-მენ** დაბოლოება მიიღო. ეთნონიმის მორფოლოგიური განვითარება არსებით ეთნიკურ ცვლილებებს, ახალი ხალხის გამოყოფას ასახავს. ახლადწარმოქმნილი ეთნოსი, ერთი მხრივ, ესწრაფვოდა განახლებადი დანიშნულება ჰქონოდა, ხოლო, მეორე მხრივ, წინაპრებთან მისი კავშირისათვის ხაზი გაესვა. ამგვარი მაგალითი მრავალია. მაგალითად, – **სლავ** ძირიდან **სლოვაკი** და **სლოვენი** აღმოცენდა. ძირმა – **რუს** ახალი ეთნონიმი – **რუსიჩ** წარმოქმნა, რომელიც „ამბავი იგორის ლაშქრობაში” იყო ასახული, ასევე, **რუსი** – კარპატიქეთა უკრაინელს გამოხატავდა. ბოლოს კი **რუსი**, რუსი ეროვნების აღმნიშვნელი სიტყვა მივიღეთ. ერთ-ერთი გერმანული ტომის ეთნონიმი – **ფრანკი** საფუძვლად ფრანგთა თვითსახელწოდებას – **ფრანსე**’ს დაედო.

იმავე პროცესებმა **სუომი** (ფინები) და **საამი** (ლოლარები) – ორი ახლო მონათესავე, მაგრამ მაინც სხვადასხვა ხალხის სახელწოდება ერთმანეთისაგან გაყო. შესაძლებელია ასეთი შედარებები არც თუ ისე დამაჯერებელი გზა იყოს, მაგრამ იგი ქემბარიტებისაკენ საუკეთესო გზის გამოძებნაში გვეხმარება.

ისტორიის სხვადასხვა საფეხურზე მჭიდრო იყო კავშირი ჩინურ სამყაროსთან. ძველი თურქების ლექსიკაში არაერთი ჩინური სიტყვაც შევიდა: **ბიტკ** (ნიგნი, წერილი), რომელიც თურქ მომთაბარეებში – იურიუკების ენაში შემორჩა; **კალინ-ი** (კალიმ-ი) – საპატარძლოს გამოსასყიდი, **სიუ** (ჯარი), რომელიც **სიუბაშ'**-ისთან თუ **სუბაშ'**-ისთან (სამხედრო ხელმძღვანელი) შესატყვისობაში გამოიყენებოდა. ოსმალეთის იმპერიაში არსებობდა, ხოლო ახლა თურქულ ენაში ფიგურირებს სიტყვა **სუბაი** – ოფიცერი, სიტყვასიტყვით სამხედრო ბატონი. შხვადასხვა ხალხთან და ტომთან მრავალსაუკუნოვანი კონტაქტების საფუძველზე ინდოევროპული გავლენები ყველაზე უფრო თვალსაჩინო იყო და იგი, უპირველესად, ენაში გამოვლინდა. ყველაზე ადრეული ნასესხობა თურქულ ენაში ორხონო-ენისეის წარწერებშია დაფიქსირებული. მათ შორისაა თოხარული და ირანული **ბემ-ი** (ხუთი), **ტიუმენ-ი** (ათი ათასი), **კიუნ-ი** (**გიუნ-ი** – დღე), **ოკიუზ-ი**, **ბეგ-ი** (ბატონი, ბელადი), სხვა ვარიანტებიდან **ბეკ-ი** (ბეი//ბაი), **ტონ-ი** (**დონ-ი**: ტანსაცმელი)... ამათგან საკუთრივ თოხარული შესატყვისობებია: **ჰიმ-ი** (ხუთი), **თუმანე**, (ათი ათასი), **კომ-ი** (დღე), **ოქსო**, ხოლო საერთო ირანულია: **ბაგ-ი** (ბატონი, ღმერთი – შდრ. რუსულ **бог**-ს), საკურიკი კი – **თაუნა** (ტანსაცმელი)... ყველა ეს სიტყვა თანამედროვე თურქულ ენაში იმავე მნიშვნელობებითაა გამოყენებული. თურქი მომთაბარეების მიერ თითქმის ყველა ტიტულატურა აღმოსავლეთ თურქმენისტანისა და დასავლეთ ჩინეთის ირანულენოვანი იმ ტომებისაგანაა აღებული, რომლებიც ჰუნთა

ეპოქის დასასრულს – ძვ. წ. III-IV ათასწლეულებში თურქებთან იყვნენ ასიმილირებულნი. ტომში დანიშნურებული ფენის ტიტულატურა იყო: **ჯაბგუ** (თავადი, პრინცი, ხანის ნაცვალი), **შადი** (სამხედრო წინამძღოლი) - შდრ. ქართულში საკუთარ სახელს „შადიმანს“), **ბაგა** (რაინდი), **ბაგატური** (დიდი კაცი, გოლიათი), **იშბარა** (რაინდი)... ამათი ირანული შესატყვისობებია: **ჩაუში**, **კშატი** (ინდოევროპელებთან **ქშარტი** – მეომარი), **ბაგ**, **ბაგატური**, **ასჰბარა**. ეს ბოლო სიტყვა მხედარს ნიშნავს და ორი სიტყვისაგან შედგება –**ასპ’ისა** (ცხენი) და **ბარა’საგან** (ცხენზე ზემოთ შემომჯდარი მგზავრობა). სხვათაშორის, რუსულ სიტყვა „**ბაგატირსაც**“ ირანული წარმომავლობა აქვს. უფრო სარწმუნოა იგი სლავურში სკვითებისაგან მოხვედრილიყო. ასევე, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ძველი თურქების წმინდა ტოტემური ცხოველის სახელწოდება **ბერიუ** – ირანული წარმომავლობისაა.

ვარაუდობენ, რომ თურქთა წინაპრების ტოტემი მგელი იყო. ჩინელი მემატიანეები თურქთა წარმოშობაზე არაერთ ლეგენდას გადმოგვცემენ. ერთ-ერთი ასეთი გენეალოგიური მითი რომის დამფუძნებლების – რომულესა და რემეს ლეგენდას ჩამოგავს, რომლებიც კაპიტოლიის მგლების გამოკვებილნი იყვნენ. მითის თანახმად ერთხელ მტრებმა მთელი ტომი გაანადგურეს. ცოცხალი მხოლოდ ათი წლის ბიჭი გადარჩა. იგი შიმშილით სიკვდილისაგან მგელმა იხსნა, რომელსაც მისთვის ხორცი მიჰქონდა. როცა ეს „მაუგლი“ გაიზარდა, მგელმა ალტაის მთებში მისგან ათი შვილი შვა. მათ ცოლები ტურფანიდან მოიყვანენ, სადაც ჩინეთის ამ ჩრდილო-დასავლეთ მხარეში ძველად ინდოევროპელები – „თოხარები“ მოსახლეობდნენ. ეგენდის თანახმად, ამ საქორწინო კავშირებიდან, თურქები გაჩნდნენ. თუ ჩვენ გადმოცემას მითურ დანაშრევებს მოვაცილებთ, მაშინ დავინახავთ, რომ მონათხრობი არც თუ ისე

შორსაა სიმართლისაგან: თურქების შერევა ინდოევროპელებთან ჯერ კიდევ ადრე, თურქთა წინარე სამშობლოში დაიწყო.

შუა აზიაში ეთნონიმი **თურქმენი** ისლამის გავრცელებამდე არსებობდა. იგი ჯერ კიდევ VIII საუკუნის დასაწყისის სოგდიურ და ჩინურ წყაროებში გვხვდება. როგორც ჩანს, თურქმენული ტომების სხვა თურქებისაგან გამოყოფა საკმაოდ ადრე დაიწყო. მომთაბარულად სამხრეთისაკენ გადაადგილებულმა ოღუზებმა თურქმენთა ეთნოგენეზი დააჩქარა, თურქთა ეთნოგენეზი კი მრავალ ფაქტორთან კონტექსტში განვითარდა.

თურქები ანთროპოლოგიურად. ანთროპოლოგიური თვალსაზრისით თურქები ერთგვაროვანნი არ არიან. ძირითად ანთროპოლოგიურ ტიპს ბალკანურ-კავკასიური რასა (წინააზიური ვარიანტი) წარმოადგენს. თურქთა ანთროპოლოგიური დახასიათება რამდენიმე მეცნიერმა მოგვცა. ინგლისელი ჯ. რეიდი მათ სამ ტიპს გამოყოფდა: თურქ-მონღოლოიდებს, რომლებიც, მისი აზრით, ჩინგიზ-ხანის თათრების შთამომავლები არიან; თურქ-ევროპეიდებს, რომლებიც მცირეაზიელი ისლამიზებული და გათურქებული მოსახლეობის ჯგუფებისაგან წარმოიშვნენ და „შერეულ თურქებს“, რომლებიც ორი დასახლებული ჯგუფის მეტისაციის შედეგად გაჩნდნენ. სხვა ავტორთა აზრით, მონღოლოიდური ელემენტები თურქებში უმნიშვნელოდაა გამოხატული და იგი დაკავშირებულია არა მონღოლოიდებთან, არამედ შუა აზიის ადრეშუასაუკუნეების თურქებთან. მონღოლოიდური ელემენტი, რომელიც ჯერ კიდევ ძალიან სუსტად იყო გამოხატული, შუა აზიისა და კავკასიის მოსახლეობასთან შერევის შედეგად, მცირე აზიაში ოღუზებმა და თურქმენმა ტომებმა მოიტანეს. ოღუზთა და თურქმენთა მონღოლოიდური ნიშნები, მცირე აზიაში ადგილობრივ ევროპეიდულ მოსახლეობასთან შერევის შედეგად თითქმის სრულიად განზავდა. ნ. არისტოვის აზრით, თურქთა სხვადასხვა ტიპის არსებობა იმ

თურქთა მეტისაციის შედეგია, რომლებიც შუა აზიიდან მცირე აზიაში არა უადრეს ცხრა საუკუნის წინ გადმოსახლდნენ. საერთო სარწმუნოებისა და ენის მატარებელი, მაგრამ სხვადასხვა მხარის თურქები თავისი ფიზიკური ტიპით ერთმანეთისაგან მნიშვნელონად განსხვავდებოდნენ, რასაც სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობა და ნაჯვარებში თურქთა სისხლის სიხშირე განაპირობებდა.

ბ. ჩებოქსაროვი თურქებს შორის სამხეთ ევროპეიდების ხმელთაშუა ზღვისპირულ-ბალკანურ ჯგუფს გამოყოფდა. თურქთა შორის სამხრეთ ევროპეიდების სხვა ჯგუფიცაა გავრცელებული – წინა აზიური, სხვანაირად, არმენოიდული, ასიროიდული ანუ ანატოლიური. ამ ჯგუფის წარმომადგენლები უმეტესად ქვეყნის აღმოსავლეთში გვხვდებიან. მონღოლოიდური ელემენტი თურქებში თითქმის გაქრა, სუსტად გამოსახატული ეპიკანტუსი მხოლოდ ზოგიერთ ლოკალურ ჯგუფში გვხვდება.

ვ. ბუნაკი მიიჩნევდა, რომ თურქთა ფიზიკური ტიპის ჩამოყალიბებაში არანაკლებ ოთხი ძირითდი კომპონენტი მონაწილეობდა. ესენი შემდეგი ანთროპოლოგიური ტიპებია: „ჭოროხ-რიონული“, „პონტო-ზაგროსული“, „ბალკანურ-დინარული“, როგორც ადგილობრივი უძველესი მცირეაზიური და ბალკანური ელემენტი, და „კასპიისიქითა“ ტომი, რომელიც ადგილობრივი წარმოშობის არ იყო. ჭოროხ-რიონული ტიპი ძირითადად თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთშია გავრცელებული. ამასთანავე ისინი გაფანტულად მთელ ანატოლიაში გვხვდებიან, დაკავშირებული არიან ასიმिलირებულ ლაზებსა და მათ მონათესავე ქართველებთან. ფიქრობენ, რომ ამავე ანთროპოლოგიური ტიპის წარმომადგენლები მცირე აზიის ძველი ხალხები – ხეთები, ლიდელები, კარიელები იყვნენ.

პონტო-ზაგროსული, კერძოდ, წინააზიური, არმენოიდული და ასიროიდული ტიპი, ძირითადად, აღმოსავლეთ ანატოლიაში მკვიდრობს. ისიც უძველეს მცირეაზიულ ტიპს მიეკუთვნება და ურარტუს სახელმწიფოსთან იყო დაკავშირებული. ბალკანურ-დინარული ტიპი დამახასიათებელია დასავლეთ ანატოლიისა და აღმოსავლეთ ორაკიის რაიონებისათვის. იგი აგრეთვე ბალკანეთის ხალხებში – ბერძნებში, ბულგარელებსა და სერბებშია გავრცელებული. თურქებთან ამ ხალხების ნაწილი თურქიზაციის შედეგად მოხვდა. კასპიისიქეთა ტიპს თურქეთში განსაზღვრული ლოკალური ტერიტორია არ მოეპოვება, რადგან იგი ძირითადად გაქრა და მხოლოდ რიგი ნიშანი შეინარჩუნა. მისი გავრცელება ანატოლიაში სელჯუკთა დაპყრობების პერიოდს უკავშირდება. ისტორიული და ლინგვისტური მონაცემებით თურქ-სელჩუკები ძალიან ახლოს იყვნენ თურქმენებთან, რომლებიც კასპიისიქეთა ტიპის თანამედროვე წარმომადგენლები იყვნენ.

თურქებს შორის ანთროპოლოგიურად სხვა ტიპიც გვხვდება, მაგალითად, ცისფერთვალეა, ქერა და, აგრეთვე, თითქმის აფრიკული იერსახის, ძალიან მუქი პიგმენტაციის შავგრემანი ხალხი. ყოველივე ეს თურქთა განსაკუთრებულ ჰეტეროგენულ წარმომავლობაზე მიუთითებს. საერთოდ, სისხლის ჯგუფის გამოკვლევის შედეგებით თურქები ევროპულ და აზიურ რასებს შორის შუალედურ ჯგუფს ქმნიან.

ამრიგად, თურქები ანთროპოლოგიურად, პირველ რიგში, სელჯუკებამდელი და ოსმალბამდელი ბალკანეთის მცირე აზიის ადგილობრივ მოსახლეობასა და მოსულ, ძირითადად, შუა აზიელ ოღუზურ-თურქმენულ ელემენტებთან არიან დაკავშირებულნი.

ლინგვისტური იერსახე – ენა. თურქები ალთაურ ენათა ოჯახის თურქული ჯგუფის თურქულ ენაზე ლაპარაკობენ.

გამოიყოფა ანატოლიური ჯგუფის დიალექტები, კერძოდ, სამხრეთ-დასავლური, ცენტრალური, აღმოსავლური, ჩრდილო-აღმოსავლური, შავიზღვისპირული, სამხრეთ-აღმოსავლური, კასტამონიური, კარამანული და რუმელიური ანუ აღმოსავლეთ თრაკიული. თურქული ენის შესწავლაც ააშკარავებს, რომ თურქი ხალხის ჩამოყალიბებაში განმსაზღვრულ კომპონენტს თურქული ტომები წარმოადგენენ. XIII საუკუნიდან თურქებს დამწერლობა არაბული ანბანის გრაფიკულ საფუძველზე ჰქონდათ. 1928 წლიდან კი ენა ლათინურ გრაფიკას დაეფუძნა. თურქული ენის ლექსიკური ფონდის უმეტესი სიტყვა – თურქულია. თურქული ლექსიკა თურქულ ენაში ძირითადად ოღუზური სიტყვებითაა წარმოდგენილი, მაგრამ სხვა ხალხების ასიმილაციამ თავისი კვალი მასაც დააჩნია. ასიმილაციური ენებიდან თურქულ ენაში არაერთი სიტყვა შევიდა. დიდი რაოდენობითაა არაბიზმები. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ისინი ისლამის მიმდევარ ყველა ხალხში გავრცელდა. ამდენად, არაბიზმები თურქულ ენაში (სამეტყველო ენაში – 30%, სალიტერატურო ენაში – არანაკლებ 50%-ისაა) არაბების თურქთა ეთნოგენეზში მონაწილეობის შედეგი არაა, თუმცა დღევანდელ თურქულ ეთნოსში არაბული კომპონენტიცაა წარმოდგენილი, მაგრამ არა იმ რაოდენობით, როგორაც იგი ბერძნულში, სომხურში, ქართულში, ქურთულსა და სლავურშია ასახული. ადგილობრივ მოსახლეობასთან შერევის შედეგად თურქი მომთაბარენი აბორიგენული ცხოვრების წესზე გადადიოდნენ და ადგილობრივი მოსახლეობისაგან მიწათმოქმედებისა და ბინადარი ცხოვრების ჩვევებს ითვისებდნენ. შეიძლება ითქვას, რომ სამეურნეო-კულტურული ასიმილაციის თვალსაზრისით ადგილობრივი ხალხები იმარჯვებდნენ, რომლებიც უფრო დიდი საბინადრო და სამიწათმოქმედო კულტურის მიმდევრები იყვნენ, მაგრამ ენობრივი თვალსაზრისით გამარჯვება თურქულ დიალექტებს რჩე-

ბოდათ, თუცა ადგილობრივებისაგანაც ლექსიკურ ერთეულებს დიდი რაოდენობით სესხულობდნენ.

ენობრივი ასიმილაციის თვალსაზრისით თურქული ენის გამარჯვება ვრცელ ტერიტორიებზე მათმა დომინირებულმა მდგომარეობამ განაპირობა. ბუნებრივია, მათი ენაც ეროვნებათა შორის ურთიერთობის ენად იქცა. ამასთანავე, უცხოენოვანი მოსახლეობისათვის თურქული ენა ადვილად შესათვისებელი იყო. იგი ფონეტიკურად მარტივია, მარტივია მისი გრამატიკა, განსაკუთრებით კი –სამეტყველო ენა.

თურქულ ენაში შეიძლება რამდენიმე სუბსტრატი გამოვყოთ. ბერძნებმა განუსაზღვრელად დიდი წვლილი შეიტანეს თურქულ კულტურაში. ბევრი ბერძნიზმია საზღვაო, მეთევზეობის, სამინათმოქმედო, აგრეთვე, მატერიალურ კულტურასა და საცხოვრებელ სახლებთან დაკავშირებულ ტერმინებში. თურქთა ეთნოგენეზისში ბერძნების დიდ წვლილზე კონსერვატიული ლექსიკიდან არაერთი ბერძნული სიტყვის, განსაკუთრებით, ინტიმური, სხეულისა და ორგანიზმის ნაწილთა სახელწოდებათა შეღწევა მიუთითებს. მეცნიერები თურქულ ენაში სომხურ და ქურთულ პლასტებსაც პოულობენ, მრავლადაა თურქულში ქართული ენობრივი დანაშრევიც, მაგალითად, ქართული ლექსიკის კუთვნილებაა ისეთი სიტყვები, როგორებიცაა – „ქოთანი“, „მოდგამი“, „ნახირჯი“ და სხვა მრავალი. თურქულ ენაში მრავალი სიტყვაა ირანული ენიდანაა შესული.

ეთნოკულტურული ეტიუდები – თურქ ხალხს, ისე როგორც თითქმის ყველა სხვა ხალხს, მხოლოდ ერთი წინაპარი არ ჰყავთ, არამედ ეთნოსი ბევრი ეთნიკური კომპონენტისაგან შედგება. საკმაოდ მცირერიცხოვანნი არიან ქრისტიანი-თურქები, რომლებიც თავიანთ თავს „კარა-მანლის“ უწოდებენ. ესენი არიან გათურქებული მცირეაზიელი ბერძნები. მათი ძირითადი ნაწილი თურქეთის ქალაქ კაისერის მახლობლად

ცხოვრობს. კარამანლებს დამწერლობა ბერძნულ ანბანზე აქვთ და თავიანთი ლიტერატურაც გააჩნიათ.

თურქეთის, განსაკუთრებით ქალაქების მოსახლეობა, უკანასკნელ ხანს სულ უფრო „ევროპეიზდება“. მათ დიდი ხანია ევროპული – თანამედროვე ტანსაცმელი აცვიათ. კვების მხრივაც დიდი ხანია ევროპული გავლენა იგრძობა, თუმცა ბევრი კერძი ნაციონალური თავისებურებებითა და სახელწოდებებით გამოირჩევა, მაგალითად, **ფლოვი** (ფლავი). კვლავ მკაცრად იკრძალება ღორის ხორცი, მაგრამ სპირტიან სასმელებს იქ ისლამი თითქმის აღარ კრძალავს, მეტ-ნაკლებად უფრო მისაღებია წითელი შეფერილობის ღვინო. თურქებს ძალიან უყვარდათ და უყვართ ტკბილეულობა, მაგრამ მას, ჩვეულებრივ, საჭმელთან ერთად არასდროს არ ჭამენ. ტკბილეულობის დასამზადებლად თაფლისა და ბარამბოს, ასევე, გადადუღებულ და შესქელებულ ყურძნის წვენს – „ბაქმაზს“ იყენებენ.

სოფლის მეჩეთის არქიტექტურაზე ქრისტიანული საკულტო ნაგებობების გავლენა მეტ-ნაკლებად შესამჩნევია, და ეს ბუნებრივიცაა, რადგან მეჩეთებს ქრისტიანი მშენებლები აშენებდნენ, რომლებსაც სოფლის მცხოვრებნი მახლობელი ქალაქებიდან იწვევდნენ. სხვათაშორის, ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ თურქებმა გაითავისეს ბერძენთა რელიგიური დღესასწაული – გიორგობა. მას თურქებმა ხიზრას ხსოვნის დღე დაამთხვიეს, რომელიც მათი წმინდა მფარველი იყო. მიაჩნდათ, რომ ამ დროს ყვავილები იფურჩქნებოდნენ, ბუღბუღები მოფრინავდნენ. მთელ ქვეყანაში ბაზრობები იმართებოდა. ამ დროს სადღესასწაულო პიკნიკებზე მანონს, ტოლმას, ჰალვასა და ყველს მიირთმევდნენ.

თურქეთის ყავა, რომელიც მსოფლიოში ცნობილია და გავრცელებულია, თურქეთის კულტურის ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ავამ ოსმალეთის იმპერიაში, ძირითადად, XVI საუკუნიდან, 1543 წლიდან დაიწყო გავრცელება. დროთა განმავლობაში, ყავა სოციალური ცხოვრების წესის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. მან ძალიან მალე დიდი პოპულარობა მოიპოვა და თურქული სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა, თუმცა XVI და XVII საუკუნეებში იგი ხელისუფლებამ რამდენჯერმე აკრძალა. ისე თურქეთში, კერძოდ, სტამბოლში ყავა XVI საუკუნის დასაწყისში იემენიდან შევიდა. თანდათანობით იგი ისეთი პოპულარული გახდა, რომ ერთგვარ კულტურადაც ჩამოყალიბდა. XVI საუკუნეში, სულთან სულეიმანის კარზე ყავის მომხარშავის სპეციალური თანამდებობაც კი არსებობდა, რომელიც პასუხისმგებელი იყო „ბრძენებისა და მოჭადრაკეების სასმლის“ ხარისხსა და გემოზე. უკვე მაშინ არსებობდა ზუსტი ინსტრუქცია ყავის მოხალვის, დაფქვის, მოდულებისა და სერვირების შესახებ. 1554 წელს, სტამბულში პირველი ყავახანა გაიხსნა. რეალურად თურქეთში ამ დროიდან სათავე დაუდო თურქული ყავის კულტურას. საუკუნის ბოლოს უკვე ექვსასამდე ყავახანის დაწესებულება არსებობდა. ასეთ ადგილებში სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები იკრიბებოდნენ, ენეოდნენ ყალიონს და საუბრობდნენ აქტუალურ თემებზე. უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთში ყავა არ იზრდება და არც იწარმოება. თურქული ყავა, ანდა გნებავთ ყავა თურქულად –

არაბიკას სორტის ყავის მარცვლებია, კარგად მოხალული და მტვერივით წმინდად დაფქული, რომელსაც შემდეგ სპეციალურ ქურჭელში, ჯეზევეში ცხელ ქვიშაზე ანდა ნაკვერჩხალზე ხარშავენ. თურქეთში ყავას სხვადასხვა ხერხით ამზადებდნენ და დღესაც ამზადებენ. ყავის მომზადების ყველაზე გავრცელებული მეთოდია წვრილად დაფქული ყავის მარცვლების მოხარშვა, რომელსაც, ხშირად შაქართან ერთად და მცირე ზომის ფინჯანით მირთმევენ. მისი სახელი მომზადების წესზე და არა მარცვლის წარმომავლობაზე მიუთითებს. ყავის მოხარშვის მსგავსი წესი თურქეთის გარდა მახლობელ აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ აფრიკასა და ბალკანეთის, ასევე, სამხრეთ კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებშია გავრცელებული, თუმცა ყოველ რეგიონში მას საკუთარი სახელით მოიხსენიებენ, მაგალითად, სომხური ყავა, ბერძნული ყავა ანდა არაბული ყავა, რაც, პრინციპში, ანალოგიური მეთოდით მომზადებულ ყავას ჰქვია, მაგრამ მაინც ყველგან, მათ შორის, საქართველოში, ზოგადად ამგვარ ყავას „თურქულს ყავას“ უწოდებენ, ვინაიდან პირველი ყავახანები სწორედ ოსმალეთის იმპერიაში გაჩნდა. ხშირად, თუქრული ყავის ნალექს მკითხაობის მიზნითაც იყენებენ.

საინტერესოა თურქეთში თამბაქოს ისტორიაც. ყავის მსგავსად, თურქეთში თამბაქოც რამდენიმეჯერ აიკრძალა. თამბაქო თურქეთში 1601 წლიდან გამოჩნდა.

ბოლო დრომდე თურქთა რიგ ეთნოგრაფიულ ჯგუფში ბევრი არათურქული და მუსლიმამდელი წეს-ჩვეულება იყო შემორჩენილი, მაგალითად, ტახტაჯებთან ქორწილში ნეფე და დედოფალი ღვინოს სვამდნენ, დაკრძალვის დროს მიცვალებუ-

ლის კუბოს ყვავილებით რთავდნენ. ქელისას რაიონის თურქმენებში საქორწილო დროშაზე ხშირად ჯვარს გამოსახავდნენ. ჯვრის გამოსახულება გვხვდებოდა ხალხურ ნაქარგობასა და ხალიჩებზეც.

თურქები სარწმუნოებით მუსლიმანი-სუნიტები არიან. ნიშანდობლივია, რომ ნახევარმთვარის სიმბოლო ყველა მაჰმადიან ხალხში თურქებისაგან გავრცელდა, თურქებმა კი ნახევარმთვარის სიმბოლო ბიზანტიელებისაგან შეითვისეს. ალექ ბიზანტიონის – კონსტანტინეპოლის დროშაზე ნახევარმთვარე და ვარსკვლავი იყო გამოსახული. ქალაქის აღების შემდეგ თურქებმა ეს დროშა დაიტოვეს, რადგან თავი ბიზანტიის მემკვიდრეებად გამოაცხადეს. ეს სიმბოლიკა კი მაჰმადიან სამყაროში მას შემდეგ გავრცელდა, რაც თურქებმა მთელი მახლობელი აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი აფრიკა დაიპყრეს.

თურქთა ყოფაში პატრიარქალური და ისლამური წეს-ჩვეულებები დღესაცაა შემორჩენილი. ძლიერი იყო ოჯახში მამის გავლენა. ქორწინება პატრილოკალურ პრინციპებს ეფუძნებოდა. ხშირად დაქორწინება ახალგაზრდების თანხმობის გარეშე ადრეულ ასაკში ხდებოდა. თურქეთში ცოლს ფაქტობრივად გაყრის უფლება არ ჰქონდა, მაშინ, როდესაც მამაკაცს უბრალო ფორმულის წარმოთქმის შემდეგაც შეეძლო ცოლს გაყროდა. ზოგან შემონახული იყო დიდი სახლეულები და მუსლიმანობამდელი რწმენა-წარმოდგენები. ოჯახი ყოველთვის ცალკე სახლდებოდა. სახლში ავეჯი ცოტა ჰქონდათ, ხალიჩები კი დიდი რაოდენობით. ხალიჩები ეკიდათ კედლებზე, იყენებდნენ სანოლად, ლოცვისას მუხლქვეშ იდებდნენ. საერთოდ, მუსლიმანთა რწმენა-წარმოდგენებზე და, სელჩუკთა დროიდანაც, ჩვეულებებზე ადგილობრივ ბინადარ ქრისტიანთა გავლენა დიდი იყო. მაგალითად, დაკრძალვის დროს პრაქტიკაში იყო თავის გადაპარსვა, ხოლო სამგლოვიარო ფერი შავი იყო. ცნობილია

ტრაურის ორმოცი დღის მანძილზე შენახვის წესიც, ასევე, ცნობილია დერვიშთა სამგლოვიარო ტანსაცმლის ქრისტიანული წარმომავლობა. თვით დერვიშთა შორის ბექტაშები ქრისტიანები იყვნენ. სულთან გიასედდინი ქეიხუსრევი II ფარულ ქრისტიანად ითვლებოდა. თანამედროვე თურქები მცირე აზიაში დღესაც ბუნდოვნად, მაგრამ მაინც ინახავენ ხსოვნას ძველი რწმენის შესახებ. ქალები სოფლებში, როცა პურს აცხობდნენ, მასზე ჯვარს გამოსახავდნენ, განსაკუთრებით ამ წესს ისინი ინახავდნენ, რომლებიც ანატოლიის ძველ მოსახლეობას წარმოადგენდნენ და შემდეგ თურქებთან მჭიდროდ იყვნენ ინტეგრირებულნი. თურქთა ამდაგვარი ორსარწმუნოებრივი მდგომარეობის შესახებ ადრე არაერთი მოგზაურ-დამკვირვებელი შენიშნავდა. ისე, იყო პირუკუ პროცესებიც, როცა, მაგალითად, ბერძენი ქრისტიანები არაქრისტიანის, ამ შემთხვევაში, მუსლიმანის სამოსს ატარებდა და მის ენაზეც საუბრობდა.

ძველ თურქეთში წვერის ტარება სავალდებულო არ იყო, მაგრამ ყველა ცნობილი ადამიანი – მასწავლებლები, ჩინოვნიკები მაინც წვერით დადიოდა: ეს მათ ღირსებას მატებდა. ჩვეულებრივ თურქები თავს მთლინად იპარსავდნენ. ვაჟების ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენას წინდაცვეთა წარმოადგენდა. წინდაცვეთა საერო მოვლენა იყო და მისი შესრულების დროს რაიმე განსაკუთრებული ლოცვა არ სრულდებოდა. ეს ოპერაცია ბიჭებს ძირითადად შვიდი-რვა წლის ასაკში უტარდებოდათ. წინდაცვეთის დროს ოჯახში სტუმრები იყრიდნენ თავს. ისინი ვაჟს მონიფულობას ულოცავდნენ და ამავე დროს, საჩუქრებიც მიჰქონდათ. თურქეთში ქორწინება მხოლოდ სამოქალაქო საქმედ ითვლებოდა. საკრალური წეს-ჩვეულებებისაგან იგი თავისუფალი იყო. ქორწინებისათვის სასურველი დღეები

პარასკევი და ორშაბათი მიიჩნეოდა. ქორწილი მუსიკისა და ცეკვის თანხლებით მიმდინარებდა.

თურქული მუსიკა და ცეკვები სხვა თურქულენოვანი ხალხების მუსიკისა და ცეკვებისაგან საგრძნობლად განსხვავდებოდა. ამის მიზეზად კი იმას ასახელებენ, რომ იგი ძირითადად არაბული და ბერძნული ხალხური შემოქმედების სინთეზის შედეგად იყო ჩამოყალიბებული.

სპორტის ნაციონალურ სახეობას მშვილდ-ისრით სროლა წარმოადგენდა. გამარჯვებულები ეროვნული გმირები ხდებოდნენ. პოპულარული იყო ცხენოსნობა.

თურქთა უმეტესობა მეურნეობაშია დასაქმებული. თესვის დაწყება და მოსავლის აღება ერთგვარი დღესასწაული იყო.

თურქები დიდ პატივს მიაგებენ XIII საუკუნის პოეტს და ფილოსოფოს ჯალალედინ რუმს (1207-1273 წლები), რომელსაც „ჩვენი მასწავლებლის“ სახელით მოიხსენიებენ. მან დაარსა სუფიური¹ ორდენი „მეველი“, რომლის მიმდევრები „მოცეკვავე დერვიშებად“ იყვნენ ცნობილნი.

თურქეთში საყოველთაო აღიარება აქვს მოპოვებული არქიტექტორ კოჯა სინანს (1451-1588 წლები). იგი წარმოშობით ბერძენი იყო, რომელიც სულთნის მთავარი არქიტექტორი გახდა. მისი პროექტებით იყო აშენებული დაახლოებით სამასი არქიტექტორული ნაგებობა – მეჩეთები, სასახლეები, ქარვასვლები, ბიბლოთეკები, შადრევნები, აბანოები, ხიდები. სინანას შემოქმედების მწვერვალად სტამბოლის შაჰზადეს, სულეიმანისა და ედირნეს სელიმის მეჩეთები ითვლება.

მოგზაურმა, გეოგრაფმა და მწერალმა ევლია ჩელებიმ (1611-16823 წლები) ათტომიანი „მოგზაურთა წიგნი“ შექმნა. მასში საყურადღებო მონაცემებია თავმოყრილი ოსმალეთის, საქართველოსა და კავკასიის ხალხების შესახებ.

¹ სუფიზმი - ისლამის მისტიური მიმდინარეობა.

თურქული ნაციონალური იდეის ყველაზე გამოკვეთილი წარმომადგენელი ფილოსოფოსი და პოეტი ზია ჰეკალპი (1876-1924 წლები) იყო.

მწერლებს შორის ხშირად ასახელებენ პოეტ ნაზიმ ჰიქმეთს (1902-1963 წლები). დღევანდელი თურქეთის სახელმწიფოს შემქმნელია გენერალი და პოლიტიკური მოღვაწე მუსტაფა ქემალ ათათურქი (1881-1938 წლები). ნაციონალური გმირის, თურქეთის პირველი პრეზიდენტის – ათათურქის პორტრეტებით, ძეგლებით და გამონათქვამებითაა მოფენილი თურქეთის ტერიტორია.

თურქების ეთნოეტიკეტი და ეთნოგრაფიული ეტიუდები

თურქთა ეთნოეტიკეტი: თურქების ეთნოეტიკა უშუალოდ იყო დაკავშირებული ხალხთა სულიერი კულტურისა და საზოგადოებრივი ყოფის ასპექტებთან, რითაც მათი ეთნიკური სპეციფიკა მკაფიოდ იხსნება. ეთნოეტიკეტი ხალხური ყოფით იკვებებოდა, სადაც დაფარული იყო ეთნოეტიკური თავისებურებები. ბოლო ათწლეულის მანძილზე ეთნოლოგებისა და ისტორიკოსების ყურადღება ეთნოეტიკეთთან დაკავშირებული პრობლემების ირგვლივ ერთი-ორად გაიზარდა.

ტერმინი „ეთნოეტიკეტი“ (ethnoetics) შინაარსობრივად თავად ცნების არსს გვიხსნის. მასში აკუმულირებული ცნებათა კომპლექსი სხვადასხვა-ისტორიულ, კულტურულ და იდეოლოგიურ ფაქტორებთან იყო დაკავშირებული. ეთნოეტიკეტი ორი სიტყვისაგან შედგება – „ეთნო“ (ethno), რომელიც ძველბერძნული წარმომავლობისაა და ხალხს ნიშნავს და „ეტიკეტი“ (etikette, étiquette). ეტიკეტი ფრანგული ენის (etiquette –მცირე, პატარა ეტიკა) მეშვეობით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გავრცელებული და დამკვიდრებული სიტყვაა, რომლის წარმომავლობის შესახებ თავად ფრანგ სპეციალისტთა შორის სრული თანხმობა არაა. ასე მაგალითად, რობერის ცნობილ ლექსიკონში ეტიკეტის ცნების განმარტებისას ნათქვამია, რომ იგი ჰოლანდიური ენიდანაა ნასესხები და მომდინარეობს სიტყვა ticket-დან. განმარტებაში იქვე მითითებულია, რომ იგი ინგლისური სიტყვაა, რომელიც ბილეთს, ტალონს, იარლიყს აღნიშნავს. ადოლფ ჰატცფელდისა და არსენ დარმესტეტერის ლექსი-

კონში ეტიკეტის ცნების საფუძველი გერმანიკული წარმოშობისადაა გამოცხადებული. ანალოგიური აზრია გამოთქმული ინგლისურენოვან ენციკლოპედიაში – „ბრიტანიკაში“. ეტიკეტი ვინრო, ისტორიულად თავდაპირველი მნიშვნელობით ურთიერთობათა დადგენილი წესების ერთობა იყო, რომელიც სასახლის კარზე, დიპლომატიურ წრეებში იყო მიღებული. ფართო მნიშვნელობით იგი ამა თუ იმ საზოგადოებაში ქცევის ნორმათა ერთობლიობას წარმოადგენდა, აღნიშნავდა თავაზიანობასაც. საზოგადოებაში შეიძლება გამოხატული ყოფილიყო სქესობრივ-ასაკობრივი, კასტური, წოდებრივი, პროფესიული დაყოფა. ამჟამადაც, ეტიკეტის შინაარსია სოციალური ნორმები და ჩვევები, თუმცა უკვე მათ რამდენადმე ისეთი არსებითი მნიშვნელობა აღარ გააჩნიათ, როგორც მაგალითად – მორალს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს უკანასკნელნი ქცევის შინაგან ბუნებას თუ ასახავენ, მაშინ სხვები მის გარეგან გამოვლინებებს წარმოადგენენ. მსგავსი ანდა საპირისპირო სქესისადმი თუ შენი და სხვა ასაკობრივი კატეგორიისადმი, სოციალურ საფეხურზე მალლა თუ დაბლა მდგომისადმი მიმართვისას განსხვავდება მორალური წარმოდგენებისა და ნორმების გამოხატული სოციალური დისტანციებით რეგულაციაა ლესლი უაიტს შემოთავაზებული ჰქონდა, ერთის მხრივ, სხვადასხვა სქესობრივ-ასაკობრივი და სოციალური ჯგუფის ეტიკეტი და მორალი, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოების წევრთა ქცევის რეგულაცია ერთმანეთისაგან განესხვავებინა. მისი აზრით, ეტიკეტი სოციალურ ინტეგრაციას ემსახურება და ამიტომ უფრო მკაცრია, ვიდრე – მორალი, თუმცა თუ ჩავუღრმავდებით პრობლემის არს დავინახავთ, რომ მორალი – კანონიც საზოგადოების ინტეგრაციას ემსახურება, რომლიდანაც არაერთი ნორმა არანაკლებ მკაცრადაა სანქციონირებული, ვიდრე ეტიკეტისა. როგორც ვინრო, ისე ფართო მნიშვნელობით ტერმინ

ეტიკეტში მოთხოვნები ისტორიულად იყო განპირობებული და დამოკიდებული იყო იმაზე, სხვადასხვა ეპოქაში თუ რამდენად მჭიდროდ იყო დაკავშირებული ინდივიდები ტრადიციებთან. მთლიანობაში ასეთი მოთხოვნები აგრარულ ეპოქებში საგრძნობლად გამოხატული იყო, მაშინ როცა თანამედროვე კომერციულ საზოგადოებებში ქცევის ეტიკიზაცია თანდათანობით შეიცვალა და მეორეხარისხოვანი გახდა. თავად კომუნიკაციის კულტურის ინტერნაციონალიზაციის კვალდაკვალ ეტიკეტის მაღალი ეთნიკურობაც დაქვეითდა.

ჩვენ შევეხებით ეტიკეტთან დაკავშირებულ იმ ზოგიერთ მხარეს, რომელიც თანამედროვე თურქების კულტურისათვის იყო დამახასიათებელი. თანამედროვე თურქულ საზოგადოებაში მენტალობაში გამოხატულ ზნე-ჩვეულებათა ხასიათის შესწავლა რთული ამოცანაა. კულტურული ურთიერთობები მისი სტრუქტურის ყველა სირთულით თურქული საზოგადოების მოთხოვნებს ემსახურებოდა და თურქეთის საზოგადოებრივი სისტემის სპეციფიკის ერთიან იერსახესაც ასახავდა. თითოეულ ქვეყანაში როგორც არ უნდა იყოს ჩვეულება, ყველაზე საინტერესო მაინც ადამიანია. როგორი ადამიანებია თურქები? რაში მდგომარეობს მათი ეროვნული ხასიათის, ნაციონალური ფსიქოლოგიის თავისებურებები? „თურქული სული“ დასავლეთის ეთნო-ფსიქოლოგებისათვის თითქმის გამოუცნობია. თურქი წინააღმდეგობებითაა აღსავსე. მის სულში არასრულფასოვნებისა და საკუთარი თავის სიყვარულის კომპლექსი ცოცხლობს – წერდა დევიდ ხოტხემი. თურქი სხვისი აზრისადმი გულგრილია და აქვს დაუოკებელი სურვილი მისი მისამართით გამოთქმული საქები სიტყვები მოისმინოს. თურქები სტუმართმოყვარეები და თავაზიანები არიან. გულითადობა რიგ სხვა თვისებაშია შერწყმული. თურქი უცხოელის ათვალწუნებით გამოირჩევა და, ხშირად, მის მიმართ დაუნდო-

ბელი და მკაცრია. იგი ცბიერია, ამასთან ზარმაცი, პირქუში და ენაძვირია. თურქი ძალზე სერიოზულია, მაგრამ მისი საყვარელი გმირი – ოხუნჯი ხოჯა ნასრედინია. ვფიქრობთ, ამ შეფასებებიდან ნაწილი გადაჭარბებული და სუბიექტურია, ტენდენციურ ხასიათს ატარებს.

თანამედროვე თურქი ხალხის ეთნოეტიკეტის თავისებურებათა გაცნობა, როგორც წესი, ხშირ შემთხვევებში, შეუძლებელია იმ მასალის გარეშე, რომელიც სათავეს თურქთა ისტორიულ სანყისებში იღებს. თურქულ ენაში ზოგიერთი სიტყვა არაბულიდან და სპარსულიდანაა გადმოსული. მაგალითად, თურქულში თავაზიანობის, აღზრდილობის აღმნიშვნელი ცნება, უმთავრესად, რამდენიმე სიტყვით გადმოიცემა, რომელიც თურქულში არაბული და სპარსული ლექსიკური ფონდიდან შევიდა. ასეთებია: „ედენ“ – არაბულად დელიკატურობა, თავაზიანობა, სანიმუშო ჩვევები; „ედები ერკიან“ – არაბულად კარგი მანერები, „ედები ტერბიი“ – კარგი აღზრდა; „ადაბი მუაშერეტ“ - არაბულად და სპარსულად ეტიკეტი, კარგი ტონის წესები; „ნეზაკეტ“ – სპარსულად გააჩნია რამდენიმე განსხვავებული სემანტიკური ველი: თავაზიანობა, დელიკატურობა, ტაქტიკურობა. საკუთრივ თანამედროვე თურქულ ენაში ცნება „ეტიკეტი“ (etiket, etiketler – ცერემონიალი) სიტყვა „ეტიკეტით“ გადმოიცემა, რომელიც, როგორც აღინიშნა, ფრანგულიდანაა შეთვისებული. თურქული ენის თანამედროვე ტენდენციაა, რომელიც განსაკუთრებით რესპუბლიკურ პერიოდში დაიწყო, არაბული და სპარსული ზედმეტი ლექსიკური გავლენებისაგან განთავისუფლება და ამდაგვარი სიტყვების ისეთი ცნებებით შეცვლა, რომლებიც თურქულის საფუძველზეა ჩამოყალიბებული. ამ მხრივ შემოტანილი იქნა ახალი სიტყვაშესატყვისობა – „გიორგიუ კურალლარი“, ე. ი. აღზრდილობის წესები, ეტიკეტი.

თანამედროვე თურქულ ეტიკეტში მთავარ როლს სამი მთავარი ფაქტორი თამაშობს: რანგი, ასაკი და სოციალური სტატუსი, ლაპარაკის, ჭამის, ხალხთან ურთიერთობის მანერა. ეს ყველა ნიშანი ეტიკეტის გამოვლინებაა. თურქული სახელმწიფო ბოლო ნახევარსაუკუნეში სწრაფად განვითარებად ქვეყნად გამოცხადდა. მნიშვნელოვანი აქცენტები სოფლის მეურნეობაზე გაკეთდა. დაისვა საკითხი თუ როგორი უნდა იყოს მინათმოქმედი ადამიანი? საშუალო ფენის მინათმფლობელი პატარა მიწის ნაკვეთით საცხოვრებელ პირობებს ქმნის. მთავარია ოჯახის მოვალეობა: ტრადიციული მეურნე ვალდებულია იურიდიული პირის წინაშე, მაგრამ ტრადიციული ნორმებითა და მუსლიმანური წესით იგი არჩენს ცოლსა და არასრულწლოვან შვილებს, ხელს უწყობს რათა ისინი დაეუფლონ რომელიმე პროფესიას და თავზე ღებულობს მათი დაოჯახების ვალდებულებას. ასევე მეურნე საზოგადოებასთან ოჯახის წარმომადგენლად გვევლინება. მან უნდა დაალაგოს ურთიერთობები ოჯახის წევრებთან, მიიღოს მონაწილეობა ქორწილებსა და ტირილებში, საჭიროების შემთხვევაში მის ირგვლივ მყოფთ გაუწიოს ეკონომიკური დახმარება. მან უნდა მისცეს მაგალითი სხვა მაცხოვრებლებს, ვინაიდან იგი სოფლის ერთიანი წარმომადგენლობის წევრად ითვლება. მეურნე ვალდებულია ჩინოვნიკების სასარგებლოდ თანხა გადაიხადოს, მაგალითად, სასოფლო საჭიროებისათვის – სკოლის მშენებლობისათვის, გზის დასაგებად... მამაკაცი, როგორც ოჯახის მამა და, შესაბამისად, ოჯახის თვალი, ასევე, დაკავშირებულია სასკოლო განათლების სისტემასთან. იგი ვალდებულია თავისი შვილები სკოლაში ატაროს და მასწავლებლების დავალებები შეასრულოს. გარდა ამისა, სოფლის მცხოვრებნი სოფლის კონფენსიური ერთობის წევრად, მუსლიმანურ მეჩეთში კულტურულ მსახურების აღმსრულებლად გვევლინება. მამა, როგორც ოჯა-

ხის ლიდერი, ოჯახსა და საზოგადოებას შორის მოკავშირედ წარმოგვიდგება. იგი ამავე დროს სამინათმოქმედო პროდუქტების რეალიზატორი გახლავთ. ოჯახის წევრებს შემოსავლებით მოსავს, ყიდულობს ყოფაცხოვრებისათვის აუცილებელი მოთხოვნილების საგნებს. ინდივიდი სოფელში ოჯახურ ცხოვრებისეულ ციკლში ყოველდღიური ურთიერთობებითაა ჩართული. ნათესაური კავშირები აქ დიდ როლს ასრულებს. კავშირი პირველ რიგში მათ ახლო მეზობლებთან ურთიერთდამოკიდებულების ხასიათში გამოიხატება, მეორე მხრივ, ამ ტიპის ურთიერთობები ერთ სოფელში მცხოვრებ ყველა ადამიანზე ვრცელდება. მიუხედავად მჭიდრო კავშირისა ზოგჯერ ეს ურთიერთობები ახლო მეზობლებს, განსაკუთრებით, ნათესავებს შორის მყარია, ზოგჯერ კი ურთიერთსაინანააღმდეგო. თრადიციულ პერიფერიებში ზემოთ ჩამოთვლილი სოციალური როლის რეალიზაცია ინდივიდებში, ისე როგორც სხვადასხვა ნიშნით გაერთიანებულ ინდივიდთა ჯგუფში, საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათზე დიდ გავლენას ახდენს.

ყურადღებას თუ გავამახვილებთ სოფლისა და ქალაქის მაცხოვრებლებზე დავინახავთ შემდეგ სურათს: ისლამურ ყოფაში საზოგადოებრივი ჯგუფები სქესისა და ასაკის მიხედვითაა დაყოფილი. სქესობრივ სეგრეგაციას მართლაც აქვს ადგილი, თუნდაც მაშინ, როცა ოჯახურ იდილიაში ჩვეულების საფუძველზე სხვადასხვა ხასიათის რიტუალები სრულდება, მაგალითად, იბადება ბავშვი, ტარდება ქორწილი, სამგლოვიარო ცერემონიალი. ამ დროს ხდება ახალგაზრდების დანაწილება სოციალური სტატუსის მიხედვით, რომელიც სოფლის ახალგაზრდობის დაჯგუფებაში – ცოლიანობასა და უცოლობაში გამოიხატება. ქალაქებში მოქმედებს საერთო დადგენილი ნორმები. ამავე დროს ქალაქები უფრო განვითარებულია, ვიდრე სოფლები. განსაკუთრებით ეს ეხება იმ ტიპის დასახლე-

ბებს, რომლებიც ევროპული განვითარების ორბიტაში მოყვნენ. მათთან ტრადიციული მენტალობის როლი შედარებით შესუსტებულია. პრინციპში, დიდ ქალაქებში შესაბამისი სქემები მოქმედებს, რადგან ქცევის პარადიგმა უფრო დიფუზური ხასიათისაა. ტრადიციული ტრანექტორიის გარემოში ადრე ცალკე მამაკაცებისათვის და ცალკე ქალებისათვის განკუთვნილი საზოგადოებრივი ტრანსპორტები არსებობდა, თუმცა დღეს თურქეთის თანამედროვე ქალაქების ქუჩებში გამართული სპორტული წარმოდგენებისა და საზეიმო პროცესების დროს ჩვენ უკვე შეგვიძლია დავინახოთ თუ როგორ დაჰყვებიან თურქი ბიჭები და გოგონები ხალხთა დიდ ჯგუფებს, ასევე, პლაჟებსა და კურორტებზე შეგვიძლია თანამედროვე ნათელ საცურაო კოსტიუმში გამონყობილი თურქი ქალები შევნიშნოთ, მაგრამ მაინც, როგორც ყოველთვის, ტრადიციული მანერა დომინირებს, მაგალითად, თანამედროვე თავშეყრის ადგილებში მათი მკაცრი წესებით მარკირებულ ქალსა და მამაკაცს თუ დავინახავთ, მაშინ ყველა ფიქრობს რომ ისინი დანიშნულები არიან.

დასახლებულ პუნქტებში ტრადიციული ქცევა ოჯახის ნათესაურ კავშირებზეცაა დამოკიდებული. თუ ნათესავები ერთმანეთის გვერდით არ ცხოვრობენ, ამით მათი კავშირები შედარებით სუსტია და, პირიქით, ახლოს მცხოვრები ნათესავები უპირატესობას შიდა ურთიერთობებს ანიჭებენ და შემდეგ მათი კავშირი ტერიტორიულად შედარებით მოცილებულ მეზობლებზე ვრცელდება. ქალაქში დამკვიდრებულია ურბანული ოჯახი. მისი აგებულება მოქნილია, ხოლო სტრუქტურა თანამედროვე ქალაქური ცხოვრების წესთან ადაპტირებული. ქალაქური ტიპის ოჯახები პატარაა და, შესაბამისად, რიცხოვრივადაც მცირე, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახური კლანის კავშირები მნიშვნელობას მეტ-ნაკლებად მაინც ინარჩუნებენ.

თურქეთში ერთდროულად არსებობს – სოფლად ტრადიციული, ხოლო ქალაქად – ურბანული საზოგადოებრივი გარემო, რომლებშიც თურქეთის მოქალაქეების მენტალური კრედო რეალიზდება. იმის გამო რომ ქვეყანაში დასავლური ცაპიტალიზმის ფონზე სწრაფი ეკონომიკური ზრდა შეიმჩნევა, ურთიერთობების ურბანულმა გარემომ მენარმეობის ინიციატივა შეიმუშავა, მაგრამ გამუდმებული მცდელობა იგი ტრადიციული თურქული სამენარმეო სტილით შეიცვალოს. მდენად, რაღაც ფორმებით თურქეთშიც დგას გლობალური და რეგიონული განვითარების, ნაციონალური და უნიფიცირებულ კავშირებზე აგებული გაერთიანების პრობლემა. ბევრი თვლის, რომ გლობალიზაციამ შეიძლება ტრადიციულ ცნობიერებას საფრთხე შეუქმნას, ნაციონალური ინტერესები რისკის ქვეშ დააყენოს, მაგრამ ამასთან არანაკლებია ის ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ თანამედროვე ეკონომიკური თუ სხვა ტიპის გამოწვევების პირობებში ევროკავშირში განვითარება მათთვის რიგი პრობლემის გადაწყვეტის საფუძველი გახდება.

თურქები საუბრისა თუ სიგარეტის მოწევის დროს ჩაის ანდა ყავას სვამდნენ, ისინი არ ჩქარობდნენ და დროის უმეტეს ნაწილს მასლაათში ატარებდნენ, კომერციული დროის მოსვლის შემდეგ კი ეს ყველაფერი თითქმის შეიცვალა, ხალხმა სწრაფი ეკონომიკური განვითარება დაიწყო, მათთან ფინანსური ურთიერთობის შედარებით ახალი ფორმები გაჩნდა, რომლებიც პრაგმატულ ინტერესებს დაეფუძნა. მსგავსი ტიპის ურთიერთობები პოზიციებს დღესაც ინარჩუნებს. კონტაქტები ტრადიციული და საჭირო სოციალურ მანძილზე დაცვის ძირითად პრინციპებს უკავშირდება, მასში მონაწილეობს საერთო პროფესიული ინტერესები, პოლიტიკური ანდა სხვა სახის საქმიანობა. რა თქმა უნდა კონტაქტები თანაგრძნობის, მეგობრობის საფუძველზეც ნარჩუნდება.

რაც შეეხება მისაღმებს თურქეთში: შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი იყო. თანამედროვე თურქეთში მისაღმების და დამშვიდობების რიტუალი ერთმანეთისადმი რამდენიმე სიტყვის თქმაში, მაგალითად, დილა მშვიდობასა ანდა ღამე მშვიდობაში გამოიხატება: „გუნაიდინ’ი“ (günaydın) ესაა დილა მშვიდობისა, „ტუნაიდინ’ი“ (tünaydın) კი – ღამე მშვიდობისა. სასაუბრო ეტიკეტთან დაკავშირებული ბევრი სიტყვა თურქულში არაბულ-სპარსული ენებიდან იყო შესული. ამასთან მისაღმებისა მნიშვნელობა აქვს მოსაუბრეთა ასაკს, რადგან ასაკთან შესაბამისობაში ისინი ერთმანეთს სხვადასხვაგვარად მიმართავენ. მაგალითად შემორჩენილია მისაღმების ძველი ფორმა – „მერჰაბა“ (მერჰაბა – გამარჯობა). ეს სიტყვა არაბული წარმოშობისაა, რომელსაც ძირითადათ მამაკაცები იყენებენ. სალამოს შეხვედრის დროს თურქები ამბობენ „აქშამლარ“ – სალამო მშვიდობისა, დღის ბოლოს დამშვიდობებისას კი – „იჰ გედჟელერ“, მშვიდობიანი ღამე. მისაღმებისა და დამშვიდობების ანალიზირებით თანამედროვე თურქების ენა შეიძლება ითქვას ისევ ფორმირების პროცესშია. მისაღმებაში ფართოდ ფიგურებს ისეთი ფორმები, როგორებიცაა „სელამ-მალეიქუმ“ – გაგიმარჯოს და „მალეიქუმ-სელამ“ – გამარჯობა. XIX საუკუნის თურქეთში ევროპული ქვეყნების კულტურამ, ლიტერატურამ, ხელოვნებამ, არქიტექტურამ ფართოდ დაიწყო გავრცელება. ეს დაეტყო თურქულ ლექსიკონსაც. თურქული ლექსიკური ფონდი შეივსო, გამდიდრდა. 1839-1878 წლებში, თანზიმათის – რეფორმების დროს, თურქულში სიტყვები, ძირითადათ, ფრანგულიდან შევიდა. XX საუკუნის დასაწყისიდან სასაუბრო ეტიკეტში, თურქეთის ბევრ ქალაქში ისეთი მისაღმება გაჩნდა, როგორიცაა „ბონჟურ“, „მერსი“, „პარდონ“. ხშირად ფრანგული სიტყვები რესტორნებში გამოიყენებოდა, მაგალითად, რესტორანში

მიმტანი ბიჭისათვის შესაძლოა მიემართათ – „გარსონ“. ერთ-ერთი მასწავლებელი იხსენებდა ფაქტს თუ როგორ მიმართა თურქმა მამაკაცმა გამყიდველ ქალს – „მადამ“, ქალმა კი ჰკითხა თუ რატომ უწოდა მას ასე და დაამატა ისიც, რომ ის იყო თურქი. მაპატიეთ მეგონა რომ ბერძენი იყავითო – უპასუხა მამაკაცმა, ქალმა პასუხი გასცა: თუნდაც ვიყო ბერძენი, აქ თურქეთია და თურქი ხალხი ცხოვრობს. ჩვენს ენაზე ამიტომ უნდა ვილაპარაკოთო. ეს იმაზე მიუთითებს, თუ რამდენად რთულია, როცა ენაში სიტყვები სხვა ენიდანაა ქარბად შემოსული.

ქალაქსა თუ სოფელში ტოლებს მიმართავენ – „ყარდამ“ – ძმა, უცხო მამაკაცს – „ამჯა“ – ბიძა მამის ხაზით, ხოლო ქალს – „თეიზე“ (დეიდა). ოფიციალურობის გამოხატვის მიზნით გვართით მიმართვა არ არის მიღებული, ხოლო სახელით მიმართვას იშვიათად, ვინრო წრეში ჰქონდა ადგილი.

ტრადიციულსოფლებში, წესის თანახმად, ახალგათხოვილმა ქალმა ქმრის თანდასწრებით ერთი თვის განმავლობაში არ უნდა ილაპარაკოს, სახელებით ერთმანეთს არც ცოლ-ქმარი მიმართავდა, ხოლო როცა ცოლი ქმრის მშობლებთან ლაპარაკობდა, მათთან ქმარი სახელით არ უნდა მოეხსენებინა: უნდა ეთქვა – „თქვენი შვილი“, ქმართან მის ძმაზე თუ ლაპარაკობდა, მაშინ უნდა ეთქვა – „შენი ძმა“, ასევე, მას გარკვეული დროის მანძილზე არ შეეძლო დედამთილსა და მამამთილთან ელაპარაკა, როცა ქმართან თავის შვილზე საუბრობდა, უნდა ეთქვა – „შენი ბიჭი“. ბავშვი მშობლებს მიმართავდა არა სახელებით, არამედ „ანესა“ (დედა) და „ბაბას“ (მამა) უწოდებდა, ასევე იყო ბებიასთან და ბაბუასთან მიმართებაშიც. თანამედროვე თურქებისათვის საუბრის ეტიკეტი დღესაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა. ისლამის მიხედვით უფროსი თაობა შემდეგ თაობას სწორ ცხოვრებას ასწავლის და მორალის სფეროში

ცოდნას უღრმავებს.

საერთო შეჯიბრებების ადგილი მამაკაცებისათვის „კეი ადესი“ – სოფლის ოთახი იყო. ზამთარში მზის ამოსვლამდე ხალხით იყო სავსე, დიდებს შვილები – ბიჭები თან მიჰყავდათ, რომლებიც მამის ანდა ბაბუის მუხლზე ისხდნენ და იქ დროს ატარებდნენ. უფროსი ასაკის მამაკაცები ოთახის ერთ კუთხეში, ახალგაზრდები კი – მეორეში თავსდებოდნენ, თამაშობდნენ ნარდს, ბანქოს, დომინოს. ისინი ვინც არ თამაშობდნენ სოფლის სიახლეებზე, მაგალითად, ამინდზე, ჯანმრთელობაზე, მოსავალზე საუბრობდნენ.

სტუმრის მიღების დროს ქალები ოთახიდან გადიოდნენ და მამაკაცებს მარტო ტოვებდნენ, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობათა ეტიკეტი სპეციფიკურით გამოირჩეოდა. იმისდა მიუხედავად სახლის თავს ვინ წარმოადგენდა, გადანყვეტილებს ყველა – ცოლი და ქმარი ერთად ღებულობდა. საინტერესო იყო თურქული სტუმარ-მასპინძლობის წესიც. თურქული ოჯახი სტუმართმოყვარე იყო, განსაკუთრებით, უბრალო ხალხთან მიმართებაში. თურქები სტუმარს გამასპინძლების გარეშე სახლიდან არ გაუშვებდნენ. სახლში შესვლისას სტუმარს ფეხსაცმელი უნდა გაეხადა, მისთვის იქვე საშინაო ფეხსამოსი გამზადებული ჰქონდათ ანდა სტუმარს სახლში ყოფნა წინდის ამარაც შეეძლო. მისალმების შემდეგ სტუმარს უმასპინძლებდნენ, პატარა ფაიფურის ჭიქებით მაგარ ჩაისა და ყავას მიართმევდნენ. თანამედროვე თურქეთში გავრცელებულ სასმელად ჩაი იქცა, ჩაიზე ანდა ყავაზე უარის თქმა დიასახლისის ცუდ მიღებას გულისხმობდა, შესაბამისად, დიასახლისი უკმაყოფილებას გამოიწვევდა. ლანგარი იატაკზე, მდიდრულ ოჯახებში კი - ნოხზე იდგმებოდა. ოფიციალურ სტუმართან ნოხზე ლანგარს ხავერდს უფენდნენ. ჭამის წინ ხელის დაბანა აუცილებლობას წარმოადგენდა. მუსლიმანური წესის თანახმად სპე-

ციალური თასი მოჰქონდათ, რომელშიც ხელებს იბანდნენ და სტუმარს ხელის გასამშრალებლად ახალ, სპეციალურად მისთვის განკუთვნილ ხელსახოცს აწვდიდნენ. როგორც ყოფილი მომთაბარეები, თურქები დანასა და ჩანგალს არ იყენებდნენ. მოდი დავახასიათოთ მათი ჭამის ტრადიციული სცენა: ისინი ხალიჩა-სუფრასთან მუხლ-მორთხმულნი სხდებოდნენ. სუფრასთან მსხდომთაგან თითოეულისათვის თხელი პური წინასწარ იყო განსაზღვრული. პურის პატარა ნაწილს იღებდნენ, საერთო ჯამში ამოავლებდნენ და საკვებს იმპროვეზებული კოვზის დახმარებით პურთან ერთად მიირთმევდნენ. ჭამის წინ ლოცვა სრულდებოდა. მასპინძელი სტუმრის წინაშე აუცილებლად ყურადღებიანი უნდა ყოფილიყო. თუ დიასახლისი იჯდა და სტუმარი იდგა, ამით ეტიკეტი ირღვეოდა. ალკოჰოლური სასმელი იკრძალებოდა, მხოლოდ წყალნარევ რახს სვამდნენ, ტრადიციული სასმელი კი — ტკბილი შერბეთი გახლდათ.

ჩვენ გავეცანით თურქთა ეტიკეტის ამა თუ იმ თავისებურებას, მაგრამ აქვე შეგვიძლია მას ისეთი შტრიხი დავამატოთ, რომელიც მუსლიმანური რიტუალით იყო შეზავებული. თურქები ვალდებულები იყვნენ ყოველდღე მეჩეთში ხუთ ლოცვაზე წასულიყვნენ, რათა სული გაენმინდათ. ამ ცერემონიას „აბდეს’ი“ ერქვა. აბდესის დროს მათ ფეხები, ხელები, სახე სუფთა წყლით უნდა დაებანათ, ქუდი უნდა დაეხურათ, სპეციალურ სალოცავ ხალიჩაზე სახით მექისაკენ უნდა დაჩოქილიყვნენ და ლოცვას ასე იწყებდნენ. მიღებული იყო ხელზე და შუბლზე კოცნის რიტუალები. მაგალითად, მშობლების მიმართ სიყვარულის, მეგობრის მიმართ სიმპატიის გამოხატვა ამგვარი კოცნით სრულდებოდა. ზოგი თვლის, რომ მკაცრი წესები და თითოეული რიტუალი მუსლიმანური რელიგიის შედეგი იყო, სადაც პატივს ალაჰს სცემდნენ და მის ადათს იცავდნენ. მუსლიმანი მომთმენი, ტკივილის ამტანი უნდა ყოფილიყო.

თურქული აფორიზმები მოსაზრონ იდეალებზე, ნამდვილ, უნივერსალურ აზრებზე დაყრდნობით მტკიცდებოდა. გამოირჩეოდა მეგობრის ნდობა, მშობლების და უფროსების პატივისცემა, ასევე, აფორიზმებში ხაზგასმული იყო შრომისმოყვარეობისა და მოთმინების უნარი. დამკვირვებლები აღწერდნენ რა თანამედროვე თურქებს მოგვითხრობდნენ თუ როგორი კეთილი და მომთმენი იყვნენ თურქები, გვესაუბრებოდნენ ქალეზისადმი მათ დამოკიდებულებაზე, რომ ისინი ქალეზს პატივისცემით ექცეოდნენ. გადაწყვიტეს თურქებზე ტესტი და ეთნოფსიქიკური ანალიზი ჩატარებინათ. მათი თვისებები შეაფასეს, სადაც პირველი ადგილი სტუმართმოყვარეობამ, უშიშროებამ, სამშობლოს სიყვარულმა, ასევე, უფროსებისადმი პატივისცემამ დაიმსახურა. თურქი ბავშვების აღზრდისათვის სპეციალური ტექსტი არსებობდა: ერთი თურქი მასწავლებელი ეზა ამბობდა: „მე თურქი ვარ, შრომისმოყვარე, ჩემი მოვალეობაა დავიცვა პატარები, პატივი ვცე უფროსებს, მიყვარდეს სამშობლო და ვიარო პირდაპირ“.

თურქეთის პირველმა პრეზიდენტმა ქემალ ათათურქმა ქვეყანაში რეფორმები გაატარა. 1924 წელს სახელმწიფო სკოლები ჩამოყალიბდა, შემოიღეს უფასო განათლება, განხორციელდა დამწერლობის— ალფაბიტის რეფორმა. რეფორმების შემდეგ თურქეთში ბევრი რამ შეიცვალა, განსაკუთრებით მოდერნიზაცია ტრადიციულმა ეტიკეტმა განიცადა.

ოჯახი და საოჯახო ყოფა. საოჯახო და ნათესაურ კავშირებს თურქებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გლახურ და ბევრ ქალაქურ ოჯახშიც გამეფებული იყო მკაცრი და ზუსტი იერარქია: ბავშვები და დედა უსიტყვოდ ემორჩილებოდა ოჯახის უფროსს – მამას, უმცროსი ძმები – უფროსს ძმებს, დები – უფროსს დებს და, საბოლოო ჯამში ყველანი ერთად, მამას ანდა უფროს ძმას. სხვაგვარად რომ ვთ-

ქვათ, დაქვემდებარების კიბექვემოდან ზემოთ – უმცროსი-დან უფროსამდე, ქალიდან მამაკაცამდე მოძრაობდა.

უფროსი ძმა – **ალაბეი (ალა)** დანარჩენი ძმებისათვის როგორც მეორე მამა, ისეთი იყო. იგი ვალდებული იყო დების ღირსება დაეცვა, ძმები და დები მას ძმას კი არ ეძახნენ, არამედ უბრალოდ – „ალაბეის“ (ალას), რაც, სხვათაშორის, „ბატონს“ ნიშნავს. უფროსი და – **აბლა** დების მეორე დედა იყო, თუმცა ისინი მას დედას კი არ უწოდებდნენ, არამედ „აბლას“. შვიდი-რვა წლის უმცროს ძმას შეეძლო აბლასზსთვის — უფროსი დისათვის რაიმე ებრძანებინა, და ეს ნორმად ითვლებოდა, რადგან იგი მაინც მამაკაცი იყო. ერთი რამ ხაზგასასმელია: ასაკოვანი და მრავალშვილიანი დედა ოჯახის წევრებისაგან, მათ შორის, ქმრისაგან პატივისცემითა და სიყვარულით იყო გარემოცული, განსაკუთრებით, თუ იგი ქმარს რამდენიმე ვაჟს შესძენდა.

გოგონების აღზრდა, როგორც წესი, მორჩილების სწავლებაშიც გამოიხატებოდა. მომავალში, პირველ რიგში, იგი მორჩილი ცოლი და სამაგალითო დედა უნდა ყოფილიყო. ქალიშვილს დედასთან შეეძლო ეხუმრა და ეკამათა, მაგრამ მამასთან იგი ყოველთვის თავშეკავებულებას იჩენდა. ვაჟი თორმეტ-ცამეტ წლამდე დედასთან იმყოფებოდა და სახლის ქალთა სამყოფ ნაწილში ცხოვრობდა.

წარსულში მშობელთა უფლებები ოჯახში განუსაზღვრელი იყო. უფროსი მამაკაციც კი მამის თანდასწრებით თამბაქოს გაბოლებას მისი ნებართვის გარეშე ვერ ბედავდა. თურქეთის ყოფილი პრეზიდენტი ისმეთ ინეონიუ ყვებოდა, რომ უკვე გენერალი, მაინც ვერ ბედავდა მამის წინაშე

თამბაქოს მონევას. ოჯახში კიდევ უფრო მეტ პატივისცემას პაპისადმი, როგორც უხუცესისადმი გამოხატავდნენ.

ტრადიციულ თურქულ საგვარეულო წრეებში მამის მხრის ნათესავები უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნეოდნენ, ვიდრე დედისა. **ამჯა** – ბიძა მამიდან ფასდებოდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, როგორც „მამის სქესი” – ჯილაგი, ხოლო **დაიი** – ბიძა დედის მხრიდან შედარებით ნაკლები მნიშვნელობის მატარებელ ნათესავად აღიქმებოდა. თურქები ერთმანეთისაგან სხვა ნათესავებსაც (დეიდებს, ძმისწულებს...) ანსხვავებდნენ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თუ რომელი მხრიდან ხდებოდა ნათესაობის გამოთვლა – მამის ფილაციიდან თუ დედის ხაზიდან. ამაში თურქთა მომთაბარე წინაპრების პატრიარქალური ურთიერთობების ხასიათი იყო ასახული. მომთაბარული მესაქონლეობა, მარტივად თუ ვიტყვით, ფესვებით მონადირეობას უკავშირდებოდა, მაშინ, როცა ისტორიულად მინათმოქმედება მემინდვრეობიდან წარმოიქმნა. მონადირეობა და ნომადიზმი – მამაკაცის საქმიანობის სფეროს განეკუთვნებოდა. ამის საფუძველზე მომთაბარულ საზოგადოებაში პატრიარქალური ურთიერთობები განვითარდა და, შესაბამისად, მამაკაცის განუსაზღვრელი უფლებები ჩამოყალიბდა. მემინდვრეობამ და მინათმოქმედებამ მატრილინეალურობის ხანგრძლივი პერიოდი გაიარა. აქ ჩანს, რომ მატრილინეალური საზოგადოება — „მატრიარქატი” ევოლუციის ფორმაციული საფეხური კი არ იყო, არამედ მეურნეობრივი და სხვა ტიპის კულტურული ორიენტაციის ნაყოფს წარმოადგენდა. იქ, სადაც მეურნეობრივი ცხოვრების სხვა მიმართულება არსებობდა, სავსებით შესაძლებელია, მატრილინეალური საზოგადოების წინამორბედად პატრილინეალური საზოგადოება ჩამოყალიბებულიყო და სა-

კუთრებაზე უფლებაც არა „მატრის“, არამედ „პატრის“ მიერ განსაზღვრულიყო. ასევე, სავსებით დასაშვებია ერთდამავე ეპოქაში და თანაბარ გეოგრაფიულ გარემოში, როგორც მატრილოკალური, ისე პატრილოკალური დასახლება ერთდროულად – სინქრონულად არსებულები და მათი თანაარსებობა განსაზღვრული სოციალური სტერეოტიპებით დარეგულირებულიყო. საერთოდ, შემგროვებლობა ქალთა საქმიანობის პრიორიტეტული სფერო იყო. მინათმოქმედებაც რეალურად ქალებმა შექმნეს. ამიტომაცაა, რომ მინათმოქმედ ხალხებში თაყვანს უპირატესად ნაყოფიერების, ხოლო მომთაბარე მესაქონლეები – მზის, ცის, ცეცხლის ღვთაებებს რომ სცემდნენ. იქ, სადაც მინათმოქმედება და მესაქონლეობა სიმბიოზურად ვითარდებოდა არსებობდა, როგორც ნაყოფიერებისა და ქალური ბუნების, ისე მზის, მთვარის, ცეცხლის ღვთაებები. ასევე, იმავდროულად მთვარის და ხარის კულტა და ნადირობის ღვთაებებსაც აღიარებდნენ. ამდენად, ამ ტიპის საზოგადოებები თაყვანს სცემდნენ ზოგადად ღვთაებათა პანთეონს. თურქეთი ამ თვალსაზრისითა საინტერესო ქვეყანაა, სადაც თურქ სამომთაბარეო - ნომადურ, მოტანილ ტრადიციებთან, შერწყმული იყო ადგილობრივი, აგრარულ-სამინათმოქმედო ტრადიციები, შესაბამისად, სახეზე გქონდა კულტურათა სინთეზი, რაც სხვადასხვა ტიპის საოჯახო ჩვეულებებში, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებსა თუ რიტუალებში იყო გამოხატული.

თურქული საქორწინო ტრადიციები. ისლამი, როგორც ცნობილია, მრავალცოლიანობას აღიარებს. ამიტომ ძველთაგანვე თურქს – მრავალცოლიანად, ხოლო თურქეთს – ჰარემების ქვეყნად თვლიდნენ. ერთგვარად, სულთნების ეპოქებ-

შიც ჰარემები, უმეტესად, მდიდარი წრის წარმომადგენლებს ჰქონდათ. რომ გყავდეს რამდენიმე ცოლი, ისინი პირველ რიგში უნდა გამოკვებო, შემოსო და საერთო ჭერქვეშ განა-ლაგო. ამიტომ, თურქთა დიდ ნაწილს რეალურად მხოლოდ ერთი ცოლი ჰყავდა. ქემალისტური რევოლუციის შემდეგ მრავალცოლიანობა თურქეთში ოფიციალურად – კანონით აიკრძალა, თუმცა მოსახლეობის შეძლებულ ფენებში იგი არსებობას მაინც აგრძელებდა. პოლიგამია დაიშვებოდა, რადგან მისი ნახალისება მუსლიმანური სასულიერო წრის მიერ ხდებოდა, რომელიც უფრო მუჰამედის წინასწარ-მეტყველურ კანონებს იცავდა, ვიდრე თურქეთის რესპუბ-ლიკის ფუძემდებლის – ქემალ ათათურქის კანონებს. თავად ისლამი ნებას რთავს მამაკაცმა იყოლიოს ოთხამდე კანო-ნიერი ცოლი.

მონოგამიისა და პოლიგამიის გარდა, ქორწინების სა-მოქალაქო და რელიგიური გაფორმება თურქეთში სხვა თა-ვისებურებებთანაც გამოირჩეოდა. სოფლებში სციდვითი ქორ-წინება ჭარბობდა. სასიძოს ოჯახი გოგონას ყიდულობდა, ხოლო საპატარძლოს ოჯახი – ყიდდა. ყალიმის რაოდენობა დიდი იყო. XX საუკუნის მეორე ნახევრის თურქეთში იგი ხში-რად ავტომობილის ფასს აღწევდა. გამოსასყიდის ფასი და-მოკიდებული იყო არა მარტო საპატარძლოს სილამაზეზე, არამედ ზნეობრივ თვისებებზე – კეთილ ზნესა და ხასიათ-ზე, შრომისმოყვარეობაზე, თავდამლობაზე. ყალიმის გადახ-დის ჩვეულება ახასიათებდა ყველა იმ ხალხს, რომელიც „ტომობრივ-გვაროვნული წყობით“ ცხოვრობდა. ადრე სლა-ვებიც იხდიდნენ „ვენოს“ – გოგოს გამოსასყიდს. არაბებმა, თურქებმა და სხვა მუსლიმმა ხალხებმა ეს ჩვეულება ყუ-რანში დააკანონეს.

ყალიმის გადახდის ჩვეულება პროვინციულ ქალაქებში შემოინახა. 1878 წლის თურქული გაზეთი – „ჯუმჰურიეტი“ წერდა, რომ ქალაქ ბიუნიაანის ახალგაზრდებმა თავისებური გაფიცვა გამოაცხადეს: მათ გადანყვიტეს არ დაოჯახებულიყვნენ. ამაზე მათ მომავალმა სიმამრებმა უბიძგეს, რომლებიც ძველ, მათვის სასარგებლო ტრადიციას მისდევდნენ და სასიძოებიდან დიდ ყალიმს ითხოვდნენ, მაგრამ, როგორც გაზეთი შენიშნავს, ყველა სასიძო როდი ჩავარდა სასონარკვეთილებაში.

ქემალისტურ რეფორმებამდე, ძველ თურქეთში, საპატარძლო და სასიძო ქორწინების დღემდე ერთმანეთს ჩვეულებრივ არ ხვდებოდა. ქორწინებას მშობლები აწყობდნენ — გამოძებნიდნენ საქმროს ანდა სარძლოს თვალყურს ადევნებდნენ. ამჟამად ვითარება სულ სხვაგვარია: ახალგაზრდა თურქი ქალები მათ მომავალ საქმროებს ქორწინებამდე ეცნობიან. ქალაქში ოფიციალური ქორწინება მერიაში, სამოქალაქო რეგისტრაციის ბიუროსა თუ სპეციალურ სალონებში – „ევლენემე სალონებში“ ხდება, რომლებიც, როგორც წესი, ქალაქის პარკებსა და ბალებშია განლაგებული. ბოლო პერიოდში გავრცელდა ქორწილები სასტუმროთა რესტორნებსა და საწვეულებო დიდ დარბაზებში. სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლის წაკითხვის და საქორწინო მონაწილის ხელმოწერის შემდეგ ცერემონიალზე დამწრესათვის მცირე ზომის წვეულებას აწყობენ, რომლის დასრულებისას პატარძალი საქმროსთან ერთად მის სახლში მიდის, სადაც იმამსაც იწვევენ. იგი ყურანის შესატყვის თავებს კითხულობს და ქორწინების შესახებ კიდევ ერთ აქტს ადგენს. ამდგვარად სამოქალაქო ქორწინების რელიგიური დუბლირება ხდება, თუმცა ხშირად რელიგიური ქორწინება პატარძლის მონაწი-

ლეობის გარეშეც ფორმდება და ქორწინების გაფორმებას პატარძლის მამა და მისი სხვა ნათესავები ესწრება. სახლში ანდა რესტორანში ქორწილი მხოლოდ ამის შემდეგ იმართება.

დასახლება და საცხოვრებელი ნაგებობები. თურქეთში სოფლის დასახლებას „ქოი“ (ქეი) წარმოადგენდა, რომელიც გეოგრაფიული მდებარეობითა და სამეურნეო პირობების თავისებურებებით განსაზღვრული ლოკალიზებული გაერთიანება იყო. პონტოსა და ტივრის მთის სოფლებში სახლები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად იყო დაცილებული და თითქოსდა ხუტორების ტიპის დასახლებას წარმოქმნიდა, სადაც კარმიდამოთა განლაგებას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, ზოგან, პირიქით, დასახლება შეჯგუფებული იყო. წარსულში, შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი ყოფისათვის ჩაკეტილობის გავლენით, ქუჩებში მხოლოდ საცხოვრებელთა ყრუ კედლები ჩანდა, კარები და ფანჯრები კი – ეზოში გადიოდა. თურქულ სოფლებში საცხოვრებელი სახლების გარდა, ჩვეულებრივ, მეჩეთები, ყავახანები, იშვიათად, დუქანები და უფრო იშვიათად სკოლები იყო წარმოდგენილი.

ტიპური საცხოვრებელი სახლი – კარკასული ნაგებობა ხის ბოძებით იყო აგებული, რომელთა შუა ქვა, აგური ანდა თიხა იყო ჩანყობილი. სახურავი ორფერდა თუ ბრტყელი იყო. მდიდართა ორსართულიანი სახლები აივანით იყო წარმოდგენილი, სოფლის ზოგიერთი სახლი კი უმინო სარკმლებით ერთი ოთახისაგან შედგებოდა, რომელიც ზამთარში ჩვრებით იყო გამოტენილი. ტყეებით მდიდარ რაიონებში ორი და ოთხფერდა სახურავიანი ჯარგვალურ ნაგებობები ჭარბობდა. ზოგან სახლებს მთლიანად ქვისაგან ანდა აგურისაგან აშენებ-

დნენ. ქვეყნის აღმოსავლეთით გავრცელებული იყო გუმბათოვან გადახურვიანი სახლები, რომელთაც სინათლესა და კვამლის გასასვლელად შუაში ხვრელი ჰქონდათ. როგორც საუკუნეების წინ მარცვლეულს მიწის ხარობებში ინახავდნენ, რის გამოც მარცვალი მალე ფუჭდებოდა.

თურქული სახლის შიდა სტრუქტურისათვის დამახასიათებელი იყო მისი ორ ნაწილად – მამაცოდ (**სელიამლიკი**) და საღიაცოდ (**ხამერლიკი**) დაყოფა. შეძლებულთა სახლებში სტუმრისათვის განსაკუთრებული სამყოფი იყო გამოყოფილი. შაცხოვრებლის შიგნით კედლების გასწვრივ თიხატკეპნილი ანდა ხის ნარები იყო განლაგებული, რომელთაც საგები — თექა, შეძლებულებს კი – ხალიჩები ეფარათ. კერას ბუხრის სახე ჰქონდა მიღებული. აღმოსავლეთ რაიონების სახლებში ჩვეულებრივი შუაცეცხლიანი სახლები ქარბობდა. გათბობისათვის ძირითადად ნაკელს იყენებდნენ. ქალაქის უბნებს ზოგან ვიწრო და დაკლანკილი იერსახე ჰქონდათ, სადაც ყაზარმისა თუ ბარაკის ტიპის სახლები იყო განლაგებული. ხშირად შეხვდებოდით მიწურ სახლებსაც.

ბოლო პერიოდში, ურბანულ პროცესებთან შესატყვისობაში როგორც ქალაქად, ისე სოფლად დასახლებამ, შესაბამისად, საცხოვრებელმა ნაგებობებმა საგრძნობლად იცვალა სახე. ძველ სახლებს ახალი, თანამედროვე სახლები ჩაენაცვლა, მონესრიგდა საკომუნიკაციო არტერიები, თითქმის ყველა სოფელი ერთმანეთს მოასფალტებული გზებით გადაება და კეთილმოწყობილი საერთო ტრასის მეშვეობით ახლომდებარე ქალაქებს დაუკავშირდა.

მეურნეობა – მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. თავდაპირველად, თურქთა სამეურნეო-ეკონომიკური განვითარების დონე მთლიანობაში გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე ანატოლიის – თურქეთის ნაციონალურ-ეთნიკური უმცირესობებისა. ადგილობრივი მოსახლეობის სამიწათმოქმედო კულტურიდან, ასევე, მატერიალური კულტურიდან თურქთა მიერ ბევრი ელემენტის სესხება-შეთვისება მოხდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი მომთაბარე ცხოვრებიდან ცხოვრების ბინადარ წესზე გადადიოდნენ. თანმიმდევრულად შემდეგ, მოსახლეობის ძირითადი საქმიანობის სფეროს თურქეთში სოფლის მეურნეობა, უპირატესად კი – მიწათმოქმედება წარმოადგენდა. თურქეთში ოცდაათი ათასზე მეტი მსხვილი მემამულური მეურნეობა იყო, რომელიც რვა მილიონ ჰექტარ მიწას, ქვეყნის მთიანი მიწის ფონდის ოცდათხუთმეტ პროცენტს შეადგენდა. დანარჩენი მიწები კი მცირე ნაკვეთებად იყო დანაწილებული. თურქეთის გლეხობა ძირითადად მიწის მუშაკები იყვნენ.

ადგილობრივ მოსახლეობას შედარებით სრულყოფილი სასოფლო-სამეურნეო იარაღები, საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული სამიწათმოქმედო კალენდარი ჰქონდა, რაც სრულებითაც არ ამცირებს თურქთა სამეურნეო-კულტურულ მიღწევებს, რომელიც მათ განვითარებული მომთაბარული მესაქონლეობის ტიპის სახით შექმნეს. ეს ტიპი მკვეთრად განსხვავდებოდა იმისაგან, რომელიც მათ ანატოლიაში გადასვლის შემდეგ ჩამოაყალიბეს. თურქი-მომთაბარეები თურქი ხალხის ფორმირების პროცესში განმსაზღვრელი ბირთვი იყო. ისინი ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლის პერიოდში ითვისებდნენ მათთვის უცნობ და უფრო მაღალ, ამასთან, ეთნიკურადაც ძალზედ მრავალფეროვანი ადგილობრივი მოსახ-

ლეობის კულტურას, მათ სამეურნეო ჩვევებს, რომლებიც ანატოლიელთა მიერ საუკუნეების განმავლობაში იყო ჩამოყალიბებული და ლოკალურ-გეოგრაფიულ პირობებთან შეგუებული. ათვისების პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი იყო. საბოლოოდ მივიღეთ საინტერესო სამეურნეო-კულტურული სინთეზი, სამეურნეო-კულტურული ტიპი, რომელიც შემდეგ განვითარდა და დაიხვეწა.

სოფლის მეურნეობა მარცვლეული კულტურებით – პურეულით, ქერით, ჭვავით, ფეტვით, სიმინდითა და ბრინჯით იყო წარმოდგენილი. ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ხეხილი და ტექნიკური კულტურები ასრულებდა, კერძოდ, განვითარებული იყო მეთამბაქეობა, მებამბეობა, აშენებდნენ შაქრის ჭარხალს, ოპიუმის ყაყაჩოს, კუნაჭუტს. ვენახები და ხეხილის ბაღები ქვეყნის ბევრ ადგილას იყო მიმოფანტული. თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები მეურნეობაში ფართოდაა გამოყენებული, ამასთან, გლეხთა მეურნეობაში აქტიურ შემორჩენილია ე. წ. **ყარასპანი** – პრიმიტიული ხის გუთანირკინის სახნისით. იქ მოსავალს ყველგან კევრით ანდა ცხენების მეშვეობით ლენავდნენ, რომელსაც კალოზე მიერეკებოდნენ, სადაც შეკრული ძნები ეყარა. ტენიანობა საკმარისი არ იყო, ამიტომ, ხელოვნურ მორწყვას მიმართავდნენ. წყალი მდინარიდან ანდა წყაროებიდან მცირე არხებით იყო გამოყვანილი ანდა იგი სახაპავი ბორბლებით ამოჰქონდათ, რომელზედაც დაცემული წყლის თუ გამწვევი ცხოველების ძალა გამოიყენებოდა. საირიგაციო ნაგებობანი, როგორც წესი, მსხვილ მიწათმფლობელ მემამულეებს ეკუთვნოდათ.

თურქთა მეურნეობაში დიდი ადგილი მესაქონლეობას ეჭირა. საქონელი ზაფხულობით მაღალმთიან საძოვრებზე — „იაილებზე“ გადაირეკებოდა ხოლმე. აშენებდნენ მსხვილფეხა საქონელს, მაგრამ განსაკუთრებით ფართოდ იყო პრაქტიკაში წარმოდგენილი ცხვრისა და თხის მოშენება. თურქული „ანგორული თხა“ თავისი მაღალხარისხოვანი თეთრი ბენვეულით საყოველთაოდ იყო ცნობილი.

კუსტარული წარმოება: თურქეთის სოფლის მოსახლეობის ტრადიციულ საქმიანობას ადგილობრივი საოჯახო და კუსტარული წარმოება წარმოადგენდა, ზოგიერთ რაიონში კუსტალური იგი განმსაზღვრელიც კი იყო. იგი მეურნეობის დამხმარე დარგი იყო. თურქული კუსტარული წარმოების შედარებით მსხვილ დარგად მახალიჩეობა — ხალიჩების ქსოვა, ასევე, მეთუნეობა, ტყავის, ლითონის, ქვისა და ხის დამუშავება, ფეიქრობა ითვლებოდა. თურქეთის წარმოება ადრე არასაკმარისად იყო განვითარებული. მასში ჭარბობდა ისეთი დარგები — ფეიქრობა, მეთუნეობა, მატყლის, ტყავის, ქვისა და ხის დამუშავება, კვების პროდუქტების წარმოება, რომლებიც მხოლოდ ძირითად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურებოდა. ზოგ რაიონში კუსტარული წარმოება მოსახლეობის მნიშვნელოვან საქმედ ითვლებოდა. ქალაქებსა და ქალაქური ტიპის დასახლებებში კუსტარული წარმოება მშრომელი ადამიანების არსებობის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. სოფლისა და ქალაქის კუსტარულ ხელოსნობას მძლავრ კონკურენციას გადაამყიდველები, ვაჭრები და საამქროთა მეპატრონენი უწევდნენ.

ტრანსპორტისა და მრეწველობის განვითარების მიხედვით თურქეთი ადრე ჩამორჩენილ ქვეყანად მიიჩნეოდა. მცირე აზიის დიდი ნაწილი, მისი დასავლეთ ნაწილის გამოკლებით რკინიგზასა და შარაგზას მოკლებული იყო. ახალ მშენებლობას ამ დარგებში ამერიკელი მწარმოებლები გეგმავდნენ. დიდი საქალაქო ცენტრებიდან დაშორებულ ადგილებში, აგრეთვე, მთიან რაიონებს არათუ შოსე, არამედ საერთოდ გრუნტის გზაც კი არ გააჩნდათ. ასეთ ადგილებში ტრანსპორტის ძირითად სახეს ძველი ორბორბლიანი საზიდარი „კანი“ წარმოადგენდა, რომელიც მთლიანი ხის ბორბლებიანი იყო და ღერძთან ერთად ტრიალებდა. მთებში ტვირთის გადასაზიდავად სათარიელს, სატრანსპორტო საქონლად კი – სახედრებს, ხარებს, ჯორებს, ცხენებს და აქლემებს იყენებდნენ. დღეს ყოველივე ამან რადიკალურად იცვალა სახე.

ტრადიციული თურქული ტანსაცმელი: ტრადიციული თურქული ტანსაცმელი მხოლოდ მთიანეთშია შემორჩენილი. რაც უფრო ახლოსაა დასახლება ქალაქთან და რაც უფრო მეტია ქალაქებთან კონტაქტები. იქ ტრადიციული ტანსაცმელი ევროპული ტანსაცმლით ინტენსიურად იდევნება. მამაკაცის ტრადიციული ტანსაცმელი შედგებოდა ტილოს პერანგისაგან, ტილოს უსახელებო ჟილეტისაგან, პირდაპირ გახსნილი ქსოვილის ქურთუკისაგან, შალის შარვლისაგან, უმეტესად იყენებდნენ ხის მასალისგან დამზადებულ ფეხსაცმელებს და ნედლი ტყავის ჩექმას. თავსაბურავად ცხვრის ტყავის ქუდებს ატარებდნენ. ზოგჯერ თავზე ქსოვილის ნაკერს იხვევდნენ. ლეხობა, გარდა პერანგისა და შარვლისა მოკლე ქურთუკით ანდა გრძელი კაბით იმოსებოდა. შარვლის ზემოთ ზოგჯერ ქვედაკაბას იცვამდნენ და წინსაფარს იკეთებდნენ. ქურთუქსა და

შარვალს იკერავდნენ ქამარ-სარტყელით, თავზე სახოცს იხვევდნენ, რომლის ზემოთ კი – მსუბუქ გადასაფარებელს იფარებდნენ. ფეხსაცმელს ხშირად ქუსლის გარეშე იკერავდნენ.

თურქული სამზარეულო. თურქული სამზარეულო ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და მრავალფეროვანია მსოფლიოში. თანამედროვე თურქი მზარეულები ეყრდნობიან რა თავიანთ წინამორბედთა გამოცდილებას, საუკეთესო თურქულ კერძებს დღესაც გვთავაზობენ. გავრცელებული აზრის მიუხედავად, თურქები ნაკლებად იყენებენ სანელებლებსა და მწვანილებს. კერძების მომზადებისას ადგილობრივი მზარეულები ცდილობენ კერძს ძირითადი კომპონენტის გემო შეუნარჩუნონ. მათთვის მნიშვნელოვანია, რომ ბადრიჯანმა ბადრიჯნის გემო იქონიოს, ციკნის კერძი დარჩეს ციკნისა და გოგრა იმ კერძად, რომელსაც გოგრის გემო აქვს. კერძის მომზადებისას ძირითადი პირობა ერთი იყო, მაგრამ ამასთან ძალზე მნიშვნელოვანი – „სანელებლებმა და სოუსებმა არ უნდა დაფარონ კერძის ძირითადი ინგრედიენტის არომატი და გემო“. აქვე თურქეთში ორი ისეთი კომპონენტია გამოსაყოფი, რომელიც თითქმის ნებისმიერი კერძის მომზადებისას გამოიყენება. ესაა ლიმონის წვენი და აირანი – მანონი გაზავებული ნყლით. თურქულ დელიკატესებს სწორედ ეს ორი პროდუქტი უჩვეულო და დაუვინყარ გემოს აძლევს.

თურქეთში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სამზარეულოებებისთვის დამახასიათებელი იყო, ხოლო დღეს საერთოა ისეთი კერძები, როგორიცაა ბორანო, კომში წვნიანი, ქათმის სალათი, შემწვარი კვერცხი ლობიოთი, ბრინჯიანი ქათმის ტოლმა, სინორი, წვნიანი სიმინდი, თევზის ფლავი,

თევზის ბორეკი, ჰელვა სიმინდის ფქვილით, პეპერჩურა – ფელამუში, ტოლმა გოგრის ყვავილში, ყაურმა გოგრის ქერქით, ქაბაბი ხახვით, ხორციანი პურის ტოლმა, ხორციანი ტოლმა, ტოლმა, ტოლმა ცხვრის ნეკნებით, ვაშლის ტოლმა, ტოლმა ტყემლით, მწნილი, მწვანე ლობიო, ბოსტნეულის ფლავი, ფხლის სალათი ბრინჯით, ხორციანი ფლავი, წვნიანი კატლეტი, ბადრიჯნის წვნიანი, იახნი, პილმენი, ყველის დესერტი, ნიგვზის დესერტი, ფიდე, ჩიბურეკი, ფლავი ბატკნის ხორციით, ფლავი ბატის ხორციით, სულბიე, ქეშქექი, ბაქლავა, მანვნის წვნიანი, მანვნის წვნიანი ხორციით, მანვნის კარტოფილი და სხვა მრავალი.

1. წვნიანი კერძები: ცხელი წვნიანი კერძის დაგემოვნებას ადამიანი დღის ნებისმიერ მონაკვეთში ნებისმიერ დუქანსა თუ რესტორანში შეძლებს. სასადილო დუქნებს თურქეთში – „ლოკანტას“ უწოდებენ, სადაც თურქები სამუშაო საათების შემდეგ განსაკუთრებულად ნაყრდებიან. წვნიან კერძებს თურქეთში, როგორც წესი, ტრაპეზის დასაწყისში და, რაც მთავარია, სადილზე, ასევე, საუზმის და ვახშმის დროსაც მიირთმევენ. თურქული წვნიანი კერძების მრავალფეროვანი არჩევანი პირობითად შესაძლებელია დავყოთ რამდენიმე ჯგუფად: ა. რიგში, წვნიანი მომზადებული ხორცის ნახარშზე, ჩვეულებრივ, ქათმის ბულიონზე ბოსტნეულის, ბრინჯის, მაკარონისა და იოგურტის დამატებით; ბ. წვნიანი კერძები მომზადებული ფაფის სახით (სუპ-პიურე) კარაქის დამატებით და გ. წვნიანი შეკმაზული ლიმონის წვენითა და კვერცხით. თურქეთში შეგიძლიათ მიირთვათ აგრეთვე „ხაშის“ მსგავსი წვნიანი, რომელშიც ხორცი წვრილადაა დაჭრილი და დამატებულია ლიმონის წვენი და რძე ანდა რუსული „ოკროშკას“ მსგავსი

თურქული „ძაძიკი“. მას კიტრისაგან, მანვნისა და სანელებლების დამატებით ამზადებენ. თურქული წვნიანი კერძების მომზადების წესში კიდევ ერთი თავისებურების ტარხანას (tarhana) დამატება წარმოადგენს. ტარხანა ხორბლის ფქვილისაგან მომზადებული ცომია, რომელსაც სხვადასხვა სანელებლები ემატება, რის შემდეგაც მას მზეზე აშრობენ და შემდეგ წვრილად ნაყავენ.

როგორც წესი, თურქეთში ტურისტებს სქელ ოსპის წვნიანს (mercimer corbasi), სთავაზობენ რომელსაც „ჩორბას“ ეძახიან, ასევე, სთავაზობენ თევზის წვნიანს (balik corbasi) ანდა მომუშავო – მოტკბო ბრინჯის წვნიანს. „საქორწილო წვნიანი“ თურქული სამზარეულოს ყველაზე ორიგინალურ კერძად ითვლება, რომელიც ცხვრის ხორცისაგან მზადდება.

2. თურქული პური: პური და ცომეული კერძები თურქული სამზარეულოს დედაბოძად ითვლება. ისინი ყველა ტრაპეზის განუყოფელი ნაწილი იყო. პურთაგან უნდა გამოიყოს „ეკმეკი“ (ekmek) – ჩვეულებრივი თეთრი პური, „პიდე“ (pide) – ლავაში, „სიმიტი“ (simit) ჯუნჯუტის მარცვლებით მრგვალი კვერები. „მანტი“ (manti) – ქადის მაგვარი სატენით გამომცხვარი პური და ცომეულის არაერთი სახეობა, რომელთაც „ბორეკს“ (borek) ეძახიან.

წვნიანი კერძეულის გარდა თურქეთში, აგრეთვე, იხილავთ ხაჭაპურის მსგავს ორცხოზილებს. თურქები გარდა ყველისა, ნავის ფორმის ცომში ხორცსა და ბოსტნეულს ანთავსებენ. ეს არის თურქული „პიდე“, რომელიც ძალიან პოპულარულია და მას ნებისმიერ რესტორანსა და კაფეში შემოგთავაზებენ.

3. **ხორცის კერძები:** ტრადიციული თურქული კერძებიდან უნდა დასახელდეს მწვადი და ქაბაბი, რომლებსაც თურქები ჯერ კიდევ მომთაბარეობის პერიოდიდან ამზადებდნენ. დღესდღეობით ყველაზე პოპულარულია „სის ქებაბი“ და „დონერი“. სის ქებაბისთვის ხორცი წვრილ ნაჭრებად იჭრება და აცმული შამფურზე ნახშირზე იწვება. დონერი ჩვენებურად ზოგან „შაურმად“ იწოდება. თურქეთში დონერის მრავალი სახეობა, როგორც ცხვრის, ისე, ქათმის ხორცისაგან მზადდება. ძალზე პოპულარულია, ხორცი, პიტეში (lahmacun) და ქებაბი ადანურად, რომლის სახელი ქალაქის ადან სახელს უკავშირდება, სადაც ისინი პირველად დამზადდა. ხშირად ხორცს მწვანე სალათის ფურცლებს და წითელ ხახვს უმატებენ. ამგვარი კერძები სწრაფი კვების - fast food-ის თურქულ ვარიანტს წარმოადგენენ.

არანაკლებ გემრიელია თურქული გუფთა (kofte), რომელიც თურქეთში შემწვარი, მოხარშული ანდა მოთუშული სახითაც შეგვხვდებათ. იგი გატარებული ცხვრის ხორცისაგან სანელებლების, კვერცხის და წვრილად დაჭრილი ხახვის დამატებით მზადდება.

ცნობილია კიდევ ერთი პოპულარული კერძი, რომელიც მომთაბარე ცხენოსნებს უკავშირდება. წარსულში თურქები სანელებლებში ამოვლებულ ხორცის ნაჭრებს ცხენის უნაგირის ქვეშ ინახავდნენ. ევროპელებისთვის ასეთი კერძი „ბივშტექსის“ სახელწოდებითაა ცნობილი. თურქულად მას „უმი გუფთა“ ქვია. ამ კერძის მომზადებისთვის ხორცს ორჯერ აქუცმაცებენ, შემდეგ გადაურევენ ტკბილ და მწარე წინაკას და რამდენიმე

საათით მსგავს მდგომარეობაში აჩერებენ. ამის შემდეგ მათგან ძალზე მცირე ზომის ბურთულებს აკეთებენ. თუ ამ კერძის გასინჯვას გადაწყვიტოთ დაუფინყარი შეგრძნებები თქვენთვის გარანტირებული იქნება.

4. ტკბილეულები და ორცხობილები: თურქი მზარეულები ტკბილიულის მომზადების უზადო ოსტატები არიან. რავალი თურქული ნუგბარი ცნობილია ევროპელი ტურისტებისთვის, მაგალითად ფახლავა, შერბეთი, ხალვა და, განსაკუთრებით, ლახათ-ლუხუმი. თურქეთში არსებობს ისეთები ნუგბარებიც, რომლებიც ბევრმა შესაძლოა არც კი იცოდეს, მაგალითად, „ტულუმბა“ – ცომისგან მომზადებული კამფეტები და სიროფით გაჟღენთილი პუდინგი-მუხალები თუ გამომცხვარი ვერმიშელი – „კადაიფი“. ამდაგვარი ტკბილეულობის გამო, ბევრ საცნობარო ბუკლეტებში ტურისტებს სავსებით გულწრფელად თურქები ასე მოუწოდებენ: „თქვენ გადაწყვიტეთ თურქეთში გამგზავრება და ამასთანავე გიყვართ ნუგბარი და ტკბილეულობა? – მაშინ თქვენ ნამდვილად თქვენი ქვეყანა აგირჩევიათ!“. აქ არსებობს ტკბილეულის სპეციალური დღესასწაულიც კი, რომელსაც „შერეკ- ბაირამი“ ეწოდება.

ტკბილეულობას თურქეთში შეგიძლიათ ნამდვილი თურქული მომწარო ჩაი ანდა ყავა დააყოლოთ, რომელსაც რძით არასოდეს არ აზავებენ, ასევე, შეგიძლიათ აირანი, ხორბლის სქელი ნახარში — „სალეპი“ და „ბოზუ“ დააგემოვნოთ. გარდა თურქული არაყისა, რომელსაც „რაკე“ (რახი — ერთნახადი არაყი) ჰქვია, ნებადართულია, თურქული წითელი ღვინო - „შარაპ“ გასინჯოთ.

ამდენად, ანატოლიაში ჩვენ შეგვიძლია ისტორიულ დინამიკაში განვითარებულ კულტურათა დიალოგზე ვისაუბროთ. სხვადასხვა ეთნოსის ეთნიკურ კულტურათა დაახლოება და შერწყმაც თვალნათლივ აისახა მცირე აზიის თურქ-სელჩუკთა მემკვიდრეების ცხოვრების წესში. ეს კულტურა შექმნა არა მხოლოდ და არა იმდენად თურქ-სელჩუკებმა, რამდენადაც ანატოლიის ადგილობრივმა ხალხებმა, ასევე, თავის დროზე მეზობელმა არაბებმა და სპარსებმა, მაგრამ ენობრივი უპირატესობა იქ თურქებმა მოიპოვა, ამასთან სწორედ კულტურული დიალოგის პროცესში მათ სრულიად ახალ თურქულ კულტურულ მემკვიდრეობას ჩაუყარეს საფუძველი.

თემა მიმართვა

თურქეთის თანამედროვე ეთნიკური შედგენილობა და ეთნოკონფესიური პორტრეტი ტრადიციულ კულტურასთან კონტექსტში

თურქეთის კონსტიტუციის 66-ე მუხლი ნებისმიერ იმ ადამიანს, რომელიც თურქეთის სახელმწიფოს მოქალაქეობის ვალდებულებით ემორჩილება, „თურქად“ განსაზღვრავს, შესაბამისად, ტერმინ „თურქის“ სამართლებრივი და სამოქალაქო მნიშვნელობა მისი ეთნიკური განსაზღვრებიდან განსხვავდება. მიუხედავად ამისა, თურქეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი ეთნიკურად თურქია. სხვა ეთნიკურ ჯგუფებს მიეკუთვნება ქართველები, ქართველური წარმომავლობის ეთნიკური განშტოებიდან – ლაზები, ჩერქეზები, მათგან აფხაზები, ალბანელები, არაბები, ასირიელები, ქურთები, ბოშები, რომელთა დიდმა ნაწილმა სელჩუკებისა და ოსმალების პერიოდში ინტენსიური გათურქება განიცადა, და ლოზანის ხელშეკრულებით ოფიციალურად აღიარებული სამი უმცირესობა — სომხები, ბერძნები და ებრაელები.

ქართუნი. ქურთები არის ხალხი, რომელიც ინდოევროპული ოჯახის ინდო-ირანულ ენობრივ ჯგუფს მიეკუთვნება. ისტორიული ქურთისტანის ტერიტორია დაახლოებით 450 ათასი კილომეტრია. ქურთისტანი ოთხი ქვეყნის - თურქეთის, ირანის, ერაყისა და სირიის მოსაზღვრე ტერიტორიაზე მდებარეობს. თურქეთის ქურთისტანს 230 ათასი, ირანის - 125

ათასი, ერაყის – 80 ათასი, ხოლო სირიის –15 ათასი კვადრატული კილომეტრი ეკუთვნის.

ქურთისტანი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, მათ შორის, მსოფლიო მნიშვნელობის ნავთობის საბადოებით, მაგალითად, ერაყის ქურთისტანში მოიპოვება რკინა, სპილენძი და ურანი. ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ქურთისტანში ყოველთვის იყო მრავალრიცხოვანი მოსახლეობის „შენახვის“ შესაძლებლობა. XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ქურთების წინააღმდეგ წარმოებული სხვადასხვა ტიპის მოქმედებების შედეგად მოსახლეობის დიდი ნაწილი განადგურდა. დღესაც ერი გამრავლების პრობლემის წინაშე დგას. გარდა ამისა მაღალ სიკვდილიანობას ხელს უწყობდა სუსტად განვითარებული ეკონომიკა და ჯამრთელობის დაცვის სისტემა. ქურთების რაოდენობამ ბოლო პერიოდებში იკლო, რეგიონის სხვა ეთნიკური ჯგუფების რაოდენობამ კი, მნიშვნელოვნად იმატა. 1960 წლებიდან უარყოფითი დემოგრაფიული მდგომარეობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა, თუმცა მაინც დღეს ქურთები ახლო აღმოსავლეთში არაბების, ირანელებისა და თურქების შემდეგ სიდიდით მეოთხე ერია.

ქურთების ყველაზე დიდი რაოდენობა თურქეთშია თავმოყრილი, დაახლოებით 48%. რიცხოვნებით შემდეგია – ირანელები (25%), ერაყელები (17%), სირიელები (4%), დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ხალხები (1,5%), 300 ათასზე კიდევ უფრო მეტი წარმომავლობით სამხრეთ კავკასიასთან და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებთანაა დაკავშირებული. დანარჩენები დასავლეთის ქვეყნებში ცხოვრობს. ურთების მთლიანი რაოდენობა დაახლოებით 20-25 მილიონია.

ქურთული ქალაქებიდან ერთი მილიონი კაცი ქირმანშჰში ცხოვრობს, ნახევარი მილიონი – დიარბაქირსა და ქირქუქში, მეოთხედი მილიონი და უფრო მეტი – ანთეფეში, ერბილში, ჰამადანში, მალათიაში, სულაიმანიაში, მეოთხედი მილიონი და უფრო ნაკლები – ადიამანში, დესიმში (თუნჯელში), დოჰუქში, ელაზიგში, ჰაიმანაში, ხანაქინში, მარდინ ქამიშლიში, ქოჩანში, სინანდაქში, შაჰაბადიში, სიირთისსა და ურფაშია განსახლებული.

ქურთების სალაპარაკო ენა – ქურთულია, რომელიც ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანული განშტოების ჩრდილო-დასავლური ქვეგანშტოებაა. იგი სემიტური არაბულისაგან და თურქულისაგან ძირეულად განსხვავდება. ქურთული ენა ორ ძირითად – ჩრდილოეთისა და სამხრეთის დიალექტურ ჯგუფად იყოფა. პირველის ლიტერატურული ფორმაა ლათინური გრაფიკით – „კურმანჯი“, მეორე ლიტერატურული ფორმა – არაბული გრაფიკით – „სორანია“. ისინი კიდევ სუბ-დიალექტებად იყოფა. კურმანჯიზე თურქეთში, ჩრდილო-დასავლეთ ირანში, სირიაში, ჩრდილოეთ ირანში მცხოვრები ქურთების 60% ლაპარაკობს. შორანიზე კი ირანის დასავლეთსა და სამხრეთ-დასავლეთში, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ერაცში საუბრობენ. გარდა ამისა, ქურთების განსაკუთრებულ ეთნიკურ ჯგუფ – „ზაზაში“, რომლებიც თურქეთის ქურთისტანში დერსიმის (თუნჯელი) ვილაიეთში ცხოვრობენ, ლათინური გრაფიკით – „დიმილის“ დიალექტია გავრცელებული. ამ დიალექტზე კავკასიაში მცხოვრებთა მცირე ნაწილიც ლაპარაკობს.

ქურთების უმრავლესობა, თითქმის ყველა კურმანჯიზე მოლაპარაკე, სუნიტური ისლამის მიმდევარია, მცირე ნაწილი კი – შიიტია. ეს უკანასკნელნი, ძირითადად ირანის სამხრეთ-დასავლეთში სახლობს. ქურთების განსაკუთრებული ეთნიკური ჯგუფი შიიტურ სექტა „ახლი-ხაკის“ და „ალი-ილახების“ მიმდევარია. საგრძნობი გავლენით სუნიტური მისტიკური ორდენები სარგებლობენ. ქურთების უმნიშვნელო ნაწილი ერაყიდან, სირიიდან, თურქეთიდან და სამხრეთ კავკასიიდან ძველი ქურთული პრეისლამური კულტის, იეზიდის მიმდევარია. იეზიდის ძველ-სპარსული რწმენის, ისლამისა და ქრისტიანობის ელემენტების ერთობლიობას წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ისლამმა ქურთული საზოგადოების სულიერ ფორმირებაზე დიდი გავლენა ვერ მოახდინა. მათ სულიერ ორგანიზაციასა და ეროვნულ მენტალიტეტში ძირითადად ტომობრივ წარსულში არსებული ტრადიციები დომინირებს. ქურთისტანის ზოგიერთ რაიონში ცხოვრობენ ქურთი ებრაელები, ქრისტიანები და ბაჰაისტები. მათი რაოდენობა უმნიშვნელოა. ქურთი ებრაელები ემიგრაციაში ინტენსიურად მიემგზავრებიან. ქრისტიანები კი – საკუთარი თვითშეგნების ასირიელებთან გაიგივებას ახდენენ.

ქურთების ეთნოგენეზის დასაწყისად ჩვ. წ. აღ-მდე VII საუკუნის ბოლო უნდა მივიჩნიოთ, როდესაც ქურთისტანის ტერიტორიაზე ირანულენოვანმა ტომებმა დასახლება და თანდათანობით ადგილობრივ ავტოქტონურ მოსახლეობასთან ასიმილაცია დაიწყეს. ეს პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდა. პროცესი, სავარაუდოდ, გვიან სასანიდურ ეპოქაში

დასრულდა, დაახლოებით VI-VII საუკუნეებში, როდესაც დარწმუნებით შეიძლება ითქვას, ქურთი ერი ჩამოყალიბდა.

წინა აზიის ძველალმოსავლური ცივილიზაციების ეპოქაში ის გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და ლინგვისტური საფუძველი წარმოიშვა, რომელზედაც მოგვიანებით თავისი განსხვავებული კულტურით ქურთი ერი დაფუძნდა და განვითარდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქურთული ეთნოსის ასაკი დაახლოებით თხუთმეტ საუკუნეს მოიცავს. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ქურთი ხალხის ეთნოგენეზი მკვეთრად ლოკალიზებული იყო. ეთნოგენეზის პროცესი იმ გეოგრაფიულ სივრცეში ხდებოდა, სადაც ქურთები დღესაც ცხოვრობენ. ქურთები რეგიონში ერთ-ერთი უძველესი ერია. რეგიონის სხვა ერების მნიშვნელოვანი ნაწილი კი ახლო აღმოსავლეთში მიგრაციის შედეგად მეტ-ნაკლებად „მზა“ ეთნიკური სახით მოვიდნენ.

ძველი და ახლანდელი ქურთისტანის გეოგრაფიული კოორდინატები ერთმანეთს არ ემთხვევა, თუმცა, ძირითადი ქურთული ტომების მუდმივი დასახლების ტერიტორიის ცენტრალური ზოლი, რომელიც თურქეთის (სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლია), ირანისა (სამხრეთ-დასავლეთ ირანი) და ერაყის (ჩრდილო-აღმოსავლეთ ერაყი) მოსაზღვრე ტერიტორიებს მოიცავს, სადაც ქურთი ერის ჩამოყალიბება მოხდა, საუკუნეების განმავლობაში უცვლელი დარჩა. ამ ფაქტორმა ქურთი ხალხის ეროვნული მენტალიტეტის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. საკუთარი ტერიტორიების დაცვისათვის ქურთები საუკუნეების განმავლობაში იბრძვიან, რაც მათ ეთნოფსიქოლოგიაშიც აისახა.

სომხები. სომხები ხალხია, რომლის ძირითადი მოსახლეობა – 3,08 მილიონი ადამიანია და სომხეთში ცხოვრობს. ისინი ასევე განსახლებულნი არიან რუსეთის ფედერაციაში – 1,2 მილიონი, აზერბაიჯანში, მთიან ყარაბაღში – 146 ათასი, საქართველოში – 248 ათასი, საფრანგეთში – 450 ათასი, ირანში – 200 ათასი, სირიაში – 170 ათასი, ლიბანში – 132 ათასი და თურქეთში – 45 ათასი კაცი. მოსახლეობის საერთო რაოდენობა დაახლოებით 20 მილიონ ადამიანს აღწევს. ენა სომხურია, რელიგია – ქრისტიანული. არსებობს სომხური სამოციქულო ეკლესია, ასევე, სომხური კათოლიკური ეკლესია. თურქეთში სომხები ძირითადად სტამბულში, ამასიასა და დიარბაქირში სახლობენ.

ისტორიულად სომხები თურქეთში ოსმალური პერიოდის - სომხური „მილეთის“ შექმნის შემდეგ, 1461 წლიდან არიან წარმოდგენილნი. სომხებში გამოიყოფა ეთნიკური ჯგუფი „ჰემშინი“, რომელიც მუსლიმ სომეხთა ეთნო-კონფესიურ ჯგუფს წარმოადგენს.

კავშირები. კავკასიასა და ანატოლიაში და, საერთოდ, შავ და ხმელთაშუა ზღვათა აუზების უზარმაზარ სივრცეზე, დროთა განმავლობაში, არაერთი უაღრესად საინტერესო ეთნო-კონფესიური ჯგუფი ჩამოყალიბდა. მათი წარმომავლობის, ძირითადი საცხოვრებელიდან განსახლების მიზეზებისა და მიმართულებების, ახალსამოსახლოებში საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული ადაპტაციისა და, შესაბამისად, ინოვაციური პროცესების საფუძველზე რელიგიური მიკუთვნებულობის და, ხშირად, ეთნიკური თვითშეგნების განმსაზღვრელი ამა თუ იმ ნიშნის, მაგალითად, ენის, კულტურის ცალკეული

ელემენტის, შესაძლოა, ეროვნული ცნობიერებისა თუ ეთნიკური თვითშეგნების ტრანსფორმაციის, ყოფისა და კულტურის მთელი რიგი სპექტრის — დასახლებისა და საცხოვრებელი ნაგებობების, ჩაცმულობის, მეურნეობისა და ცხოვრების სოციალური წესის, სულიერი სამყაროს შესახებ ცნობები ძალზე ბუნდოვანი და მწირია, რადგან მიმდინარე პოლიტიკური კატაკლიზმები და განსახლების ეთნიკურ მოზაიკის სწრაფი ცვლილებები ისეთ კულტურებზე, რომელთა შორის გარკვეული ნაწილი უკვე რელიქტურ კულტურათა რიცხვს განეკუთვნება, დაკვირვების საშუალებას მაქსიმალურად ზღუდავდა. ამდაგვარ, ეთნო-კონფესიურ გაერთიანებას თურქეთში სომეხთა გამუსლიმანებული შთამომავლები განეკუთვნებოდა, რომელთა ფორმირებაში, გარდა რელიგიური ფაქტორისა, განმსაზღვრელი იყო ამა თუ იმ ეთნიკურ ჯგუფთან მათი ხანგრძლივი კულტურულ-ისტორიული ურთიერთობები. აღნიშნული ეთნიკური ჯგუფი ცნობილია „ჰემშილისა“ თუ „ხემშილის“ სახელწოდებით.

თურქეთის რესპუბლიკაში ჰემშინები (ხემშინები// ხემშილები) ძირითადად მდინარეების – ფურტუნისა (რიზეს ვილაიეთი) და ყარადერის ველებზე კომპაქტურად ცხოვრობენ იქ მოსახლე ჰემშინები „ბაშ-ჰემშინებად“ იწოდებიან. მეორე ჯგუფი ჰენშინებისა – ხოფისა და ჭოროხის მთის ზოლში სახლობს და „ხოფე-ჰემშინებად“ ითვლებიან. თურქეთში „ჰემშინად“ წოდებული მოსახლეობა დღეისათვის მდინარე ჭოროხის დასავლეთით, მალალმთიან ნაწილში, თანამედროვე ლაზისტანის მეზობლად სახლობს.

ჰემშინები გამუსლიმანებული სომხები არიან. ბუნებრივია, ყველასთვის საინტერესოა თუ როგორ მოხვდნენ ოსმალეთისა და საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მიწა-წყალზე სომეხთა დღეს გამუსლიმანებული შტამომავლები. არსებობს ფაქტები იმის სამტკიცებლად, რომ სასომხეთში მომთაბარეთა შემოსევებისაგან დევნილი ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა სხვადასხვა მიმართულებით განსახლდა. გარკვეული ნაწილი აფხაზეთში დამკვიდრდა, ხოლო მეორე ნაწილი ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში ჩასახლდა. თურქეთის რესპუბლიკაში ჰემშინად წოდებული ეთნო-რელიგიური მოსახლეობა, რომელიც დღეისათვის მდინარე ქოროხის დასავლეთით, მაღალმთიან ნაწილში, თანამედროვე ლაზისტანის მეზობლად სახლობს, დასავლეთიდან და სამხრეთიდან - ლაზურენოვან, ხოლო ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან - ქართულენოვან დასახლებებშია მოქცეული. მართალია ისინი სომხურ ენას ინარჩუნებენ, მაგრამ იგი სომხურის ცნობილი დიალექტებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. მათი ენა ლაზურისა და ქართულის გავლენებს განიცდის. ჰემშინთა უმრავლესობა ფლობს ლაზურს. ბოლო დროს მათ მეტყველებაში თავს იჩენს თურქული ენის გავლენებიც.

ჰემშინები ჰანიფატური მასჰაბის სუნიტი მუსულმანები არიან. სომეხმა მოსახლეობამ ისლამზე გადასვლა დაახლოებით გვიანი შუასაუკუნეებიდან დაიწყო. მიუხედავად ამისა ისინი ქრისტიანობას ხანგრძლივი დროის მანძილზე ინარჩუნებდნენ და სომხურად ლაპარაკობდნენ. მათ ახსოვდათ თავიანთი წარმომავლობა და სარწმუნოება, ენა კი ნაწილობრივ დაკარგული ჰქონდათ. ეს უფრო იმ ჰემშინებზე ითქმის, რომლებიც ლაზებს

ჩამოგავთ, ვიდრე სომხებს. ისინი ხასიათითა და წესჩვეულებებითაც უფრო მთის ლაზებს გავდნენ, ვიდრე სომხებს. ამასთან, ლაპარაკობდნენ თურქულად და, ასევე, ცოტა ლაზურადაც, განსაკუთრებით, ხოფის ჰემშინები. ზოგიერთ დასახლებებში ჰემშინები ერთმანეთში სომხურად ლაპარაკობს, ძალიან იშვიათად ლაზურად, ეს უკანასკნელი ენა უფრო ხოფელ ჰემშინებთან ქარბობს, სადაც ჰემშინური სოფლები ლაზური ხასიათისა იყო, ამასთან, ეს უკანასკნელნი პირველებზე უფრო შეძლებულები იყვნენ. ამდენად, საფიქრებელია, რომ ჰემშინების ეთნოკონფესიური ჯგუფის ჩამოყალიბებაში ლაზთა გარკვეული ნაწილიც მონაწილეობდა. ისინი ჰემშინებს აეთქვიფნენ, იმგვარადვე, როგორც ურუმებს და ჰემშინთა დიასპორა ისტორიულად ჩამოყალიბებული და ემპირიულ ცოდნა-გამოცდილებაზე აგებული კულტურული ფასეულობებით გაამდიდრეს. ბერძნული წარმომავლობის ურუმთა ეთნო-კონფესიაში შერევის ლაზების მხრიდან ბერძნებთან ერთმორწმუნეობა და მუსლიმანურ გარემოცვაში, თავის დროზე, ქრისტიანობის შენარჩუნების მცდელობა ედო საფუძვლად. დასადგენია თუ რა მოტივები გააჩნდა გამუსლიმანებულ სომხებთან ლაზების განსაზღვრული ჯგუფის შერწყმას – რელიგიური, რაც ნაკლებ მისაღებია, სამეურნეო-ეკონომიკური თუ სამხედრო პოლიტიკური. ალბათ უფრო სარწმუნოა ის გარემოება, რომ აღნიშნულ პროცესს ერთიანი სამინათმოქმედო და სამესაქონლეო სივრცეში თანაარსებობა და ეკონომიკური ინტერესების თანხვედრილობა განსაზღვრავდა, ასევე, შესაძლოა ბიზანტიის დაცემის შემდეგ მათი ერთმანეთთან შეკავშირება ოსმალთა სანინააღმდეგო კოალიციაში ინტეგრაციის საჭიროებით, ოსმალ-

თავან თავდაცვის აუცილებლობითა და გამუსლიმანებამდე ეთნიკური მეობის გადარჩენის მიზნით მომხდარიყო.

ჰემშინები მეორე მსოფლიო ომამდე, უმთავრესად, ვაჭრობით იყვნენ დასაქმებული, რასაც მათი ადგიმდებარეობაც უწყობდა ხელს. ისინი შავი ზღვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გასასვლელთან მოსახლეობდნენ და ამ საკონმუნიკაციო გზას მოხერხებულად იყენებდნენ. თავის დროზე, ისინი რუსული პურით არა მარტო რუსეთის სამხრეთში, არამედ რიგასა და ლიბავაშიც ვაჭრობდნენ. ამ მიზნით ისინი, ასევე, იმ დროის სახელგანთქმული თურქული საცხოვების ოსტატებსა და პურის მცხოვრებელ ლაზებს უკავშირდებოდნენ. ჰემშინები ყველს, კარაქს ამზადებდნენ, ამუშავებდნენ ტყავს, გამოყავდათ უხეში ტილო, თესდნენ მცირე რაოდენობით სიმინდს, მისდევდნენ მეფუტკრეობას. ხემშინთა ნაწილი ზამთრობით დიდ ქალაქებში – საშოვარზე სამუშაოდ მიემგზავრებოდა.

ჰემშილების, განსაკუთრებით კი – „ხოფე ჰემშილების“ მატერიალური კულტურა ლაზურთან ახლოს იდგა. ამ მხრივ საინტერესო იყო ჰემშილი მამაკაცის კოსტიუმი, რომელიც ლაზური თარგისას წარმოადგენდა. ეს იყო მოკლე ქურთუკი, რომელიც მარცხნიდან მარჯვნივ იკვრებადა და მკერდის სიმაღლეზე ტყვიის ჩასაწყობი ბუდეები ჰქონდა. თურქულ-ლაზური ტიპის ფართო შარვალი ჯიბეებით. ტანსაცმლის ფერი უმეტესად მუქი იყო. ქალები გრძელ პერანგებს ატარებდნენ, თავზე დაბალი ჩხთაკოპი ეხურათ. იგი მოოქროვილი, ვერცხლის ანდა ყალბი მონეტებით იყო შემკული, რომლებიც შუბლსა და კისერზე ეშვებოდა.

ჩერქეზები. ჩერქეზები თურქეთში ხუთიდან შვიდ მილიონამდე აღწევს. ისინი ჩრდილო-კავკასიიდან გამოსული მონათესავე და არამონათესავე ეთნიკური გაერთიანებების – ჩერნების, ინგუშების, აფხაზების, ადიღეელების, დაღესტნელების და ოსების ზოგადი აღმნიშვნელი სახელწოდება — ეთნონიმი. როგორც ჩანს ეთნონიმი **ჩერქეზი** თურქეთში ჩრდილო-კავკასიელთა საერთო გამაერთიანებელ ცნებად ჩამოყალიბდა. მათი ისტორია თურქეთში XIX მეორე ნახევრიდან – 1863 წლიდან დაიწყო მაშინ, როცა რეგიონში მიმდინარე საომარ მოქმედებებში რუსეთის გაიმარჯვა. ჩრდილოეთ კავკასიიდან ლტოლვილების პირველი ნაკადი ქალაქებში – სტამბულსა და სამსუნში გემებით ჩავიდა, ჩრდილო-კავკასიელი ლტოლვილების ძირითადი მასა კი – ერთი წლის შემდეგ ოსმალეთის იმპერიაში გაიქცა.

1884 წლისთვის ოსმალეთის იმპერიაში ლტოლვილი ჩრდილო-კავკასიელების რიცხვმა დაახლოებით ორას ორმოცდათვრამეტი ათასი კაცი შეადგინა. ემიგრანტებს თავდაპირველად ერთად დასახლება სურდათ, მაგრამ იმის გამო, რომ ოსმალეთის ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე, დევნილობაში, თავისებური მთიელთა რესპუბლიკის შექმნა არ დაეშვა, ისინი იმპერიის მთელ ტერიტორიაზე განასახლა, მათ შორის, არც თუ ისე სახარბიელო რაიონებში. ლტოლვილებს ასევე ასახლებდნენ ქალაქებში – ადაფაზარში, ქოჯაელში, იზმითში, ბურსაში, რათა საჭიროების შემთხვევაში ისინი ნავსადგურების საზღვრების დასაცავად ყოფილიყვნენ გამოყენებულნი. შხვათაშორის, 1876 წელს ბულგარეთში აჯანყების ჩასახშობად მთავრობამ სწორედ „ჩერქეზები“ გამოიყენა.

ემიგრანტთა ახალი ტალღა თურქეთში საბჭოთა რუსეთში სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ჩავიდა. ემიგრაციის

მეორე ტალღის ლტოლვილები და მათი შთამომავლები პროკავკასიური ორიენტაციის პოლიტიზებული მოძრაობების წამომწყებნი გახდნენ. ჩერქეზებს თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მთავარი როლი არაერთხელ უთამაშიათ. სწორედ ჩერქეზების წარმომადგენლები იყვნენ პარტია „ერთობა და პროგრესის“ დამფუძნებლები, რომელიც ოსმალეთის იმპერიის არსებობის ბოლო წლის განმავლობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა გახდა. 1919 წლის 24 თებერვალს მარშალ ფუად-ფაშას ხელმძღვანელობით ჩრდილო-კავკასიელთა საბჭომ თურქეთის საგარეო მტრებთან ბრძოლის განზრახვის შესახებ განცხადება გააკეთა. იმ პერიოდშივე ჩერქეზებმა —რაუფ ორბაიმ და ისმაილ ჯანბოლათმა მუსტაფა ქემალ ათათურქთან ერთად ანატოლიაში ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ჩაუყარეს საფუძველი, რომლის შედეგადაც თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკა ჩამოყალიბდა. თურქეთის პირველი პარლამენტის მოწვევის შემდეგ, მისი დეპუტატი ჩრდილო-კავკასიელებიდან ოცდახუთი წარმომადგენელი გახდა, რაც შემთხვევითი ფაქტი არ ყოფილა. 1906 წელს ჩერქეზებმა პირველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ოგანიზაცია – „ჩერქეზების გაერთიანების და ურთიერთდახმარების საზოგადოება“ შექმნეს. მის დამაარსებლებს შორის სამხედროები და ოსმალეთის სამოქალაქო ბიუროკრატიის წარმომადგენლები იყვნენ. მათი ყურადღების ცენტრში შიდა პოლიტიკა იყო. საზოგადოება მაშინ დაიშალა, როდესაც ინგლისელებმა სტამბულის ოკუპაცია მოახდინეს. ჩერქეზების მეორე ორგანიზაცია სახელწოდებით „ჩერქეზების ურთიერთდახმარების საზოგადოება“ 1918 წელს შეიქმნა და 1923 წლამდე იარ-

სება. მისი უშუალო მონაწილეობით გაიხსნა სკოლა, რომელშიც ერთდროულად ბიჭები და გოგონები სწავლობდნენ, რაც ოსმალეთის იმპერიისათვის სიახლეს წარმოადგენდა. ჩერქეზების მესამე ორგანიზაცია, რომელიც თითქმის მეორესთან ერთად ჩამოყალიბდა, უკიდურესად პოლიტიზირებული იყო და სხვა საკითხებთან ერთად მიზნად ისახავდა საბჭოთა რუსეთის მიერ დამსობილი მთიანი რესპუბლიკის დახმარებას. ერთი წლის შემდეგ აღნიშნული ორგანიზაცია დაიხურა. პირველი პრო-კავკასიური ორგანიზაცია რესპუბლიკური თურქეთის პერიოდში, 1946 წელს წარმოიქმნა სახელწოდებით – „სტამბულის მეგობრული ურთიერთდახმარების საზოგადოება“, რომელიც ამჟამინდელი „ბაგლარბაშის საზოგადოების“ წინამორბედი იყო.

XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან ჩრდილო-კავკასიელთა საზოგადოების რიცხვმა თურქეთში „სოკოებივით“ დაიწყო ზრდა, რომელთა საქმიანობაც, არც თუ ისე იშვიათად, თურქეთის შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაზე იყო ორიენტირებული. განსაკუთრებით აქტიურნი ისინი მსხვილ ქალაქებში იყვნენ. იმ პერიოდშივე პოლიტიკოსებმა ისლამისა და რუსეთთან ისტორიული მტრობის ფაქტორის ამოქმედებით, მრავალრიცხოვანი, გაუნათლებელი, ძირითადად, სოფლად მცხოვრები კავკასიური დიასპორის გამოყენება დაიწყეს. ამის ნათელი დადასტურება გახდა „ჩერქეზების“ მიერ თურქეთის შიდა ანტიკომუნისტური პოლიტიკის და გარე ანტისოციალიზმისა და თურანის - ყველა თურქულენოვანი ქვეყნების გაერთიანების მხარდაჭერა. 1980 წლის 12 სექტემბრის სამხედრო გადატ-

რიალების შემდეგ ყველა პრო-კავკასიური ორგანიზაცია, რომელთა ნაწილიც პროფაშისტურ ორგანიზაცია – „რუხ მგლებს“ უჭერდა მხარს, აიკრძალა და რვა-ათი წლის შემდეგ კვლავ აღსდგა.

ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად გაღვიძება დაიწყო საერთო კავკასიური სოლიდარობის გრძნობებმა, იმატა წინაპართა სამშობლოსადმი ნოსტალგიამ, ასევე, ულტრანაციონალიზმა, რომელიც ნაქეზებული იყო გარკვეული პოლიტიკური ძალების მიერ. ამან რიგ კავკასიურ საზოგადოებებს რადიკალური ხასიათი მისცა. ეს განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა საქართველოში – აფხაზეთში მიმდინარე სამოქალაქო კონფლიქტის და ჩეჩნეთის ომის დროს, სადაც საბრძოლველად ადგილობრივი მოხალისეები მიდიოდნენ.

დღესდღეობით თურქეთში ასზე მეტი კავკასიური ორგანიზაციაა. მათი უმრავლესობა აცხადებს, რომ პოლიტიკას არ ეხება, რაც გარკვეულწილად მართალია. ამის მაგალითად შეიძლება ავიღოთ „ბაგლარბაშის კავკასიის კულტურის საზოგადოება“. მისი ხელმძღვანელი, ასიმ ბერზეგი, აცხადებდა, რომ ჩრდილო-კავკასიის ხალხი ასიმილაციის, საკუთარი კულტურის და თვითმყოფადობის დაკარგვის საფრთხის წინაშე იმყოფებიან. აღნიშნული ტენდენციის აღკვეთაში თურქეთს შეუძლია დიდი როლი ითამაშოს, მაგრამ ჯერჯერობით იგი არ მიისწრაფვის „მეგობრობის ხიდის“ ფუნქცია შეასრულოს.

დავით დევნოზაშვილის მიერ შეკრებილი ცნობებით, დღესდღეობით ჩერქეზები კომპაქტურად ცხოვრობენ თურქეთის შემდეგ პროვინციებში: საქარია – 71 სოფელი, ბოლუ – 69, ქოჯაელი – 14, სტამბული – 6, ბურსა – 32, ბილევჯიქი – 14,

ბალიქესირი – 82, ჩანაქკალე – 15, ანკარა – 6, ესქიშეჰირი – 39, ქუთაჰია – 4, კონია – 21, მანისა – 4, იზმირი – 6, აიდინი – 10, დენიზლი – 2, აფიონი – 4, ანტალია – 2, სინოპი – 25, სამსუნი – 120, ჩორუმი – 34, ამასია – 16, თოქათი – 66, იოზგათი – 22, სივასი – 34, კაისერი – 66, კაჰრამანმარაში – 24, ადანა – 17, ჰატი – 3.

ბერძენები. ბერძენები საბერძენეთის ძირითად მოსახლეობას, დაახლოებით 9,72 მილიონ ადამიანს შეადგენს. ისინი აგრეთვე ცხოვრობენ კვიპროსზე, დაახლოებით – 570, ამერიკის შეერთებულ შტატებში – 550 ათასი, გერმანიაში – 300 ათასი, რუსეთის ფედერაციაში – 92 ათასი კაცი. მოსახლეობის საერთო რაოდენობაა 12,4 მილიონი. მათი ენა ახალბერძნულია. ბერძენების უმეტესობა მართლმადიდებლები ქრისტიანებია.

ებრაელები. ებრაელები სემიტური მოდგმის ხალხია. ებრაელთა დიდი ნაწილი იმ ქვეყნის ენაზე ლაპარაკობს, სადაც ცხოვრობს. ებრაელები ძირითადად იუდეველები არიან. იასპორაში აშკენაზებად და სეფარდებად არიან გაყოფილი.

ზოგადად ებრაელთა ამგვარ დაყოფას ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. მათ შორის განსხვავება ვლინდება ლოცვის წესებში, სინაგოგის მონყოლაში ტრადიციული ყოფითი კულტურის სხვა საკითხებში. აშქენაზ ებრაელებს მიეკუთვნებიან ევროპელი ებრაელების დიდი ნაწილი. ისინი ჩამოყალიბდნენ შუა საუკუნეებში, გერმანიაში და გავრცელდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, აგრეთვე ამერიკაში, აფრიკაში, ავსტრალიაში. სეფარდი ებრაელები ჩამოყალიბდნენ ესპანეთში, პორტუგალიაში, იტალიაში, თურქეთში, აზიაში, ბალკანეთზე, აფრიკის ნაწილში. ისინი აერთიანებენ იმ ებრაელებსაც რომლებიც არ არიან აშქენაზები და პირდაპირი კავშირი არ აქვთ სეფარდებთან. მაგალითად, კავკასიის ებრაელე ბი. ამ სათვისტომოთა სალაპარაკო ენაა — იდიში და ლადინო, რომლებიც

თანდათანობით ხმარებიდან გამოდის. ეს ენები ებრაელთა სხვადასხვა ხალხებთან ასიმილაციის პროდუქტს წარმოადგენენ და მსოფლიოს ებრაელთა უმრავლესობამ არ იცის. ამჟამად ისრაელში სახელმწიფო ენაა ივრითი — ძველი ებრაული.

ყოველი მორწმუნე ებრაელისათვის - არ აქვს მნიშვნელობა სეფარდი იქნება თუ აშქენაზი - რელიგია ასრულებდა უმნიშვნელოვანეს როლს მათი თვითშეგნების საქმეში. სინაგოგა მორწმუნე ებრაელებისათვის წარმოადგენდა სოციალური და სულიერი ცხოვრების წესის დაცვის თავისებურ გარანტს. ებრაელთა სამლოცველო სახლი იყო და ყოველთვის იქნება სინაგოგა. მას სხვაგვარად შეკრების სახლს - ბეით-ქნესეთს ეძახიან. სახელწოდება მიგვანიშნებს, რომ სინაგოგის ფუნქცია უფრო დიდია ვიდრე, მხოლოდ სალოცავი სახლისა. იგი აგრეთვე რელიგიური განათლების ცენტრს-ბეით-მიდრაშს წარმადგენდა. სინაგოგა მოითხოვდა განსაზღვრული ქცევის ნორმების დაცვას, მაგალითად: სინაგოგაში ბავშვის წაყვანა რომელმაც ლოცვა არ იცის სავალდებულო არ იყო, სინაგოგაში მლოცველი ყოველთვის ერთ ადგილს იკავებს.

ებრაული კულტურის შემსწავლელი მეცნიერების — იუდაიკის მიხედვით, ებრაული სალოცავების გენეზისი, ბაბილონელთა მიერ პირველი ტაძრის დანგრევას უკავშირდებოდა. პირველი ტაძარი ებრაელთა მეფეს სოლომონს აუშენებია სიონის მთაზე.

ისტორიულად ებრაელები თურქეთში 1492 წლიდან ცხოვრობენ, როდესაც ოსმალეთის სახელმწიფოში სხვადასხვა გზებით დამკვიდრდნენ. ისინი თურქეთში ესპანეთიდან, ხოლო 1497 წლიდან – პორტუგალიიდან შევიდნენ. XV საუკუნის დასასრულს ოსმალეთში „ებრაელთა მილეტი“ შეიქმნა.

თანამედროვე თურქეთში ებრაელები ძირითადად სტამბულში, იზმირში, ანკარასა და ბურსაში არიან განსახლებულნი.

ქართველური წარმომავლობის ეთნიკური გაერთიანებები და მათი კულტურა – ლაზები და ქართველები

ლაზები. ლაზები ქართველური მოდგმის ეთნიკური გაერთიანებაა. ლაზები ისტორიულად ჩრდილო-დასავლეთ თურქეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, ასევე, მდინარე ჭოროხის აუზის ძირძველი და მკვიდრი მოსახლეობაა. დღეს ისინი ძირითადად თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, აგრეთვე, აჭარაში, სოფელ სარფში, მდინარე ჭოროხის აუზსა და სამეგრელოში, ენგურის შესართავთან, ანაკლიასთან ცხოვრობენ. ლაზები საუბრობენ ქართველური ჯგუფის კოლხური - ზანურის (მეგრულ-ჭანური) ლაზურ (ჭანურ) დიალექტზე. თურქეთში მცხოვრები ლაზები მუსლიმანები არიან, მაგრამ მიუხედავად მათთვის უცხო ეთნიკურ გარემოცვაში ცხოვრებისა, მათ საკუთარი ენობრივი მახასიათებლები და კულტურა შეინარჩუნენ. ლაზების ერთ ნაწილს საერთო ქართული ენობრივი და კულტურული გარემოსგან იზოლაციის პირობებში ლაზური თვითშეგნება ჩამოუყალიბდათ. ლაზთა მცირე ნაწილი მართლმადიდებელი ქრისტიანია.

ლაზთა საერთო მოსახლეობა დაახლოებით 500 000 ადამიანს შეადგენს. ანთროპოლოგიურად სუფთა სისხლის ქართველური წარმომავლობის ლაზების დიდ ნაწილს ღია ფერის თვალები და ღია ფერის თმა აქვთ. აგებულებით დასავლურ ქართული, შავიზღვისპირა გარეგნობით გამოირჩევიან. საშუალოზე მაღალი სიმაღლე, მოგრძო სახე, სწორი ცხვირი და სქელი ტუჩები ქართველური წარმომავლობის ლაზებისათვის ტიპიურად დამახასიათებელია.

ქართ'ველები. ქართ'ველები კავკასიის აბორიგენულ – ავტოქტონურ მოსახლეობას წარმოადგენენ. ისინი იბერიულ-კავკასიური მოდემის – რასის ხალხთა ჯგუფს მიეკუთვნებიან. მათი საერთო რაოდენობა 7,8 მილიონია. სასაუბრო ენა ქართულია. სარწმუნოებით ქართველების 90% მართლმადიდებელია, მაგრამ ასევე გვხვდებიან კათოლიკეები და მუსლიმები. თურქეთში ქართველები სუნიტური მიმდინარეობის მუსლიმანებია.

ქართველ მუჰაჯირთა ეთნონიმიკა თურქეთში და ეთნონიმიკასთან დაკავშირებული ცნობიერება. ეროვნული ცნობიერებისა თუ ეთნიკური იდენტობის შესასწავლად უაღრესად დიდი მნიშვნელობა მათი აღმნიშვნელი სახელებისა და თვითსახელწოდებების – ეთნონიმიკის დადგენას ენიჭება, მაგრამ ხალხის ეთნოგრაფიულ ჯგუფებად გრადაციის პირობებში ყურადღება არა მხოლოდ ზოგადეთნიკურ, არამედ ლოკალურ – სახეობო სახელწოდებებზეც უნდა გამახვილდეს. მაგალითად, არსებობს ეთნონიმი **ქართველი**, მაგრამ ტერმინ „ქართველის“ ფარგლებში შეიძლება, ასევე, არსებობდეს – აჭარელი, შავშელი, კლარჯელი, ტაოელი, ლეჩხუმელი, რაჭველი, ქართლელი, კახელი... ამდგვარი ეთნონიმების მატარებლებში ორგანოზომილებიან ცნობიერებასან გვაქვს საქმე – ერთდროულად ზოგადეროვნულთან და ლოკალურთან.

XIX საუკუნეში რამდენჯერმე მოხდა რუსეთ-ოსმალეთის ომი, რასაც შედეგად მოჰყვა სამხრეთ საქართველოდან მოსახლეობის აყრა და ოსმალეთის შიდა რეგიონებში მასობრივი გადასახლება. ეს მოვლენა ლიტერატურაში „მუჰაჯირობის“ სახელწოდებითა ცნობილი. „მუჰაჯირი“ არაბული წარმოშობის სიტყვაა და ლტოლვილს, გადასახლებულს, ემიგრანტს ნიშნავს,

ე. ი. ტერმინი „მუჰაჯირი“ (Muhacir), არსებული წყაროების თანახმად, მახლობელ აღმოსავლეთში გაჩნდა, როცა VII საუკუნეში სასულიერო ასპარეზზე მუჰამედი გამოჩნდა. 622 წელს (ჰიჯრა) მექაში დევნილი მუჰამედი იძულებული გახდა იასრიბში გადასულიყო. იმ დროს იასრიბი მექის მეტოქედ ითვლებოდა. მუჰამედის იასრიბში წასვლის შემდეგ დასახლებულ პუნქტს მედინა – ქალაქი ეწოდა. სწორედ 622 წლიდან დაიწყო მუჰამედის მოღვაწეობის მეორე პერიოდი. მექიდან იასრიბში გადმოსული მუჰამედის მიმდევრები „მუჰაჯირებად“ იწოდნენ. ამდენად, სიტყვა მუჰაჯირი დანამდვილებით არაბული წარმომავლობისაა და ლექსიკოგრაფთა განსაზღვრებით ახალმოშენეს, გადმოსულს, გადმოსახლებულს ემიგრანტს ნიშნავს.

საერთოდ, ქართული იდენტობისა და ეროვნული ცნობიერების ხარისხის განსაზღვრისათვის ყურადსაღებია თურქეთში მცხოვრები ქართველების, რომელთაც „მუჰაჯირებს“ უწოდებენ, გარესახელწოდებების – ეგზოეთნონიმებისა და თვითსახელწოდებების – ენდოეთნონიმების შესწავლა, შესაბამისად, თურქეთის რესპუბლიკის ქართველი მუჰაჯირები საინტერესოა იდენტობისა და ნაციომშენებლობის პრობლემებით დაინტერესებულ მკვლევარებისათვის.

ქართველი მუჰაჯირები რუსეთ-ოსმალეთის ომების პერიოდში ოსმალეთის შავიზღვისპირა ზოლში რამდენჯერმე გადასახლდნენ. ისინი ფაცას, ორდუს, სამსუნისა და სტამბულის, ასევე, ეგეოსიის მიმართულებით განსახლდნენ და საბოლოოდ როგორც ზღვისპირეთებში, ისე მთისწინა ზოლებსა და მაღალთალმთიან რეგიონებშიც დამკვიდრდნენ. მათი ეთნონიმია **გურჯი**, ერთმანეთს კი – „ჩვენებურებს“ ეძახიან. თურქეთში ჩვენებურების ერთი ნაწილი ავტოქტონური მოსახლეობაა,

ხოლო ნაწილი რუსეთ-ოსმალეთის ომების დროს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან იძულებით გადაადგილებულთა შტამომავლებია. ბუნებრივია, ტერმინი **ჩვენებური** ადრეულ ისტორიულ წარსულში ჩამოყალიბებული არ უნდა ყოფილიყო. ეს ცნება, რომელიც კუთვნილებითი ნაცვალსახელისაგან – **ჩვენი**’საგან (**ჩვენიანი**’საგან) განვითარდა, მეტ-ნაკლები ეთნონიმური დატვირთვით, შედარებით გვიან გაჩნდა, დაახლოებით მაშინ, როცა ოსმალეთის სახელმწიფომ საქართველოს მიწა-წყლის სამხრეთი ნაწილი გაიერთიანა. ვიანშუასაუკუნეებში ამ სიტყვით ოსმალეთის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული ქართული კუთხეების – შავშეთის, კლარჯეთის, ტაოსა და სპერის ხეობათა მოსახლეობა, ისე როგორც მუჰაჯირებად წოდებული ქართველობა აღინიშნა. თერმინ „ჩვენებურება“ თურქეთში მცხოვრები ქართველობის ერთობა განსაზღვრა, რითაც ხაზი გაესვა იმ ადამიანთა მთლიანობას, რომლებიც ერთმანეთთან საერთო გენეალოგიით, ცნობიერებით, ისტორიით, უფროს ზუსტად, საერთო ისტორიული მეხსიერებით, საერთო ბედ-იღბლის განცდით, ენითა და კულტურით იყვნენ დაკავშირებულნი.

ეთნონიმი **გურჯი** აღნიშნავს არა მხოლოდ თურქეთში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირს, არამედ ზოგადად ქართველს. ქართველთა ქვეყანასაც მეზობელი მუსლიმანური სამყარო „გურჯისტანს“ ეძახის. თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველებისათვის საქართველო არა მარტო გურჯისტანია, არამედ **მემლექეთი**. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ტერმინები **დიდ-მემლექეთი** და **სამშობლო (დედა-სამშობლო)**. დამკვირვებლების მიერ უკვე შენიშნულია, რომ თურქეთში არსებული ქართვე-

ლობა თურქსა და ქართველს, ისე როგორც თურქეთსა და საქართველოს ცნობიერად ანსხვავებს. **ვათანი** – თურქეთია, რომელიც ასევე სამშობლოს ნიშნავს, ხოლო **სამშობლო – გურჯისტანი**. მსოფლიო ისტორიამ იცის არაერთი მაგალითი, როცა ამა თუ იმ ქვეყნის და ხალხის აღმნიშვნელი სახელი იმ სახელდებებს არ ემთხვეოდა, რომლებითაც მას მეზობელი ქვეყნები და ხალხები იცნობდა. საილუსტრაციოდ შორეულ პარალელებს რომ არ მივმართოთ საკმარისია სომხური ეთნონიმიკა დავასახელოთ. ქართველები მათ ძველი ტრადიციისამებრ „სომხებს“, ხოლო ქვეყანას „სომხეთს“ ეძახის. ძველ წერილობით წყაროებში თანამედროვე სომხების უახლოესი კულტურული ნინაპრები „არმენების“ სახელითაა მოხსენიებული, რომელიც სომხების აღსანიშნავად რუსებს და ევროპის ზოგიერთ ხალხს დღესაც შემორჩათ. თავად სომხები საკუთარ თავს „სომეხს“ ანდა „არმენს“ კი არ უწოდებს, არამედ „ჰაე'სა“ და „ჰაეკ'ს“. ასევე უნდა ითქვას სიტყვა „გურჯის“ მიმართაც. საკუთრივ ქართველები საქართველოში თავის აღსანიშნავად ტერმინ „გურჯს“ კი არ იყენებს, არამედ „ქართველს“. საქართველოში სიტყვა „გურჯის“ მნიშვნელობა ყველას არ ესმის და მას არც ხმარობენ. **გურჯი** და **გურჯისტანი** ისეთი ეთნიკური და გეოგრაფიული ცნებებია, რომელთა ფონეტიკური და სემანტიკური ანალიზის საფუძველზე შესაძლოა წარსულის არაერთი საინტერესო ფურცელი გადაიშალოს. ფრანგი ორიენტალისტი მარი ბროსე, ისე როგორც შემდეგში არაერთი ენათმეცნიერი, ისტორიკოსი და ეთნოლოგი სწავლობდა რა ქართულ ეთნონიმიკას, ყველანი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საქართველოს სამი უმთავრესი სახელი ერქვა: 1. ეროვნული:

ქართული, გარეშე ქვეყნებისათვის სრულიად უცნობი – **საქართველო** (/ქართლი), რომელსაც სახელწოდება მისმა მცხოვრებლებმა, ქართველებმა მისცეს; 2. სომხური **ვირქ** (**ვრატცან**), რომლის მკვიდრნიც ახალი ქართულით „ვრაცებად“ იწოდებოდნენ. ეს ეთნონიმები პირდაპირ კავშირშია ფუძე - **ბერ**’თან და -**ვერ**’თან (ნიკო მარი, ლ. მელიქსეთ-ბეგი, სიმონ ჯანაშია, სარგის კაკაბაძე...). ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით ბერძნული **ივერია** და ლათინური **იბერია** მათგან წარმოსდგა და 3. **ვრჯან**’ის (**ვრკან**) გზით ახალი სპარსული **გურჯან**, **გურჯისტან**, არაბული და სირიული **გურზან** (**გურზან** – შდრ. XII საუკუნის წყაროში **ქურჯი**’ს) განვითარდა. არაბულ წყაროებში დადასტურებული **ჯურზან** (შდრ. **ჯურჯან**, იგივე **გურგანი**) ეთნიკონია და როგორც ქვეყანას, ისე მის მოსახლეობას აღნიშნავს, რომლის მკვიდრნიც „გურჯებად“ და „ჯურზებად“ იწოდებიან. აქედან უნდა იყოს წარმოქმნილი რუსული **გურდზი**, **გრუზი**, **გრუზია** (XVI საუკუნის რუსულ წყაროებში – **გურზა**) და ფრანგული **ჟეორჟი** (შდრ. იტალიურ **ჯორჯა**’სა და ესპანურ – **ხეორხია**’ს), რაც ლათინურიდან მომდინარე დასავლური **გეორგია**’ს (**georgia**) უშუალო შესატყვისია. საქართველოს მსოფლიო დღესაც ამ სახელწოდებით იცნობს. არაა გამორიცხული იგი მართლაც არაბული **ჭარჯ ფორმიდან** იყოს შეთვისებული და მას **გეორგია**’ს გარდა ზემოთ დასახელებული სხვა ეთნონიმებიც უკავშირდებოდეს (შდრ. ქართულ **გორგ**’ს, **გურგან**’ს, **ჯურჯან**’ს... და მგლის მნიშვნელობებთან კონტექსტირებულ მონათესავე სიტყვებს). თუ თანმიმდევრული ვიქნებით, დავინახავთ, რომ პლატონ იოსელიანი ერთ-ერთი

პირველთაგანი იყო ვინც 1844 წელს შენიშნა რუსული ტერმინ **გრუზია**'ს აღმოსავლური **გურჯი**, **ჯურჯი** და **გურჯისტანი**'ისაგან წარმოშობა. 1858 წელს ამ საკითხებს მარი ბროსე შეეხო, რომელმაც ეთნიკურ ტერმინთა კავშიურთიერთობა გაიზიარა, 1905 წელს კი ნიკო მარი ამტკიცებდა, რომ აღმოსავლური **გურჯ** და **ჯურზ** ფუძეებისაგან წარმოიქმნა რუსული **გრუზია** და ევროპული **გეორგია**. შემდეგში, 1928 წელს, ტერმინოლოგიური და სემანტიკურ-ფონეტიკური შესაბამისობები კიდევ უფრო დააზუსტა იუსტინიანე აბულაძემ, რომელიც, ასევე, ფიქრობდა, რომ რუსული **გრუზია** სპარსულ-არაბული და სირიული **გურჯ** და **გურჯზ**'ის ადეკვატური ფორმები იყო. ამდენად, როგორც ვხედავთ, ქართული ეთნოსისა და ქართველების აღმნიშვნელი სახელწოდებები სხვადასხვა ენაზე გამოთქმულსა და გაფორმებულ ერთი სემანტიკური და ფონეტიკური ველის ცნებებს წარმოადგენს.

თურქეთში ქართველებს „გურჯუს“ („გურჯს“), ხოლო ქართველთა ქვეყანას – „გურჯუსტანს“ („გურჯისტანს“) უწოდებენ. ეს პარალელური ფორმები ხმოვანთა ჰარმონიის საფუძველზეა განვითარებული. მიჩნეულია, რომ ტერმინი **გურჯისტანი** ოსმალურ წერილობით წყაროებში პოლისემიური მნიშვნელობის მატარებელია და ეთნიკურ-გეოგრაფიული შინაარსითაა დატვირთული. ერთი მხრივ, იგი ქართული ტომებით დასახლებულ მთელ ტერიტორიას – სრულიად საქართველოს აღნიშნავს; მეორე მხრივ, საქართველოს ერთ ანდა რამდენიმე სამეფო-სამთავროს, შესაძლოა, ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფით დასახლებულ „ქვეყანას“ და მესამე მხრივ, იშვიათად, მაგრამ მაინც „ყოველი საქართველოს“ გამომხატველ ტერ-

მინდაც აღიქმება. თურქეთში გურჯად მხოლოდ აჭარიდან და სამცხიდან მუჰაჯირად წასული ქართველების შთამომავლები კი არ აღინიშნებიან, არამედ თურქეთის საზღვრებში მოქცეული ისტორიული სამხრეთ საქართველოს: შავშეთ-იმერხევის, კლარჯეთის, ტაოს აბორიგენული მოსახლეობაც, ისინი ვინც წარმომავლობით საერთო ეთნიკურ ფესვებს ეკუთვნოდნენ. სხვათაშორის საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ თურქეთში „გურჯად“ იწოდებიან როგორც ქართულ ენაზე მოლაპარაკე ეროვნებით ქართველი მუსლიმანები, ისე საქართველოს მკვიდრი ქართველი ქრისტიანები და ქართველი მუსლიმანებიც, რაც მათ საერთო ეთნოსისადმი კუთვნილებას ადასტურებს. თურქეთში სიტყვა „გურჯმა“ ეროვნული ორგანიზმის ინტეგრაციული მნიშვნელობა შეინარჩუნა და სხვადასხვა რელიგიური ორიენტაციის – ქრისტიანებისა და ისლამის მიმდევრები ერთ ცნებაში მოაქცია, მაშინ, როცა საკუთრივ საქართველოში წარსულში საპირისპირო მოვლენები განვითარდა: ქრისტიანი ქართველი მუსლიმან ქართველს „თათარს“ ეძახდა, ხოლო მუსლიმანი ქრისტიანს – „ქართველს“, რომელშიც ეროვნება – „ნათესავით ქართველის“ ცნება კი არ იგულისხმებოდა, არამედ ზოგადად ქრისტიანი – ურჯულო (გიაური). თიპოლოგიურად მსგავს ვითარებასთან გვექონდა საქმე სამცხეში კათოლიკე მესხების მაგალითზე, რომლებსაც მიუხედავად მათი ქართული წარმომავლობისა, კათოლიკური აღმსარებლობის გამო „ფრანგებად“ („ფრენგებად“) მიიჩნევდნენ.

ცნობილია, რომ ერის ფორმირებისა და ეთნიკური ევოლუციის პროცესში კულტურის როლი და გავლენები დიდი იყო, მაგრამ კულტურას თუ გააჩნდა ინტეგრაციის, ასევე, იმავდ-

როულად, მას შეიძლება სეგრეგაციის ფუნქციაც ჰქონოდა. ამიტომ, ზოგადეთნიკური კულტურის ფარგლებში ჩვენ შეიძლება იოლად აღმოვაჩინოთ ლოკალური კულტურები ანუ კულტურები, რომლებიც ზოგადეროვნული ფასეულობების გვერდით საკუთარი, მაგალითთად, ქართულ ეთნოსში კულტურის სხვადასხვა სფეროსა (მატერიალური, სამეურნეო, სოციალური, სულიერი...) და მეტყველებაშიც სახეობო – ადგილობრივი ტრადიციული თავისებურებებით ხასითდებოდნენ. ასე მოხდა ქართველ მუჰაჯირებშიც, სადაც, თანდათანობით, ზოგადეთნიკური ცნობიერების გამომხატველი ეთნონიმი **გურჯი** ლოკალური ცნობიერების სახეობო ჯგუფების ამსახველ სახელწოდებებად დანაწილდა. მათ შორის, ძირითადად, აჭარის სხვადასხვა ხეობიდან ჩასახლებულები გამოიყოფიან. ესენია: **აჭარლები, ქობულეთლები (ჩურუქ-სუელები), მაჭახლები, ბათუმელები, შავშელები**, შესაძლოა „ჩაქველებიც”, რაც ქართველ მუჰაჯირებში იმ პერიოდის ეთნოგრაფიული ცნობიერების ასახვაა, როცა აჭარიდან და მისი მიმდებარე სანახებიდან მათი ოსმალეთის შავიზღვისპირეთში ჩასახლება მოხდა. ამ ფაქტს ჩვენ იმდენად გავუსვით ხაზი, რამდენადაც სოციალური, სულიერი, მატერიალური და სამეურნეო კულტურის ამა თუ იმ ელემენტის კვლევის პროცესში შევძლოთ მათი სახეობო თავისებურებების უკეთ გააზრება და კულტურულ ფასეულობათა სფეროში მსგავსება-განსხვავების, ისე როგორც მათი არა მარტო ლოკალური, არამედ საერთო – ზოგადეთნიკური ნიშნების დადგენა.

ქართველ მუჰაჯირებში ბოლო პერიოდში ჩამოყალიბება დაიწყო ეთნონიმმა – **ქართველი**, რომელიც ადრე ქართველი

მუსლიმებისათვის მხოლოდ ქართველი ქრისტიანის მნიშვნელობას თუ შეიცავდა. ახლა მან უკვე ეროვნულობის აღნიშვნის ფუნქცია შეიძინა. ბუნებრივია, ასეთი ტრანსფორმაციები ბოლო პერიოდის თურქეთში თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელმა კომუნიკაციებმა და საინფორმაციო საშუალებათა ქსელის ხელმისაწვდომობამ განაპირობა, თუმცა არის ვარაუდი, რომ ეთნონიმ „ქართველის“ ხმარება იქ დაახლოებით ოცდაათი წლის წინ დაიწყო, შესაბამისად, ისეთი ლექსიკური გამონათქვამებიც გაჩნდა, როგორცაა **ქართველი, განურული ქართველი, სუფთა ქართველი, ქართული**, ზოგიერთ ადგილებში კი დასტურდება ტერმინი **მუსლიმანი ქართველი**. თავად თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველებისათვის საქართველოში მცხოვრები თურქები „ქართველი გურჯებია“. ურჯისაგან განსხვავებით სიტყვათა ასეთი კობინაციაც თურქეთში შედარებით გვიან უნდა დამკვიდრებულიყო. ზოგიერთი თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ეთნიკურად ქართველი თურქად მიიჩნევა თავს იმიტომ, რომ ებრძოლა ძლიერი სახელმწიფოს შექმნისათვის, შესაძლოა გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებდეს. ამ აზრის შესაბამისად, თანამედროვე თურქეთი მრავალეთნიკურია. იგი მრავალი ეთნოსის შერევის შედეგადაა წარმოქმნილი. მათ ისეთი სახელმწიფო შექმნეს, რომელშიც ყველა ეთნოსის წარმომადგენელი თავს თურქად მიიჩნევს, რათა სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლებს შორის მუდმივი დაძაბულობა თავიდან აიცილონ. საბოლოო ჯამში ეთნიკურ ქართველებში სამი მიმართულებაა გამოყოფილი: 1. ეთნიკური ქართველები, რომლებიც ხაზგასმით მიუთითებენ მათ ქართულ წარმომავლობაზე და ქართული ენის მნიშვნელობაზე; 2. ეთნი-

კური ქართველები, რომელთათვისაც ყველაზე დიდი მნიშვნელობა რელიგიას ენიჭება, მაგრამ ყოველთვის აღნიშნავენ, რომ გურჯები (ქართველები) არიან; 3. ეთნიკური ქართველები, რომლებიც ასიმილირებულნი არიან თურქულ ეთნოსთან და მათთვის უკვე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ეთნიკურ წარმომავლობას. ქართველი თურქეთში ეროვნული თვალსაზრისით გენეალოგიურად თავს თურქად არ თვლის. ეს ფაქტია. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ რელიგიის – ისლამის ფაქტორი ყველა მიმართულებისათვის განმსაზღვრელია, თუნდაც იქ პრიორიტეტული ქართული ენა იყოს. თუ მესამე მიმართულება თურქ ეთნოსშია შერწყმული, მაშინ არც მათი ცალკე გამოყოფა ღირს, რადგან ჯგუფთან მათი ქართველებისადმი მიკუთვნებულობის არცოდნის გამო სასურველი კუთხით საუბარსაც ვერ წარმართავ, მაგრამ ჩვენ თუ ვახერხებთ რაღაც ფორმით ამა თუ იმ ჯგუფის ეთნიკურობა დავადგინოთ, მაშინ ცხადია ამგვარი ინფორმაცია ასეთი ჯგუფისაგან უნდა მივიღოთ. მაშასადამე, საიდან ვიცით ჯგუფი ასიმილირებულია თუ არა? ჩვენ შევიტყვეთ მათი ქართველობის შესახებ ანდა ეს ფაქტი მათ გაგვიზიარეს. თუ ეს ასეა, მაშინ მათი ქართველობის შესახებ იქნებ არსებობს რომელიმე საკლასიფიკაციო ნიშანი – ენა, ცნობიერება, გადმოცემებით მიღებული ისტორიული მახსოვრობა... საერთოდ, თურქეთში ქართველი თუ ის რაღაც ნიშნით სხვებისაგან გამოყოფას ცდილობს, თავს თურქად, ბერძენად, სომეხად არ მიიჩნევს, მაგრამ იგი თვლის, რომ თურქეთის სახელმწიფოში ცხოვრობს და თურქეთის მოქალაქეა, უფრო ზუსტად, თურქეთი მისი სახელმწიფოა. თურქეთში რელიგიისა და საერთო სახელმწი-

ფოებრივი – თურქული ენის ერთიანობამ სამოქალაქო ერთიანობის პანორამა და საერთო სახელმწიფოებრივი ერთობის განცდა ჩამოაყალიბა, თუმცა, ასევე, თურქეთში საკუთრივ ეთნიკური გრადაცია სახეზეა. არსებობს კიდევ ერთი მცდელობა თურქეთში მცხოვრები ქართველების ეროვნული იდენტობის განსაზღვრისა, კერძოდ, ასეთის დაკვირვების თანახმად, თურქეთის ქართულ მოსახლეობაში შემდეგი ჯგუფები გამოიყოფა: 1. ქართულენოვანი და ქართული ცნობიერების; 2. თურქულენოვანი და ქართული ცნობიერების; 3. გაორებული ცნობიერების. 4. ასიმილირებული ქართველები. როგორც ვხედავთ აქაც ქართველთა ერთ-ერთი დაჯგუფების თურქული ეთნოსისადმი ორაზროვანი კუთვნილებაა ხაზგასმული – „თურქი ვარ, ჰამა გურჯი ვარ“. ამჯერადაც დაზუსტებაა საჭირო: რას გულისხმობს რესპოდენტი თურქსა და საკუთრივ გურჯში? ნაკლებსარწმუნოა ისინი ეთნიკურად ქართველობას და იმავდროულად თურქობასაც აღიარებდნენ. მაშ რა განსხვავებაა მესამე და მეოთხე ჯგუფს შორის? ისე, ბუნებრივია, ქართული ენა, ყოფითი კულტურა, ქცევის ტრადიციული ნორმები ყველაზე მეტად ისეთმა ოჯახებმა რომ შემოინახა, სადაც ქორწინება მონოეთნიკური – ეთნოენდოგამიური იყო. აქედან გამომდინარე, ქართველების მიერ სხვებზე შერქმეული სახელების დატვირთვა კარგად ჩანს სწორედ საქორწინო ბარიერებში, სადაც ეთნიკურ და რელიგიურ ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. მაგალითად, მუჰაჯირი ქართველები თვლიდნენ, რომ ცოლად არ შეირთავდნენ ანდა ქალს არ მიათხოვებდნენ „გიაურს“, ზოგადად, ქრისტიანს, რადგან ისინი განსხვავებული აღმსარებლობის იყვნენ და

„ერმენს“, რომელთაც, ასევე, „სომეხს“ ეძახდნენ. ისინი ქორწინებას თურქთანაც ერიდებოდნენ, რომელსაც „ბოლოკას“, „კუდვანს“ და „კუდიანს“ (კუდვიანს) სახელწოდებებით მოიხსენიებდნენ. ნიშნდობლივია, რომ „კუდიანს“ ქართულის არმცოდნე ლაზებსაც ეძახდნენ. აქვე საინტერესოა აღინიშნოს, რომ თურქისათვის ქართველი მუჰაჯირი **ყოზახი** იყო, რაც თავად მუჰაჯირების განმარტებით „ჭახეს“ (არსებობს გამოთქმაც: „ჭახე ჩვენებურები“) ნიშნავს, თუმცა სხვა განსაზღვრებით **ყაზახი** თურქულში გლესს აღნიშნავდა. ანმარტებითი ლექსიკონების მიხედვით კი – „მჭახე“ გამოითქმის როგორც **Ekşi, Kekre**, ხოლო გლესი – **Köylü**. დასაშვებია ვიფიქროთ, რომ საქართველოში ცნობილი **ყაზახი** თურქული „ყოზახის“ ფონეტიკურად სახენაცვალი ფორმა იყოს. ტერმინი **ყაზახი** (**ყაძახი**) საქართველოშიც, განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოში – გურიაში იყო გავრცელებული და მამაკაცისადმი მიმართვის ფორმაში გამოიყენებოდა. ბუნებრივია ამ კოტექსტში ყურადღებას იქცევს ეთნონიმი **ყაზახი** ყაზახეთში და კაზაკი **ყირიმში**. თურქულში **ყაზახი** (**კაზაკი**) როგორც **Kazak** აღინიშნება და ისეთ ქმარს ნიშნავს, რომელიც ცოლზე ბატონობს – დესპოტი ქმარი.

მუჰაჯირი ქართველების და მათი შთამომავლების იდენტობის შენარჩუნების უმთავრეს მიზეზებს, როგორც ეს სპეციალური საველე კვლევების საფუძველზეა დადგენილი, მუჰაჯირების თანაცხოვრება, დასახლებების დიდი ნაწილის იზოლირება, განსხვავებული საოჯახო ყოფა, საოჯახო მეურნეობის თავისებურება, ენობრივი სხვაობა, საკუთარი ისტორიისა და რელიგიურობის განცდა წარმოადგენდა. შეიძლება ვივარა-

უდოთ, რომ ადგილი ჰქონდა ერთგვარი დიასპორალური საზოგადოების ფორმირების პროცესს, რაც მსგავსებათა ერთობლიობაში, სამშობლოს აღქმაში, სამშობლოში დაბრუნების თანაბარ განცდასა და რელიგიურ გამორჩეულობაში გამოიხატებოდა. უკან დაბრუნების იდეა, ძირითადად, ორ და ზოგჯერ სამ თაობაში ფიქსირდებოდა, რასაც ენის როლისა და ადგილის შენარჩუნება, სამშობლოს სიმბოლოების კონსერვაცია, ფიზიკური და სოციალური გარემოს დამსგავსება ანდა ტრანსფორმაცია – მშობლიურ გარემოსთან მიახლოება ისე, როგორც სამშობლოსა და მისი დატოვების მიზეზების კომმემორაცია და შემდგომი მითოლოგიზაცია წარმოადგენდა. მუჰაჯირებში მეორე-მესამე თაობიდან, განსაკუთრებით, პოლიტიკური ფაქტორების გავლენით, ტრანსფორმაციის პროცესი დაიწყო, რასაც შედეგად სხვადასხვა ადაპტირებული მოდელების შემუშავება და ამის გამო ტრადიციების ცვლილებები, სამშობლოს გაძლიერებული მითოლოგიზაცია და სიმბოლოებით დატვირთვა, ენობრივი სტატუსის შესუსტება და ცხოვრებისეული პრაქტიკების მოდერნიზაცია მოყვა. პოლიტიკურის გარდა, სხვა ფაქტორებიდან ლიტერატურაში გამოყოფილია ურბანიზაციის შედეგად ყოფითი სტრატეგიებისა და საოჯახო მეურნეობის ცვლილებები და ენის ე. წ. „ეკონომიკური რესურსის“ შესუსტება. ამ პროცესებში საყურადღებოა, რომ მაცხოვრებელი მოსახლეობის დიდი ნაწილი, თავის დროზე, მშობლიურ ადგილებს ერთგვარი ლოკალური იდენტობით ტოვებდა: მათ წარმოსახვაში სამშობლოს წარმადგენდა ის სოფელი, ხოლო უფრო ფართო გაგებით ის მხარე (ჩურუქ-სუ, აჭარა, მაჭახელი,

ბათუმი...), საიდანაც ისინი წამოვიდნენ და სადაც ერთნაირი რელიგიური შემადგენლობა იყო.

მუჰაჯირების შთამომავალთა მეხსიერებაში განსაკუთრებული ადგილი არარელიგიურ თემებს უკავია – რთული მიგრაცია და ადაპტაცია, ადგილის შერჩევის პროცესი, გასაჭირი და განსაცდელეები, ადგილობრივ მოსახლეობასთან კონფლიქტები, ბრძოლა გადარჩენისათვის. ქართველ მუჰაჯირთა იდენტობის ერთი დონე ეროვნულ კუთვნილების ელემენტებს მოიცავს („ჩვენ” – „ისინი”): ჩვენ გურჯი, ასევე, ხშირად აჭარელი, მაჭახლელი, ჩაქველი, ჩურუქ–სუელი (ქობულეთელი), ბათუმელი. ბათუმი, როგორც კრებისთი სახელი, „ჩვენებური” – ისინი: „კუდიანი”, „თურქი”. მუჰაჯირების შთამომავალთა აზრით, ეს განსხვავებულობა განსაკუთრებით საჭმელსა და კვების კულტურაში, სისუფთავისადმი დამოკიდებულებაში, ინდივიდუალურ და კოლექტიური ქცევის მოდელებში გამოიხატება. ეროვნულ და ლოკალურ იდენტობას შორის გარდამავალი ადგილი რელიგიურ ერთობას უკავია. ქართველი მუსლიმები საკუთარ თავს გამორჩეულ რელიგიურ მოსახლეობად მიიჩნევენ, რითაც, მათი შეხედულებით, იქ მაცხოვრებელ არაქართველ მუსლიმებს აღემატებოდნენ. ჩურუქ–სუელი, აჭარელი, მაჭახლელი, ბათუმელი უფრო ხშირად ფიქსირდება მაშინ, როცა საუბარი სხვა ლოკალური ჯგუფის წევრებს ეხება: „ჩვენ უკეთესი ვართ, ისინი არაა ჩვენნაირი, მარა არაა მთლად ცუდი”, ანდა „იგინებში არის, ჩვენში არა”. განსაკუთრებით ეს ქორწინებას, ნათესაობის სისტემას, ენის შენარჩუნების ხარისხს და ცალკეული წეს-ჩვეულების შესრულების თავისებურებებს ეხება. იდენტობა კიდევ ერთ შრეს – უფრო ვიწრო, ლო-

კალური ბუნების მახასიათებლებს წარმოგვიჩვენს. ესენია, სოფელი (საუბარია მშობლიურ სოფელზე ანდა იმ სოფელზე, სადაც შემდგომში დამკვიდრდა ესა თუ ის ოჯახი) და სოი (გვარი, წარმომავლობა). ამ მხრივ, მუჰაჯირები გენეალოგიურ ცნობებს დიდი სიფრთხილით ინახავენ და ნათესაობის სისტემის შესახებ საკმაოდ ფართო ცოდნა გააჩნიათ. სხვადასხვა ფაქტორების გავლენით ნათესაური ურთიერთობები მკაცრად რეგლამენტირებული აკრძალვებისა და დაშვებების სისტემით არ გამოირჩევა. ამიტომ ქორწინება ცალკეულ შემთხვევაში ვინროდ ენდოგამიურია.

იდენტობის, განსაკუთრებით, ეთნიკური იდენტობის გამოხატვის მრავალტოტიან სეგმენტში დიდი იყო ტრადიციისა და კულტურის როლი. საყოველთაოდ ცნობილია ტრადიციის არაერთი ფუნქცია, რომელთაგან საინტერესოა ფუნქცია, რომელსაც ტრადიცია ასრულებდა და ასრულებს ადამიანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს ფუნქცია ტრადიციის ეთნიკური ფუნქციაა. მეცნიერთა უმეტესობა ტრადიციის ეთნიკურ ფუნქციაში ხალხურ ნეს-ჩვეულებათა ციკლს გამოყოფდა, რომელთა დიდი ნაწილი მეტ-ნაკლებად ჩაკეტილ საზოგადოებებში დღესაც აგრძელებს არსებობას. ასეთები იყო უფროსის პატივისცემა, მანდილოსნის რიდი, მეგობრის გატანა და სხვა ამდაგვარი კულტურული ფასეულობა. ამა თუ იმ ეთნიკური ერთობის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში განსაკუთრებულად ტრადიცია ეროვნული კულტურის განმსაზღვრელი პარამეტრი ხდებოდა, რითაც მის შინაგან ბუნებას გამოხატავდა. ეთნიკურობის არსი ჯგუფის საერთო ფსიქოლოგიური წყობის არსებობას გულისხმობდა. ეროვნული განზოგადებული ფსიქოლოგია,

ბუნებრივია, უპირველესად კულტურაში აისახებოდა. ულტურა კი სხვა პარამეტრებთან ერთად ეროვნული ცნობიერების განმსაზღვრელ ფაქტორადაც გვევლინებოდა. ქედან გამომდინარე ტრადიცია და ზოგადად კულტურა თვითმყოფადობის შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი წყარო ხდებოდა. ჩვეულებრივ, მეცნიერები კულტურულ ტრადიციას როგორც „სოციალურ მეხსიერებას” ისე განიხილავენ. ე. ი. კულტურული ტრადიცია ესაა განსაზღვრულ სიტუაციაში სოციალური ქცევის მრავალრიცხოვანი განმეორება. მისი ფორმირება ციკლის პერიოდში ადამიანის ცხოვრებით იყო პროვოცირებული, თუმცა ციკლის პროცესში იგი უმთავრესად ეთნოსში, ეთნიკურ ჯგუფში და ამდაგვარი ერთობების მეხსიერებაში რეალიზდებოდა.

ამრიგად, თურქეთში ქართველთა აღმნიშვნელი ეთნიკური თუ სხვა ტიპის სახელების შესწავლა, განსაკუთრებით, ეთნონიმიკა, მასთან დაკავშირებული ცნობიერებისა თუ ამა თუ იმ ჯგუფთან იდენტობის პრობლემათა ახსნა, ვფიქრობთ, სამომავლოდ უფრო ჩაღრმავებულად უნდა გაგრძელდეს, რითაც ისტორიული დინამიკის გათვალისწინების საფუძველზე არაერთ ბუნდოვან კითხვას გაეცემა პასუხი. ეროვნული ცნობიერების, კულტურული იდენტობის და ტრადიციული კულტურული სტერეოტიპების ნაციონალური ბუნების თავისებურებები ისეთი სოციალური ინსტიტუტის კვლევის პროცესშიც იჩენს თავს, როგორც ნათესაობის სისტემა და ამ სისტემაში ქორწინება და ოჯახია.

ნათესაობის ფენომენი, ქორწინება და საქორწინო ტრადიციები თურქეთის შავიზღვისპირეთის ქართველ მუჰაჯირებში. ქართველ მუჰაჯირთა ნათესაური ჯგუფის სტრუქ-

ტურა საკმაოდ რთული არქიტექტონიკისაა. შავგარეულო სისტემა აგებული იყო ფართო და მცირე გენეალოგიურ სტრუქტურაზე, სადაც წინაპართაგან ნაბოძები საკუთარი სახელი ერთ თაობაში კი არ იკარგებოდა, როგორც ეს, მაგალითად, თურქულ სინამდვილეს ახასიათებდა, არამედ შტამომავლობაში მემკვიდრებით გადადიოდა. ეს თურქული და ქართული ნათესაობის სისტემის მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანი იყო. მემკვიდრეობითი სახელისა და გვარსახელის ტრადიციული გენეალოგიური პრინციპი თურქეთში ქართველ მუჰაჯირებმაც სათუთად შემოინახეს, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად, განსაკუთრებით შტო-გვარში სუფიქსური წარმოების სფეროში ცვლილებები მოხდა. მაგალითად, ქართული **-ძე** და **-შვილი** შეიცვალა **-ოლი**თ, თუმცა ქართულ დასახლებებში, სოციალური გაერთიანებების კოლექტიურ მახსოვრობაში, უმეტესად, ძველი ქართული საგვარეულო სახელწოდებები შემონახულია ისე, როგორც უახლოესი წინაპრისაგან წარმომდგარი გენეალოგიური ჯგუფის მემკვიდრეობითი სახელები. ასეთი მცირე ნათესაური ჯგუფები თურქულის გავლენით ტერმინ **კაბილე**თი აღინიშნებოდა. სხვათაშორის, ასევე, თურქული ენის გავლენით სიტყვა **ყებილე** აჭარის მთიანეთშიც ფართოდ იყო გავრცელებული და აგნატური ხაზის ნათესაურ ჯგუფს აღნიშნავდა. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ქართველ მუჰაჯირებში ეგზოგამიისა და ენდოგამიის საკითხებიც ყურადღებას იქცევს. საველე-ეთნოგრაფიულმა დაკვირვებებმა ცხადყო, რომ მუჰაჯირები გენეალოგიურ ცნობებს დიდი სიფრთხილით ინახავდნენ და ნათესაობის სისტემის შესახებ საკმაოდ ფართო ზეპირი ცოდნა ჰქონდათ მრავალი ფაქტორის გავლენით ნათესაური ურთიერთობები მკაცრად რეგლამენტირებული აკრძალვებისა და დაშვებების სისტემით

არ გამოიჩინებინა. ამიტომ ქორწინება ცალკეულ შემთხვევაში ვინც ვინც ენდოგამიური იყო, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მუჰაჯირთა ზოგიერთი ეთნოგრაფიული ჯგუფის საგვარეულო წრე კუზენურ და სხვა ამდაგვარი ტიპის ქორწინებას დაუშვებლად მიიჩნევდნენ. მაგალითად, მუჰაჯირები კინტრიშის ხეობიდან ეგზოგამიის შენარჩუნებას საერთო შთამომავლობის ფარგლებში ცდილობდნენ. ეს შეეხო გვაროვნულ მემკვიდრეობასაც. კინტრიშის ხეობიდან ჩამოსახლებული ერთ-ერთი მთხრობელი გადმოგვცემდა თუ როგორ შეძლენ გვარის სახელწოდების – ბეჟანიძის შენარჩუნება, მაგრამ ათათურქის რეფორმების დროს მათი გვარი შეიცვალა და გვარში შტოებად სეგმენტაციის პირობებში რამდენიმე **კაბილე** გაჩნდა. ეს კაბილეებია: **აიგუნ, ჩელებ, ოზ, გვენ, იურთაშ**. რადგან 1937 წელს ათა-თურქმა გვარის შეცვლის შესახებ კანონი მიიღო, შესაბამისად, ქართული გვარები თურქულ ყაიდაზე ოფიციალურად გადაკეთდა. ღელურად, ათა-თურქის რეფორმები მოქალაქეთა ალიზაციისა და, როგორც ჩანს, პასპორტიზაციის მიზნითაც ხორციელდებოდა, რაც ალბათ, საგადასახადო სისტემისა და სხვა სახელმწიფოებრივი პრობლემების მოწესრიგებას ისახავდა მიზნად, მაგრამ ბევრმა ეს საკუთარი გვარის დაკარგვის მცდელობად აღიქვა. აქვე, გასათვალისწინებელია გვარის ზრდისა და სეგმენტაციის უნივერსალური რეალობა, როცა საზოგადოებრივი ურთიერთობების ფონზე და სოციალური განვითარების კანონზომიერების საფუძველზე შტო-გვარები ახალი მემკვიდრეობითი სახელწოდებებით ყალიბდებოდნენ. მათ შემდეგში ტრადიციული წარმოების საფუძველზე არსებობა წინასწარ შერჩეულ გვარებში გააგრძელეს, რომელთაც – **სოი (სოიადი)** ეწოდებოდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, ლოკალიზებულ ნათესაურ ჯგუფში ახალი

გენეალოგიური ჯგუფების წარმოქმნა, ახალი მემკვიდრეობითი სახელწოდებებით შტო-გვარების გაჩენა, შესაბამისად, ახალი საგვარეულო ადმინისტრირების მოთხოვნით, ჩამომავლობითი სახელწოდებების გადათურქულებას იწვევდა ანდა ახალი გვარსახელი თურქული ენობრივი რეალობის გათვალისწინებით ფორმდებოდა. საერთოდ, მუჰაჯირებში, თუნდაც თურქული გაფორმების სოიების ფარგლებში, ტრადიციული ქართული ტრადიციული გენეალოგიური სტრუქტურების პრინციპი შენარჩუნდა, გაგრძელდა ლოკალიზებული სოციალური გაერთიანებების პატრონიმიულ (ნათესაურ) – გენეალოგიურ ჯგუფებად სეგმენტაციის პროცესი, ოღონდ, ხშირ შემთხვევაში, თურქული ენობრივი იერსახით.

ოჯახმა და ქორწინებამ კაცობრიობის ჩამოყალიბებისა და საზოგადოების სოციალური განვითარების ისტორიაში უაღრესად დიდი როლი შეასრულა. საოჯახო-საქორწინო ტრადიციები საკმაოდ კონსერვატორული ბუნებისაა. როცა იცვლებოდა საზოგადოებრივი ურთიერთობები და კულტურის არაერთი ელემენტის მოდერნიზაცია ხდებოდა, ოჯახი და ქორწინების ინსტიტუტი პირიქით – ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნების სოციალურ უჯრედად ყალიბდებოდა. ეთნიკურ სივრცეში მსგავსი დატვირთვა ქორწინებასა და ოჯახსაც გააჩნდა. საქორწინო და საოჯახო ტრადიციების ეროვნული ფუნქცია განსაკუთრებულად მაშინ იზრდებოდა, როცა ეთნოსის განსაზღვრული ეთნოგრაფიული სეგმენტი იძულებით უცხო კულტურის გავლენის სფეროში მოექცეოდა ანდა სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური მიზეზით მიგრაციის საფუძველზე ახალ დასახლებულ გარემოში ადაპტაციას გადიოდა. ამ მხრივ, თანამედროვე თურქეთში – ცენტრალური ანატოლიის შავიზღვისპირეთში საინტერესო ეთნიკურ ჯგუფს ქართველები წარმოადგენს, რომელთაც,

როგორც ითქვა, „მუჰაჯირებს“ – იძულებით გადაადგილებულებს უწოდებენ.

გვარის სეგმენტაცია ბუდე ნათესაობების მიხედვით ხდებოდა და თითოეული გენეალოგიური ჯგუფი რამდენიმე თაობიან მემკვიდრეობით სახელს წინაპრის საკუთარი ანდა მეტსახელის, შესაძლოა, პირველსაცხოვრისის თუ ტომობრივი წარმომავლობის მიხედვით ღებულობდა. ბეჟანიძეთა ზემოთ დასახელებულ ხუთ გვარში არსებულ საერთო წარმომავლობის სხვადასხვა გენეალოგიურ სეგმენტებს შორის ნევრები „გოგოს მიცემას“ კრძალავდნენ. მიიჩნევდნენ, რომ ნათესაური ჯგუფის ფარგლებში ყველა „და-ძმა“ იყო, ე. ი. ამ ხუთი კაბილედან ყველანი და-ძმად ითვლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უახლოესი წინაპრის – დურსუნის პირდაპირი ჩამომავლები არ იყვნენ, რადგან, როგორც ჩანს, დურსუნს ძმები ყავდა და ამ ძმებსაც თავისი მემკვიდრეები გააჩნდა. ქართველ მუჰაჯირებში შთამომავლობითი ჯგუფის ფარგლებში ქორწინება რომ არასასურველი იყო ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ იგი ყოველთვის ყველა ნათესაურ წრეში იყო დაცული. სხვადასხვა განმაპირობებელი მიზეზების გამო ზოგნი ნათესაობის შიგნით, „გობეგისა“ თუ „სულარეს“ (სულალეს) – თაობის გასვლის შემდეგ, ახალგაზრდა გოგონასა და ვაჟს, უმეტესწილად, დაქორწინების თვას აძლევდნენ.

დაქორწინების პროცესში მრავალი ბარიერი არსებობდა. მათ შორის მნიშვნელოვანი რელიგიური, რივი, ქონებრივი და ეთნიკური – ეთნოკონფესიური იყო. სასიძოსა და საპატარძლოს სახლეულთა ქონებრივი, სულიერი და ფიზიკური მდგომარეობა მუდამ ითვალისწინებოდა. აგალითად, მუჰაჯირი ქართველები თვლიდნენ, რომ ცოლად არ

შეირთავდნენ ანდა ქალს არ მიათხოვებდნენ „გიაურს“, ზოგადად, ქრისტიანს, რადგან ისინი განსხვავებული აღმსარებლობის იყვნენ – რამდენიმე საუკუნის წინ სუნიტური მიმართულების ისლამი ჰქონდათ მიღებული და „ერმენს“, რომელთაც, ასევე, „სომეხს“ ეძახდნენ. ისინი ქორწინებას თურქთანაც ერიდებოდნენ, რომელსაც „ბოლოკას“, „კუდვანის“ თუ „კუდიანის“ (კუდვიანის) სახელწოდებით მოიხსენიებდნენ, თუმცა ასეთ ფაქტებს ადგილი მაინც ჰქონდა. მართალია, უმეტესწილად, თურქთან დაქორწინებას ისინი გაუბობდნენ, მაგრამ მუჰაჯირების დიდი ნაწილი დაქორწინების დაშვების შესაძლებლობის ფაქტსაც არ გამორიცხავდა. საბოლოოდ კი ასკვნიდნენ, ეხლა „ავირიეთო“. საქორწინო წესების დარღვევისას სოფელმა თუ „ისირცხვილა“, შესაძლოა, საქმე მკვლელობითაც დასრულებულიყო. მიუხედავად ამისა ჩვენ ხშირად გვხვდებოდა შერეული ქორწინების ისეთი მაგალითები, როცა ქართულ ოჯახში თურქი რძალი ბინადრობდა. ართველი მუჰაჯირები ქორწინებას თურქეთში მცხოვრები ეროვნული გარემოცვის ფარგლებში ამჯობინებდნენ, თუმცა სასურველად მიაჩნდათ რძალი „ბათომის“ მხარიდან ყოფილიყო. ის, რომ ისინი თურქეთში მცხოვრები ქართველების წრეში ამჯობინებდნენ ქორწინებას, თავისი ლოგიკური ახსნა მოეპოვება. იგი იმთავითვე ემსახურებოდა თვითმყოფადი კულტურის და ტრადიციული სტერეოტიპების შენახვისა და ენის გადარჩენის ამოცანებს. სხვათაშორის ფაქტი, რომ ქორწინებამ კუზენებს შორის ინტენსიური ხასიათი მიიღო ანუ ენდოგამია ჩვეულებრივ ნორმად იქცა, მხოლოდ ისლამის ფაქტორითა და დასაქორწინებელ წყვილთა ოჯახების ქონებრივი მდგომარეობით როდი აიხსნება. აქ მნიშვნელოვან როლს ეროვ-

ნული მეობისა და ჯიმ-ჯილაგის შენარჩუნების მცდელობაც ასრულებდა. როცა საქორწინო არჩევანი უცხო გარემოში შეზღუდული იყო, ქართველი გაურბოდა განსხვავებული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთან ქორწინებას, თუნდაც ეროვნული მენტალობისა და თავისი ლოკალური თავისთავადობის გადარჩენის მიზნით. ეთნოლოგები იცნობს ანალოგიურ ფაქტებს და ამას ქართველთა მეორე დიდი ჯგუფის ირანში, ასევე, იძულებით გადაადგილებულთა, უმთავრესად, ფერეიდანში მცხოვრები ქართველების მაგალითზეც ადასტურებენ.

თურქეთის შავიზღვიპირეთის ქართველებში ტერმინი **დუგუნი** ქორწილს აღნიშნავდა, თუმცა ამ სიტყვას უფრო ფართო მნიშვნელობაც გააჩნდა და ხალხური განმარტებით ზოგადად მხიარულებას, თავყრილობაზე მოლხენას, მუსიკალური გაფორმებით ცეკვასა და სიმღერას ნიშნავდა. ამიტომ, დუგუნი შესაძლოა ნათლობის დროსაც მოეწყოთ. ქორწილის დროს ხშირად იტყოდნენ: „დღეს ჩვენთან დუგუნ-მუგუნიაო“, „დუგუნს ვიქნიდითო“. სიტყვა **დუგუნი** (düğün) თურქული წარმომავლობისაა და ლექსიკოგრაფები განმარტებით ქორწილს აღნიშნავს. რადგან ამ ტერმინს გააჩნია ვინრო და ფართო მნიშვნელობა, ამიტომ ქართველმა მუჰაჯირებმა დუგუნის გვერდით ძველი ქართული ტერმინი „ქორწილიც“ შემოინახა იმ სახით, როგორი სახითაც იგი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დასტურდება. სულხან-საბა ორბელიანით **ქორწილი** არის „სძლის მოყვანა“.

ქართველი მუჰაჯირების საქორწინო ტრადიციებში რამდენიმე ეტაპი უნდა გამოიყოს: 1. წინასაქორწინო ურთიერთობები – წყვილთა შერჩევა; 2. ნიშნობა; 3. საქორწინო სუფრა და ცერემონიალი და 4. ქორწინების შემდგომი –

დამოყვრებულ ოჯახთა ურთიერთდაახლოებისა და გადაპატიჟებების პერიოდი.

ქართველი მუჰაჯირები, როგორც აღინიშნა, დაქორწინებას დასახლებას უწოდებდნენ. **დასახლება** არა მარტო ქორწინებას, არამედ დაოჯახებას, ოჯახის შექმნას, ქმართან და ქმრის სახლეულში მონათესავე ინდივიდებთან საერთო ჭერქვეშ თანაცხოვრებას გულისხმობდა. ამიტომ, სახლეულში ახალი წევრის – პატარძლის ინკორპორაცია მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნეოდა და, შესაბამისად, იგი ტრადიციული რიტუალებისა და წეს-ჩვეულებების ფონზე მიმდინარეობდა. თურქეთის ქართველობას დაქორწინება ერთ ქალზე შეეძლო, თუმცა, სხვადასხვა გავლენებით, მრავალცოლიანობის ფაქტებიც შეინიშნებოდა, რაც ადამიანის ეკონომიკურ შესაძლებლობებზე იყო დამოკიდებული. უმეტესად, მამაკაცს მეორე ცოლი იმ დროს მოყავდა, როცა პირველი მეუღლე გარდაეცვლებოდა ანდა ქალი გვარის მამგრძელებელ მემკვიდრეს ვერ უჩენდა. ქალები ერთმანეთს „ამხანაგებს“ ეძახოდნენ. სხვათაშორის, მიუხედავად იმისა, რომ ისლამი მრავალცოლიანობას დასაშვებად მიიჩნევს და ძველად ოსმალეთის სახელმწიფოს არისტოკრატიაში ჰარემს საპატიო ადგილი ეკავა, საკუთრივ თურქებშიც მრავალცოლიანობას არც თუ ისე ხშირად ჰქონდა ადგილი. ბუნებრივია, უპირველესად, ეს მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობით განისაზღვრებოდა. ცოლს რჩენა – კვება, ჩაცმა და სხვა ტიპის ყურადღება სჭირდებოდა. ამიტომ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზედაფენების ყოფა-ცხოვრების თავისებურებებს, ჩვეულებრივ თურქს იშვიათად ერთზე მეტი ცოლი რომ ყოლოდა. სხვათაშორის, ქემალისტური რევოლუციის შემდეგ, ათა-თურქის რეფორმე-

ბის პერიოდში თურქეთში მრავალცოლიანობა კანონით ოფიციალურად აიკრძალა, თუმცა სოფლის ყოფაში ტრადიციის ძალით იგი არსებობას მაინც აგრძელებდა. რეფორმები ტრადიციულ ყოფაში აშკარად არა მხოლოდ მრავალცოლიანობას, არამედ რიგ ისეთ ჩვეულებებსაც შეეხო, როგორც იყო ჩადრის ტარება, სისხლის აღება. ქალებისათვის საერო განათლება შემოიღეს, მაგრამ რეფორმებმა ბოლომდე ვერ შეძლო სოციალურ ურთიერთობათა მთელი სპექტრი მოეცვა, რის გამოც თურქთა ყოფაში ცვლილებები — ნოვაციები და ინოვაციები საკმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

ახალგაზრდა გოგონას გათხოვებას სამსუნის ვილაეთის ქართველები გათხუებას”, ასევე, „გოგოს მიცემას” უწოდებდნენ, თუმცა ტერმინი – გათხუება ორდუს ვილაეთის ქართველებშიცაა ფართოდ გავრცელებული. ქართველი მუჰაჯირებში ქალის თანხმობით წაგვრას მოპარვა, ხოლო თავად ქალის ნებასურვილისამებრ გათხოვებას – გამოქცევა (გაქცევა) ეწოდებოდა. გათხოვება ორგვარი ყოფილა: 1. ოჯახი ქალს იმას „ატანდა”, ვისაც გოგო მოისურვებდა და 2. ქალი იმას მიყვებოდა, ვისაც მშობლები — ოჯახი „მისცემდა”. მართალია, ქართველ მუჰაჯირთა ტრადიციულ დასახლებებში ქალის ძალით მოტაცებისას უკმაყოფილობას ქონდა ადგილი, მაგრამ ნებით წასულ გოგოს სასიძოს ვერ წაართმევდნენ. ისე, ქალის მოტაცება, რომელიც ქალის სურვილის საწინააღმდეგო აქტს წარმოადგენდა, სასურველ საქმედ არ ითვლებოდა. ამას შესაძლოა შედეგად საგვარეულო წრეებს შორის მშვიდობის დარღვევა მოყოლოდა. დამნაშავეს მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულება მკაცრად კატეგორიული იყო. პიროვნებას, რომელსაც დანაშაული მიუძღოდა, საერთო გადაწყვეტილებით, კისერზე დამნაშავეობის წარწერიან დაფას დაკიდებდნენ და

ამდაგვარად კარ-დაკარ დაატარებდნენ. სოფლად მუდამ არსებობდა ძველი კაცები – ე. წ. მომრიგებლები, რომელთაც მუხტარი ეყრდნობოდა. ჩვეულებრივ, ძველი კაცები სამართლებრივი პრობლემების მომგვარებლად ითვლებოდნენ. ისინი ამა თუ იმ სახლში შეიკრიბებოდნენ – „მეიყრებოდნენ“ და მოდავე მხარეებს „დუუდინჯგლებდნენ, დუუყურებდნენ“, მოსმენისა და პრობლემებში გარკვევის შემდეგ ორივე მხარეს სამართალს დაუდგენდნენ. მათი გადაწყვეტილება ხელმეორედ აღარ განიხილებოდა. მძიმე დანაშაულად ქალზე, განსაკუთრებით გათხოვილ ქალზე ზედმეტი ყურადღების მიქცევა მიიჩნეოდა. არსებობს ზეპირი ცნობები, რომლის მიხედვითაც ესა თუ ის პირი „შემშპარა სახლში“ და ქალს „უჯიჯინებდა“. ფაქტის დადასტურების შემთხვევაში „გონჯს“, იმას ვინც „ქალებს უჯიჯინებდა“ სოფლიდან აძევებდნენ – „სოფლიდან გეიქნევდნენ“, თუმცა საბოლოო განაჩენი, განსაკუთრებით სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებული საკითხები, სახელისუფლებო უჯრედების სანქციით უნდა განხორციელებულიყო.

ძველად, დასაქორწინებელი წყვილი, უმეტეს შემთხვევაში, ერთმანეთს არ იცნობდა. ასეთ დროს გადამწყვეტი „სახლის უმფოსის“ სიტყვა იყო. უპირველესად საქმე მას უნდა მოსწონებოდა. დღეს ხანდაზმულები დანაწილებით ყვებიან, რომ დღეს უკვე ამ წესს **გენჯები** – ახალგაზრდები აღარ იცავენ და უმფროსებს რჩევას აღარ ეკითხებიან. ჩვეულებრივ, ადრე ახალგაზრდა საქორწინო წყვილის დაახლოება შუამავლის მეშვეობით წარმოებდა, რომელსაც თურქეთის შავიზღვისპირეთში **ელჩი** ეწოდებოდა. ელჩად აუცილებლად ავტორიტეტული და ყველასათვის საპატივცემულო და მისაღები ადამიანი შეირჩეოდა. ელჩი „სიტყვას ეიღებდა“,

რის შემდეგაც ვაჟის სახლეულის ნევრები: **ნენე**, **ბაბო** და ახლო ნათესავები გასათხოვი გოგოს მხარეს ეწვეოდნენ. ისე, შესაძლოა, ელჩს ქალის ხელის სათხოვნელად მისვლა რამდენჯერმე დასჭირვებოდა, თავს დაიფასებდნენ და შუამავალს ახვერნებდნენ. მუჰაჯირების გარდა ტერმინი **ელჩი** და ელჩობასთან დაკავშირებული ტრადიციები ისტორიული სამხრეთ საქართველოს მოსახლეობაში – შავშეთსა და კლარჯეთში ფართოდ ოყო გავრცელებული. კლარჯულ საქორწინო რიტუალში საქორწინო წყვილის დასაახლოებლად შეთანხმების მიღწევის შემდეგ მაყარი დანიშნულის მამისეულ სახლეულში მიემგზავრებოდა, სადაც სტუმრები მხიარულობდნენ – ცეკვავდნენ, მღეროდნენ. საქმროს ქალიშვილს პირველად პატარძლის მამისეულ სახლში აჩვენებდნენ, სახიდან ჩადრს ჩამოხსნიდნენ. ეს რიტუალი გულისხმობდა, რომ სასიძო პატარძლის ქმარი ხდებოდა. ქართველ მუჰაჯირებში შუამავალი არა მარტო მოხერხებული, არამედ ავტორიტეტული ადამიანიც უნდა ყოფილიყო, რის წყალობითაც იგი მიზანს აუცილებლად მიაღწევდა. შუამავალს მოთათბირების პროცესში საპატარძლოს მხარე თუ თანხმობას განუცხადებდა, რასაც **სიტყვის მიცემა** და **სიტყვის აღება** ეწოდებოდა, მაშინ სტუმრებს ტკბილეულობას, უმეტესად შაქარს – „შექერს“ ჩამოურიგებდნენ. სასიძოს მშობლები – **ნენე** და **ბაბო** ამ ტკბილეულობას სახლში წამოიღებდა. ტკბილეულობა და **შექერი** საპატარძლოს ოჯახში სასიძოს მხარესაც მიჰქონდა. გოგოს მშობლები ქორწინების დადებითად გადაწყვეტის წინააღმდეგი თუ იყვნენ, მაშინ სტუმრებს ტკბილეულობას უკან გაატანდნენ. საერთოდ, თუ სასიძოს ოჯახმა წინასწარ იცოდა თანხმობის შესახებ, მაშინ ისინი „სიტყვას დუგუნით

ვიღებდნენ”. ყველა საკვანძო საკითხის გადანყვეტის შემდეგ ოჯახები ნიშნობის, მოგვიანებით კი – საქორწინო ცერომონიალის მოსაწყობად მზადებას იწყებდნენ, რაც „ბოხჩის” მონესრიგებასაც გულისხმობდა. ოხჩაში ჩვეულებრივ ოქროსა და ვერცხლისაგან დამზადებული სამკაულები შედიოდა. **ბოხჩა** (boxça) თურქულში შეკვრას, პაკეტს აღნიშნავს, თუმცა იგი განმარტებაშიც საქორწინო ურთიერთობებზეა ორიენტირებული, მაგალითად, boxça gündermek ბოხჩის, უფრო ზუსტად, ბოხჩაში გამოკრული საჩუქრის გაგზავნას ნიშნავს.

წინასწარი შეთანხმების საფუძველზე სიტყვის აღება და ნიშნობა, ზოგჯერ, ერთროულად ხორციელდებოდა. საპატარძლოს ოჯახში სიტყვის მიცემის შემდეგ ვიზიტს შედეგად, შესაძლოა, საქორწინო წყვილის **დანიშვნა** მოჰყოლოდა. **ნიშნობა** (ნიშანის დადება) სტუმრების გამასპინძლებასაც გულისხმობდა. საკუთრივ თურქული მოსახლეობაც ნიშნობას „ნიშანს” (nişan) ეძახდა. ქართველ მუჰაჯირთა ნიშნობის დრო და პირობები სხვადასხვაგვარი იყო. ტრადიციულმა დასახლებებმა ნიშნობის რამდენიმე სახე შემოინახა, რომელთაგან ყურადღებას აკვანში ნიშნობა – **ბეშიქ ქერთმა** იქცევს. თურქულ ენაში beşik (gi) აკვანს ნიშნავს, თუმცა განმარტებით ლექსიკონებში აკვანში ნიშნობა გამოითქმის არა როგორც **ბეშიქ ქერთმა**, არამედ **ქერთმე ნიშანლი** (kertme nişanlı), რაც აკვნიდანვე დანიშნულთ აღნიშნავს. თუ **პირობა** დაირღვეოდა ამას უცილობლად მტრობა მოყვებოდა. ხშირად, **ბიჭის კუთხე** და **გოგოს კუთხე** ნიშანს ერთად შეიძენდა. ამის შემდეგ სასიძოს მხარე მომავალი პატარძლის მამისეულ სახლეულში „დუგუნით” მიდიოდა. სიტყვის აღებისას, ისე როგორც ნიშნობისას,

სასიძო სასიმამროს სახლეულს არ სტუმრობდა. მას ამ სფეროში მშობლები – ბაბო, ნენე და ახლო ნათესავთა წრე. ქართველ მუჰაჯირებში ვაჟი საპატიო მიზეზით ადგილზე თუ არ იმყოფებოდა, მაგალითად, ჯარში – „ასკერში“ მსახურობდა, ნიშნობა მის დაუსწრებლად მაინც შედგებოდა. მოულოდნელად სასიძო სამხედრო სამსახურის შესრულების დროს რომ გარდაცვლილიყო, მისიანები საპატარძლოს მხარეს ნიშნის უკან დაბრუნებას არ მოსთხოვდნენ და რომც შეეთავაზებინათ არ აიღებდნენ. ნიშნობისას საპატარძლოს საჩუქრებს – „ჰედიებს“ გადასცემდნენ: მკლავზე წამოსაცმელ „ბილეზურს“, ტრაპეზონში დამზადებულ „ხასირს“, ყელზე – „ყიაზე შესამბმელ“ სამკაულს და „ბეშობილულს“, რომელიც მოდიდო ზომის ალთუნი იქნებოდა. იშანში ოქროს ბეჭედიც შედიოდა. ბეჭედს მომავალ საპატარძლოს თითზე წამოსაცმევდნენ. ბეჭდის ტარებასთან დაკავშირებით ზოგიერთ ტრადიციულ ოჯახში გარკვეულ აკრძალვებსაც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, გათხოვილი ქალი საკუთარი მამის თანდასწრებით ბეჭდის გაკეთებას ერიდებოდა, რასაც შეიძლება გარკვეული ახსნა მოეძებნოს და ისტორიულად განვითარების მატრილოკალურიდან პატრილოკალურ დასახლებაში გადასვლის გარდამავალ პერიოდს დაუვკავშიროთ. შასიძოსა და სამამთილო მხარეებს შორის განსაზღვრულ წინააღმდეგობებს იმ დროს უდავოდ ექნებოდა ადგილი. იგი გათხოვილი ქალის მამასთან დამოკიდებულებაშიც გამოიხატა და, დროთა განმავლობაში, განრიდებაში, როგორც შესასრულებელ წესში, გადაიზარდა.

ქორნილის დღესაც საპატარძლოს მხარე საზღვრავდა. სანამ ქორნილი – დუგუნი არ შედგებოდა, მანამ სასიძოსა და საპატარძლოს საზოგადოებრივი თავყრილობის ადგი-

ლებში და, საერთოდ, თანასოფლელების წინაშე ერთად გამოჩენა ეკრძალებოდათ. ეს სიტყვით, თორემ შემხვედრი მათ მოულოდნელად თუ გადაეყრებოდა, მაშინ გზას გამოიცივლიდა და ისე გაიარდა. ასეთი იყო ადათი – **ადეთი**. ახალგაზრდა წყვილი ქორწინებამდე ერთმანეთს უჩუმრად მაინც ხვდებოდა. ეს ყველამ იცოდა, მთავარია ისინი უფროსებს ფიზიკურად არ შეენიშნათ. დღეს ამდაგვარი ტრადიციული ჩვეულებები რეალურად აღარ იცვება და იგი მხოლოდ ხანდაზმულთა მეხსიერებას თუ შემორჩა, რაც ახალგაზრდა თაობის თანამედროვე შეხედულებებმაც განაპირობეს. ამ ტიპის ჩვეულება ადრე აჭარის მთიანეთში „ნიშანლობად“ იწოდებოდა. ქართველ მუჰაჯირებში ფორმით ამ სიტყვასთან ახლოს მდგომი ტერმინები გამოვლინდა, მაგრამ ისინი განსხვავებულ მნიშვნელობებს ატარებენ. აგალითად, ასეთია **ნიშანლი**, რაც დანიშნულ გოგონასა და ვაჟს აღნიშნავს და **ნიშანლული**, რომელიც საპატარძლოზე მისატან საყიდლებს ნიშნავს. თურქულ ენაში **ნიშანლი (nişanlı)**, ერთის მხრივ, დანიშნულს, დანიშნულ საცოლეს ანდა საქმროს, ხოლო, მეორე მხრივ, ნიშნიანს, ნიშანდებულს აღნიშნავს. სხვათაშორის,

ქართველ მუჰაჯირებში პატარძალს **დოდოფალი** ერქვა, სასიძოს კი – **ნეფე**. ტრადიციულად პატარძალი თეთრი ფერის სადედოფლო კაბაში იყო გამოწყობილი და თავზე თეთრი თავსაბური ეხურა.

ქორწილის დღეს, უმეტესად ღამით, რიტუალი უნდა შესრულებულიყო, რომელსაც **აღდი** ეწოდებოდა. ტერმინი **აღდი** არაბული წარმომავლობის სიტყვაა – **ahitllahdi** და ყოფაში ფიცს, ქორწინების რეგისტრაციას, აღთქმას, პირობის

დადებას, მოვალეობის დაკისრებას აღნიშნავს. **აღდი** (ახტი)² შარიათზე დაფუძნებული ნიშნობისა და ქორწინების განმამტკიცებელი ოფიციალური აქტი – საბუთი იყო, რომელშიც პატარძლისა და სასიძოს მამისეული ოჯახების უფლებები და ვალდებულებები იყო ჩამოყალიბებული. მასში გათვალისწინებული იყო განქორწინების ფაქტიც. აღდთან მიმართებაში ყურადღებას იქცევს ტერმინი **ნიქაჰი**, რაც ქორწინებას, დაქორწინებას ნიშნავს.

გათხოვების შემდეგ ცოლი ქმრის გვარზე გადადიოდა. სახლეულისათვის და სახლეულის განაყრებისათვის გათხოვილი ქალის ქმარი **სიძე** ხდებოდა. ქართველთა ზოგიერთ ჯგუფში, მაგალითად, კინტრიშის ხეობიდან მიგრირებულ მოსახლეობაში ქმრის საგვარეულოში გათხოვილ ქალს მამისეულ გვარზე **-ფხე** სუფიქსი ჰქონდა დართული. აგალითად, მათთან მაზმანოლლებიდან გამოთხოვილ ქალს „მაზმანა-ფხეს“ ეძახდნენ. ქობულეთელ მუჰაჯირებში ქალის გვაროვნული კუთვნილების გამომხატველი **-ფხე** სუფიქსის სხვა შემთხვევებიც გამოვლინდა. ასეთებია: **კონწელიფხე, შაქარაფხე, ინაიფხე, გოგიტიფხე, შავიფხე**. **-ფხე** სუფიქსს გაცილებით ფართო მნიშვნელობა და პარალელები გააჩნია. მისი თავდაპირველი მრავალგანზომილებიანი სემა საკმაოდ შორეული წარსულიდან იღებს სათავეს.

ქართველ მუჰაჯირებმა ქორწინებაში მიწვევა სიტყვიერად – ახლობლების მეშვეობით იცოდნენ. სხვათაშორის, თურქებში ამ მხრივ ერთი მეტად საინტერესო ტრადიცია არსებობდა. ესა თუ ის პირი, ხშირად, რამდენიმე, ქუჩაში

² წარმომავლობითი შინაარსით **აღდი** ვალდებულებას, ფიცს, შეთანხმებას, ხელშეკრულებას, ხოლო **ნიქაჰი** ქორწინებას, დაქორწინებას ნიშნავდა.

გამოდინდა და ხმაურიანი ცერემონიალით – დოლითა და ზურნით, ბუქნითა და სხეულის გამოკვეთილი მოძრაობებით ქორწილის შესახებ დასახლებას ამცნობდა ისინი ამ ჩვეულების შესრულებით დასახლების – სოფლის, თემისა და ქალაქის ნაცნობ თუ უცნობ მაცხოვრებლებს ქორწილში ინვედნენ. ქორწილში მისვლა ძღვენის მომზადებასაც, უმეტესად, ფულის ჩუქებასაც გულისხმობდა. ამდაგადვარი საქორწინო ტრადიცია თურქეთის შავიზღვისპირეთის ქართველებში არ დასტურდება. იგი თურქულ საქორწინო ტრადიციებს ახასიათებდა.

ქართველ მუჰაჯირებში ჯალს – ჩამოსაკიდ ჯაჭვს ისე, როგორც კერას განსაკუთრებული საკრალური დატვირთვა ჰქონდა. მნიშვნელოვან როლს იგი პატარძალთან დამოკიდებულებაში ასრულებდა. **ჯალი**, როგორც ჩანს, ტერმინ „ოჯახს“ უკავშირდებოდა, რომელიც, მაგალითად, საქართველოში დაქორწინებული პირებისა და მათი შთამომავლობის საერთო ჭერქვეშ თანაცხოვრებას გამოხატავდა. საერთო თანაცხოვრების საფუძველი კი – მემკვიდრეობის კვლავნარმოება, საერთო მეურნეობა და საოჯახო იდეოლოგია, ისე როგორც საერთო წარმომავლობის ცნობიერება იყო. ქართველი მუჰაჯირებში ბუხრის ყელეში ტერმინ „ოჯალ’ით“ აღინიშნებოდა. თუ გავითვალისწინებთ ქართველური მოდგმის ეთნოგრაფიულ ჯგუფებში შუაცეცხლზე გამართული კერის, შემდეგში ბუხრის კერის საკრალურ მნიშვნელობას, მაშინ გასაგები გახდება რატომ დამკვიდრდა იგი სისხლისმიერად, ე. ი. სოციალურად დაკავშირებული ადამიანების თანაცხოვრების აღმნიშვნელ სიტყვად. ქართველ მუჰაჯირებში ჯალი, უმეტესად, ჯარგვალში იყო განთავსებული, სადაც, ასევე, მოთავსებული იყო ქვის კეცები.

ნაცარში ცეცხლს ანთებდნენ და კვერებს აცხოვდნენ. ამდენად, **ჯალი** (კერაზე დასაკიდი ჯაჭვი) – **ოჯალი** (ბუხრის ყელემი) – **ოჯახი** (საქორწინო წყვილისა და მათი შტამომავლების საერთო ჭერქვეშ თანაცხოვრება) სემანტიკურად და ფონეტიკურადაც ურთიერთდაკავშირებული ტერმინები იყო.

თურქეთის შავიზღვისპირეთის ქართველ მუჰაჯირთა საქორწინო ტრადიციებში საინტერესო ეთნოგრაფიული ფაქტები გამოვლინდა, რომელთა არსი პატარძლის მაყრებსა და მასპინძლებს შორის კონფლიქტის ინსცენირებაში მდგომარეობდა. მსგავსი თავყრილობის პროცესში კონფლიქტის სიმულაცია კავკასიის, მათ შორის, ქართველი ხალხის არაერთ ეთნოგრაფიულ ჯგუფში დადასტურდა. განსაკუთრებით იგი აჭარის მთიანეთის მოსახლეობას ახასიათებდა და, ბუნებრივია, აღნიშნული კულტურის რიტუალური ელემენტი ახალსაცხოვრისში ქართველ მუჰაჯირებსაც გადაჰყვა, თუმცა მათთან ზოგიერთი ისეთი პლასტი დაკონსერვდა, რომელიც აჭარის მოსახლეობამ დროთა განმავლობაში დაკარგა. მაგალითად, სამსუნის და ორდუს ვილაეთების ტრადიციულ ქართულ სოფლებში საპატარძლოსთან მასპინძლობის შემდეგ კარ-მიდამოში მაყრიონის მამაკაცები ხის კენწეროზე – „კუჩხეში“ კვერცხს დაკიდებდნენ და ცეცხლსასროლი იარაღით ესროდნენ. წარმატების შემთხვევაში მასპინძლებს ქათამს მოატანინებდნენ, ასევე, „კონფლიქტის“ გამონვევის მიზნით ისეთ რამეს მოითხოვდნენ, რაც სოფელში არ მოიპოვებოდა. საყოველთაოდ გავრცელებული წესის თანახმად, მაყრიონს პატარძლის წაყვანის უფლება „კვერცხის მოკვლის“ შემთხვევაში ეძლეოდა. წინააღმდეგ ვითარებაში მაყრიონს პატარძლის წაყვანისათვის საფასური უნდა გადაეხადა. სხვათაშორის, კონფლიქტის ინსცენირება

სიძის ოჯახში უკვე პატარძლის მაყრიონის მხრიდანაც გრძელდებოდა. როცა პატარძალს სიძის ოჯახში ზარ-ზეიმით მიიყვანდნენ და სტუმარ-მასპინძლობისათვის დამახასიათებელ რიტუალებს შეასრულებდნენ, მაყრიონი „სუფრას დეიკავებდა“, მოზვრის ანდა ძროხის დაკვლას მოითხოვდა. დაინყებდნენ საუბრებს – „ეს ბაღჩა ამ გელინს მიეცო, ეს ძროხაც მიეცო“. ამით ცდილობდნენ გაებრაზებინათ მასპინძლები. ამდაგვარი კონფლიქტური სიტუაციების ინსცენირება მაყრიონის მხრიდან არა მარტო ქორწილის დღეს, არამედ ქორწილის შემგომ პერიოდშიც ხდებოდა. მაგალითად, როცა სიძეს ქორწილიდან სამი დღის შემდეგ სიმამრი „დაპაიჯვნიდა“, სიძე სიმამრისეულში მიზეზიანობას იწყებდა და განაწყენდებოდა: მოზვერს – „ირინჯს“ მოითხოვდა. მოზვერს თითქოს ვერ გაიმეტებდნენ და სიძეს ეტყოდნენ – „ეგერ შენ ერთი ძირი მსხალიო“. იტყოდნენ: „ადეთი იყო ასეთი“, თორემ მოზვერი სიძისათვის მართლაც რომ გადაეცათ, იგი პირუტყვს არ წაიყვანდა. შეეძლო წაეყვანა, მაგრამ არ იკადრებდა.

საპატარძლოს მამისეული ოჯახი ქალიშვილს სამზითვო ქონებას უმზადებდა, რასაც **ჯეიზი** (ჯეიზ – მზითვი) ეწოდებოდა. ჯეიზში შედიოდა სანოლი – „კარიოლა“, ფარდები – „ფერდიები“... ჩვეულებრივ, გოგონა მზითვის მოსაწყობად ახალგაზრდობიდანვე ზრუნავდა. ტრადიციულად, პატარძალს საქმროს ოჯახში სამზითვო სკივრი თან მიჰქონდა, რომელიც, ხშირად, მოჩუქურთმებული იყო და თვალშისაცემი იერი ჰქონდა. როცა დრო გადიოდა სახლეულში ასეთი სკივრი საპატივცემულო მნიშვნელობას იძენდა. პატარძალი დროთა განმავლობაში დედა და ბებია ხდებოდა. სკივრში იგი უკვე მხოლოდ სამახსოვრო სამზითვო ატრი-

ბუტებს კი არ ინახავდა, არამედ პატარძლობის შემდეგ-დროინდელ ნივთებსაც. ამა თუ იმ ქართულ ეთნოგრაფიულ გარემოში ასეთ სკივრებს სამზითვო სკივრს უწოდებდნენ, მაგრამ ქართველ მუჰაჯირთა ერთი ნაწილი მას „ნენეს სკივრს“ ეძახდა. ამაზე პასუხი ცალსახაა: მუჰაჯირებში თაობები შეიცვალა. თავის დროზე სამზითვო სკივრები შვილიშვილთა თაობებში რელიქვიად იქცა, როგორც სიმბოლო წინაპართა ხსოვნისა და ერთგავრი ხიდი პირველსაცხოვრის გარემოსთან. ამდენად, მუჰაჯირებში, დროთა განმავლობაში, ერთ დროს სამზითვო სკივრი ნენეს სკივრად გადაიქცა. **ნენეს სკივრი** ოჯახისათვის უბრალო სკივრი არ იყო და არა მარტო იმიტომ, რომ ისინი ტრადიციული მსოფლმხედველობის საფუძველზე იყვნენ ორნამენტირებულნი, არამედ ეს იყო კოლექტიური მახსოვრობა, იდუმალება ტრადიციული ფესვებისადმი. ასეთ სკივრებს ოჯახები ინახავდნენ და პატივს სცემდნენ. ზოგჯერ მათ „გელინის სკივრსაც“ უწოდებდნენ. ისე სკივრს ზოგადად **სანდუ** (მდრ. თურქულ sandik-ს სკივრის, ზანდუკის მნიშვნელობით) ჰქვიოდა და ეს ტერმინი, ზოგჯერ, საქორწინო სკივრის მიმართაც გამოიყენებოდა.

მას შემდეგ, რაც პატარძალი ქმრის სახლეულში დაბინავდებოდა, მის მამისეულში სავიზიტოდ მზადება იწყებოდა. ჩვეულებრივ ეს ქორწინებიდან სამი-ხუთი დღის შემდეგ – ხუთშაბათს ხდებოდა. ქობულეთიდან ორდუს ვილაეთის რეგიონებში ჩასახლებული ქართული მოსახლეობა თვლიდა, რომ სამი დღის შემდეგ „გოგო სამშობლოში კვერცხის საჭმელად მიდიოდა“. კვერცხის საჭმელად მისული რძლის მხარე სიძის ოჯახში ღამისთევით არ რჩებოდა. სხვა ცნობებით, სტუმრები სიძის სახლეულში „ერთ ღამეს

დადგებოდნენ”, მეორე დღეს – ლოცვის დღედ მიჩნეულ ჯუმას (პარასკევს) ყველანი სახლებში ბრუნდებოდნენ.

ქორწინებიდან რამდენიმე, უფრო ზუსტად, ათი დღის შემდეგ როგორც ორდუს, ისე სამსუნის ვილაეთის ქართველებში პატარძლის მამისეულ სახლში ქმრის ნათესავების სტუმრობას და სიძის მიერ სიმამრისათვის ძღვენის მირთმევას **ფეხნაქსევა (ფეხნაქცევა/ფეხნაქცევაჲ** – სამსუნის ვილაეთი) ეწოდებოდა. ფეხნაქცევა ორდუს ვილაეთის ქართველობაში, ასევე, „ფეხმოქცევას” (ფეხნაქცევის) ფორმითაც დასტურდება. მუჰაჯირებში სტუმრად მისულ სიძეს მხიარულების პროცესში ფეხსაცმელს დაუმაღავდნენ, რაშიც შემდეგ ფულს ახდევინებდნენ. დაქორწინებული ქალი ქმართან ერთად საკუთარ მშობლებს დაახლოებით ერთი კვირით სტუმრობდა. რადგან ნიშნობასა და პატარძალთან დუგუნზე სასიძო არ მონაწილეობდა, ამიტომ ქმარი ცოლს სიმამრის სახლეულში ფეხნაქცევის დროს მიყვებოდა და უკანაც ცოლთან ერთად ბრუნდებოდა. ისე, თუ გათხოვილი ქალი მამისეულ სახლში დარჩებოდა, მაშინ ხუთი-ათი დღის ფარგლებში სიძის ძმა მას მიაკითხავდა და ქმრეულში წამოიყვანდა.

ფეხნაქცევის შემდეგ უკვე პატარძლის მშობლები და მისი ახლო წრე სიძის სახლეულში სასტუმრებლად ემზადებოდა. დაახლოებით შვიდი დღის შემდეგ „სასტუმროდ” გაემგზავრებოდნენ, რასაც **სტუმრობა** ქვიოდა. სტუმრობა როგორც ვაჟის, ისე ქალის სახლეულებში მიწვევას ეწოდებოდა, რასაც, ასევე, **დაპაიჯვნა** ქვიოდა. სიძისეულში, უმთავრესად, სიდედრი და ახლობლები, დაახლოებით ათი-თორმეტი ქალი, მივიდოდა. ამას უკვე კონკრეტულად **სიდედრის დაპაიჯვნაჲ** ეწოდებოდა. სხვათაშორის, სიმამრი

სიძის სახლეულს როცა მას სურდა მაშინ ეწვეოდა. ასეთი სტუმრობების შემდეგ პატარძალს მამისეულ სახლში მისასვლელად გზა ხსნილი ჰქონდა.

საველე-ეთნოგრაფიულ წყაროებით იკვეთება, რომ უმეტეს შემთხვევაში ძველი ქართული საქორწინო ჩვეულებები, განსაკუთრებით, ქორწინებასთან დაკავშირებული ლექსიკის ნაწილი კინტრიშის ხეობიდან თურქეთის შავი-ღვისპირა სოფლებში ჩასახლებულმა მუჰაჯირებმა შედარებით უკეთ შეინარჩუნენ, ვიდრე აჭარის სხვა ხეობიდან ნასულმა მიგრანტებმა. მათ ჩვეულებათა საქორწინო ციკლი შესაბამისი ტერმინოლოგიით შემოინახენ იმ სახით, როგორც სახითაც იგი გადასახლების პერიოდში მათ პირველსაცხოვრისში არსებობდა. კულტურის არაერთი ტრადიციული ელემენტი, თუნდაც ქორწინების სფეროში, აჭარის-წყლის და მაჭახლის ხეობებიდან გადასახლებულმა მუჰაჯირებმაც, რიგ შემთხვევაში, თითქმის უცვლელად შეინარჩუნენ. საქორწინო ტრადიციებში გადახლართული არაქართული წეს-ჩვეულებები შესაბამისი ლექსიკითა და ოსმალური გავლენებით მათ ჯერ კიდევ სამშობლოში ბინადრობის პერიოდში ჰქონდათ შეთვისებული და კულტურის სწორედ ეს მოდერნიზებული ელემენტები მამაპაპურთან ერთად ახალ საცხოვრებელ ადგილებში უცვლელად გადაიტანენ. ამასთან, უცხო გარემოში მათი დაცვა სათუთად შეძლენ, რადგან ტრადიციული კულტურა წინაპრების მოგონებათა ციკლში დასარჩენად ერთადერთი სულიერი გზა იყო. სხვათაშორის, მათ კულტურის ბევრი ისეთი ტრადიციული ელემენტი შემოინახენ, რომელიც საქართველოში – საკუთრივ ქართულ ტრადიციულ გარემოში უკვე გამქრალი ანდა მივიწყებულია. ზოგჯერ მათი ნაწილი მოსახლეობის კოლექ-

ტიურ მეხსიერებას გადმოცემის სახით ფრაგმენტულად თულა შემორჩა.

ამრიგად, ქართველ მუჰაჯირთა საქორწინო ტრადიციები ყურადღებას მრავალი კუთხით იქცევს. საქორწინო ურთიერთობების ყველა საფეხურზე კულტურის ეროვნული ნიშნების სტრუქტურირებული მოდელირება იგრძნობა, რაც კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ სამშობლოს მონყვეტილი თურქეთში მცხოვრები ქართველი მუჰაჯირები წინაპართაგან მემკვიდრეობით ტრანსმისირებულ ცხოვრების სოციალურ წესს განსაკუთრებით უფროთხილდებოდნენ.

* * *

ქართველთა დიდი ნაწილი მდინარე ჭოროხის აუზის მიდამოებშია დასახლებული. ეს მათი ძირძველი სამოსახლოა, რომელიც თურქეთის მმართველობის სფეროში ჯერ კიდევ ოსმალეთის სახელმწიფოს აღმავლობის ხანიდან მოექცა. აქ მდებარეობდა ძველი საქართველოს ისტორიული პროვინციები – შავშეთი, ტაო, კლარჯეთი, სპერი... შესაბამისად, საინტერესოა მათი ეთნოგრაფიული მახასიათებლების წარმოჩენა, რომლებიც თურქეთის ცენტრალურ პროვინციებში მათგან მუჰაჯირებად წასული მოსახლეობის ეთნოგრაფიული შტრიხებისაგან დიდად არ განსხვავდება. აქ მატერიალური კულტურის სფეროდან ტაო-კლარჯელთა ფრაგმენტს წარმოვადგენთ.

მატერიალური კულტურა. ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებისა და მიკროკლიმატის განსხვავება-კონტრასტულობა უხსოვარი დროიდან ადამიანისათვის სხვადასხვა საცხოვრებელ გარემოს ქმნიდა. აღნიშნულმა ფაქტორებმა ჭოროხის აუზის ტერიტორიაზე განსახლებულ ქართულ

მოსახლეობაში სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი ნაგებობების წარმოშობასა და განვითარებას შეუწყო ხელი. რეგიონში უხვადაა შემონახული ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების უნიკალური ძეგლები, რომელთა დიდი ნაწილი კონსტრუქციულ-მხატვრული დახვეწილობით გამოირჩევა.

ტიპური კარ-მიდამო და საცხოვრებელი ასეთი იყო: საცხოვრებელი მდებარეობდა საკარმიდამო ნაკვეთში. საერთოდ, კარ-მიდამო დასახლების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი იყო და საცხოვრებელი და შრომის ადგილის ერთიანობას გულისხმობდა. კარ-მიდამო აერთიანებდა როგორც საკარმიდამო მიწის ფართობს, ისე მასზე განლაგებულ საცხოვრებელ და სამეურნეო კომპლექსს, რომელთა მშენებლობის ტექნიკა, ესთეტიკური გემოვნება, კულტურათა შეხამების თავისებურებები, ბუნების აღქმის სახე ხალხის ემპირიულ ცოდნა-გამოცდილებაზე იყო დაფუძნებული. საცხოვრებელთა დიდი ნაწილი ქვითა და ხის მასალით იყო ნაშენი, რაშიც კარგად გამოსჭვივის ხით ხუროთობის ტექნიკის მაღალი დონე. ეზო კარ-მიდამოს განმსაზღვრელი მარკერი იყო, რომლის მეშვეობითაც კომუნიკაციები ხორცილდება, ერთი მხრივ, სახლეულთან, ხოლო, მეორე მხრივ, დასახლების დანარჩენ მხარესთან – უბანთან და სოფელთან. ნიშანდობლივია, რომ შავშეთში, ბაზგირეთის მხარეს „ეზოს“ ძველი მნიშვნელობებიც აქვს შენარჩუნებული. იმერხევში „ეზოს“ საცხოვრებელი სახლის დერეფანს ეძახდნენ, ხოლო საკუთრივ ეზოს ტერმინ – „კართ“ აღნიშნავდნენ. თავისთავად საინტერესოა საკუთრივ სიტყვა „კარის“ შინაარსიც, რომლის ქართულ ენაში და ამა თუ იმ ქართულენოვან ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხეში აღნიშნავდა როგორც საცხოვრებლის

შესასვლელ კარს, ისე საცხოვრებლის წინ მდებარე ადგილს და უბანსაც კი. ეზო-კარის მიღმა, გარეთ არსებული ტერიტორია მინითა და სამეურნეო კომპლექსით კი – „კარ-მიდამოს“ სახელწოდებით იყო ცნობილი. ამდენად, ტერმინი **ეზო** საცხოვრებელი სახლის გარშემო მდებარე საკარმიდამო ნაკვეთი იყო. ამ საკითხს თავის დროზე ყურადღება ნიკო მარმა მიაქცია: „სურევანელი დერეფანს უწოდებს ეზოს“. იმერხევეში დაფიქსირებული ტერმინების ასეთი გაგება ქართული ბუნებისაა და ისტორიული რეალობის ამსახველი უნდა იყოს. შესაბამისად, სამშენებლო მასალისა და მშენებლობასთან დაკავშირებული ძველქართული ტერმინოლოგიაც ერთიან გენეტიკურ ფესვებზე უნდა მიუთითებდეს, რომელთაგან ზოგიერთი საკუთრივ საქართველოში ხშირ შემთხვევაში მივიწყებულია, მაგალითად, **ვირხიდაი** (სახურავის ქირიში, რომელზეც ორთი ენყობოდა), **დოკანი** (ქირიშების საყრდენი), **ზალლა** (სახურავის გადაშვერილი ნაწილი), **დირეგი** (**დირელი** – ბოძი), **ყოშატი** (სიგანეზე დანყობილი ქირიშები), **კვანტი** (სიგრძეზე დანყობილი ქირიშები), **ქოშა** (**ქოშაქვა**//**ქვეშაქვა** – ქვის ბინები), **ყავარი** – ხის სახურავი), **საბერველაი** (**საბერავი** – სახურავის ფიცარი, რომელზეც ყავარი ენყობოდა), **ლური** – (ორთი), **ფინი** – (იატაკი), **ზირზა** (**საყროლი** – რკინის საკეტი, „ზირზა“, შესაძლოა, „რაზას“, საყროლი – „საყრელს“ უკავშირდებოდეს), **ქორი** – თივის შესანახი, სათივე, რომელიც საქართველოს ზოგიერთ მთიან კუთხეში სახლში სათავსოს, ოთახს და სახლსაც კი აღნიშნავდა), **საბზელი** (**საბძელი** – ბზის შესანახი ნაგებობა) და სხვა მისთანანი. მთავარ ოთახს, რომელშიც ოჯახის წევ-

რები იკრიბებოდნენ, „ოთურმა სალონს“ ეძახდნენ, ხოლო პროდუქტების შესანახ სათავსოს – „ამბარს“ (ქილერს/მუთვალს/ბელელს) უწოდებდნენ. მდაგვარი საინტერესო სამშენებლო ტერმინოლოგია მრავალფეროვნათაა წარმოდგენილი ბორჩხის, მურლულისა და ართვინის რაიონებშიც.

თემა მუშვიდი

თურქეთის საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრება

თანამედროვე თურქეთის საზოგადოების სოციალური არქიტექტონიკა საკმაოდ რთულია: მწარმოებელთა და სოფლის მკვიდრთა – მეურნეთა წრე, ქალაქის მსხვილ და საშუალო მწარმეთა ჯგუფი, ინტელიგენცია და სხვა სოციალური ფენები, რომელთაც ერთმანეთისაგან განმასხვავებელი ნიშნები გააჩნიათ, გამოხატული მათ სულიერ და მატერიალურ კულტურაში, თუმცა იკვეთება თურქთა საერთო ნაციონალური კულტურის მახასიათებლებიც. ყველაფერი ეს რთული ისტორიული პროცესების საფუძველზე ჩამოყალიბდა და თანამედროვეობაშიც თავისებურად აისახა.

საზოგადოებრივი ცხოვრება. როცა ვსაუბრობთ საზოგადოებრივ ყოფაზე, მითუმეტეს თუ იგი თურქთა საზოგადოებრივ ცხოვრებას ეხება, შეუძლებელია ქალის მდგომარეობას, განსაკუთრებით, მის უფლებრივ მდგომარეობას არ შევჩხოთ, ასევე, არ შევჩხოთ თემას – „თურქი ქალი და ტრადიცია“. ისლამი და ქალი კი ეს ცალკე, ამასთან, რთული პრობლემატიკაა, რომელიც სხვადასხვა მუსლიმანურ ქვეყანაში სხვადასხვაგვარად იდგა. მას საკუთარი თავისებურებები თურქეთშიც გააჩნდა.

ქემალისტური რევოლუციის შემდეგ თურქი ქალის ცხოვრებაში უზარმაზარი ცვლილებები მოხდა. იგი უფლებებით მამაკაცს გაუთანაბრდა. თურქ ქალებს შორის არიან პარლამენტის დეპუტატებიც, უნივერსიტეტის პროფესორებიც, მწერლე-

ბი, ჟურნალისტები, მოსამართლეები, ადვოკატები და ექიმები, არიან მომღერლები, ბალერინები, დრამატული აქტრისები, თუმცა, არც ისე დიდი ხნის წინ, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში თურქი ქალები ამაზე ვერც კი იოცნებებდნენ. ისინი იყვნენ ჰარემების ისეთი მკვიდრნი, სადაც მთელი ცხოვრება საოჯახო წრეში უნდა გაეტარებინათ. ქალების როლს თურქულ თეატრებში მამაკაცები ასრულებდნენ, ხოლო პირველი მსახიობები, რომლებიც თეატრის სცენაზე საბოლოოდ მაინც გამოჩნდნენ, არა მუსლიმანები, არამედ ძირითადად სომხები და ბერძნები იყვნენ.

ბევრი თვლის, რომ თურქი ქალის მამაკაცის უფლებებთან გათანაბრება რიგ სფეროში მაინც ფორმალურ ხასიათს ატარებდა. თურქი ქალის შრომის ანაზღაურება ნაკლები იყო, ვიდრე მამაკაცის, ჩვეულებრივ ადმინისტრაცია ქალს სამსახურიდან ანთავისუფლებდა, თუ იგი გათხოვდებოდა, უფრო მეტიც – დაორსულდებოდა.

თურქი ქალი მაინც მუსლიმანური ჩვეულებებითაა შებოჭილი, ყოფაში იგი ქცევის ურიცხვ ტრადიციულ წესებთანაა დაკავშირებული: ვალდებულია მამაკაცს გზა დაუთმოს, არა აქვს უფლება მამაკაცს წინ გადაუსწროს. თურქეთში ასევე არაა მიღებული საზოგადოებრივ ტრანსპორტში ქალისათვის ადგილის დათმობა.

მიუხედავად ტრადიციული სტერეოტიპების არსებობისა თანდათანაბობით ქალი თურქეთის საზოგადოების თანაბარი წევრი ხდება და ამ ტენდენციას თანამედროვე თურქეთის კონსტიტუცია განაპირობებს.

ტელევიზია: თურქეთში ტელეგადაცემები 1968 წლიდან ფუნქციონირებს. ფერადი ტელემაუწყებლობა კი – 1984 წლიდან დამკვირდა. 1993 წლიდან დიდმა ეროვნულმა კრებამ რადიოსა და ტელევიზიაზე სახელმწიფო მონოპოლია გააუქმა. მას შემდეგ მრავალი კერძო ტელესადგური დაფუძნდა.

ქვეყანაში არის ოცდაორი ეროვნული ტელევიზია, რომელთა გადაცემების ტრანსლაციაც მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ხდება. აქედან თექვსმეტი კერძოა, ექვსი – სახელმწიფო (TRT – თურქეთის ტელე-რადიო კორპორაცია). ოთხ ძირითად ტელესადგურს (Kanal D, Show და TV Interstar) სამომხმარებლო ბაზრის სამოცდაათ პროცენტზე მეტი უკავია.

ქვეყანაში სამი მუსიკალური და ამდენივე კონსერვატიული მიმართულების ტელევიზია მოქმედებს. მოქმედებაშია ორი ფასიანი არხიც – CINE 5 და MAXI TV.

თურქეთში 15 რეგიონული და 261 ადგილობრივი სატელევიზიო სადგური მაუწყებლობს. ბოლო მონაცემებით ძირითადი ტელევიზიების მაყურებელთა რაოდენობაა:

Atv – 19%

Show TV – 18%

Kanal D – 18%

Interstar – 16 %

TGRT – 5%

Kanal 6 – 3%

Kral – 1%

Samanyolu – 1%

დანარჩენები – 19% (93)

რადიო: თურქეთში რადიოგადაცემები 1927 წლიდანაა წარმოდგენილი. სახელმწიფო მონოპოლიის გაუქმების შემდეგ მრავალი რადიოსადგური შეიქმნა. ქვეყანაში ოცდათექვსმეტი ეროვნული რადიოსადგურია. აქედან ხუთი სახელმწიფოა, დანარჩენი კი – კერძო.

თურქეთში მოქმედებს 108 რეგიონული და 1200 ადგილობრივი რადიოსადგური. საზღვარგარეთ თვრამეტი უცხო ენაზე გადაცემებს აწარმოებს, მაგალითად, „TRT-Türkiye'nin Sesi Radyosu” („თურქეთის ხმა“). ქართულ ენაზე გადაცემები 1998 წლის 9 მარტს დაიწყო, რომლის მოსმენა თურქეთის დროით 19⁰⁰-დან 19³⁰-მდე, 49 მეტრ, 5960 კილოჰერც სიხშირის ტალღებზე შეიძლება.

გაზეთი: თურქეთში 27 ეროვნული და 400-ზე მეტი ადგილობრივი გაზეთი იბეჭდება. თორმეტი ეროვნული გაზეთის მფლობელი ჯგუფია Do ğan Media. ექვსისა კი – Medi.

ყოველდღიურად ეროვნული გაზეთის საერთო ტირაჟი 4 035 000-ია.

ჟურნალი: 1997 წელს თურქეთში ოთხმოცდასამი ჟურნალი გამოდიოდა. ჟურნალები ორგვარია: ყოველკვირეული და ყოველთვიური. ყოველთვიურად მათი საერთო ტირაჟი 1 400 000-ია.

საინფორმაციო სააგენტოები

თურქეთის ძირითადი საინფორმაციო სააგენტოებია:

Anadolu Ajansi (A.A) – 1920 წლის 6 აპრილს მუსტაფა ქემალ ათათურქმა შექმნა.

Ankara Ajansi (ANKA) – შეიქმნა 1972 წელს.

Bağımsız Basın Ajansı (BBA) – მოქმედებს 1982 წლიდან.
Economik Basın Ajansı (EBA) – მოქმედებს 1969 წლიდან.
Hürriyet Haber jansı (HHA) – მოქმედებს 1963 წლიდან.
İktisadi Haber Ajansı (İKA) – მოქმედებს 1954 წლიდან.
Magazin ve Aktüel Haberler Ajansı (MAK-AJANS) –
მოქმედებს 1981 წლიდან.

Milliyet Haber Ajansı (MIL-HA) – მოქმედებს 1980 წლიდან.
Türkiye Basın Ajansı (TÜBA) – მოქმედებს 1973 წლიდან.
Ulusai Basın Ajansı (UBA) – მოქმედებს 1979 წლიდან.

განათლება და მეცნიერება. კანონი საყოველთაო სავალდებულო უფასო დაწყებითი განათლების შესახებ თურქეთში 1924 წლიდან არსებობს. სავალდებულო დაწყებითი განათლება 1997 წლიდან რვანლიანია. ნერა-კითხვის მცოდნე მოსახლეობის 82,8%-ა.

1996 წლისათვის თურქეთის 50 669 დაწყებით სკოლაში 6,9 მილიონი მოსწავლე სწავლობდა და 230 ათასი მასწავლებელი ასწავლიდა, 7 078 საშუალო სკოლაში – 2,6 მილიონი მოსწავლე და 69 000 მასწავლებელი, 1961 ლიცეუმში – 1,3 მილიონი მოსწავლე და 69 000 მასწავლებელი იყო. პროფესიულ და ტექნიკურ ლიცეუმებში პროფტექნიკურ განათლებას იღებენ. 1996 წელს იქ 946 ათასი მოსწავლე სწავლობდა. ასევე, ქვეყანაში ვაჭრობისა და ტურიზმის, რელიგიური, თუ, კერძო სექტორის სკოლები და ლიცეუმები მოქმედებს.

1996 წელს უმაღლეს სასწავლებლებში 1,1 მილიონი სტუდენტი სწავლობდა, ლექტორთა რაოდენობა კი – 49 ათასი იყო.

უცხოელები თურქულ ენის კურსებს ანკარის უნივერსიტეტთან არსებულ TÖMER-ში (თურქული ენის შემსწავლელი ცენტრი) გადიან, რომელსაც მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე თვრამეტი ფილიალი გააჩნია.

თურქეთში სამეცნიერო მუშაობის ძირითადი ცენტრებია უნივერსიტეტები. უნივერსიტეტებთან სამეცნიერო კვლევის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციები არსებობს. მათ შორისაა თურქეთის ატომური ენერჯის საზოგადოება (TAEK), თურქეთის მეცნიერული და ტექნიკური კვლევის საზოგადოება (TÜBİTAK), ათათურქის სახელობის კულტურის, ენისა და ისტორიის უმაღლესი საზოგადოება. სამეცნიერო ჯგუფები ზოგიერთი სამინისტროს გამგებლობაშიცაა. მსხვილ კერძო საწარმოებს მეცნიერ-მუშაკთა მცირე შტაბით საკუთარი სამეცნიერო ლაბორატორიები აქვთ. ქვეყანაში სამეცნიერო-კვლევით მუშაობას მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უმაღლესი საზოგადოება უწევს კოორდინაცია, რომელიც 1983 წლის 4 ოქტომბერს დაარსდა. იგი მინისტრთა კაბინეტს ექვემდებარება.

თურქული ენა: თურქული ენა გავრცელებულია ევრაზიის კონტინენტის დიდ ტერიტორიაზე. თურქეთის რესპუბლიკასა და კვიპროსზე იგი სახელმწიფო ენაა.

თურქული ენა შედის ალთაურ ენათა ოჯახის დასავლურ ჯგუფში და აზერბაიჯანულთან, თურქმენულთან და გაგაუზურთან ერთად ოღუზურ, იგივე, სამხრეთულ ქვეჯგუფს ქმნის. სხვა მრავალრიცხოვანი თურქული ენებიდან გამოსარჩევად ამჟამად თურქულ ენას „ანატოლიურ თურქულს“ და „თურქეთის თურქულსაც“ ეძახიან. იგი განვითარების მიხედვით შემდეგ პერიოდებად იყოფა:

1. ძველი ანატოლიის თურქული (ძველი ოსმალური, XIII – XV საუკუნეებს შორის);
2. ოსმალური (XVI -XX საუკუნეებს შორის);
3. თურქეთის თურქული (XX საუკუნე).

ოსმალეთის იმპერიაში სამწერლობო თურქული ენის განვითარებას ისეთი მიმართულება მიეცა, რომ მან თითქმის დაკარგა ეროვნული ენის სახე. მასში ბევრი სპარსული და, განსაკუთრებით, არაბული ლექსიკური (80%-ზე მეტი) და გრამატიკული ელემენტი შეიჭრა. საერთო სასაუბრო და სამწერლობო ენა ერთმანეთს დაშორდა. შეიქმნა ხელოვნური ენა, რომელიც მხოლოდ მმართველი წრეებისა და საზოგადოების ზედა ფენებისათვის იყო ხელმისაწვდომი. ეს ვითარება საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. ამ პერიოდის ენას ოსმალური (თურქულად *Osmanlıca*) ერქვა.

რესპუბლიკურმა თურქეთმა ჯერ კიდევ 1928 წელს უკუაგდო თურქული ენისათვის შეუსაბამო არაბული დამწერლობა და იგი ლათინური გრაფიკის საფუძველზე შექმნილი ახალი ანბანით შეცვალა. მუსტაფა ქემალ ათათურქის ინიციატივით 1932 წელს დაარსებული თურქეთის საენათმეცნიერო საზოგადოების მიერ ჩატარებულ გადამჭრელ ღონისძიებათა შედეგად უკვე სალიტერატურო ენის ლექსიკის ძირეული რეფორმა განხორციელებულია, გამოვლენილია ძველ წერილობით ძეგლებსა და დიალექტებში შემონახული ეროვნული ლექსიკური მარაგი, რომელმაც არაბულ-სპარსული ნასესხობანი უკვე თითქმის მთლიანად შეცვალა. ენის რეფორმა თურქეთში დღესაც გრძელდება.

თურქულ ენას აქვს დიალექტები: სამხრეთ-დასავლური, შუა ანატოლიური, აღმოსავლური, ჩრდილო-აღმოსავლური შავი ზღვის სანაპიროებისა, რუმელიური, სამხრეთ-აღმოსავლური და კასტამონიური.

თურქული ენისათვის დამახასიათებელია სინჰარმონიზმი, აგლუტინაცია, წინადადებაში ყოველი მეორეხარისხოვანი ელემენტი წინა პლანზეა, მთავარი - მეორეზე.

ზეპირსიტყვიერება და ლიტერატურა

ფოლკლორი. თურქები მემკვიდრენი არიან იმ უდიდესი ფოლკლორული ტრადიციისა, რომელიც მათ ოდინდელ სამშობლოში შეიქმნა და რომლის დიდი ნაწილიც მცირე აზიაში თან მოიტანეს.

თურქული მოდგმის ხალხების ფოლკლორის ნიმუშების ფიქსაცია დიდი ხნის წინათ მოხდა. შუა საუკუნეების გამოჩენილი თურქი პოეტების ქმნილებებში უხვად ვხვდებით თურქული ხალხური ანდაზების, ანეგდოტების ნიმუშებს, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს XIII საუკუნეში ჩაწერილ ძეგლს – „ოღუზ-ნამეს“. ეს ეპოსი ოღუზური ტომების ლეგენდარული ეპონიმის ოღუზ-ხაკანის ბრძოლებს ეხება. ეს ეპოსი ოღუზური ტომების ისტორიის ასპარეზზე გამოსვლის მხატვრული ასახვაა.

განსაკუთრებული ნიშვნელობა თურქულენოვანი ხალხების ფოლკლორში „დედე ქორქუთის წიგნს“ აქვს, რომლის ჩაწერა კავკასიის ტერიტორიაზე XV საუკუნეში მომხდარა. ამ ძეგლის მნიშვნელობა შუა აზიის, აზერბაიჯანის, თურქეთის კულტურისათვის განუზომელია. „დედე ქორქუთის წიგნის“ უზბეკური ვერსია, რომელიც „ალფამის“ სახელითაა ცნობი-

ლი, მისი შემოქმედი ხალხის ახალ სამშობლოში ახალი სიუჟეტებით შეივსო, გამდიდრდა და თურქულ ფოლკლორში დღესაც აგრძელებს არსებობას.

ცალკე აღნიშვნის ღირსია XVII საუკუნის ეპოსი – „ქოროლი“, რომლის თორმეტი ნაციონალური ვერსია შუა აზიაში, კავკასიასა და ანატოლაში არსებობს. ეს ნახევრად ისტორიული ლეგენდა შედეგია იმ მძაფრი სიტუაციებისა, რომლებსაც XVIII საუკუნის ოსმალეთსა და აზერბაიჯანში ჰქონდა ადგილი. ამ ეპოსის წარმოშობას ე. წ. „ჯელალების“ აჯანყებას უკავშირებენ.

განსაკუთრებულ სიმაღლეს თურქულ ფოლკლორში რომანტიკულმა ეპოსმა მიაღწია, რომელმაც აშუღური პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშები მოგვცა. ასეთებია: „აშულ-ყარაბი“, „შაჰ ისმაილი“, „ასლიდა ქერემი“ და სხვა მრავალი.

თურქული ფოლკლორის ლირიკული ნიმუშებიდან პოპულარულია ოთხსტრიქონიანი ლექსი – „მანი“, რომელიც თურქი ხალხის ცხოვრების ყველა მომენტს ახლავს.

განსაკუთრებული მხატვრული ღირებულებებით გამოირჩევა თურქული ხალხური ზღაპარი, ე. წ. „დედაბრის ზღაპარი“, რომელსაც თავისი მაღალმხატვრულობით მსმენელი ალტაცებაში მოჰყავს.

თურქებმა ისტორიის ადრინდელ პერიოდში არა მხოლოდ თავიანთი ფოლკლორის ფიქსაციას მიაქციეს ყურადღება, არამედ მისი შესწავლის ცდაც მოგვცეს. ბევრი ხალხი ვერ დაიკვივნის, რომ მათ XV საუკუნეში თურქებივით ფოლკლორის ჟანრების კლასიფიკაციის მცდელობა ჰქონდათ. დიდი თურქი პოეტის ლამის და მისი შვილის მიერ გაკეთებული პროზაული ჟანრების

კლასიფიკაცია ფოლკლორისტა ყურადღებას დღესაც იპყრობს.

თურქულ ფოლკლორის კარდინალურ საკითხებს დღეს წარმატებით თურქი და ევროპელი ფოლკლორისტები სწავლობენ.

თურქეთის ზეპირი ლიტერატურის პირველ და უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებებს – „დასტანები“ წარმოადგენს. მთავარ ნიმუშებს შორისაა: „დასტან ბოზკურტი“ – რუხი მგელის ლეგენდა; „დასტან ერგენეკონი“, რომლის თანახმადაც გექთიურები ერგენეკონის რკინის მთაზე წარმოიშვნენ.

თურქების ლიტერატურა ისლამის მიღების პერიოდში. თურქეთის ლიტერატურის პირველ წერილობით ძეგლად გექთურქების ანბანზე დაწერილი „ორხონის წერილები“ ითვლება, რომელიც VI-VII საუკუნეებით თარიღდება. სხვადასხვა ენაზე გადათარგმნილ მნიშვნელოვან ნაწილს მიეკუთვნება ისეთი თხზულებები, როგორცაა – „ტონიოკუკი“, „კიულ ტიგინი“ და „ბილგე კაგანი“. ყველაფერი ეს გვიჩვენებს, რომ თურქებს მნიგნობრული ტრადიციები შორეულ დროშიც გააჩნდათ.

XI საუკუნის თურქების ლიტერატურის პირველი ნაწარმოები, რომლის ავტორი იუსუფ ხას ხაჯიბი იყო, იმითაა მნიშვნელოვანი, რომ პრაქტიკულად იგი სუფთა თურქულ ენაზე იყო დაწერილი. ეს ნაშრომი რელიგიაზე, სახელმწიფოზე, პოლიტიკაზე და განათლებაზე ავტორის შეხედულებებსა და ჩვევებს გადმოგვცემს.

თურქების ლიტერატურის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაწარმოებად მაჰმუდ ქაშგარსის – „თურქული დიალექტების ლექსიკონი“ ითვლება, რომელიც ისლამური რელიგიის გავლენითაა დაწერილი.

XI საუკუნის თურქული ლიტერატურის განვითარებაზე უშუალო ზემოქმედება თურქული ენის სამხრულ-დასავლურ იმ დიალექტში მიმდინარე პროცესებმა იქონია, რომელზეც ოღუზური წარმომავლობის თურქული ტომები საუბრობდნენ, ტომები, რომლებიც ირანსა და აზერბაიჯანში იყვნენ დასახლებულნი. მათ საუბარი თურქულ-აზერბაიჯანულ დიალექტზე დაიწყენ, ანატოლიაში დასახლებულმა ოღუზებმა კი – თურქულზე.

XIII საუკუნის სუფიური მიმდინარეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი აშიკ-ფაშა იყო. სუფიური ლიტერატურის მქადაგებლურმა ხასიათმა განაპირობა იმ პერიოდის თურქული ლიტერატურის სპეციფიკურობაც: უბრალო, გასაგები ენა, იგავური სტილი, ფოლკლორული მასალის მოშველიება, მისტიკურ-რელიგიური თემატიკა.

საერო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშია დეჰანის პოეზია.

თურქების ანატოლიაში დამკვიდრების შემდეგ კლასიკური თურქული ლიტერატურა, იგივე, დივანის ლიტერატურა განვითარდა, რომელსაც საფუძვლად ედო არაბულ-სპარსული ტრადიციები. რეალურად დივანის ლიტერატურის იწყება განვითარებულ შუასაუკუნეებში დაიწყო. დივანის ლიტერატურამ დაამყარა რა მჭიდრო კავშირი სპარსულ კლასიკურ ლიტერატურასთან, თანდათან ხალხურ პოეზიას და ეროვნულ ნიადაგს დაშორდა. ლექსში გაბატონდა არაბული ზომა – არუზი.

თურქული კლასიკური ლიტერატურა კანონიკური ხასიათისაა, წინასწარაა განსაზღვრული თემა და ლექსთწყობა. მისთვის გარესამყაროს დამოუკიდებლად აღქმა თითქმის უცხოა. დივანის ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლები

იყვნენ ბაკი, ფუზული, ნედიმი და ნეფი. იმ პერიოდისთვის ინერებოდა, როგორც ლირიკული ხასიათის ლექსები, ისე დიდტანიანი სამიჯნურო-სარაინდო ხასიათის პოემები, რომლებიც განსაკუთრებით XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან გავრცელდა. ცალკე აღსანიშნავია XV საუკუნის პოეტის შეიხის მესნევიები „ხოსროვი და შირინი“ და „ხარნამე“ („ვირების წიგნი“), რომელიც თურქულ ლიტერატურაში სატირის პირველი ნიმუშია.

დივანის ლიტერატურის განვითარებაში განსაკუთრებული როლი დიდი მევლანა ჯელალედინ რიმუს შემოქმედებამ ითამაშა, აშუღური და თექეს (დერვიშული) ლიტერატურის განვითარება კი – იუნუს ემრემ განსაზღვრა.

დივანის ლიტერატურა, როგორც არაბული და ირანული კულტურების ადაპტაციის პროდუქტი, რეალურად ოსმალურ პერიოდში წარმოიშვა. დივანის ლიტერატურას დამატებით „სასახლის ლიტერატურასაც“ უწოდებენ. ეს ნაწარმოებები იმდგვარ თურქულ ენაზე ინერებოდა, რომელიც თურქულის, არაბულისა და ოსმალური ენების ნარევი იყო.

XIV საუკუნეში დივანის პოეზიის პირველი პოეტები იყვნენ – დეხანი, კადი ბურხანედინი, ნესიმი, აჰმედი, შეიხი, აჰმედ ფაშა და ნეჯათი. XV საუკუნეში დივანის ლიტერატურა სპარსული პოეზიის გავლენას განიცდიდა. იმ ლიტერატორებს შორის, რომელთა შემოქმედება რელიგიურ სახეს არ ატარებდა, შეიხი, აჰმედ ფაშა და ნეჯათი გამოირჩეოდნენ. რელიგიურ თემებზე შექმნილი ყველაზე ორიგინალური ნაწარმოების – „მეველუდის“ (პოემა მუჰამედის დაბადების შესახებ) ავტორი სულეიმან ჩელები კი იმ პერიოდის ყველაზე ცნობილი პოეტი იყო.

XV-XVI საუკუნეები მიჩნეულია თურქული ლირიკის განვითარების ოქროს ხანად. დაიხვენა ლექსის არქიტექტონიკა, მუსიკა, მხატვრული სახით მეტყველება, თუმცა იმ პერიოდის დივანის ლიტერატურაში სიყვარულის ინტერპრეტაცია მთლიანად დაკანონებულ წესებს ექვემდებარებოდა, მაგრამ ჭეშმარიტი პოეტები ზოგადასა და დაკანონებულში საკუთარი ხმის წარმოჩენას მაინც ახერხებდნენ.

XV საუკუნეში სახელი გაითქვა აჰმედ-ფაშამ, ისა ნეჯათიმ, ისა მესიჰიმ, ჯაფარ ჩელებიმ და ილიას რევანიმ.

XVI საუკუნის ლირიკოსი პოეტები იყვნენ ბაკი, ზათი, ჰაიალი, რუჰი ბაღდადი... სამიჯნურო-საგმირო ეპოსის განვითარებას დიდი შეუწყვეს ხელი ლამიმ და იაჰია ბეი თაშლიჯალიმ, რომლებმაც ხუთ-ხუთი მესხვეი შექმნეს.

XVI საუკუნეში ცენტრალურ ანატოლიაში, ბალკანეთსა და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა რეგიონებში ხელოვნების მოღვაწეებმა კონცეტრაცია სტამბულში დაიწყეს. ამ პროცესმა უდიდესი და ცნობილი ლიტერატორების აღმოჩენა გამოიწვია. ამანაც ერთგვარად ბიძგი მისცა ძნელად გასაგები ოსმალური ენის, რომელიც უცხო სიტყვათა მოზღვაებას განიცდიდა, თურქულ ენაში ტრანსფორმაციას. თურქული დივანის ლიტერატურის ცნობილი პოეტები იყვნენ: ფუზული, ბაქი, ზათი, ნევი და ბაგდათლი რუჰი. უზულის პოეზიამ დიდი გავლენა მოახდინა თურქული ლიტერატურის განვითარებაზე. ნიშანდობლივი იყო ლექსებში მსუბუქი და მელოდირი სიტყვების გამოყენება.

XVII საუკუნეში მომძლავრდა სატირული მიმართულება, რამაც დივანის ლიტერატურაში ახალი ტენდენციები წარმოშვა.

XVIII საუკუნის დივანის პოეზიას, რომელიც ნედიმის სახელთან ასოცირდებოდა, ელიტური „სასახლის ლიტერატურიდან“ ხალხურში გარდაქმნა ახასიათებდა. ამ დროის პოეტური ქმნილებები ხალხისათვის – ფართო მასებისათვის გასაგებ ენასა და თემატიკაზე იქმნებოდა. ნედიმის წყალობით ისეთმა გაგებამ, როგორცაა „პომპეზური ლექსი“, ადგილი „სენტიმენტალურ და ფაქიზ ლექს“ დაუთმო.

ნედიმის მიერ გაკვალილი გზა XVIII საუკუნის ბოლოს შეიხ გალიპმა გააგრძელა. დივანის ლიტერატურის პროზისათვის გასაგები ენა იყო დამახასიათებელი. ინტელექტუალებისათვის კი იგი ამაღლებული და მძიმე – რთული იყო. დროთა განმავლობაში ორი ენის შერწყმა მოხდა და ამ სიმბიოზმა, მიუხედავად იმისა, რომ იგი სალაპარაკო ენისაგან განსხვავდებოდა, ზოგადად ენა დახვეწა. იგი აღარ იყო რთული და ნაწარმოებებიც ბრჭყვიალა მხატვრული ელემენტებით ნაკლებად იყო გადატვირთული. იმ ეპოქის ცნობილ პროზიკოსებს შორის თვალსაჩინო ადგილი ეკავათ: აშიქ ფაშაზადეს, აშიქ ჩელებს, ევლია ჩელებს, ნაიმას, კოჩიბეის, მერჯიმედ აჰმედს.

ძველი თურქული ლიტერატურის უკანასკნელი წარმომადგენლები იუსუფ ნაზი, ალაედინ საბათი, აჰმედ ნედიმი და შეიხ გალიბი იყვნენ.

XIX საუკუნის დასაწყისში რეფორმების – თანზიმათის პერიოდში ახალი თურქული ლიტერატურა ჩაისახა, რომელშიც ევროპული განმანათლებლური იდეები აისახა. გაჩნდა და განვითარდა ახალი ჟანრები – ნოველა, რომანი, დრამა. გაძლიერდა ბრძოლა სალიტერატურო ენის ხალხურ სასაუბრო ენასთან დაახლოებისათვის.

1860-1880 წლების ლიტერატურას თანზიმათის ლიტერატურის პირველი პერიოდს უწოდებენ. მისი წარმომადგენლები იყვნენ: იბრაჰიმ შინასი, ნამიქ ქემალი, შამსედინ სამი, აჰმედ მიდჰათ-ეფენდი, ნაიზადე ნაზიმი, ზია ფაშა... 1980-1896 წლები თანზიმათის ლიტერატურის მეორე პერიოდადაა მჩნეული. ამ პერიოდის მწერლებს ეკუთვნოდნენ რეჯაიზადე მაჰმუთ ექრემი, აბდულ ჰაკ ჰამათი, სამი ფაშაზადე სეზაი და ნაზიზადე ნაზიმი...

თანზიმათის ლიტერატურა დივანის ლიტერატურიდან ახალი რეალისტური ლიტერატურისაკენ გარდამავალ ხანას წარმოადგენდა.

შემდეგ პერიოდს „სერვეთ-ი ფუნუნ“ ეწოდება, რომელსაც ჯენაბ შაჰაბეთინი, ჯელალ საჰარი, ფაიქ ალი, ჰუსეინ სუადი, მეჰმუთ რაუფი, ჰუსეინ ჯაჰით იალჩინი, აჰმად ჰიქმეთ მუფთუოღლუ, თევფიქ ფიქრეთი და სულეიმან ნაზიფი წარმოადგენდა.

„ახალგაზრდა თურქების“ 1908 წლის რევოლუციის შემდეგ ახალი ლიტერატურული წრე „ფეჯრ-ი ათი“ („მომავალი განთიადი“) შეიქმნა, რომელმაც ძველი და ახალი თაობების მწერლები გააერთიანა. თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ აჰმეთ ჰაშიმი, იაკუბ კადრი კარაოსმანოღლუ და რეფიქ ჰალით კარაი.

1911-1923 წლებში ეროვნული ლიტერატურა წარმოიშვა, რომელსაც ზია გოქალფი, ომერ სეიფეთინი, მეჰმუთ ემინ იურდაკული, იუსუფ ზია ორთაჩი, ფარუკ ნაფიზ ჩამლიბელი, ენის ბეჰჩირ ქორიურეკი, ქემალეთინ კამუ, აკა გუნდუზი, ჰალიდე, ედიფ ადივარი, რეშათ ნური გუნთეჟინი, აჰმეთ ჰიმქეთ

მუფთუოლლუ, ნეჯიფ ჰაზიკ კისაკურეჟი, ჰალიდე ნუსრეთ ზორლუთუნა, შუქუფე ნიჰალი, ფეიამი საფა და აჰმეთ ჰამდი თანფინარი წარმოდგენდნენ. მათ შემდეგ რეჟიქ ჰალით კარაი, იაკუბ კადრი კარაოსმანოლლუ, იაჰია ქემალ ბეიაღლი და მეჰმეთ აკიფ ერსოი (თურქეთის ეროვნული ჰიმნის ავტორი) შეუერთდნენ.

პირველი მსოფლიო ომში ოსმალეთის დამარცხების შემდეგ ლიტერატურა დაცემის გზას დაადგა, მაგრამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წლებში იგი კვლავ გამოცოცხლდა. რესპუბლიკის შექმნის შემდეგ თურქული ლიტერატურამ აღმავლობა დაიწყო. გაფართოვდა თემატიკა, მტკიცედ მოიკიდა ფეხი რეალიზმმა. მწერალთა მთავარი თემა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა გახდა. გაჩნდა ე. წ. „ქემალისტური ჯგუფი“ – იაკუბ კადრი, ჰალიდე ედიფი, მეჰმეთ რაუფი, რომელსაც კრიტიკული რეალიზმის მეთოდის მიმდევარი ჯგუფი დაუპირისპირდა. მათგან უნდა გამოიყოს სადრი ერთემი, რეჰად ენისი, საბაჰათინ ალი, რეჰად ნური გუნთეჟინი.

თურქულ ლიტერატურაში ახალი ნაკადი 1941 წლის შემდეგ წარმოიშვა, როდესაც ლექსთა კრებული „გარიბი“ („უცნაური“) გამოვიდა. მისი ავტორები ორჰან ველი ქანიქი, მელიჰ ჯევედეთ ანდაი და ოქთაი რიფათ ჰოროზჯუ იყვნენ, რომელთაც კრებულის სახელის მიხედვით შემდგომში „გარიფჩიები“ („უცნაურები“) ეწოდათ. მათ ლექსში ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით სიახლეები შეიტანეს.

მაჰმუდ მაკალის ნაწარმოებებმა ე. წ. „გლახურ ლიტერატურას“ დაუდეს სათავე. ამ თემაზე წერდნენ იაშარ ქემალი, ორჰან ჰანჩერლიოღლუ, ფაქირ ბაიქურთი, ორქან ქემალი.

XX საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ აღმოცენებულ სოციალისტურ მიმდინარეობას სათავე ჩაუყარა ნაზიმ ჰიქმეთმა, რომლის პოეზიაშიც მაიაკოვსკის გავლენა იგრძნობა.

გასული საუკუნის მეორე ნახევრის თურქული პროზის წამყვანი ჟანრი რომანი, ომერ სეიფედინისა და საით ფაიქ აბასიანიქის ტრადიციებს აგრძელებენ. გამგრძელებლები იყვნენ ილჰან თარუსი, ოქთაი აკბალი, ნეჯათი ჯუმალი, აზიზ ნესიმი, ჰალდუნ თანერი და სხვები. ამათ გარდა 1950-1990 წლების ცნობილი რომანისტი მწერლები იყვნენ თარიკ დურსუნი, ათილა ილჰანი, ქემალ თაჰირი, თარიკ ბულრა, მუსტაფა ნეჯათი სეფეთჩიოღლუ, ფირუზანი, ადალეთ ალაოღლუ, სეგვი სოისალი, თომრის უიარი, სელიმ ილერი, ჯევათ შაქარი (ჰალიკარნას ბალიქჩისი). ამავე პერიოდის პოეტები იყვნენ ფაზილ ჰუსნუ დალლარჯა, ბედრი რაჰმი ეიუბოღლუ, ზია ოსმან საბა, ბაჰჩეთ ქემალ ჩალლარი, უმით იაშარ ოღუზჯანი, ოქთაი რიფათი, მელიჰ ჯევდეთ ანდაი, ჯემალ სურეია, ედიფ ჯანსევერი, ოზდემირ ინჯე, ათაოლ ბეჰრემოღლუ, ისმეთ ოზელი, ეჯე აიჰანი, თურგუთ უიარი, სეზანი კარაკოჩი, ბაჰაეთინ კარაკოჩი.

დღეს თურქულ ლიტერატურას აზიურ ლიტერატურას მხოლოდ გეოგრაფიული ნიშნით თუ მივაკუთვნებთ. თემატიკით, გამომსახველობითი საშუალებებით, დონით იგი ევროპულ ლიტერატურას თავისუფლად უსწორებს მხარს.

არქიტექტურა. თანამედროვე თურქების მატერიალურ და სულიერ კულტურაში, მათ ყოველდღიურ ყოფაში, სხვადასხვა

ნეს-ჩვეულებასა და დღესასწაულში ასახულია ძველ მომთაბარე თურქ ტომთა ტრადიციული ფასეულობითი პლასტები, სადაც შერწყმულია ისლამისა და შარიათის ნორმები, ადგილობრივი მცირეაზიური ღირებულებები და ევროპული ინოვაციებიც კი.

თურქები თავიანთ ისტორიულ სამშობლოში, შუა აზიაში – იურთებში ცხოვრობდნენ, რომლებსაც „ობა“, ასევე, „თოფაქი“ ერქვათ. თურქულ არქიტექტურაზე იურთებმა დიდი გავლენა იქონიეს. შუა აზიიდან გამოსვლის შემდეგ თურქულ ხელოვნებაზე უკვე დიდი გავლენა არაბულმა, ბიზანტიურმა, სპარსულმა და ქართულმა კულტურამ მოახდინა. ამ დროს, თურქ-სელჩუკთა არქიტექტურაზე განსაკუთრებით დიდი გავლენა ადგილობრივმა – ანატოლიურმა გამოცდილებამ იქონია, რაც აისახა კიდეც მეჩეთების, მედრესეების, აკლდამების (თურბე, ქუმბეთი), სასახლეების (სარაი, კიოშკი), ქარავან-სარაიების მშენებლობაზე. პირამიდული გუმბათი, სელჩუკთა საკულტო არქიტექტურის საფუძველი, ადგილობრივი მოსახლეობის სამშენებლო ტრადიციებიდან იყო შეთვისებული. ბევრი არქიტექტორი და მშენებელი, რომელთა სახელები ისტორიამ შემოინახა, ადგილობრივი და მეზობელი ქვეყნებიდან იყო გამოსული, მაგალითად, სივასში „ცისფერი მედრესე“ 1271 წელს არქიტექტორ კალოიანის (კალო იანი – ბერძნული სახელია), 1228 წელს „დიდი მეჩეთი“ და დივრიგის საავადმყოფო თბილისიდან ახმედ ბინ იბრაგიმის აგებული იყო, ასევე, აკლდამა „სიტე მელიქში“ დივრიგში 1195-1196 წლებში ბახრამის მიერ იყო აშენებული, რომელიც წარმომავლობით სპარსი თუ სომეხი იყო. ცნობილი იყო 1219-1220 წლებში

„ალაედდინის მეჩეთი” კონიაში, რომელიც დამასკოელი მუხამედ კულანის მიერ გადაკეთდა. იბნ-ბიბი წერდა, რომ მცირე აზიაში ერთ-ერთი ბეის სასახლეში ნახა ლომის ბრინჯაოს სტატუა, რომლის ყბიდან შადრევანი გადმოედინებოდა. თვლიან, რომ თურქ-სელჩუკებს ეს ბიზანტიური ტრადიციებიდან ჰქონდა შეთვისებული. მსგავსი სტატუები ანატოლიაში თურქ-სელჩუკთა ბევრ სასახლეს ამშვენებდა.

XI საუკუნეში ალფარსლანისა და მელიქშაჰის პერიოდში ცნობილი ვეზირის – ნიზამულმუქის მიერ პირველი მედრესეები აიგო. მათ შორის ნიშაბურის, თუსის, ბაღდადისა და ჰორასანის მედრესეები გამოირჩეოდა. სელჩუკებმა საფლავის ორი ტიპი – „ქუმბეთები” და „ქუბელი თურბეები” შექმნეს. თუ სელჩუკები ადრე არქიტექტურაში მხოლოდ აგურს იყენებდნენ, ანატოლიაში მოსვლის შემდეგ ხის გამოყენებაც დაიწყეს.

1300-1453 წლები ადრეოსმალური, იგივე, პირველი ოსმალური ხანაა. იგი ოსმალური ხელოვნებისათვის საკუთრი თავის ძიების პერიოდაა მიჩნეული. ამ დროის არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშია 1333 წელს ქალაქ იზნიქში აგებული ქუჩუქ ჰაჯი ოზბექის მეჩეთი. კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ, 1470 წელს ფათიჰისა და მაჰმუთფაშას მეჩეთები, 1472 წელს – ჩინილი კოშკი, ხოლო 1472 წელს თოფქაფის სასახლე აშენდა. სმაღლეთში მეჩეთის გარშემო გაჩნდა მთელი ინფრასტრუქტურა – მედრესე, აბანო, მავზოლეუმი, საავადმყოფო, სათნოების სახლი.

კლასიკური პერიოდის ჩამოყალიბება დაკავშირებულია არქიტექტორ სინანის (1492-1588 წლები) სახელთან. მან საერ-

თო ჯამში სამოსოცდათოთხმეტი ნაგებობა ააგო, რომელთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სულეიმანიეს მეჩეთი – სტამბოლში და სელიმიეს მეჩეთი – ედირნეში.

ოსმალური არქიტექტურის კლასიკური პერიოდის ნიმუშები - მეჩეთები, ხიდები, წყაროები და მედრესეები მრავლადაა ეგვიპტეში, ტუნისში, ალჟირში, უნგრეთში და ბალკანეთის ქვეყნებში.

1720-1890 წლებში ოსმალური არქიტექტურა კლასიკური პერიოდის პრინციპებს დაშორდა. გაძლიერდა სხვადასხვა ევროპული სტილის – ბაროკოს, როკოკოს გავლენა.

1890-1930 წლები თურქული არქიტექტურის ნეოკლასიკური პერიოდია. რესპუბლიკის წლებში მოდერნისა და კლასიციზმის სტილის ბევრი საცხოვრებელი სახლი, ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი შენობა აიგო. მათ შორის სტამბოლის ეთნოგრაფიული მუზეუმი, თურქეთის დიდი ეროვნული კრების ძველი და ახალი შენობები, ეროვნული ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტები და სასტუმროები გამოირჩევა.

საყურადღებოა თურქული არქიტექტურული ტექნიკა და ფორმები. მსოფლიოს უამრავ მხარეს თურქეთის ორბიტაზე, არქიტექტურა მეცნიერებას ეკუთვნოდა. ტექნოლოგია თურქული არქიტექტურისთვის განმასხვავებელი კრიტერიუმი იყო. ისინი ინტერესდებოდნენ, ითვისებდნენ მშენებლობას, მოქმედებდნენ იმ იმედით, რომ სხვადასხვა სფეროში – გეომეტრიაში, მათემატიკაში, ასტრონომიაში, არქიტექტურულ დეტალებში უკეთესი ცოდნა შეეძინათ. ნამდვილ არქიტექტორს – „მუჰანდს“ (ინჟინერს) ეძახდნენ. შუასაუკუნეების მემატრიანები ხელოვნების ქმნილებებით მშენებლების აღჭურვილობაზეც კი

ამახვილებდნენ ყურადღებას. თვლიდნენ, რომ „კუთხე, წონა და ხაზი შენობების ჭეშმარიტებას პერპენდიკულარულად უზრუნველყოფდა“. იქ იყვნენ სხვადასხვა კატეგორიებში შენობების სპეციალისტები და ექსპერტთა ჯგუფები, მაგალითად, ინჟინრები, საბურღი ჩარხის სპეციალისტები, ხელოსნები და სხვა მისთანანი. სათანადო კონსტრუქციებით გატაცება, თანაბარი შედგენილობის დადგენა და მაღალი შეფასება ამგვარი შემოქმედებისთვის დამახასიათებელი იყო. არქიტექტორთა სახელეები ხშირად შენობებზე ჩნდებოდა. ლამდენიმე მათგანის – სელჩუკისა და თემურის სახელებს ექსპერტები თავიანთ ჩანაწერებში მიუთითებენ.

ხელისუფლება გულუხვად ხარჯავდა ფულს იმ ულამაზესი გარემოსათვის, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. თემურის მმართველობის დროს უამრავი შენობა იგებოდა, იგებოდა ომის, მისი დესპოტური და დიქტატურული მმართველობის დროს, მაგრამ სამუშაოებით ყველას აოცებდა. ადასტურებენ, რომ სამარყანდში სავაჭრო ქუჩების აშენება თემურის ბრძანებით განხორციელდა, თემურს სურდა ქალაქის საბჭოს შეხვედროდა და მუშების ნაკლებობა არ განეცადა. ოცი დღის განმავლობაში მთლიანად დასრულდა ბაზრის ახალი ქუჩის მშენებლობა. ნაგებობების სახით გასაოცარი და ორიგინალური რამ გადაჭიმულიყო ირგვლივ, რასაც ცნობილი ხელოვნებათმცოდნე ჰ. გლუკი (1889-1961 წლები) განსაკუთრებით უსვამდა ხაზს. სელჩუკთა ბატონობისას უნიკალური ტექნიკა გამოიყენებოდა. სხვადასხვა არქიტექტურულ ვარიანტში ევოლუცია დამახასიათებელი თვისება იყო. მუდმივი ყურადღება იყო საჭირო უმცირეს დეტალებში, ეს კი სრულყოფილ მუშაობას მოით-

ხოვდა. ორივე პირობაში - ტექნიკასა და გამოცდილებაში დიდი როლდენობის რესურსები იყო გამოსაყენებელი - კალატოზთა სამუშაო სპეცილიზებულ ჯგუფებში და ოსტატი, ვინც ხაზავდა და არქიტექტურასთან მჭიდროდ თანაშრომლობდა. „ვეჟეს ქალაქი“ იყო ძალა, რომელიც არქიტექტურას აწარმოებდა. სელჩუკთა შენობები საუკუნეების წინ იგებოდა, მათი გადარჩენა ხელოვან-ხელოსანთა ოსტატობამაც განაპირობა. სხვა-მხრივ შეუძლებელია რეალურად მტკიცე შუასაუკუნეობრივი არქიტექტურის იმგვარი თანაბარი სივრცის ნახვა, როგორცაც ცენტრალური აზიაა, სადაც მინისძვრები არც თუ ისე უცხო მოვლენა იყო. გური მირმა სამარაყანდში ნახა რამდენიმე მინისძვრა და მოვლენათა გათვალისწინებით გააკეთა ბარაკ ხანის მედრესე, თუმცა მთავარი ნაგებობა გუმბათით გადახურული მინარეთი იყო. რელიქვიების უვნებელი ნარჩენები უფრო აღმატებულად მოგვითხრობენ ამბავს არქიტექტურულ უპირატესობაზე, ვიდრე ექსპერტები. ხოჯა აჰმედ იასავის საფლავი ყოველთვის იქნება დიდებული რელიგიური ცენტრი, რომელიც ისეთივე წმინდად მიიჩნევა, როგორც - „მექის აღმსარებლობა“. ზომები თემურის სხვა ნაგებობების თანაბარია, მსგავსად სამარაყანდში ბიბი ხანუმის მეჩეთისა, აქ სარაის სასახლე და დარუსალამი შაჰრი საბზში. უბაიდულაჰ სადრის 233 წლის წმინდა სასულიერო ანდერძით, რომელიც თემურის წარმოსახვაში მხოლოდ ხარკი არ ყოფილა, ხოჯა ჰასანისა და შამს აბდულვარაბის არქიტექტურული ნაგებობები წარმოადგენს დიდ საფეხურებიან მავზოლეუმებს. შუასაუკუნეების ინჟინერთა ოსტატობა გასაოცარია. მავზოლეუმი აშენდა ექვსი საუკუნის წინ, გაუძლო საუკუნეებს, სიცხესა და სიცივეს,

ბუნებრივ კატასტროფებს – მიწისძვრებს, ომის დროს სროლებს, მატერიალური ვითარების გაუარესებას. ნაგებობის კუთხის საყრდენი 46,5 მეტრ ფართობზე ორი მეტრის სისქის კედლებით ვრცელდება. რიყის ქვათა საძირკველი სიღრმეში იზრდება სამი მეტრ სიმაღლეს აღწევს. გუმბათის გარშემოწერილობა 18,2 დიამეტრია. თემური პირადად იყო დაინტერესებული მთავარი გუმბათის სიდიდით. შენობა აშკარად გამოიყურებოდა ერთ მთლიან მონუმენტად მიუხედავად იმისა, რომ დაყოფილი იყო რვა დამოუკიდებელ ჯგუფად. ეს იყო სეისმოლოგიური სტაბილურობა მიუხედავად მისი 37,5 მეტრი სიმაღლისა. ნაგებობისათვის სხვადასხვა ტექნიკური რესურსების გამოყენება სტაბილურობის გათვალისწინებას და არქიტექტურულ მეთოდს წარმოადგენდა – „ქვების დაწყობა მოცულობის შემცირებით“. მინარეთის გარეთა მხარე და ცენტრალური შიდა ადგილების გავლით კიბეები მოჩუქურთმებული იყო. დასაყრდენის გათვალისწინებით მინარეთის „მიწისქვეშა თალები“ მოედანს ეყრდნობოდა. ამგვარად, მთლიანი მინარეთი უდიდესი სიმაგრის ცარიელი ხსნარისაგან აშენდა, ვიდრე ეს სინამდვილეში გარეგნულად ჩანდა. ამ ტექნიკის ოთომანის გამოყენებით მინარეთის სიმაღლე სამოცდაათ მეტრზე მეტი იყო. როგორც ჩანს, იგი იყო ცენტრში ღრმად ჩაძირული გუმბათი კედელზე მსხვილი ინტერიერით, ნაგებობის უმაღლესი „გვირგვინი“ გუმბათის ნახევარ მხარეს ჰგავდა. დეკორი ფოთლების ორნამენტთა ჰარმონიას შეიცავდა. მინარეთის ფორმა კვადრატისა და რვაკუთხედისკენ და ცილინდრიდან კონუსის მაგვარისკენ სწრაფ ცვლილებებს აგრძელებდა. ეს ყველაფერი მრავალფეროვან ღერძს, შემდეგ კი პატარა გუმბათს ქმნიდა.

ხელმისაწვდომი, საუცხოო და მრავალფეროვანი იყო აგურის ქანდაკების დიზაინი, რომელსაც იმ ადგილებისათვის იყენებდნენ, სადაც ქვების ნაკლებობა იყო.

გუმბათი ისლამურ არქიტექტურაში ესთეტიკურად, თვალშისაცემი, განუმეორებელი და სტაბილური სანახაობრივი ნერტილი იყო. სასანიდებიდან სელჩუკთა დრომდე, მოგვიანო პერიოდში, ორმაგ გუმბათში გუმბათის შიდა მრავალნახნაგი დაფარული იყო ანდა კონუსის მსგავსი სახურავი ქვევით მიდიოდა. უდიდეს ფართობზე ერთი ანდა რამოდენიმე სამკუთხედის დაქანება ქვებით მუშაობისას, მსუბუქი გამოზურცული აგურების მწკრივის სხივებით წარმოებდა, მსგავსად 1336 წლის ბურსაში მდებარე მეჩეთისა. ეს მეთოდი უფრო სრულყოფილადაა გამოყენებული ქარათაი მადრასას მეჩეთში კონიასა და ანტალიაში (1251 წელი). გუმბათი ცილინდრის მსგავსად გამოიყურებოდა და დაბალ კედლებს აცალკევებდა. ეს ტექნიკა განსხვავებული იყო სელჩუკთა სტილისათვის. გარეგნულად გუმბათის კრამიტი ჩვეულებრივ ნათელი ცისფერი ანდა მომწვანო იყო. სივრცითად მინის აგურებსაც იყენებდნენ. იაქუთის თანახმად „ცისფერი გუმბათის დანახვა შესაძლებელია მოგზაურობის დროსაც“, თუმცა იგი ამბობდა, რომ ცისფერი ფერი უპირველესად გარეგან ძალებს ეწინააღმდეგებოდა. ეს ფერი ამუღეტს ეთანატოლებოდა. ნათელი ცისფრის მინები ბოროტებას ანადგურებდა. ცისფერი ფერი ცას, ზეცას გამოხატავდა. შენობებსაც ცისფერი კედლები ჰქონდათ. აქტია, რომ ცისფერი ფერი საგანგებოდ იყო შერჩეული, რადგან იგი ადვილად მზადდებოდა და ფართოდაც გამოიყენებოდა. ჩვეულებრივ, მდიდარი და ნათელი მინის ფერები ისევე გამოიყე-

ნებოდა, როგორც მოპირკეთებული აგური, მით უმეტეს, როცა, ზოგ შემთხვევაში, გარკვეულ სტილზე დამოკიდებულება შეზღუდული იყო, მაგალითად ისეთზე, როგორც იყო XV საუკუნეში ბურსაში იესელ თურბე. ორმაგი გუმბათის დეკორაცია მფარველი გარემოს არახელსაყრელი პირობებისაგან გადარჩენის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა. შეკეთებას ითვალისწინებდა ორ გუმბათს შორის გარკვეული ადგილების დატოვება.

საფლავები და მავზოლეუმები ევრაზიაში, კაზანლიკის ცენტრის მსგავსად, ტიპიურად მთავარ დარბაზს წარმოადგენდნენ. არასასულიერო კაზანის სიმბოლო – სტუმართმოყვარეობა და ჰარმონია იყო. ოთომანის ქვეშ, გამოქვაბულის წინ, როცა ბრძოლის ველზე მეომართა ლაშქარი იყო განლაგებული, ისინი იქ მოსალხენად ბრუნდებოდნენ. ეს გამოქვაბული იყო ასევე მოსახერხებელი მეტალურგიული ტექნოლოგიებისათვის. კაზანი ხვაჯა იასავის საფლავში 2,45 მეტრი დიამეტრი ორი ტონა სიმძიმისაა. მინის დამუშავებას დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა. გამოქვაბულებს თემური აჯმერში ამარაგებდა.

უხსოვარი დროიდან ხიდები და ჯებირები ა სამშენებლო სისტემაში აუცილებელი ელემენტები იყო. რამდენიმე მათგანი რომაულ ინჟინერულ ტექნიკასა და ნაგებობის სრულყოფილ მეთოდებს აგრძელებდა. მიუხედავად მათი ძირითადი ფორმების ორიგინალობისა, მაინც ეს იყო სასანიდური ირანის მემკვიდრეობითი ხაზის ილუსტრაცია. სხვადასხვა სამშენებლო მეთოდებისა და საირიგაციო ტექნოლოგიების განვითარებითა და დახვეწით რეგიონებში წყლის ნაკლებობის პრობლემები იჭრებოდა. სელჩუკთა მმართველობის ხანაში წყალი ცხელ სე-

ზონებში განსაზღვრული მეთოდებით აითვისეს. მაგალითად, მთელი ზამთრის განმავლობაში ერთ-ერთი მეჩეთიდან სახურავზე თოვლის სხლეტით წყალი გროვდებოდა, სახურავიდან თოვლის სხლეტა ღია ცის ქვეშ დიდი მარაგით შეიცვალა, სადაც თოვლი თოვისას გროვდებოდა. გადანყვიტეს ცივი წყალი გამოიყენებინათ. გარდა ამისა, წვიმიანი ამინდი ხის ნაგებობას ინახავდა და შენობის სვეტებს გაშრობისათვის საფრთხეს არ უქმნიდა.

ჰამამები ანუ აბაზანის სახლები, მათი შენების მექანიზმები, ცხელი და ცივი სისტემები კაცობრიობის თანამედროვე მეხსიერებაში გაოცებას იწვევს. ჰამამებში წარმოდგენილი იყო ცხელი წყლის მიწისქვეშა გვირაბები, რომლებსაც ზამთრის სეზონზე ოთახები და აბაზანის სახლები ინახავდა. თაღები შესაბამისი გზით შენდებოდა. ვენტილაცია – ჰაერის ცირკულაცია იმგვარად იყო გამართული, რომ მომხდარიყო ცხელი ტემპერატურის მინიმიზება და შენახვა. ამგვარად სიცხისა და სიცივის მონესრიგება თურქებისგან ინდოეთმაც გაიცნო. ჰამამები რედ ფორტში, დელსა და ფათერფურ სიკრში არის პასუხი კითხვაზე: თუ სად შენდებოდა მიწისქვეშა გვირაბები, სადაც ცხელი და ცივი წყალი შეთანხმებულად ერთად გროვდებოდა. ეს მეთოდი ბაბურიდ შენობებში ცენტრალურმა აზიამაც აითვისა. ასეთ სისტემაში ოთახები საკმაოდ თბილი იყო. მთელი ზაფხულის განმავლობაში კი იგივე გვირაბები ცივი წყლისათვის გამოიყენებოდა. გარდა ამისა, როცა წყალი არ იყო, ეს გვირაბები საჰაერო გასასვლელის გავლით სასიამოვნო სიგრილეს ქმნიდა. ორთქლის აბაზანების თანაბარი მარაგი იყო

აგრეთვე ყვავილების ფორები, რომლებიც მოედნის პლათფორმაზე განსაკუთრებული დიზაინისთვის იყო გამიზნული. გარდა ამისა იქ იყო ადგილები სხეულის სურნელებისათვის, გახვრეტილი მიწის ქვეშ ვარდისწყალი და სხვა სუნამოები გროვდებოდა. ზოგან შენობებში წყალი რვა არხის გავლით მიედინებოდა, ეს კი არა მხოლოდ მატებდა მას სილამაზეს, არამედ ტემპერატურასაც ინახავდა.

სპეციალურ ტექნიკაში დეკორაციული ნიმუშებიც იყო ჩართული. აგურის მოზაიკის პანელებით მოპირკეთების წარმოებაში დაოსტატებული პირები საქმობდნენ. თაბაშირის საერთო მასალას – ცემენტს, ბათქაშსა და სამშენებლო ხსნარს საფუძველი შუა აღმოსავლეთსა და ირანში ჩაეყარა. კირი შეიძლებოდა გავარვარებულიყო ბევრად დაბალ ტემპერატურაზე. ამ ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ტყე, კლდე ანდა სხვა ძვირადღირებული საწვავი მასალა იყო. კირით შელესვა წყლის შეუღწევადი სახურავებისათვის დამცავ რეზერვს წარმოადგენდა. არხების ამოშრობა და სპეციალური მარმარილოს ბათქაში მხოლოდ ზღვასთან ახლომდებარე ტერიტორიებზე გამოიყენებოდა. მოგვიანებით რომაელთა ძლიერების გავლენის ქვეშ მყოფნი, სიზუსტისათვის თაბაშირს უპირატესობას რეალურად ანიჭებდნენ. ბათქაშით სამუშაო სწრაფად სრულდებოდა, კირი კი სამშენებლო ხსნარისთვის, ნესტიანი პირობებისთვის, ასევე, სახურავის მობათქაშებისა და მარმარილოს შელესვისთვის საუკეთესო იყო. სპეციალური პრიალა კირით შელესვა დიდ ოსტატობას მოითხოვდა. იგი სხვადასხვა ქვეყანაში კედლების ირგვლივ ორნამენტების მოჭედვისათვის გამოიყენებოდა.

მრავალფეროვან დეკორაციასა და ქვაზე კვეთას საფუძველი თანმიმდევრულად ჩაეყარა, თუმცა თითქმის გამონაკლისი იყო სელჩუკთა შენობების მთავარი შესასვლელი და ფანჯრები. ცენტრალური აზია და სხვა ადგილები ამ მხრივ მეტწილად დაუზიანებელია, შესაბამისად, საინტერესოა ის-მაილ სამანის საფლავი ბუხარაში და მასუდ ღაზმასი მინარეთი. ორივე მათგანი მდიდარი წარმოსახვითაა შემკული. გურების განსხვავებული ფენებისა და ფორმების კონტრასტი გამოყენებული იყო ვერაზიელი ხელოვნების მიერ შექმნილი ძეგლების ტექსტურულ ეფექტებში. მსგავსი ეფექტი ქუვათულ ისლამის მეჩეთში, ქუთუბის კომპლექსში – დელშია ნანარმოები, მაგრამ ქვაზე კვეთა გადაწყვეტილი იყო სილის ქვაში.

XX საუკუნეში ახალი სისტემა გაიცვანეს – ,ხიდის კუთხეები იარუსებად, თაღების დასაწყობად გამოიყენეს, რომელიც მოგვიანებით გეომეტრიულად სტალაქტად ანდა აკლდამად შეერთდა. ქვის დამუშავების ნიმუში მონაცვლეობით გარსმობეხვია ასირიული, აქემენიდურ, ქრისტიანულ და ბიზანტიურ არქიტექტურას, აგრეთვე, იგი ჰუმასა და ქორდობას მეჩეთებშიც აღინიშნა. მას მამლუქები და ოთომანებიც იყენებდნენ. იდეე ერთი სიახლე – თანდათანობით ქვის დამუშავებას აგურის დამუშავება ჩაენაცვლა, რომელიც განსხვავებული ფერებისათვის ანდა არქიტექტურულ ფორმებსა და ქვის ფორმების უფრო ნათელ და ბნელ ტონებში სხვადასხვა ჩრდილის ესკიზისთვის გამოიყენებოდა. ეს სტილი სელჩუკთა დროს დაიწყო და დასრულდა, XIV საუკუნეში კი ინდოეთში გავრცელდა, სადაც იგი ინდურ-ისლამური არქიტექტურისთვის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი გახდა. გარდა ამისა, შეღებილი ქანდაკების

გახლართული ფორმები, მარმარილოს მოპირკეთება თუ ქვაზე გარკვეული მოზაიკური სამუშაოები, სელჩუკების ანატოლიაში მართკუთხა, მრუდხაზოვანი ორნამენტები და სხვადასხვა ფორმებში ყვავილოვანი ნიმუშების მყარი მოზაიკით დაფარვა, საერთო დეკორაციებში სრულდებოდა. ბუიუქ ქარათაი მადრასა კონიაში ორ ფერში ფანჯრის ტიხრის შერწყმას, ქვები კი ცალკ-ცალკე შეღებილი ქანდაკების ორნამენტებსა და სტლაქტიტების თალებს წარმოადგენდა, რომელსაც საერთო გამომსახველობითი სილამაზეც დაემატა. ქარათაის საფლავი 1251 წელს კონიაში აშენდა. იგი კრამიტის სახურავითა და გვერდით ორივე კედლის მხარეს ორი სპირალური მინარეთით, ულამაზესია. გაუჭარ შადის – გური მირისა და ჯამის მეჩეთები ილუსტრაციისათვის საუკეთესო ნიმუშებია.

ინჟინერთა ნიჭიერებისა და ოსტატობის გამოვლენა, პრეზენტაცია თავისებური გამოსახვისა განვითარებულ შუასაუკუნეებში – 1316 წელს, ილხანთა მმართველის ულჯაიტუსის ეპოქაში, მონღოლურ ყაიდაზე აგებული შენობა იყო, რომელიც დასავლეთ ისპაჰანიდან შვიდ კილომეტრში მდებარეობდა. მას მინარეთის რხევის უკიდურესად დამახასიათებელი თვისებები ჰქონდა. მინარეთი ცილინდრული ფორმისა იყო, მაგრამ მსუბუქი კონუსის მაგვარი მაღალი კონცხი ჰქონდა, პატარა მოძრავი კოშკი კუთხის ქიმით სახურავზე. ტყუპი მინარეთები შენობის სახურავის ორ კუთხეში იდგა. ამ მინარეთის უცნაური ასპექტი ის იყო, რომ როცა ერთი საყრდენი შიგნითა კედლის ერთ-ერთი მინარეთის მწვერვალს ეწინააღმდეგებოდა, იგი მის უკანა მხარეს მართავდა და ტყუპების იმიტაციას ქმნიდა.

მრავალფეროვანი მაღალი რელიეფური ფერწერა შესრულებული იყო ღია ცისფრით, თეთრით, მუქი ლურჯით, წითლით და მწვანით, და გამოყენებული იყო ფერწერაში კედლის ზედაპირსა და, ამავე დროს, მის შემკობაშიც. ორნამენტული ორიგინალურ ფერწერის მრავალრიცხოვანი ნიმუში შეგიძლიათ სამარყანდსა და ბუხარაშიც იხილოთ. კედლის ფერწერას საფუძველი ჩაეყარა ხვაჯა აბდის, ბირუნ ხანქაჰის, ტილია გადქის მადრასას სადაც იგი სელჩუკთა სტილს ატარებდა. სამარყანდში, XVII საუკუნეში, ხვაჯა აჰრორის ხანქაჰის მიდამოებში ერთ-ერთ შესასვლელ დარბაზს კედლები ჰქონდა, სადაც რელიგიური რიტუალები ტარდებოდა, საძინებლები ყვავილებითა და ვაზით იყო შემკული. ხვაჯა აჰრარის მეჩეთის ჭერი სავსე იყო პატარა და დიდი ზიგზაგებით და მხარეებად იყოფოდა, მორთული იყო ცისფერი, ნაცრისფერი და ნათელი, ამასთან, მოშავო ბრილიანტის ფორმის მოტივითაც. კედლის ფრესკები იყო ძირითადი – მუქი ლურჯი, ყვითელი, წითელი, თეთრი ფერებით გალამაზებული. ეს ტექნოლოგიები ფერწერის „ხასიათს“ გვაცნობდა. „ვისადჰარმატრას“ მთავარი ტექნოლოგიები ხელოვნებაში შესრულებული იყო შავი ფერით, წარმოიშვა ზეთის ლამფის შავი და სხვა მინერალური ფერებისაგან, ბადახშანში კი – ცისფერი იყო მიღებული. იმ დროს, როდესაც ინდოეთში აჯანთას გამოქვაბულის ფრესკები კედლის მხატვრობას შეერწყა, ცენტრალური აზია ფერადი მინისა და ფერადი კრამიტის დამუშავებას ეცნობოდა. ფერადი დიზაინი შენობებს სილამაზეს მატებდა, თუმცა ზოგი მოტივი და დეკორაციული ფორმა ინდოეთის გავლენებზეც მიგვანიშნებს. საბოლოოდ, ითიმად-უდ დაულას საფლავზე

დახვეწილი მარმარილოს რელიეფი და ქანდაკებათა მოზაიკური განლაგება, ცენტრალურ აზიაში დეკორაციული დიზაინის დადასტურება იყო. იქ კრამიტიც დახვეწილ დიზაინს ესადაგებოდა. ინდურ ტაძარზე სპილოს მსგავსად ცხენის გამოჩენამაც, მასზე დიდი გავლენა მოახდინა და ულამაზესი ფრესკების ხელოვნება გვიჩვენა. სამნუხაროდ, პლინტუსების მსვლელობა ტაძარში თუ სელჩუკური გავლენების გამომხატველი თავმომწონე ცხენები საძირკველზე განადგურებული აღმოაჩინეს.

მხატვრობა ხელოვნებაში. თურქ მეომარ ტომთა ხალიჩებზე, ტყავებზე, მშვილდისრებსა და ხანჯლებზე ძველად სხვადასხვა ნახატები იყო ამოკვეთილი. თურფანის, კარაჰორუს და ბეშბალილის გათხრებისას, დაახლოებით IV საუკუნეში, მოხატული კედლები და წიგნები აღმოაჩინეს. XVI საუკუნის შუა ხანებში ომალეთში მინიატურისა და კალიგრაფიის სკოლა ჩამოყალიბდა. ობიექტური მიზეზების გამო ამ პერიოდში ფერწერა და ქანდაკება ვერ განვითარდა. მნიშვნელოვანი ადგილი ხალიჩებისა და კერამიკური ნაწარმის დამზადებას ეჭირა.

მხატვრობის განვითარება თანზიმათის პერიოდში დაიწყო, როდესაც სულთანმა მაჰმუდ II-მ საკუთარი პორტრეტი დაახატვინა და იგი ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში ჩამოკიდა. 1882 წელს ნატიფი ხელოვნების სკოლა გაიხსნა. სკოლის აღსაზრდელები, ძირითადად, პეიზაჟსა და ნატურმორტს ხატავდნენ. ამ პერიოდის მხატვრები იყვნენ: ოსმან ნური, გირითლი ჰუსეინი, აჰმეთ ბედრი, ფერიდ იბრაჰიმ ფაშა, ჰუსნუ იუსუფი, თევფიქ ფაშა, ნური ფაშა, შექერ აჰმეთ ფაშა, სულეიმან სეიდ ბეი, ოსმან ჰამდი ბეი, სერვილი აჰმეთ ემინი, ჰუსეინ

ზექაი ფაშა და ჰოჯა ალი რიზა. 1908 წელს ოსმალთა მხატვრების საზოგადოება დაფუძნდა. მისი პირველი წევრები იყვნენ: რუჰი არელი, იბრაჰიმ ჩალი, ჰიქმეთ ონათი, ასაფი, აგაჰი, კაზიმი, ჰუსეინი, ჰამიმი, აჰმეთ ზია აკბულეთი, ჰოჯა ალი რიზა, მუაზეზი, მაჰმუდი, მესრური და იზეთი. ამავე ჯგუფს მოგვიანებით ჰალილ ფაშა, ჰუსეინ ზექაი ფაშა, ნაზმი ზია, ავნი ლიფიჟი და ფეიჰამად დურანი შეუერთდნენ. ჯგუფის ამკარა ლიდერის იბრაჰიმ ჩალის გამო მათ „ჩალის თაობასაც“ უწოდებდნენ. „ჩალის თაობამ“ დასავლური და ადგილობრივი ხელოვნების სინთეზს მიაღწია და ისეთ მიმართულებებზე გავლენა მოახდინა, როგორც „დამოუკიდებლები“, „დე ჯგუფელები“ და „მწვანეები“ იყვნენ.

მრავალფეროვნებით „დამოუკიდებლები“ გამოირჩეოდნენ, კერძოდ, რეფიქ ეფიქმანი, ჰამით გორელე, შერეფ აქდიქი, ნურულა ბერქი, ჰალე ასაფი, მუჰითინ სებათი, ზექი ქოჯამემი, ავნი ჩელეზი და მაჰმუთ ჯუდა რათიფ აშირი.

„დე ჯგუფი“ 1933 წელს ჯემალ თოლუმ, ნურულა ბერქმა, ზექი ფაიქიზერმა, ელიფ ნაჯიმ, აბიდინ დინომ და ზუჰთუ მურიდოლუმ დააფუძნეს.

გასული საუკუნის 40-იან წლებში „მწვანეთა ჯგუფი“ შეიქმნა, რომლის წევრები იყვნენ ნური იემი, აკოფ არადი, სელიმ თურანი, ავნი არბაში, ნეჟათ მელიჰ დევრიმი, ქემალ სონმეზლერი, ფარუკ მორელი და იუსუფ კარათაი.

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან რამდენიმე მიმდინარეობა წარმოიშვა:

1. აბსტრაქციონისტები: საბრი ბერქელი, ადნან ჩოქერი, ომერი ულუჩი, ბურჰან დოღანჩაი, ეროლ ეთი, ეროლ ალანთარი, ადნან თურანი, გუნგორი თანერი, ჰალილ აქდენიზი და თომურ ათაგოქი.

2. ფიგურალისტები: გურელ იონთანი, შუქრუ აისანი, ისმაილ სარაი, აჰმეთ ოქთემი და სერჰათ ქირაზი.

3. გააბსტრაქციონებული ფიგურალისტები, რომლებიც თანდათანობით აბსტრაქციონისტებად იქცნენ: ოზდემირ ალ-თანი, თურან ეროლი, ორჰან ფექერი, შადან ბეზეიში, მუსტაფა ესირქუში, ნური აბაჩი, ეროლ აქიავაში, დინჩერ ერიმეზი, ბურჰან უიგუნი, ზაჰით ბუიუქი შლეიენი და ბედრი რაჰმი ეიუბოღლუ.

4. ადგილობრივები და სახალხოელები: ოსმან ორალი, ისმაილ ალთინოქი, ჰუსეინ ბილიშიქი, დურან კარაჯა, კაიჰან ქესქინოქი, მეჰმეთ გულერი, იალჩინ გოქჩებალი, ვეისელ გუნაი, მეჰმეთ ბალბუში.

5. გამომხატველები და კრიტიკოსი ფიგურალისტები: ალაეთინ აქსოი, მუსტაფა ათა, ნეშე ერდოქი, მეჰმეთ გულერიუზი, ერგონ ინანი, ქემალ ისქენდერი, ბალკან ნაჯი ისლიმიელი, ოზერ კაბაში, ეროლ კინალი, ჰუსამეთინ კოჩანი, იბრაჰიმ ორსი, კადრი ოზაითენი, გურქან ჯომუკუნი, უთქუ ვარლიქი.

მუსიკა ხელოვნებაში. თურქებს უძველესი მუსიკალური ტრადიციები გააჩნიათ. ძველად დიდი იყო არაბულ-სპარსული, შემდეგ კი დასავლური მუსიკის გავლენა. ხალხური მუსიკა თანაბარი რიტმის მცირე დიაპაზონიანი მელოდის მქონე ნა-

წარმოებებს, „ქარიქ ჰავას“ – მოკლე მელოდიას და დიდ დიაპაზონიანი გარკვეული მეტრორიტმული სქემის ფარგლებს გაცილებულ ნაწარმოებებს, „უზუნ ჰავას“ – „გრძელ მელოდიას“ შეიცავდა. მუსიკალური საკრავები იყო: საზი, ქამანჩა, რებაფი, თანბური, უდი, ქოვარი, დუდუკი, დოლი და სხვა მისთანანი.

თურქული მუსიკა ოთხ ძირითად ნაწილად იყოფოდა:

1. საეროდ;
2. სამხედროდ;
3. სასულიეროდ;
4. დერვიშულად – მისტიკურად.

1640-1712 წლებში წინაკლასიკურმა ოსმალურმა მუსიკამ ბიზანტიური მუსიკის გავლენა განიცადა. კლასიკური პერიოდის მუსიკის განვითარებაში დიდი წვლილი XVII საუკუნის მუსიკოსმა ბუჰუზი-ზადე მუსტაფა ითრი-ეფენდიმ შეიტანა. მისი საქმის გამგრძელებლები იყვნენ ებუბეჟირ ალა, თაბი მუსტაფა ეფენდი, ქუჩუქ მეჰმეთ ალა, სადულა ალა, სულთანი სელიმ III, ისმაილ დედე ეფენდი, დელაღზადე ისმაილ ეფენდი და ზეჟაი დედე. 1880-1955 წლების რომანტიკული პერიოდის წარმომადგენლებს ეკუთვნოდნენ ჰაჯი არიფ ბეი, შევქი ბეი, რაჰმი ბეი, ჰაჯი ფაიქ ბეი, თანბური ალი ეფენდი და თანბური ჯემილ ბეი.

თურქული მუსიკის აღმავლობა თურქეთში რესპუბლიკის დამყარების შემდეგ დაიწყო. სტამბოლში, იზმირსა და ანკარაში კონსერვატორიები გაიხსნა. ამავე ქალაქებში საოპერო თეატრებმაც იხილა დღის შუქი. გასული საუკუნის 30-40-იან წლებში გამოჩნდნენ ისეთი კომპოზიტორები, როგორც იყვნენ ჯემილ

რაშიდ რეი, ჰასან ფარიდ აღნარი, ულვი ჯემილ ერქინი და ამჰეთ ადნან საიგუნი. 1955 წლიდან დღემდე რეფორმისტული პერიოდი გრძელდება. მისი საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ და არიან კომპოზიტორები ილჰან უსმანბაში და ნევიტ კოდალი, მევიოლინე აილია ერდურანი, პიანისტი ქალი იდილ ბირეთი, მომღერლები ლეილა აიშე გენჯერი და აიჰან ბარანი. საოპერო ორკესტრებთან მუშაობს სიმფონიური ორკესტრები, ვოკალურ-საკრავიერი კოლექტივები, თეატრალური და ფილარმონიული საზოგადოებები.

XX საუკუნის 90-იან წლებში დასავლეთიდან შემოსული პოპ-მუსიკა განვითარდა, რომელმაც თურქულ მუსიკალურ ტრადიციებთან ურთიერთკავშირში საოცრად ლამაზი სინთეზი მოგვცა. თანამედროვე თურქული ესტრადის საუკეთესო წარმომადგენლები არიან იბრაჰიმ თათლისესი, სეზენ აქსუ, ებრუ გუნდემი, თარქანი, იონჯა ევჯიმეჟი, ნილუფერი, სიბელ ჯანი, ბნდენიზი, ჰულია ავშარი, ბურჯუ გუნემი, მუსტაფა სანდალი, რაფეთ ელ რომანი, ბურაქ ქუთი, დოღუმი, სერდარ ორთაჩი, მუჰსინ ქირმიზიგული, იბრაჰიმ ერქალი, გულშენი, ისმაილ თურუთი, ზარა, ემრაჰი, ჩელიქი, აზერ ბულბული, ბულენტ ერსოი, მუსლიმ გურსესი, ჰალუკ ლევენთი, მუაზეზ ერსოი, ათილა თაში, სედა საიანი, აჰმეთ კაია, სიბელათაში, იბრაჰიმ სადრი, იაშარი, ჰაქან ფექერი, თეომანი, ერჯან სათჩი, ბეიაზი, ქეჩრექ იბო, ნადიდე სულთანი, ემელ მუფთუოღლუ, სინან ოზენი, ალიჰანი, ოზჯან დენიზი, აჟდა ფექანი, ზულფუ ლივანელი და შუქრე თუთქუნი; ჯგუფები – „აინა“, „დესტანი“ და „იურთსევენ ქარდეშლერი“.

დრამატული თეატრი ხელოვნებაში. თურქული თეატრი დასავლეთიზაციამდე ოთხ ძირითად ჯგუფად იყოფოდა: მარინეტულ თეატრად – კუკლა, თოჯინებისა და ჩრდილის თეატრად – ყარაგოზი, სამოედნო წარმოდგენად – ორთაოიუნუ და მთქმელ-იმპროვიზატორთა გამოსვლებად – მედაჰები.

თანზიმათის შემდეგ თურქულ თეატრზე გავლენა კლასიციზმმა და რომანტიზმმა მოახდინა. 1840-იან წლებში პირველი თურქი დრამატურგები: იბრაჰიმ შინასი, თეოდორ კასაბის და ნამიქ ქემალის სახით სახით გამოჩნდნენ. მათ აბდულჰაკ ჰამიდი, აჰმედ მითჰათ ეფენდი, ალი ბეი, ჰასან ბედრეთინი, ფერაიზჯი ზადე და მეჰმედ რიფათი მოყვნენ.

ევროპულ თეატრს თურქი მაყურებელი XIX საუკუნის II ნახევარში ევროპიდან საგასტროლოდ ჩამოსული თეატრალური დასების მეშვეობით გაეცნო. ჩამოყალიბდა სცენის მოღვაწეთა წრეები. XIX საუკუნის 60-70-იან წლებში საკუთრივ თურქული თეატრები შეიქმნა. გამოჩნდნენ ახალი დრამატურგები: სალაჰ ჯიმჯოზი, ჯელალ ესათი, აკა გუნდუზი, ჯენაფ შაჰაბეთინი, თუნალი ჰილმი, ჰუსეინ სუათი, მეჰმეთ თაუფი და რეშათ ნური. 1914 წელს სტამბოლში ეროვნულ თეატრს – „დარულ-ბედაი ოსმანს“ (ოსმალური ხელოვნების ტაძარი), 1934 წლიდან კი – საქალაქო თეატრი ჩაეყარა საფუძველი. მისი პირველი ხელმძღვანელი იყო ფრანგი ანდრე პ. ანტონი, რომელიც მუჰსინ ერთულრულმა შეცვალა. ჩამოყალიბდა სტუდია, სადაც პირველი თურქი პროფესიონალი მსახიობები აღიზარდნენ. ესენი იყვნენ ი. გალიფ არჯანი, ბეჰსათ ბუთაქი, რაშიდ რიზა,

ვასფი რიზა ზობუ, ჰაზიმ ქორმუქჩუ, თალათ ართემელი, ბედია მუვაჰითი, ჯაჰიდე სონქუ, ჰელიდე ფიშქინი და საზიე მორალი.

თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ დიდ ქალაქებში სახელმწიფო და კერძო თეატრები გაჩნდა. 1934 წელს პირველი საბავშვო თეატრი გამოჩნდა. 1949 წლის 10 ივნისს გამოვიდა კანონი სახელმწიფო თეატრისა და ოპერის დაფუძნების შესახებ. ამ პერიოდში ანკარაში გაიხსნა „ბუიუქ თიათრო“ (დიდი თეატრი), „ქუჩუკ თიათრო“ (მცირე თეატრი). ამ თეატრებში აღიზარდნენ მსახიობები: ჯუნეით გოქჩერი, შაჰაფ აკალინი, საიმ ალფაგო, ულვი ურაზი, ილდიზ ქენტერი, მუშფიქ ქენტერი, ილდირიმ ონალი და აითენ გოქჩერი. XX საუკუნის 50-60-იან წლებში ახალი თეატრი ანკარაში, ადანაში, იზმირში, ბურსასა და სტამბოლში გაიხსნა. ამჟამად თურქეთში სახელმწიფო თეატრების გვერდით კერძო თეატრებიც ფუნქციონირებს. XX საუკუნის ცნობილი თურქი დრამატურგები არიან: რეშათ ნური გუნთექინი, ნეჯიფ ფაზილი, ნაზიმ ჰიქმეთი, მუსა-ჰიფზადე ჯელალი, ჯევათ ფეჰმი ბაშქუთი, ჰალდუნ თანერი, ს. ქუდრეთ ასკალი, ოქთაი რიფათი, აზიზ ნესინი, მ. ჯევდეთ ანდაი, ჩეთინ ალთანი, თმრან ოფლაზოღლუ, გუნგორ დილმენი, ორჰან ასენა, ქაჰით ათაი, თურგუთ ოზაკმანი, ნეჯათი ჯუმალი, რეფიქ ერდურანი, რეჯეფ ბილგინერი და თუნჯერ ჯუჯენოღლუ.

კინო ხელოვნებაში. კინომატოგრაფია თურქეთში 1896 წელს გაჩნდა, როდესაც სტამბოლის „ილდიზ სარაიში“ პირველი ჩვენება განხორციელდა. საკუთრივ თურქული კინოს დასაწყისად 1914 წელი ითვლება, როდესაც თადარიგის ოფიცერმა ფუათ უზქინაიმ დოკუმენტური ფილმი – „რუსული მონუ-

მენტის ჩამოშლა აია სტეფანოსში” გადაიღო. 1917 წელს რეჟისორმა სედათ სიმავიმ გადაიღო პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმები. ამავე პერიოდში ფილმებს ფუათ უზქინაი, აჰმეთ ფეჰიმი და შადი კარაგოზოღლუ იღებდნენ.

1922 წელს შეიქმნა კინოსტუდია – „ქემალფილმი“, 1928 წელს კი – „იფექფილმი“. გასული საუკუნის 20-30-იან წლებში უცხოეთიდან ახლადდაბრუნებულმა მუჰსინ ერთულრულმა ისეთი მნიშვნელოვანი ფილმები გადაიღო, როგორც იყო „ცეცხლოვანი ხალათი“ – 1923 წელი, „ანკარის საფოსტო ექსპრესი“ – 1928 წელი, „სტამბოლის ქუჩებში“ – 1931 წელი, რომელიც პირველი ხმოვანი ფილმი იყო, „ფეიქარი გოგო“ – 1953 წელი (პირველი ფერადი ფილმი). 1939-1955 წლებში „გარდამავალი პერიოდის“ რეჟისორებიდან აღსანიშნავია ფარუქ ქენჩის, ბაჰა გელენბევის, შადა კამილის, თურგუთ დემირალის, შაქირ სირმალის, აიდინ არაკონის და ორჰან მ. არიბურნუს მოღვაწეობა. ამ პერიოდში უცხოური კინოფილმების შეტანა თურქეთში შეიზღუდა, განვითარდა ადგილობრივი კინომატოგრაფია, წარმოიშვა ახალი კინოსტუდიები და გაერთიანებები. ამის შემდეგ მოდის კინომატოგრაფისტთა პერიოდი, რომელიც დაიწყო რამერ ლუთფი აკადმა, ბოლომდე მისი გავლენის ქვეშ დარჩა. ამ წლებში ყველაზე მეტი ფილმები ოსმან ფ. სედენმა, ათიფ ილმაზმა და მემდუჰ უნამა გადაიღეს, ხოლო მეთინ ერქსანის ფილმი – „უნწყლო ზაფხული“ „ოქროს დათვის“ პრიზით 1964 წლის ბერლინის ფესტივალზე დაჯილდოვდა.

XX საუკუნის 60-70-იან წლების სხვა ცნობილი რეჟისორები არიან: ათიფილაზი, ჰალით რეფილი, დუიგუ საღიროღლუ, ნეგზათ ფესენი, ილმაზ გუნეი, სურეია დურუ და ფეიზი თუნა.

მათგან აღსანიშნავია ილმაზ გუნეის მოღვაწეობა, რომელმაც თურქული კინომატოგრაფიის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა. 80-ინ წლებში შემცირდა გადაღებული ფილმების რაოდენობა. სამაგიეროდ, იმატა ხარისხმა. ამ პერიოდში ასპარეზზე გამოსულმა ახალმა თაობამ ძველი სტერეოტიპები უარყო და ახალი ფასეულობები დაამკვიდრა. ამ თაობას განეკუთვნებიან რეჟისორები: ომერ კავური, ზექი ოქთენი, შერიფ გორენი, ალი ოზგენტურქი, იავუზ თურგული, ნესლი ჩოლგეჩენი და თუნჩ ბაშარანი. მათგან გამოირჩევა ომერ კავურის ფილმი „იდუმალი სახე“ (1991 წელი), რომელმაც როგორც ქვეყნის შიგნით, ისე უცხოეთშიც დიდი აღიარება მოიპოვა.

თურქული კინოპროდუქციის სახეობებიდან განსაკუთრებული ყურადღების გამოყოფის ღირსია მსუბუქი კომედია, რომლის განვითარებაში დიდი როლი მსახიობმა ქემალ სუნალმა შეასრულა.

1986 წლის 23 იანვარს გამოვიდა კანონი კინოს შესახებ, რომელმაც თურქულ კინოს განვითარებას ახალი იმპულსი შესძინა. ქალაქებში სტამბოლში, ანკარაში, იზმირში და ანტალიაში რეგულარულად ტარდება დიდი კინოფესტივალები.

* * *

ამრიგად, დასკვნაში შეიძლება ხაზი გაესვას თანამედროვე თურქი ხალხის მრავალნაზნაგოვან ისტორიას. XI-XII საუკუნეებში მცირე აზიის ეთნიკური შედგენილობა საკმაოდ ჭრელი იყო. ყურადსაღებია მცირე აზიის ფართო ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობის არსებობა, რომელიც

ტრადიციულ აღმსარებლობას მისდევდა. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ XIII საუკუნეში ჯიზია, არამუსლიმან ქვეშევრდომთა სულადობრივი გადასახადი, რუმის სასულთნოში მნიშვნელოვან შემოსავალს შეადგენდა. სხვადასხვა ტიპის ნერილობითი ნყაროები, მათ შორის, აქსარაიზე დაყრდნობით ო. თურანი გვამცნობდა, რომ სომხური სახელმწიფოს, კილიკიის წარმომადგენლები – სომხები, ასევე, ბერძნები XIII საუკუნის ბოლოს დაბებთან, პატარა ქალაქებთან და ქალაქური ტიპის დასახლებებთან ცხოვრობდნენ, ხოლო „დიდი სომხეთის“ სამხრეთ აღმოსავლეთ საზღვრებთან ქრისტიანები – იაკოვიტები და ნესტორიანები, მათგან ჩრდილოეთით კი – ქართველები იყვნენ განსახლებული. სხვა ცობებითაც XIII საუკუნის შუა ხანებში მცირე აზიაში ყოფილან ბერძნები, სომხები, იაკოვიტები (ასირიელები და ხალდეები) და თურქები. გ. დ. რუბრუკმა ანატოლიაში 1253–1255 წლებში იმოგზაურა. იგი მოგვითხრობდა ანატოლიური განსახლების შესახებ და მოიხსენიებდა მარსენგენს. სხვა სახელი ამ დასახლებული პუნქტისა იყო: სომხურად – „მანაზგერტი“, ბერძნულად – „მანტიკერტი“, არაბულად – „მეჯინკარტი“. დღესდღეობით იმ მხარეს ვანის ტბა და თურქული სოფელი – მალაზგირტი მდებარეობს. იქვე დასახლებულია სომხები და კურგები – ქართველები, ბერძნები, მაგრამ ესენი, როგორც ამაზე გ. დ. რუბრუკუ მიგვანიშნებდა, სარაცინებს, ე. ი. მუსლიმანებს ექვემდებარებიანო. ასეთივე სურათს გვიხატავდა მოგზაური, ვენეციელი ვაჭარი – მარკო პოლოც. ანატოლიის მოსახლეობის შესახებ იბნ ბატუტა, რომელიც XIV საუკუნეში მოგზაურობდა, წერდა, რომ ანატოლიაში ბევრი იყო ქრისტიანი, რომელიც მუსულმან–თურქმენებს ემორჩილებოდა. იბნ ბატუტა

ანატოლიის აღწერისას ასევე აღნიშნავდა, რომ დასახლებულ უბნებში, რომელთაც ირგვლივ კედლები არცყიათ, ბერძნები, ებრაელები, ქრისტიანი ვაჭრები მკვიდრობენო, ხოლო მუსლიმანები ძირითადად ქალაქებში სახლობენო. ბერძნებიც მუსლიმანებს ექვემდებარებოდნენ და მათ, როგორც ქრისტიანები, ჯიზიას და სხვა გადასახადებს უხდიდნენ. ერზინჯაში მოსახლეობის უმეტესობა სომეხი ყოფილა. დასავლეთ ანატოლიაში არც თუ ისე დიდი ქალაქი – გეინიუკი ბერძნებით იყო დასახლებული და მუსლიმანებს ისინიც გადასახადებს უხდიდნენ.

თანამედროვე თურქი ხალხის ფორმირების ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ მის ეთნოგენეზში სამეურნეო-კულტურული ბუნებით ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავებული ორი ეთნიკური კომპონენტი მონაწილეობდა. ესენი იყო: თურქი მესაქონლე მომთაბარეები და მცირე აზიისა და ბალკანეთის მოსახლეობა, რომელთა მეურნეობის დამახასიათებელი ტიპი – ბინადარი მიწათმოქმედება, ხოლო ზღვისპირეთში – მეთევზეობა იყო. იქ მხოლოდ ქურთთა ნაწილი, რომლებიც მეურნეობრივად მომთაბარეთა და გადარეკვით მესაქონლეთა საქმიანობას უახლოვდებოდნენ, სამეურნეო ტიპით თურქებთან ახლოს იდგა. ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხების პროცესში მომთაბარე თურქები, თანდათანობით, ბინადარ ცხოვრებაზე გადადიოდნენ, იქაურებისაგან სამინათმოქმედო კულტურის ელემენტებსა და ბინადარი ცხოვრების წესს ითვისებდნენ. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სამეურნეო-კულტურული ასიმილაციისას დომინირებადი ადგილობრივი მოსახლეობა ხდებოდა, რომელიც მომთაბარე მესაქონლეებთან შედარებით გაცილებით მაღალი სამინათმოქმედო კულტურის მატარებლები იყვნენ. მათ

გააჩნდათ ისტორიულად ჩამოყალიბებული და დროში აპრობირებული აგრარული გამოცდილება და ადგილობრივ გეოგრაფიულ პირობებთან შეგუებული განვითარებული სამეურნეო ჩვევები, თუმცა ენობრივი ასიმილაციის თვალსაზრისით, პრიორიტეტული და დომინირებადი თურქული დიალექტები ხდებოდა. ამასთან, თურქულ დიალექტებშიც მოხდა ზოგიერთი ფონეტიკური და, საერთოდ, გრამატიკული ცვლილება და ადგილობრივი ლექსიკის დიდი რაოდენობით შეთვისება. თურქული წარმომავლობის ტომთა დიალექტებზე ადგილობრივი ენების ზემოქმედებამ იმ ახალი თურქული ენის ფორმირებაზე იქონია დიდი გავლენა, რომელსაც სწორედ თურქულის დიალექტები ედოთ საფუძვლად და რომელმაც, შესაბამისად, გრამატიკულად – ფონეტიკურად და ლექსიკურად თანამედროვე თურქული ენა გაამდიდრა. კულტურათა ურთიერთშერწყმა – ანატოლიურისა და თურქული გამოცდილების სინთეზი, თურქულის ადგილობრივი ტრადიციული ყოფის საფუძველზე განვითარება გარდაუვალი იყო და სხვაგვარად შეუძლებელიც იყო, რადგან ადგილობრივი კლიმატური და გეოგრაფიული გარემო სწორედ ისეთ სამეურნეო ტიპსა და სამეურნეო ორგანიზაციას მოითხოვდა, როგორც საუკუნეების მანძილზე ანატოლიის ძირძველ მოსახლეობას ჰქონდა ჩამოყალიბებული, თავისთავად, ასეთი სინთეზი როგორც ადგილობრივ ხალხების, ისე თურქული ენის ლექსიკურ ფონდში სათანადოდ აისახა კიდევ.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია

აბულაძე იუსტ. ტერმინ გურჯის ეტიმოლოგიისათვის.-აკად. ნ. მარისადმი მიძღვნილი კრებული, მისი სამეცნიერო მოღვაწეობის ორმოცდახუთი წლის შესრულების გამო, თბილისი, 1934.

აბულაძე ც. საქართველოსა და მისი პოლიტიკური წარმონაქმნების სახელწოდებანი ოსმალურ წერილობით ძეგლებში.-საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბილისი, 1993.

ანთროპოლოგია, მომავლის მეცნიერება?!.-სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა კრებული, თბილისი, 2008.

ბატიაშვილი ზ. ცნობარი თურქეთზე.-სსკგც, ბიულეტენი №23, თბილისი, 1999.

ბანაში ნ. ეთნო-რელიგიური პროცესები ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში, თბილისი, 1983.

ბროსე მ. საქართველოს ისტორია, ორ ნაწილად, მეფეთა და მთავართა გენეალოგიით და ხრონოლოგიით, ნათარგმნი და განმარტებული სიმ. ლოლობერიძის მიერ, ტფილისი, 1895; შდრ. იგივე წიგნი, ბათუმი, 1895.

გიორგაძე გ. ხეთების ქვეყანა და ხეთური ეთნოსი: ხათი – „ათასი ღვთაების ქვეყანა“, თბილისი, 1985.

გუგუნავა აღ. მოგზაურობა ისტორიულ სამხრეთ საქართველოში (ნაწილი პირველი), თბილისი, 1996.

ვარდმანიძე ჯ. მუჰაჯირობა და ეროვნული ცნობიერების ზოგიერთი საკითხი სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში.-კრებული

(ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი), I, ბათუმი, 2001.

თოფჩიშვილი რ, ხუციშვილი ქ, გუჯეჯიანი რ. თეორიული ეთნოლოგია, თბილისი, 2010.

თოფჩიშვილი რ. ევროპის ხალხთა ეთნოლოგია, თბილისი, 2009.

თურქულ-ქართული ლექსიკონი, სტამბოლი, 2001.

კლარჯეთი (კოლექტიური მონოგრაფია) , ბათუმი, 2016.

კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტი.-<http://www.Culturaldialogue.com>

ლორია მ. ძირითადი ცნებები და ტერმინები მიმართულე-ბათაშორის დისციპლინებში (რეგიონმცოდნეობა, ანთროპოლოგია, კულტურის კვლევები), თბილისი, 2016.

მალაყმაძე რ. ლიგანის ხეობა, თბილისი, 2008.

მგელაძე ნ, ტუნაძე თ. ჰემშინთა ისტორიისათვის აღმოსავლეთ თურქეთსა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.-საისტორიო მაცნე, ბათუმი, 2005.

მგელაძე ნ. ქართველ მუჰაჯირთა ეთნონიმიკა თურქეთში და ეთნონიმიკასთან დაკავშირებული ცნობიერება.-იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გორი, 2014.

მგელაძე ნ. კლარჯ მუჰაჯირთა ყოფისა და კულტურის საკითხები.-აჭარა (ნარსული და თანამედროვეობა), ბათუმი, 2015.

მგელაძე ვლ. პეტრე უმიკაშვილის გამოუქვეყნებელი ცნობები აჭარის მოსახლეობის ოსმალეთში გახიზვნის მიზეზე-

ბის შესახებ.-„კრებული“ (შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი), VII, ბათუმი, 2013.

მგელაძე ნ. ქორწინება და საქორწინო ტრადიციები თურქეთის შავიზღვისპირეთის ქართველ მუჰაჯირებში (ორდუსა და სამსუნის ვილაეები).-კრებული (შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი), VII, ბათუმი, 2013.

ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან (ფეოდალური ხანა), ვალ. გაბაშვილის რედაქციით, თბილისი, 1957.

პაიჭაძე გ. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები რუსულ წყაროებში.-საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბილისი, 1993.

სანიკიძე გ, ალასანია გ, გელოვანი ნ. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.-XXI ს-ის დასაწყისი), თბილისი, 2011.

სართანია დ. ივანე ჯავახიშვილი ფა ქართული ეტიკეტის ისტორიის საკითხები, თბილისი, 2002.

სვანიძე მ. ოსმალეთის ისტორია, თბილისი, 2005.

შავშეთი (კოლექტიური მონოგრაფია), თბილისი, 2011.

შენგელია ნ. მცირე აზიის სელჩუკები და საქართველო, თბილისი, 2003.

ფუტკარაძე შ. ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი, ბათუმი, 1993.

ფუტკარაძე თ. ქართული დიასპორა თურქეთში.-სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები, I, ბათუმი, 2007.

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები თურქეთში, ბათუმი, 2017.

ქავთარაძე გ. ანატოლია-კავკასიის მიჯნის ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 2009.

ცეცხლაძე ნ. ხატოვანი სიტყვა-თმანი ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლობის მეტყველებაში.-მუჰაჯირები – პირველი სამეცნიერო კონფერენცია (სამუშაო გეგმა და მოხსენებათა თეზისები), ბათუმი, 2013.

ლუტიძე ი. მუჰაჯირ ქართველთა ენობრივი და ეთნიკური იდენტობის საკითხები.-კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XII, თბილისი, 2010.

ხაზარაძე ნ. აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბილისი, 1978.

წერეთელი კ. ქართველებისა და საქართველოს აღმნიშვნელი ტერმინები არამეულსა და ებრაულში-საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბილისი, 1993.

ჩხეიძე თ. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები საშუალო სპარსულსა და პართულ ენებში.-საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბილისი, 1993.

ჯანაშია ს. თუბალ-თაბალ, ტიბარენი, იბერი.-ენიმკის მოამბე, I, თბილისი, 1947.

ჯანაშია ს. უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ.-შრომები, II, თბილისი, 1952.

ჯაფარიძე გ. ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები-საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბილისი, 1993.

ჯოლია გ. ქვეყანათმცოდნეობა, თბილისი, 2004.

Аболтин В. Национальный состав Турецкой Республики.- «Новый Восток», 1925, кн. 1 (7).

Агаджанов С. Г. Очерки истории огузов и туркмен Средней Азии IX-XIII вв., Ашхабад, 1969.

Ага Каррыев, В. Т. Мошкова, А. Н. Насонов, А. Ю. Якубовский, Очерки из истории туркменского народа и Туркменистана в VIII-XIX вв., Ашхабад, 1954.

Аверьянов П. И. Этнографический и военно-политический обзор азиатских владений Оттоманской империи, СПб., 1912.

Алькаева Л. О. Очерки по истории турецкой литературы, 1908-1939, Москва, 1959.

Аристов Н. А. Заметки об этническом составе тюркских племен и народностей и сведения об их численности.-«Киват старина», 1896, вып. III-IV.

[Ататюрк] М. Кемаль, Путь новой Турции, т. 11, Москва, 1934.

Аширалиев Қ. Древние тюркские элементы в современных языках.-ИФТЯСАЮС, Фрунзе, 1966.

Баскаков Н. А. Тюркские языки, Москва, 1960.

Брук С. И. Этнический состав и размещение населения в странах Передней Азии.-ПЭС, I, Москва, 1958 (ТИЭ АН СССР, нов. серия, т. XXXIX).

Голобородько (Южанін) И. И. Старая и новая Турция, Москва, 1908.

Гордлевский В. А. Быт османцев в суевернях, приметах и обрядах.-ЭО, No 3-4, 1915,

Гордлевский В. А. Из жизни современной Турции.-«Восток», кн. 4, 1924.

Гордлевский В.А. Избранное сочинения, т. 1, Москва, 1960.

Гордлевский В.А. Избранное сочинения, т. III, Москва, 1962.

Гуман К. Об этнологии Малой Азии.-ИКОНРГО, 1879-1881, т. VI, прил.

Данциг Б. Турция, Москва, 1949.

Древняя Ататолія, Москва, 1985.

Елисеев А. В. Антропологические заметки об обитателях Малой Азии.-ДАОИОЛЕАЭ, 1890, вып. 6-7, 9-10 (ТАО, Т. XII).

Еремеев Д. Е. Особенности образования турецкой нации.-СЭ, No 5, Москва, 1969.

Еремеев Д. Е. От тюрок к туркам.-ААС, No 6, Москва, 1969.

Еремеев Д. Е. Происхождение горюков и туркмен Турции и основные этапы их истории.-ЭПЧНСПА, Москва, 1963 (ТИЭАН СССР, нов. серия, т. 83).

Еремеев Д. Е. Проникновение торкских племен в Малу Азию.-«Доклады VII МКАЗН», Москва, 1964.

Еремеев Дм. Страна за Черным морем, Москва, 1968.

Еремеев Д. Е. Турки.-«Народы зарубежной Европы», т. I, Москва, 1964.

Еремеев Д. Турчанка выходит замуж.-ААС, No 1.

Москва, 1967. Еремеев Дм. Юрюки Анатолий.-ААС, No 11, Москва, 1962.

Еремеев Д. Е. Юрюки (турецкие кочевники и полукочевушки), Москва, 1969.

Еремеев Д. Е. Язык как этногенетический источник (из опыта лексического анализа турецкого языка).-СЭ, No 4, Москва, 1967,

Еремеев Д. Е. Этногенез турок, Москва, 1971.

Еремеев Д. Е. На стыке Азии и Европы (очерк о Турции и турках), Москва, 1980.

Этикет у народов Передней Азии (сборник статей), Москва, 1988.

Желтяков А. Д, Петросян Ю. А. История просвещения в Турции (конец XVIII начало XX века), Москва, 1965.

Жуковский П. М., Земледельческая Турция, М.-Л., 1933.

Қармышева Б. Х., Этнографическая группа «тюрк» в составе узбеков-СЭ, No 1, Москва, 1960.

Кляшторный С. Г., Проблемы ранней истории племені не тюрк (ашина).-«Новое в советской археологии», Москва, 1965.

Курылев В. П. К истории земледелия в Малой Азии (основное земледельческое орудие современной Турции - карасабан).-«Доклады Восточной комиссии ВГО», вып. 3, Москва, 1968.

Курылев В. П., Одежда анатолийских турок, — «Традиционная культура и быт народов Передней и Средней Азии», Ленинград, 1970 (Сборник МАЭ АН СССР, т. 26).

Курылёв В. П. Хозяйство и материальная культура турецкого крестьянства, Москва, 1976.

Лежа Г. Этнография Европейской Турции, СПб., 1868.

Миллер А. Ф., Краткая история Турциип, Москва, 1948.

Миллер Ю. А., Искусство Турцин, М.Л., 1965.

Новичев А. Д., Турецкие кочевники и полукочевники в современной Турции.-СЭ, No 3, Москва, 1951.

Очерки общей этнографии. Зарубежная Азия, Москва, 1959.
Турция, Анкара, 2005.

Смирнов В. Д. Очерк истории турецкой литературы, СПб., 1891.

Чебоксаров Н. Н. Антропологические типы населения Передней Азии.-«Народы Передней Азии», Москва, 1957

Pierce Y. E., Life in a Turkish Village, New York, 1969.

Reid J. Turkey and the Turks, London, 1840.

Ricaud P. History of the Turks, 1987.

Stirling P. Turkish village, London, 1965.

Şenyürek M. S. Fluctuation of the Cranial Index in Anatolia, from the Fourth Millennium B. C. to 1200 B. C.-«Bel.1951, t. XV, No 60.

Tachau F. The Face of Turkish Nationalism-«Middle East. Journal», vol. 13, N 3, 1959.

Tachau F. The Search for National Identity Among the Turks, - «Welt des Islams», vol. 8, No 3, 1963.

Talbot Rice T. The Seljuks in Asia Minor, London, 1961.

Haider M. Indo-Turkish architecture, Istanbul, 2010.

Aktüre S. Anadolu'da Demir Çağı Kentleri, Tarih Vakfı Yurt Yayınları, İstanbul, 2003.

Akurgal E. Anadolu Uygarlıkları, Net Turistik yayınları, 8.baskı, İstanbul, 2003.

Akurgal E. Anadolu Kültür Tarihi, Tübitak Yayınları,17.basım, Ankara, 2005

ALP, Özlem K. Orta Asya'dan Anadolu'ya Kültürel Sembollere Giriş, Eflatun Yayınevi, 1.basım, Ankara, 2009.

Arik R. O. “Anadolu Arkeolojya Tarihinde AlişarHafriyatı”, TürkTarih Arkeolojya ve Etnografya Dergisi, S:1, Devlet Matbası, İstanbul, 1933.

Arik R. O. “Karalar Hafriyatı”,Türk Tarih Arkeolojya ve Etnogra-
fya Dergisi, Sayı:2, Devlet Matbası, İstanbul, 1934.

Atalay İ.“Türk Dünyası’nın Coğrafyası”,Türkler, C.I, Yeni Tür-
kiye Yayınları, Ankara, 2002.

Ayan E. “Kafkasya: Bir Etno Kültürel Tarih Çözümlemesi”, ODÜ.
Sosyal Bilimler Enstitüsü, Sosyal Bilimler Araştırmaları Dergisi, C:1,S:2,
Ordu, Aralık, 2010.

Ayda A. Türklerin İlk Ataları, Ayyıldız Matbaası A.ş. Ankara,
1987.

Bahar H. Eski Çağ Uygarlıkları, Kömen yayınları, 1.Baskı, Konya,
2010.

Barnett R.D. “Phrygia andthePeoples of Anatolia in theIron Age”,
Cambridge Ancient History H/30 (1967), Cambridge. s. 1-32, Çeviri
Ömer Çapar,”Phrygia ve Demir Devrinde Anadolu Kavimleri” Ankara
Üni. Dil ve Tarih-Coğ. Fak. Dergisi, Cilt:31, Sayı: 1.2, Ankara,1987.

Belli O.“Urartular” Anadolu Uygarlıkları, I,Görsel Anadolu Tarihi
Ansiklopedisi, Görsel Yayınları, İstanbul, 1982.

Boray F. E. Bilinmeyen Tarih ve Türkler, C:I, Kum Saati Yayın-
ları, İstanbul, 2005.

Bulut A. Türklerin Etnik Kökenleri, Kalipso Yayınları, İstanbul,
2010.

Büyüktanır Z. İnsan Sevgi Anadolu, Sam Yayınları,2.Basım.
Ankara, 1995.

Ceram C.W. Tanrıların Vatanı Anadolu, çev. Esat Nermi Erendor,
3.baskı, Remzi Kitabevi, İstanbul, 1992.

Çokay-Kepçe, Ş. Sedef. “Anadolu Arkeolojisinde Ortak Kavram, Ortak Dil Kullanımı Üzerine,” Türk Eskiçağ Bilimleri Enstitüsü Haberler Sayı:29 İstanbul Ocak, 2010.

Desti M. Anadolu Uygarlıkları, Çev. MunaCedden, Dost Yayınevi, 1.baskı, Ankara, 2005.

DETWEILER, A. Henry-M.A. George Hanfmanand D.G. Mitten,“Excavations At Sardis, 1965”, (TAD)Türk Arkeoloji Dergisi S.: XIV-1-2, 1965, Türk Tarih Kurumu Basımevi, Ankara, 1967.

Esin E. Türk Kültür Tarihi İç Asya’daki Erken Safhalar, 2.Baskı, Atatürk Kültür Merkezi Yayını, Ankara, 1997.

Günay U. T. Türklerin Tarihi – Geçmişten Geleceğe-, Akçağ Yayınları, 3.baskı, Ankara, 2010.

Gürler Y. “Doğu Ve Günetdoğu Anadolu’daki Eski Türk Yerleşim Bölgeleri Ve Adları Hakkında”,bilig Sa:4/ Kış 97, Ankara, 1997.

Hartman L. F. “TheDate Of The Cimmerian Threat Against Ashurbanipal AcordingTo ABL 1391”, Journal of Near Eastern Studies, Vol. 21, No. 1 (Jan. 1962), pp. 25-37Published by: The University of Chicago, 1962.

Hasanov Z. Çar İskitler, Çev. İlyas Topsakal, Türk Dünyası Araştırmaları Vakfı Yayını, İstanbul, 2009.